ავტორის სტილი დაცულია

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

მიმართულება კულტურის კვლევები

ირინე საგანელიძე

# ეთნიკური უმცირესობების კულტურათა მხარდაჭერა და სახელმწიფო მიდგომები საქართველოში

(2009-2019 წლები)

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი ნინო ჩიქოვანი

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,

პროფესორი

თბილისი

2022

**აბსტრაქტი**

სადისერტაციო ნაშრომის მიზანია 2009-2019 წლებში საქართველოში ეთნიკური უმცირესობების კულტურათა მხარდასაჭერად სახელმწიფო მიდგომების სამეცნიერო კვლევა. თავდაპირველად, წარმოვადგინეთ ამ მიმართულებით ისტორიულად არსებული სტრატეგიული ხედვის ფაქტობრივი მიზეზები: წარსულში არაერთი ეთნოსის იძულებითი თუ ნებაყოფლობითი მიგრაცია; ხელისუფალთა პოლიტიკურ-ეკონომიურ მოსაზრებათა გამო მათი საქართველოში ჩამოსახლება; სახელმწიფოსა და ავტოქთონი მოსახლეობის მხრიდან მცირე ეთნოსების კულტურათა მიმართ გამოვლენილი ტოლერანტიზმის მიზეზები, გარემოებანი და ა. შ. ამავე მიზნით მიმოხილულ იქნა XIX საუკუნეში რუსეთის კოლონიური ეთნოპოლიტიკა, რაც არსებითად გამოიხატა ადგილობრივ ეთნიკური სურათის შესაცვლელად სხვადასხვა ეთნოსის გამიზნულად ჩამოსახლებაში, მათთვის ეროვნული კულტურული ინსტიტუციების გახსნასა და სხვადასხვა სახის კულტურული საქმიანობის ფინანსურად და ორგანიზაციულად ხელშეწყობაში. ნაშრომში მოხმობილ იქნა არაერთი მაგალითი, რომ, ამ ანტიქართული პოლიტიკის მიუხედავად, ავტოქთონმა მოსახლეობამ და მისი კულტურის წარმომადგენლებმა, შეინარჩუნეს რა ისტორიულად ეთნიკურ კულტურათა მიმართ შემწყნარებლური დამოკიდებულება, კულტურის აქ დამკვიდრებულ კავკასიელ, რუს თუ ევროპელ მოღვაწეებთან თანაცხოვრებითა და თანასაქმიანობით შექმნეს XIX საუკუნის საქართველოს გამორჩეული მულტიკულტურა. პოლიტიკურად წინააღმდეგობრივი მოვლენებით აღსავსე მომდევნო XX საუკუნეში კი ეთნიკურ უმცირესობათა უფლებების დაცვისადმი განსხვავებული სახელმწიფო მიდგომების დემონსტრირება მოვახდინეთ 1918 წლიდან 1995 წლამდე მიღებული კონსტიტუციების მიმოხილვით. ამასთან, ყველა ეს ისტორიული პოზიტიური წინამძღვარი მიჩნეულ იქნა როგორც ერთგვარი განმაპირობებელი თანამედროვე საქართველოში ეთნიკურ კულტურათა მიმართ ჰუმანური პოლიტიკისა, რომლის ჩამოყალიბების პირველ ეტაპად და 2009-2019 წლებში ეთნიკური უმცირესობების მხარდასაჭერად შემუშავებული სახელმწიფო მიდგომის ერთგვარ წინაპირობად მიჩნეულ იქნა საერთაშორისო ნორმატიული აქტების გათვალისწინებით შემუშავებული და ჩვენ მიერ დისერტაციაში გაანალიზებული ადგილობრივი საკანონმდებლო პროფილური დოკუმენტები და

ცალკეული პროფილური ინსტიტუციების საქმიანობა. ამის არგუმენტირებისათვის ზოგადად გამოიკვეთა ეთნიკური კულტურის პოლიტიკის გამტარებელი სხვადასხვა სახელმწიფო უწყებისა და ამ პოლიტიკის მაკონტროლებელი (სახალხო დამცველის, მასთან არსებული ტოლერანტობის ცენტრისა და ა. შ.) დაწესებულებების საქმიანობის არსებითი მიმართულებები, შემდეგ კი შედარებით დაწვრილებით იქნა წარმოდგენილი 2009-2019 წლებში ეთნოსების კულტურათა თვითმყოფადობის შენარჩუნებისა და ქართულ კულტურასთან ინტეგრაციის მიზნით ამის უშუალო განმახორციელებელი ინსტიტუციების: სახელმწიფოს ქვემდებარე სსიპ დაწესებულებების-ეთნიკური თეატრებისა და მუზეუმების საქმიანობა; ასევე ეთნიკურ უმცირესობათა მატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის, ასევე მათ კულტურათა მხარდამჭერი ღონისძიებების სანიმუშო მაგალითები, რაც ადასტურებს 2009-2019 წლებში ეთნიკური უმცირესობების კულტურათა მიმართ სახელმწიფო პოლიტიკის გააქტიურებასა და თანმიმდევრულ ხასიათს. ამას დიდად განაპირობებს სახალხო დამცველის აპარატისა და ტოლერანტობის ცენტრის სამოტორინგო მუშაობის შედეგიც- დისერტაციაში გაანალიზებული და შეფასებული მათი ყოველწლიური ანგარიშები, რომლებშიც აღნუსხულია სახელმწიფო უწყებათა მიერ ეთნიკური უმცირესობების კულტურათა უფლებების დაცვის მიზნით განხორციელებული ღონისძიებები; დაფიქსირებულია ამ მიმართულებით არსებული ხარვეზები და მათი გამოსწორების მიზნით გაცემული რეკომენდაციები. იმის საჩვენებლად, თუ რამდენად შეესატყვისება 2009-2019 წლებში შესაბამისი ინსტიტუციების მიერ რეალიზებული ოფიციალური პოლიტიკა ევროპულ ფასეულობათა დასამკვიდრებლად საქართველოს მიერ აღებულ საერთაშორისო ვალდებულებებს, ზოგადად მიმოვიხილეთ ევროკავშირის, გაეროს, ევროპის საბჭოს, ეუთოსა და სხვათა მიერ შემუშავებული უმთავრესი საერთაშორისო დოკუმენტები; შედარებისათვის წარმოვაჩინეთ ზოგიერთი პოსტსაბჭოთა (ესტონეთი, ლიტვა, უკრაინა, მოლდოვა) და დასავლეთ ევროპის ქვეყნების (გერმანია, ფინეთი, ნიდერლანდები, საფრანგეთი) ქვეყნის პოლიტიკა, მისი მსგავსება და განსხვავება ანალოგიური ქართული პოლიტიკისაგან. ეთნოსების კულტურათა მიმართ ოფიციალური პოლიტიკის იმპლემენტაციის ხარისხის შესწავლის მიზნით კი გამოყენებულ იქნა თვისებრივი და რაოდენობრივი ემპირიული კვლევის

კომბინირებული მეთოდი, რომლის შესაბამისად ჩვენ მიერ შედგენილი კითხვარი დაეგზავნა დედაქალაქისა და რეგიონების კულტურის სფეროს ორგანიზაციებს. გამოკითხვის შედეგებმა, ასევე ზემოთ აღნიშნული ინსტიტუციების საქმიანობის კვლევამ გამოავლინა 2009-2019 წლებში ეთნიკური უმცირესობების კულტურათა მიმართ გატარებული პოლიტიკის როგორც მიღწევები, ისე ხარვეზები, რის გამოსასწორებლად ნაშრომში მოვახდინეთ ჩვენეული რეკომენდაციების დემონსტრირება.

ABSTRACT

The aim of this thesis is to research the state's approaches to supporting ethnic minority cultures of Georgia between 2009 and 2019. The reasons for forced or voluntary migration of ethnic groups; their settling in Georgia due to political-economic views; reasons for the tolerance shown by state authorities towards the cultures of small ethnic groups. Colonial ethno-politics of Russia in the 19th century was reviewed, which was expressed through the deliberate resettlement of various ethnic groups in order to open national institutions for them and provide financial and organizational assistance for various cultural activities. The thesis cites examples of how, despite the non-Georgian policy, the indigenous population and representatives of its culture maintained a tolerant attitude towards ethnic cultures, which created 19th century Georgia's distinctive multiculturalism through coexistence and collaboration between Caucasian, Russian and European cultural figures. Different state approaches of the 20th century regarding the protection of rights of ethnic minorities through the review of constitutions adopted from 1918 to 1995 are demonstrated. Local legislative profile documents that were developed in accordance with international normative acts and the activities of separate profile institutions are also shown. Areas of activity implementing control of ethnic cultures policy (Public Defender, the Center of Tolerance, etc.) were revealed. Measures for supporting the cultures of ethnic minorities and consistent nature of the state policy between 2009 and 2019 were largely owing to the monitoring activities of the Public Defender's Office and the Center of Tolerance. The thesis analyzes and evaluates their annual reports regarding recorded measures taken by the state agencies for protection of the cultural rights of ethnic minorities; existing shortcomings were identified and recommendations were indicated for their modification. To disclose how relevant institutions in were implemented between 2009 and 2019, in line with Georgia's international commitments to European values, key international documents developed by the EU, UN. Council of Europe, OSCE were examined; the policies of post-Soviet countries (Estonia, Lithuania, Ukraine, Moldova) and Western European states (Germany, Finland, the Netherlands) were compared with similarities and differences in analogous Georgian policies. The combined method of qualitative and quantitative empirical research was used for studying the implementation quality of official policies towards ethnic cultures, according to which the questionnaire was compiled and sent to cultural organizations in Tbilisi and the regions. The results of the survey and analysis of the activities of institutions revealed both the achievements and shortcomings of the policy towards cultures of ethnic minorities in 2009 -2019.

# შინაარსი

შესავალი ............................................................................................................................................1

თავი 1. საქართველოში ქართველი მოსახლეობისა და ეთნიკურ უმცირესობათა თანაცხოვრების ისტორია (ზოგადი მიმოხილვა)................................ **Error! Bookmark not defined.**

თავი 2. სახელმწიფო მიდგომები ეთნიკური უმცირესობების კულტურათა მიმართ (XIX საუკუნე - XX საუკუნის დასაწყისი)...................................................... **Error! Bookmark not defined.**

2.1. ეთნიკურ უმცირესობათა კულტურული ინსტიტუციების განვითარება**Error! Bookmark not define**

2.2. სახელმწიფო მიდგომები ეთნიკურ უმცირესობათა უფლებების დაცვის საკითხებისადმი საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასა (1918-1921) და საბჭოთა პერიოდში (1921-1991) ......................................................................................................................41

თავი 3. სახელმწიფო მიდგომები ეთნიკურ უმცირესობათა კულტურის საკითხებისადმი .....50

3.1. ეთნოკულტურული პოლიტიკის ჩამოყალიბების პირველი ეტაპი: XX საუკუნის დასასრული და XXI საუკუნის დასაწყისი (პოლიტიკის საკითხების ასახვა საკანონმდებლო დოკუმენტებში) ..................................................................................................................50

3.2. პოლიტიკა მცირე ეთნოსების კულტურათა მიმართ XXI საუკუნის დასაწყისში: 2009-2019 წლებში ეთნიკური უმცირესობების მხარდასაჭერად შემუშავებული სახელმწიფო მიდგომის წინაპირობა......................................................................... **Error! Bookmark not defined.**

3.3. მცირე ეთნოსების კულტურათა მხარდამჭერი სახელმწიფო პოლიტიკის განმახორციელებელი ინსტიტუციები ............................................ **Error! Bookmark not defined.**

(2009-2019)............................................................................................. **Error! Bookmark not defined.**

3.4. ემპირიული კვლევის შედეგები და მცირე ეთნოსების კულტურათა მხარდამჭერი ქსაკანონმდებლო დოკუმენტების (2009-2019) დახვეწისა და გაუმჯობესების მიზნით შემუშავებული რეკომენდაციები ...................................................... **Error! Bookmark not defined.**

დასკვნა ........................................................................................................ **Error! Bookmark not defined.**

გამოყენებული ლიტერატურა............................................................. **Error! Bookmark not defined.**

# შესავალი

საქართველოს გამორჩეულმა გეოგრაფიულმა მდებარეობამ აზიისა და ევროპის გზაჯვარედინზე, ქრისტიანულ და მაჰმადიანურ ქვეყნებთან მრავალსაუკუნოვანმა კავშირურთიერთობებმა, ასევე თანმხლებმა საგარეო თუ საშინაო პროცესებმა განაპირობა აქ მრავალეთნიკური მოსახლეობის დამკვიდრება. ავტოქტონ მოსახლეობასთან სხვა ეთნოსთა თანაცხოვრების ისტორიულმა გამოცდილებამ კანონზომიერად წარმოქმნა კულტურათა ერთგვარი მოზაიკა, რამაც ქვეყანაში, განსაკუთრებით კი, დედაქალაქ თბილისში, ხელი შეუწყო მულტიკულტურის ჩამოყალიბებასა და განვითარებას, რომელიც ქართულთან ერთად მისგან განსხვავებული აღმოსავლური თუ დასავლური კულტურების თანაარსებობის, ურთიერთზეგავლენების, იმავდროულად, ავტონომიურად განვითარების ნიმუშია. წარსულშიც და დღესაც საქართველო გამორჩეული იყო და არის არა მხოლოდ თავისი მულტიეთნიკურობითა და მულტიკულტურულობით, არამედ ამ რეალობისადმი შემწყნარებლური დამოკიდებულებით. იბადება კითხვები: როგორი იყო და როგორია დღეს ეთნიკური ჯგუფებისა და მათი კულტურების თანაარსებობა; არსებობდა თუ არა წარსულში ან დღეს ეთნოსთა და კულტურათა თანაარსებობასთან დაკავშირებული გამოწვევები; როგორ მიმდინარეობდა ან დღეს როგორ ხდება მათი ინტეგრირება და, იმავდროულად, იდენტობის გამომხატველი კულტურული ავტონომიურობის შენარჩუნება; როგორი იყო წარსულში და როგორია ახლა ეთნიკური უმცირესობების კულტურათა მხარდამჭერი სახელმწიფო მიდგომები და შესატყვისი ინსტიტუციების ჩამოყალიბება-განვითარების პროცესი. ჩვენი კვლევის ძირითად მიმართულებას განსაზღვრავს სწორედ ამ კითხვებზე მეცნიერულად არგუმენტირებული პასუხების ძიება.

ითვალისწინებდნენ რა საქართველოში მცხოვრებ ეთნოსთა კულტურულ მრავალფეროვნებას, წარსულში ქართველი მეფე-მთავრები პატივს სცემდნენ ქვეყანაში მოსახლე თუ ახალდამკვიდრებულ უცხოელთა ტრადიციებს, აღმსარებლობას, წეს-ჩვეულებებს, ზოგადად, კულტურას, რადგან ამას მიიჩნევდნენ სახელმწიფოს ძლიერების, სტაბილურობის ერთ-ერთ ქვაკუთხედად. მცირერიცხოვან

ეთნოსთა მიმართ ამგვარი სახელმწიფო მიდგომების ისტორიული გამოცდილების მიუხედავად, საქართველოში მხოლოდ XX-XXI საუკუნეებში შეიქმნა კულტურის პოლიტიკის სფეროში საკანონმდებლო დოკუმენტები, რომლებიც სავალდებულოს ხდის სახელმწიფოს ზრუნვას ზოგადად კულტურაზე და მცირე ეთნოსების კულტურული უფლებებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა-განვითარებაზე. დანარჩენ მსოფლიოშიც მხოლოდ XX საუკუნეში აღიარეს კულტურის პოლიტიკა კულტურის სფეროს მართვის აუცილებელ მექანიზმად. ეს უკავშირდებოდა მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ინტენსიურ დინამიკურ ცვლილებებს, მათ შორის, კულტურის სფეროშიც. ეს უფრო დააჩქარა 1945 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და მასთან განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია UNESCO-ს სპეციალიზებული სააგენტოს შექმნამ, რომლის მიზანია, ხელი შეუწყოს განათლებისა და კულტურის გავრცელებას, მეცნიერების განვითარებას. ამ ორგანიზაციამ 1969 წელს გამოაქვეყნა დოკუმენტი - „კულტურის პოლიტიკა - წინასწარი კვლევა“, რომელშიც ხაზგასმულია კულტურის პოლიტიკის მნიშვნელობა და პირველად საერთაშორისო სივრცეში განსაზღვრულია კულტურის პოლიტიკის რაობაც (Cultural Policy: A Preliminary Study. UNESCO 1969: 20). საქართველოს მთავრობამ მხოლოდ 2016 წელს დაამტკიცა კულტურის პოლიტიკის ჩარჩო-დოკუმენტი „კულტურის სტრატეგია 2025“. თუმცა მას წინ უძღოდა კულტუროლოგ-მკვლევართა, ხელოვანთა და კულტურის სფეროს მართვის სპეციალისტთა მონაწილეობით შემუშავებული არაერთი დოკუმენტი, მათ შორის, ეთნიკური უმცირესობების კულტურათა მხარდამჭერი მიზნობრივი პროგრამები და პრიორიტეტები. ამ ხასიათის დოკუმენტებში, საერთაშორისო გამოცდილებისა და ადგილობრივი მულტიკულტურული გარემოს სპეციფიკის გათვალისწინებით, დაფიქსირებულია სახელმწიფო მიდგომები ეთნიკურ უმცირესობებსა და მათ კულტურებთან დაკავშირებული არაერთი საკითხისადმი. ამგვარი ადგილობრივი გამოცდილების მიუხედავად, ჩვენი აზრით, ეთნიკური უმცირესობების კულტურათა მხარდაჭერის მიმართულებით სისტემური ხედვისა და სახელმწიფო პრინციპების ჩამოყალიბება უკავშირდება ჩვენი კვლევის ქრონოლოგიურ არეალს - 2009-2019 წლებს.

საკვლევი თემის შერჩევას, მეცნიერულ ინტერესთან ერთად, განსაზღვრავს მისი სამეცნიერო-პრაქტიკული მნიშვნელობა და შესწავლის აქტუალობა. არანაკლებ ღირებულია გამოცდილება იმ დარგსა თუ სფეროში პრაქტიკული საქმიანობისა, რომელსაც უნდა შეეხოს მომავალი კვლევა. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში (სამინისტროების ოპტიმიზაციის შემდეგ, 2018 წლიდან, ის ასეა სახელდებული; შემდგომ შემოკლებით - კულტურის სამინისტრო) არაერთწლიანმა მუშაობამ მოგვცა შესაძლებლობა, გავცნობოდით XX საუკუნის მიწურულისა და XXI საუკუნის პირველი ოცწლეულის საქართველოს კულტურის პოლიტიკას. ასევე გვქონდა საშუალება, უშუალოდ მიგვეღო მონაწილეობა ეთნიკურ კულტურათა მხარდასაჭერად განხორციელებული ღონისძიებების გატარებაში.

სახელმწიფოს მდგრადი განვითარებისთვის კულტურას ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს, მით უფრო ფასეულია ის ისეთი მულტიეთნიკური და მულტიკულტურული ქვეყნისთვის, როგორიცაა საქართველო. ამიტომ მცირერიცხოვანი ეთნოსების კულტურათა მხარდაჭერისათვის შემუშავებულ მრავალმხრივ გამართულ დოკუმენტებს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს. ყოველივე ზემოთქმულის გაცნობიერებამ აღგვიძრა არჩეული თემის კომპლექსურად შესწავლის ინტერესი და სურვილი. მნიშვნელოვნად და აუცილებლად მივიჩნიეთ ,თავდაპირველად, შევხებოდით საქართველოში არსებული მულტიკულტურული გარემოს ჩამოყალიბების მიზეზებს, კერძოდ, სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით, წარმოგვეჩინა საქართველოში ამა თუ იმ ეთნოსის დასახლების ისტორიული მიზეზები და გარემოებანი, როგორც განმაპირობებელი ქვეყანაში მრავალეთნიკური კულტურული გარემოს შექმნისა. გარდა ამისა, აუცილებლად ჩავთვალეთ, გაგვერკვია სახელმწიფო მიდგომები ეთნიკური უმცირესობებისა და მათი კულტურებისადმი საქართველოს ისტორიის ამა თუ იმ ეტაპზე. ამ უკანასკნელს უკავშირდება ავტოქტონი მოსახლეობისა და მიგრირებული ეთნოსების, მათი კულტურების თანაარსებობის, კულტურული ინტეგრაციისა და, იმავდროულად, ეთნიკურ-კულტურული ავტონომიურობის შენარჩუნების საკითხებიც. ამიტომ ნაწილობრივ მიმოვიხილეთ არაქართველი მხატვრების, არქიტექტორების, მუსიკოსების, მწერლებისა და კულტურის სფეროს სხვა წარმომადგენელთა

საქართველოში ცხოვრება-მოღვაწეობაც, რამდენადაც სწორედ ქართულ კულტურულ სივრცეში მათი ჩართულობის ინტენსიურობაა ერთგვარი ბარომეტრი სხვადასხვა კულტურის თანაარსებობის ხარისხის განსაზღვრისათვის. მით უმეტეს, რომ მათ წვლილი შეიტანეს ქვეყნის კულტურის განვითარების საქმეში. ჩვენ მიერ კულტურათა თანაარსებობის ქრონოლოგიური თანმიმდევრობითა და კომპლექსურად კვლევამ ასევე განაპირობა კულტურის სფეროში წარსულში თუ დღეს არსებულ ეთნიკურ უმცირესობათა ინსტიტუციებისა (თეატრების, სარედაქციო-საგამომცემლო სახლების, კულტურის ცენტრების) კულტურული საქმიანობის შესწავლის აუცილებლობა.

კვლევის მიმდინარეობისას, ერთ-ერთ ამოსავალ დებულებად იქნა მიჩნეული, რომ ისტორიული და შედარებით ახლო წარსულის, განსაკუთრებით, XIX და XX საუკუნეების, გამოცდილება ერთგვარი წინაპირობა და გარკვეულად საფუძველიცაა XXI საუკუნეში, კერძოდ, 2009-2019 წლებში, ეთნიკური უმცირესობების კულტურათა მხარდამჭერი სახელმწიფო მიდგომების განსაზღვრისა. ცხადია, ამ სახის დოკუმენტებში უახლესი საერთაშორისო ვალდებულებებიცაა გათვალისწინებული და მოცემულია სახელმწიფოს სტრატეგიული ხედვა ეთნიკური უმცირესობებისა და მათი კულტურების მხარდაჭერა-განვითარების მიზნით. სწორედ კვლევის ამგვარმა ხასიათმა მოგვცა საშუალება, რომ საერთაშორისო და ადგილობრივი გამოცდილების გათვალისწინებით, მეცნიერულად და კომპლექსურად გაგვეანალიზებინა 2009-2019 წლების საქართველოში მცხოვრები მცირერიცხოვანი ეთნოსების კულტურათა მხარდამჭერი სახელმწიფო მიდგომები, ინსტიტუციური სისტემა, საკანონმდებლო დოკუმენტები, დაგვეფიქსირებინა გარკვეული ხარვეზები და მათი აღმოფხვრის მიზნით შეგვემუშავებინა რეკომენდაციები, რათა სადისერტაციო კვლევის შედეგს ჰქონოდა პრაქტიკული ღირებულებაც, ანუ გამხდარიყო ამ სფეროში ჯერ კიდევ არსებული გამოწვევების შემცირება-გამოსწორების საშუალება.

**კვლევის მიზანი.** აზიისა და ევროპის გზაგასაყარზე მდებარე ქართული სახელმწიფოს კულტურის განვითარება ბევრად იყო და არის განპირობებული ქვეყნის მულტიკულტურულობით. ამიტომ სახელმწიფო პოლიტიკის ერთ-ერთი საკვანძო საკითხია ზრუნვა ეთნიკური უმცირესობების კულტურებზე. ჩვენი მიზანია ამ მიმართულებით სახელმწიფო მიდგომების ანალიზი 2009-2019 წლებში.

**კვლევის ამოცანა.** კვლევის ძირითადი ამოცანაა ისტორიულ-ქრონოლოგიური თანმიმდევრობითა და სხვადასხვა წყაროს არგუმენტირებული ანალიზით ქართველი და არაქართველი მოსახლეობისა და მათ კულტურათა თანაარსებობის მიზეზებისა და გარემოებების წარმოჩენა, ასევე ამგვარი მულტიკულტურული მოცემულობისადმი სახელმწიფო მიდგომების ამსახავი საკანონმდებლო დოკუმენტებისა და ეთნიკური კულტურების მხარდამჭერი ღონისძიებების კომპლექსური კვლევა.

**კვლევის მეთოდოლოგია.** საკვლევი თემის მნიშვნელობიდან და დისერტაციის სტრუქტურიდან გამომდინარე, წარსულის კულტურულ-ისტორიული ტენდენციების წარმოჩენისა და საკვლევი თემის კომპლექსური ანალიზის მიზნით, გამოვიყენეთ ისტორიული რეკონსტრუირების მეთოდი. გარდა ამისა, ემპირიული მასალის (ისტორიული წყაროები, სხვადასხვა სახის ბეჭდური გამოცემა, საკანონმდებლო დოკუმენტები) შესწავლისას მოვიშველიეთ კონტენტანალიზის მეთოდი, რომელიც საშუალებას იძლევა, ღრმად ჩავწვდეთ დოკუმენტების კონკრეტულ შინაარსს და დავინახოთ, თუ რამდენად აისახა მათში სხვადასხვა ეთნოსს შორის კულტურული ურთიერთობა და როგორი იყო სახელმწიფოს პოზიცია. ამასთან, გამოყენებულ იქნა ისეთი ზოგადლოგიკური მეთოდები, როგორებიცაა შედარება, ანალიზი და სინთეზი. გარდა ზემოთ ნახსენები მეთოდებისა, გამოყენებულმა საველე კვლევის მეთოდმა სადისერტაციო კვლევის შედეგები პრაქტიკულად უფრო ღირებული გახადა. დედაქალაქსა და რეგიონებში არსებულ კულტურულ, მათ შორის, ეთნიკური ჯგუფების კულტურულ დაწესებულებებს დაეგზავნათ მათი პროფილის შესაბამისი, ჩვენ მიერ შედგენილი კითხვარი. ამ გამოკითხვამ წარმოაჩინა მათი მოსაზრებები საქართველოში მცხოვრები ეთნიკური ჯგუფების კულტურათა მხარდაჭერასთან დაკავშირებულ მიდგომებზე, ასევე მათი რეფორმირების ხედვა. მათგან მიღებული პასუხები გარკვეულად გავითვალისწინეთ ეთნიკურ უმცირესობათა კულტურის მხარდამჭერი სახელმწიფო მიდგომების (2009-2019) კორექტირებისათვის დისერტაციაში წარმოდგენილი რეკომენდაციების შემუშავების დროს.

**კვლევის სიახლე.** სადისერტაციო ნაშრომი 2009-2019 წლებში ეთნიკური უმცირესობების კულტურათა მხარდაჭერის მიმართულებით სახელმწიფო მიდგომების კომპლექსური მეცნიერული შესწავლის პირველი ცდაა.

**კვლევის პრაქტიკული გამოყენება.** თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში სულ უფრო აქტუალური ხდება ეთნიკურ უმცირესობათა ჩართვა სახელმწიფოს აღმშენებლობის პროცესში; მათი ინტერესების გათვალისწინება და პოტენციალის გამოყენება ტოლერანტობის საერთაშორისოდ აღიარებული პრინციპის დაცვით. ცხადია, ეს აქტუალურია თანამედროვე ქართული მულტიეთიკური და მულტიკულტურული სახელმწიფოსათვისაც. ამიტომ მნიშვნელოვანია ეთნიკური ჯგუფების კულტურათა მხარდამჭერ სახელმწიფო მიდგომათა შემუშავება. ჩვენი კვლევა მნიშვნელოვან პრაქტიკულ ღირებულებას იძენს, რადგან მასში, საერთაშორისო და ადგილობრივი გამოცდილების გათვალისწინებით, არა მარტო გაანალიზებულია 2009-2019 წლების სახელმწიფო მიდგომები და, შესაბამისად, მათი იმპლემენტაცია სხვადასხვა პროგრამის ან კულტურული ღონისძიების სახით, არამედ მათი შემდგომი სრულყოფისა და დახვეწის მიზნით მოწოდებულია გარკვეული რეკომენდაციებიც, ეთნიკური ჯგუფების კულტურის მხარდაჭერის მიმართულებით სახელმწიფო პოლიტიკის უფრო ეფექტიანად და შედეგიანად წარმართვის მიზნით.

**წყაროებისა და ლიტერატურის მიმოხილვა**

*წყაროები*. ძირითადი საკვლევი საკითხი - სახელმწიფო მიდგომები ეთნიკური უმცირესობების კულტურათა მიმართ XX-XXI საუკუნეებში, უპირველესად, მოითხოვდა ისტორიზმის პრინციპზე დაყრდნობით ამ კულტურათა მიმართ არსებული პოლიტიკის მემკვიდრეობითი ხასიათის წარმოსაჩენას. ამ მიზნით შესაბამისი საისტორიო წყაროებისა და ლიტერატურის მიმოხილვის მეშვეობით ნაშრომში წარმოდგენილია ძვ. წ.VI-დან XX საუკუნემდე სხვადასხვა მცირე ეთნოსის საქართველოში დამკვიდრების პროცესი, მათზე დაყრდნობით გაანალიზებულია ამ ქრონოლოგიურ მონაკვეთში ავტოქტონი მოსახლეობისა და მიგრირებული ეთნოსების ტოლერანტული თანაცხოვრების გარემოებანი, ასევე სახელმწიფოს პოლიტიკა სხვადასხვა ეთნოსისა და მათ კულტურათა მიმართ როგორც ერთგვარი გამოცდილება 2009-2019 წლებში ეთნიკური კულტურების მხარდამჭერი

სახელმწიფო პოლიტიკის საკვლევად. ამასთან, XIX საუკუნეში მეფის რუსეთის მიერ კოლონიური პოლიტიკის პირობებში ეთნიკურ უმცირესობათა კულტურებისადმი სახელმწიფო ხედვის, მათი კულტურული ინსტიტუციების განვითარების წარმოჩენა მოხდა, ძირითადად, თანადროული რუსული და ქართული პერიოდული გამოცემების (ჟურნალები, გაზეთები), ენციკლოპედიური კრებულების (Акты, собранные Кавказской археографической комиссией; Кавказский календарь), ასევე უცხოური და ქართული სამეცნიერო ლიტერატურის, მათ შორის, ელექტრონული წყაროების მიმოხილვით. ამან შესაძლებლობა მოგვცა, გვეჩვენებინა XIX საუკუნეში საქართველოში კულტურის სხვადასხვა სფეროში მოღვაწე სომეხი, აზერბაიჯანელი, ოსი, რუსი და ევროპის ქვეყნებიდან ჩამოსული კულტურის სხვადასხვა სფეროს წარმომადგენელთა მოღვაწეობა და, იმავდროულად, რუსეთის იმპერიული მიდგომა ეთნიკურ უმცირესობათა მიმართ. XX საუკუნეში დეკლარირებული სახელმწიფო მიდგომების დემონსტრირება კი, უპირველესად, მოვახდინეთ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკისა (1918-1921) და საბჭოთა პერიოდის (1921-1991) კონსტიტუციათა მოკლე მიმოხილვით; ეთნიკური საკითხებისადმი მათში დაფიქსირებული განსხვავებული მიდგომების ანალიზის დროს კი გამოვიყენეთ ქართველ კონსტიტუციონალისტთა სამეცნიერო შრომები.

გარდა ამისა, საერთაშორისო და ადგილობრივ საკანონმდებლო აქტებსა და კანონებზე (გაეროს პაქტები სამოქალაქო, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ; მსოფლიო კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვის შესახებ; კონვენცია არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ; კონვენცია კულტურული თვითგამოხატვის მრავალფეროვნების დაცვისა და ხელშეწყობის შესახებ; ეროვნულ უმცირესობათა ჩარჩო- კონვენცია; საქართველოს კანონი მოქალაქეობის, სახელმწიფო პროექტის ფარგლებში მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის სპეციალური წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ; შრომის კოდექსი, საქართველოს უსაფრთხოების ეროვნული კონცეფცია; კანონები: საბიბლიოთეკო საქმის, ეროვნული კინემატოგრაფიის სახელმწიფო მხარდაჭერის, მუზეუმების, მაუწყებლობის, უმაღლესი და ზოგადი განათლების; სახელმწიფო თეატრების, კულტურისა და კულტურული მემკვიდრეობის შესახებ)

დაყდნობით, შევისწავლეთ სახელმწიფოს ოფიციალური მიდგომა მცირე ეთნოსების კულტურათა მიმართ.

ამ დოკუმენტებში ფორმულირებული მცირე ეთნოსების კულტურათა მხარდამჭერი ვალდებულებების იმპლემენტაციის დემონსტრირებისათვის საჭიროდ მივიჩნიეთ, ასევე წყაროდ გამოგვეყენებინა სახალხო დამცველის აპარატისა და ტოლერანტობის ცენტრის მიერ შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციისა და სამოქმედო გეგმის, ასევე სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის 2009-2019 წლებში ჩატარებული მონიტორინგის შედეგები, რომლებიც აისახა პარლამენტის წინაშე წარდგენილ მათ ყოველწლიურ ანგარიშებში. სწორედ ამ ანგარიშების ვრცელი მიმოხილვით შესაძლებელი გახდა, ერთი მხრივ, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე განსახლებულ ეთნიკურ უმცირესობათა კულტურულ საჭიროებათა, მეორე მხრივ კი, სახელმწიფო ინსტიტუციების მიერ მათ მხარდასაჭერად ჩატარებული მასშტაბური სურათის წარმოჩენა. ამან და კულტურის სფეროში ზემოთ აღნიშნული ადგილობრივი კანონშემოქმედებითი საქმიანობის მიმოხილვამ საშუალება მოგვცა, დაგვესკვნა, რომ მცირე ეთნოსების კულტურათა მიმართ სახელმწიფო პოლიტიკას, ხარვეზების მიუხედავად, 2009-2019 წლებში უკვე ჰქონდა სისტემური, თანმიმდევრული და დინამიკური ხასიათი. ამ დასკვნის გასამყარებლად გავაანალიზეთ მასში ევროპულ ფასეულობათა დასამკვიდრებლად საქართველოს მიერ აღებული საერთაშორისო ვალდებულებების, სტანდარტებისა და რეგულაციების ამსახველი საერთაშორისო დოკუმენტები: ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია/ECHR; ადამიანთა უფლებების დაცვის ეროვნული სტრატეგია (2014-2020); ეროვნულ უმცირესობათა დაცვის ჩარჩო კონვენცია/FCNM; ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენცია/ CEDAW; ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა საერთაშორისო პაქტი ICESCR; UNESCO-ს კონვენცია კულტურული თვითგამოხატვის მრავალფეროვნებისა და დაცვის შესახებ. მეორე მხრივ, შევისწავლეთ დოკუმენტი- საქართველოს კულტურის სტრატეგია - 2025; საქართველოსა და ევროკავშირს შორის დადებული ასოცირების ხელშეკრულება და სხვა დოკუმენტები. ამასთანავე, მნიშვნელოვნად მივიჩნიეთ უმცირესობების

საკითხთა ევროპული ცენტრის (ECMI) პუბლიკაციები ეთნიკურ უმცირესობათა საკითხების შესახებ. ცენტრი წარმოადგენს უმცირესობების მიმართულებით კვლევისა და საინფორმაციო არაპარტიულ დამოუკიდებელ მულტიდისციპლინურ ინსტიტუციას და მისი მიზანია უმცირესობების საკითხებში საერთაშორისო კვლევითი საქმიანობის განხორციელების ხელშეწყობა, აღმოსავლეთ ევროპის მასშტაბით ეთნიკური კონფლიქტების დარეგულირების ხელშეწყობა და აქედან გამომდინარე, ინტერეთნიკური ურთიერთობების განვითარებაში წვლილის შეტანა. ცენტრი აქვეყნებს სხვადასხვა ავტორთა ეთნიკურ უმცირესობათა პრობლემების შემსწავლელ კვლევებს.

## თავი 1. საქართველოში ქართველი მოსახლეობისა და ეთნიკურ უმცირესობათა თანაცხოვრების ისტორია (ზოგადი მიმოხილვა)

საქართველოს მდებარეობამ აზია-ევროპის გზაგასაყარზე, ისტორიულად მისი და მეზობელი ქვეყნების გეოპოლიტიკურმა ინტერესებმა, პოლიტიკური რეალობის ხშირმა ცვლამ და სხვა ფაქტორებმა გამოიწვია აქ არაერთი საუკუნის განმავლობაში სხვადასხვა ინტენსიურობით არაქართველ ეთნოსთა ნებითი თუ იძულებითი მიგრაცია, დისპერსიული თუ კომპაქტური განსახლება, ინტეგრაცია, ზოგჯერ ასიმილირება და სხვა თანამდევი კანონზომიერი მოვლენები. ამ და სხვა ისტორიული წანამძღვრების ერთობლიობამ კი განაპირობა შესაბამისი შედეგი - საქართველოს მოსახლეობის მრავალეთნიკურობა. ეთნოსთა იდენტობის უპირველესი მარკერია  კულტურა. ამიტომ მიგრირებულ ეთნოსთათვის ახალ კულტურულ სივრცეში ცხოვრების დაწყება არცთუ მარტივია, არანაკლებ რთულია მკვიდრი მოსახლეობისთვისაც გაცნობიერება და მიღება ახალი თანამოსახლისა და მისი კულტურისა, რადგან, როგორც წესი, მისი კულტურა განსხვავდება მიგრირებული ეთნოსის კულტურისგან. სწორედ ამიტომაა სხვადასხვა ეთნოსის, ასევე მათი იდენტობის უპირველესი გამომხატველის - კულტურათა თანაარსებობის პრობლემა წარსულშიც და დღესაც მრავალწახნაგოვანი და  რთული.

როგორი იყო საქართველოს სახელმწიფოსა და ავტოქტონი მოსახლეობის დამოკიდებულება ეთნომიგრაციისა და მისი შედეგების მიმართ?

საქართველო ხასიათდებოდა და ხასიათდება მრავალკულტურული რეალობისადმი შემწყნარებლური, ტოლერანტული დამოკიდებულებით. თავის დროზე ამას ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებამაც (IV ს.) შეუწყო ხელი, რომლის ერთ-ერთი მთავარი მცნება სწორედ შემწყნარებლობაა. თუმცა, აქ არანაკლები და შეიძლება ერთ-ერთი განმაპირობებელი როლი ითამაშა ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად აღიარებამდეც საქართველოს ტერიტორიაზე მეზობელი ეთნოსების გადაადგილებისა და ზოგიერთი მათგანის დამკვიდრების გამოცდილებამ, რაც ავტოქტონ მოსახლეობას, ბუნებრივია, თავის მხრივ,

გამოუმუშავებდა „უცხოსთან“ შეგუების, თანაცხოვრების უნარს. გარდა ამისა, ქართველი ეთნოსის განსახლების ადგილი მრავალი ასწლეული იყო უცხო ეთნიკური წარმომავლობისა და აღმსარებლობის ხალხის მიერ დაპყრობა-აგრესიის ობიექტი. შედეგად, გარკვეული დროის განმავლობაში, დამპყრობელი - სპარსი, არაბი, თურქი თუ სხვა აქ მკვიდრდებოდა და მიმდინარეობდა არა მხოლოდ თანაშეგუების რთული პროცესი, არამედ კულტურათა და ტრადიციათა ბუნებრივი, კანონზომიერი ურთიერთგაზიარება-გაცვლაც, მათი თანაცხოვრება. სიტყვა თანაცხოვრება თავისთავად გულისხმობს დამხვდური“ და „მოსული“ ეთნოსების ყოფისა და კულტურის ავტონომიურობის, ანუ მათი იდენტობის შენარჩუნებასა და პარალელურად არსებობას. უცხო ეთნოსთა ჩამოსახლება ზოგჯერ მართული იყო თავად ქართული სახელმწიფო ერთეულების მესვეურთა მიერ. ამგვარი პოლიტიკური გადაწყვეტილებანი კი ნაკარნახევი იყო ქვეყნის შიდა საჭიროებებით: სამხედრო მიზნით თუ მტრისგან მოოხრებულ-დაცლილ ტერიტორიაზე ეკონომიკური ვითარების გამოსასწორებლად. ამის კლასიკურ მაგალითებად გამოდგება დავით აღმაშენებლის მიერ 1118 წელს საქართველოში ყივჩაღთა ჩამოსახლება; ერეკლე II-ის მიერ, ქართული სახელმწიფოს სამხედრო თვალსაზრისით გაძლიერების მიზნით, 1755 წელს ერევნის მახლობლად გადასახლებულ ბორჩალოელ „თათართა“ საქართველოში ჩამოსახლება; მის მიერვე სომხური კაპიტალის მოზიდვის იმედად 1780 წელს ერევნიდან და 1787 წელს ყარაბაღიდან 7 ათასამდე სომხის გადმოსახლება (ლომსაძე 1975:342) და ა. შ. ხელისუფალთა ასეთი ქმედებანი ვერ დარჩებოდა ადგილობრივი მოსახლეობის რეაგირების გარეშე და პოლიტიკოსების მხრიდან შემწყნარებლობის ერთგვარ პოლიტიკურ გზავნილადაც შეიძლება აღქმულიყო. ჩვენი აზრით, სწორედ ზემოთ ჩამოთვლილი გარემოებების ერთობლიობამ და სიხშირემ განაპირობა ისტორიულად ქართველი ხალხისა და სახელმწიფოს შემწყნარებლური პოზიცია უკვე თავის თანამოქალაქეებად აღიარებული ეთნოსთა წარმომადგენლებისა და მათი კულტურების მიმართ, რაც საქართველოს მდგრადობის გარანტიადაც ითვლებოდა. მართალია, ქართული სახელმწიფოს ხელისუფალთა მიერ უმცირესობათა მიმართ ამგვარი პოლიტიკური მიდგომა ძირითადად არ იყო დოკუმენტირებული, მაგრამ ის დეკლარირებული იყო ამგვარი პოზიციის სახით.

როგორ ვითარდებოდა საქართველოში უცხო ეთნოსთა მიგრაციული პროცესები?

ამ რეგიონში მიმდინარე ეთნომიგრაციებზე გავლენა მოახდინა როგორც უძველესმა იმპერიებმა, ისე ჰუნების, კიმერიელებისა და სკვითების მოძრაობამ, მონღოლთა შემოსევებმა, თემურ ლენგის ლაშქრობებმა, მოგვიანებით კი ირან-ოსმალეთის ომებმა, რუსეთის გაძლიერებამ და აღმოსავლეთის ქვეყნებთან (თურქეთთან, ირანთან) საქართველოს მეტოქეობის შედეგად წარმოქმნილმა ეთნოპოლიტიკურმა და რელიგიურმა იმპულსებმა. საისტორიო წყაროებსა და სამეცნიერო ლიტერატურაში დადგენილია და მეტ-ნაკლებად შესწავლილი ამ მრავალსაუკუნოვანი პროცესების შედეგად აქ უცხო ეთნოსების მიგრირება. მათგან, უპირველესად, შევჩერდებით ებრაელებსა და მათს მიგრაციაზე საქართველოში. მიჩნეულია, რომ ისინი უცხო ეთნოსთაგან ყველაზე ადრე შემოვიდნენ და დამკვიდრდნენ საქართველოში. ებრაელთა საქართველოში პირველი დასახლება საისტორიო წყაროებისა და სპეციალური სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით ძვ.წ. VI საუკუნეში ნაბუქოდონოსორის მიერ იერუსალიმის აღებას უკავშირდება, რის შემდეგ დევნილ ებრაელთა - „ჰურიათა“ - ნაწილი საქართველოსკენ გამოემართა და მათი ნაწილი მცხეთაში დასახლდა (ლეონტი მროველი 1955:15-16). საქართველოში მოსახლე ებრაელებს ქართული საისტორიო წყაროები ასე მოიხსენიებენ: „ჰურიანი ქართველნი“ (ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები 1963: ფ8). გვიანფეოდალურ ხანაში ებრაელები კომპაქტურად ცხოვრობდნენ როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა ადგილას. XIX საუკუნის დასაწყისში არამეელი ებრაელები მკვიდრდებიან საქართველოში, ასევე ებრაელები ირანიდან და ერაყიდან. ევროპელი ებრაელები (აშკენაზები) კი აქ გამოჩნდნენ 1804 წლიდან (დავარაშვილი, ცაგარეიშვილი 2008:77-78). ებრაელებმა ქართველებთან ხანგრძლივი თანაცხოვრების განმავლობაში გაითავისეს ქართული ყოფითი კულტურის ელემენტები. ქართველებთან მათი ახლო კონტაქტის მაუწყებელია ონომასტიკაც. მათი გვარების უმრავლესობა „ძე-სა და „შვილ-ზე“ მთავრდება. საქართველოში მცხოვრებ სხვა ეთნოსთაგან განსხვავებით, ებრაელთა დედაენა ქართული იყო (საქართველოს ეთნოგრაფია 2010: 184). ტრადიციულად, საქართველოში მცხოვრები ებრაელები ქართველ ეთნოსთან ყველაზე ახლოს მდგომ

ეთნოსად მოიაზრება, თუმცა მათ, ამავე დროს, შენარჩუნებული აქვთ მკვეთრად გამოხატული იდენტობის მარკერები: რელიგია, კულტურა, ტრადიციები და სხვა.

საქართველოში დამკვიდრებული სომხები ქართველთა ისტორიული საცხოვრისის მეზობლად მდებარე სომხეთის მკვიდრი ქრისტიანი ეთნოსია. მტერთაგან იავარქმნილი სომხეთის მოსახლეობისთვის საქართველო ერთგვარ თავშესაფრად იქცა. ისინი ძირითადად სახლდებოდნენ ამ ორი ქვეყნის სასაზღვრო ზოლში (თოფჩიშვილი რ., ხუციშვილი ქ., გუჯეჯიანი რ. 2010: 285). სომეხი ეთნოსის გამოჩენას საქართველოს ტერიტორიაზე მეცნიერთა ნაწილი უკავშირებს ძვ.წ. II საუკუნეს (სარუხანიანი 1939:17), როცა სელევკიდური სირიის მეფის-ანტიოქ III-ის სარდლებმა- არტაქსემ და ზარიადრმა სომხური სახელმწიფოები შექმნეს და მეზობლად მდებარე ქართული მიწების ხარჯზე განავრცეს. ამის შემდეგ სომხურ-ქართული ურთიერთობა არ შეწყვეტილა და, ეპოქების შესაბამისად, სხვადასხვაგვარი ხასიათისა იყო. VII საუკუნეში, საეკლესიო განხეთქილების შემდეგ, საქართველომ ქალკედონური, ანუ დიოფიზიტური ქრისტიანობა აირჩია, სომხეთმა- ანტიქალკედონური, მონოფიზიტური. დიოფიზიტი სომხების ერთი ნაწილი, რომელმაც უარი თქვა მრწამსის შეცვლაზე, საქართველოში გადმოსახლდა (ჯანიაშვილი 2008:8,90). ქართველი ხელისუფალნიც დაინტერესებულნი იყვნენ სომეხთა ჩამოსახლებით: დავით აღმაშენებელს მიგრანტი სომხები დაუსახლებია გორში; ქართლის მეფე კონსტანტინე II-ის ვაჟმა ბაგრატ მუხრანბატონმა (1488-1540) ყარაბაღში ყმაგლეხები შეიძინა და მუხრანში დაასახლა; 1774 წელს ერევანზე ლაშქრობისას ერეკლე II-მ რვა სომხური სოფლის მოსახლეობა აყარა და საქართველოში დაასახლა და ა.შ. სომეხ ხელოსანთა და ვაჭართა დასახლებას, განსაკუთრებით ქალაქებში, დიდი ეკონომიკური მნიშვნელობა ჰქონდა სახელმწიფოსთვის (ლომსაძე 1975:342). ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, საქართველოს ქალაქებში - სურამში, ცხინვალში, თბილისში, ონსა და სხვა სავაჭრო გზებზე მდებარე პუნქტებში მრავლად სახლობდნენ სომხები. მათი ძირითადი საქმიანობა ვაჭრობა იყო (ვახუშტი ბატონიშვილი 1973:57,76). ქართველი მეფეები (ერეკლე II, გიორგი XII) მიგრანტებისათვის შეღავათებსაც აწესებდნენ. სწორედ ამიტომ უკუმიგრაციას უმნიშვნელო მასშტაბი ჰქონდა. ქართულ გარემოში მოხვედრილი სომხები „ქართველდებოდნენ“ და ქართული სამყაროს შვილად

მიიჩნევდნენ თავს (მაისურაძე 1999:205). თუმცა მათთვის აღმსარებლობისა და სომხური კულტურისადმი ერთგულება ეთნიკური იდენტობის განმსაზღვრელ ერთ-ერთ ფაქტორად დარჩა. ვახუშტი ბატონიშვილი აღნიშნავს, რომ XVIII საუკუნეში აქ მცხოვრები სომხები იყვნენ „სარწმუნოებით სომეხნი და ქცევა ზმითა ქართულითა." (ვახუშტი ბატონიშვილი 1973: 37). ეს განსაკუთრებით შეეხება ქართლისა და თბილისის სომხობას. სომხების დიდი ნაწილის სასაუბრო და სამწერლებო ენა ძირითადად ქართული იყო (მაისურაძე 1999: 312). მოსახლეობის 1800 წლის აღწერის თანახმად, საქართველოში მცხოვრებთა შორის სომხები რაოდენობით მესამე ეთნიკური ჯგუფი იყო, მოსახლეობის საერთო რაოდენობის 6% (ჯაოშვილი 1984:79. თურქეთიდან სომეხთა მიგრაცია საქართველოში მთელი XIX საუკუნის განმავლობაში მიმდინარეობდა. 1895-96 წლებში თურქეთში მომხდარმა სომხების დევნის შედეგად ამიერკავკასიაში შემოსული 25 ათასი ლტოლვილიდან 19 ათასი საქართველოში დასახლდა (ჯანიაშვილი 2008:92). XX საუკუნის დასაწყისში, პირველი მსოფლიო ომის დროს, ოსმალეთის იმპერიაში განხორციელდა სომხური მოსახლეობის მასობრივი დევნა. ლტოლვილი მოსახლეობის დიდი ნაკადი ამჯერადაც მოაწყდა ამიერკავკასიასა და, კერძოდ, საქართველოს (ჯავახიშვილი 1998: 15). საქართველოში მიგრირებული და კომპაქტურად განსახლებული სომხების ყოფა, მეურნეობა, კულტურა, ერთი მხრივ, ინარჩუნებდა მათთვის ტრადიციულ ნიშნებს, მეორე მხრივ, იძენდა იმ რეგიონისთვის სახასიათოს, სადაც მათ მოუწიათ ჩასახლება.

სომეხთა მსგავსად, აზერბაიჯანელები საქართველოში რიცხობრივად ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეთნიკური ჯგუფია (საქართველოს მოსახლეობის... 2003: 110). ეთნონიმი აზერბაიჯანელი საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე საერთოდ არ არსებობდა. თურქულენოვანი ხალხი სხვადასხვა სახელით (ელი, ყიზილბაში, თურქი, თათარი) იწოდებოდა (სონღულაშვილი 2018: 165). აზერბაიჯანელად სახელდებულ თურქულენოვან ტომთა მიგრაცია, სხვა ეთნოსთა მიგრაციული პროცესების მსგავსად, საქართველოს ტერიტორიაზე მრავალეტაპიანი იყო. არაბების შემდეგ არაერთხელ შემოიჭრნენ აქ „ჩამოსხდომის" მიზნით: თურქ-სელჩუკები (XI-XII სს.), მონღოლ-თურქები (XIII-XIV სს.), ჩიბანიანები, ჯალაირები, მცირე აზიის თურქები, თურქმანები (XIV-XV სს.), ოსმალები, ყიზილბაშები (XV-XVI სს.)

(სონღულაშვილი 2018: 166). დავით IV აღმაშენებლის მიერ ჩამოსახლებული ყივჩაყები ასევე თურქული მოდგმისა იყვნენ, მაგრამ მოგვიანებით მათი უმეტესობა კვლავ ჩრდილოეთ კავკასიაში გაბრუნდა, მეორე ნაწილი კი გაქართველდა. XV-XVI საუკუნეებიდან მახლობელ აღმოსავლეთში მომხდარი მნიშვნელოვანი პოლიტიკური ცვლილებების შედეგად აღმოსავლეთ საქართველოში დაიწყო თურქმანული მოდგმის (ქართული წყაროებით-თათართა) ტომების გადმოსახლება (ჯანიაშვილი 2008: 112). XVI საუკუნის დასასრულსა და XVII საუკუნის პირველ ნახევარში სამხრეთ საქართველოში მკვიდრდებიან ოსმალო მომთაბარეები (იურიუქები), აღმოსავლეთ საქართველოში კი - ყიზილბაშთა ტომები. ერეკლე II-ემ მუღანის ველიდან გადმოასახლა სპარსელებისაგან შევიწროებული 250 თურქმანული ოჯახი. ქართლ-კახეთის მეფე არ აძლევდა მათ ქვეყნიდან წასვლის საშუალებას (გელაშვილი 2015:51). ამ ტომებს რელიგიასთან ერთად საკუთარი ტრადიციები, ყოფითი, სამეურნეო კულტურის ელემენტები შემოჰქონდათ და აქ ამკვიდრებდნენ. ისინი მომთაბარენი იყვნენ. ამიტომ მათთვის დიდხანს შეუთავსებელი აღმოჩნდა მკვიდრი ცხოვრება, მაგრამ დროთა განმავლობაში ხდებოდა მომთაბარე ტომების შეგუება ადგილობრივ გარემოსთან და მათი ყოფის ტრანსფორმაცია, თუმცა გარკვეული ადათ-წესები, ყოფითი რიტუალი მყარად შემორჩა. მათ ყოფას დიდად განსაზღვრავს მუსლიმური რელიგია. მიუხედავად მათი ყოფის, აღმსარებლობის, კულტურისა და ტრადიციების განსხვავებისა, ისინიც, სხვა ეთნოსთა მსგავსად, საქართველოს ეთნიკური კულტურული სივრცის ნაწილად იქცნენ (ჯანიაშვილი 2008: 115).

საქართველოში მცხოვრები აფხაზების ეთნიკური წარმომავლობა სამეცნიერო დავის საგანია. მიუხედავად XX საუკუნის 90-იან წლებსა და XXI საუკუნის დასაწყისში განვითარებული პოლიტიკური მოვლენებისა და შედეგად, დე ფაქტო აფხაზეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადებისა, აფხაზეთი დღესაც საქართველოს დე-იურე კუთვნილებაა. ამიტომ აფხაზებისა და მათი კულტურის მხარდაჭერა კვლავ ქვეყნის კულტურის პოლიტიკის პრიორიტეტად რჩება.

საქართველოში მიგრირებულ სხვა ეთნოსთა მსგავსად, ოსთა მიგრაციის პროცესი მრავალეტაპიანი იყო. საქართველოში ოსთა დამკვიდრებას მეცნიერთა ერთი ნაწილი III-IV ან VI-VII საუკუნეებს უკავშირებს. ზოგიერთი რუსი და ქართველი მეცნიერის აზრით, ოსები საქართველოში XVI-XVII საუკუნეებში

დასახლდნენ, ინტენსიურად კი- XVIII საუკუნიდან (ეთნოსები საქართველოში 2008:63). ყველა ისტორიული დოკუმენტის მიხედვით, საქართველოს ტერიტორიაზე ოსი ეთნოსი ჩამოსახლებულია ჩრდილოეთ კავკასიიდან (სონღულაშვილი 2002:198). თავდაპირველად, გადმოსახლების ძირითადი მიზეზი მიწის სიმცირე იყო, რის გამოც ისინი მეზობელ ტერიტორიაზე გადადიოდნენ, შემდეგ კი (XIX-XX სს.) სამუდამოდ აქ რჩებოდნენ (ეთნოსები 2008:64). აქაც, ისევე როგორც სხვა ეთნოსთან დაკავშირებით, საქართველოს პოლიტიკურ ერთეულთა მესვეურები პოლიტიკურ-ეკონომიური კატაკლიზმების უმძიმესი შედეგების გამოსასწორებლად აპრობირებულ პოლიტიკას მიმართავდა და მოსახლეობისაგან დაცლილ ტერიტორიაზე ასახლებდა ოსებს. ისინი, ძირითადად, როგორც ეს XIX საუკუნის მოსახლეობის აღწერის დავთრებიდან ჩანს, ხიზნებად იყვნენ დაფიქსირებულნი. ოსი მიგრანტები მისდევდნენ ჩასახლების რეგიონისათვის დამახასიათებელ მეურნეობას.

საქართველოში ბერძნების პირველი დასახლებების (ძვ.წ.VI ს-დან) გაჩენა შავი ზღვის სანაპიროების ინტენსიურ ბერძნულ კოლონიზაციას უკავშირდება. ცხადია, საქართველოში მცხოვრები ბერძნები არ არიან იმ ბერძენი კოლონისტების უშუალო შთამომავალნი. ისინი ჩვენში, ძირითადად, XIX-XX საუკუნეებში გადმოსახლდნენ (ბერძნები საქართველოში 1990:5), თუმცა ცნობილია, რომ ისინი პირველად აქ დასახლდნენ XVIII საუკუნეში. ერეკლე II-ემ აღმოსავლეთ ანატოლიიდან სპილენძის, ვერცხლისა და ოქროს საბადოებში სამუშაოდ ბერძენი მუშები და ხელოსნები ჩამოაყვანინა. 1828-1829 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ თურქეთიდან, რელიგიური დევნის გამო, ქრისტიანული მოსახლეობის დიდი მასა შემოვიდა საქართველოში. მათ შორის იყვნენ ბერძენი ურუმებიც. ენობრივად საქართველოში მცხოვრები ბერძნები იყოფოდნენ ბერძნულენოვნებად (ელინოფონებად) და თურქულენოვნებად (ურუმები). თურქეთიდან 1850-იან წლებში წამოსული ბერძნები სახლდებიან დმანისის ტერიტორიაზე (გარაყანიძე1990:58). ბერძენ-ურუმების კომპაქტური დასახლებები ჩნდება წალკის რაიონში, XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ზღვისპირეთის მკვიდრი ბერძნები ჩნდებიან აჭარაში, აფხაზეთში. XX საუკუნეში ბერძნების 60 პროცენტი უკვე ქალაქებში ცხოვრობდა, მაგრამ 1990-იან წლებში დაწყებული ემიგრაციის გამო, მათმა რიცხვმა იკლო. ისინი მიემგზავრებდნენ საბერძნეთში, კვიპროსსა და სამხრეთ რუსეთში (ჯაოშვილი

1996:318). 1992-93 წლებში აფხაზეთში მიმდინარე საომარი მოქმედებების გამო ადგილობრივი ბერძნული მოსახლეობის ( 1989 წლის აღწერით 14.700 ადამიანი) უმრავლესობა, საბერძნეთის მთავრობის დახმარებით, გადასახლდა საბერძნეთში.

რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს სამეფო-სამთავროების თანდათანობითი ანექსიის შემდეგ, ცარისტული რუსეთის საშინაო კოლონიური პოლიტიკის გამო, შეიძლება ითქვას, საქართველოში ეთნიკური კლიმატი სწრაფად და რადიკალურად შეიცვალა. ბუნებრივია, იმპერიული პოლიტიკის უმთავრესი მიზანი საქართველოში, უპირველესად, რუსების მასობრივი ჩამოსახლება იყო. ამ გზით რუსეთის მმართველობა იმედოვნებდა ადგილობრივი მოსახლეობის რუსიფიკაციასა და ქვეყნის სრულ კოლონიზაციას. ამის ერთ-ერთ ინსტრუმენტად მიჩნეულ იქნა ადგილობრივ სამხედრო დასახლებების შექმნა, უპირველესად, კაზაკების ჩამოსახლება საქართველოსა და კავკასიაში. იმპერიის სამხრეთ საზღვრების დასაცავად დისლოცირებული კაზაკების რეგულარული პოლკები 1802 წლიდან იდგნენ თბილისსა და საქართველოს სხვადასხვა ქალაქში. დემობილიზებულ რუს ჯარისკაცებს 15 წლიანი სამსახურის შემდეგ დაოჯახებისა და საქართველოში სამუდამოდ დარჩენის უფლება ეძლეოდათ. მუჰაჯირობის შედეგად დაცარიელებული ზღვისპირა ზოლი რუსეთის იმპერიამ სასურველი და სანდო მოსახლეობით შეავსო. 1868 წელს სოხუმის ოლქში მუჰაჯირთა მიწაზე 27 სოფელი დაარსდა, სადაც, რუსების გარდა, დაასახლეს სხვა ეროვნების წარმომადგენლებიც (ჯალაბაძე 2008: 194-196). სამხედრო კოლონიზაციის გარდა, რუსი მოსახლეობის საქართველოში დაფუძნებას თავადაზნაურული და საეკლესიო-სამონასტრო კოლონიზაციაც უწყობდა ხელს. რუსი თავადაზნაურები ხდებოდნენ მსხვილი მიწათმფლობელები, თვით სამეფო სახლის წარმომადგენლები საქართველოში იძენდნენ მამულებს, მაგალითად, ბორჯომში ჰქონდა ნაკრძალი დიდ მთავარ მიხეილ ნიკოლოზის ძეს, საუფლისწულო მამულები იყო ქართლსა და კახეთში და ა. შ. საეკლესიო კოლონიზაციის შედეგად რუს ბერებს გადაეცათ მონასტრები (მაგალითად, ბიჭვინთის მონასტერი, ახალი ათონის სიმონ კანანელის მონასტერი) და მათ გარშემო მამულები, სადაც რუსული დასახლებები ჩნდებოდა (ჯალაბაძე 2008: 196-198). 1860-იანი წლებიდან ფართო ხასიათი მიიღო ინდივიდუალურმა, სტიქიურმა მიგრაციამ. რუსეთის მიერ გატარებული ამ ანტიქართული პოლიტიკის

ერთი სეგმენტი იყო რუსული მართლმადიდებელი ეკლესიისა და სახელმწიფოს მიერ დევნილი სექტანტების (ე.წ. რასკოლნიკების- დუხობორების, სკოპცების, მალაკნების...) გამიზნული ჩამოსახლება საქართველოში. 1830-1840 წლებში ხსენებული რელიგიური ჯგუფების ათეულობით ათასმა წევრმა დატოვა რუსეთი და კომპაქტურად დასახლდა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში. მათ ტრადიციული კულტურა დღემდე შემოინახეს (ჯალაბაძე 2008:198-202). საქართველოში მცხოვრებ რუსთა უმეტესობა მართლმადიდებელი ქრისტიანია, თუ არ ჩავთვლით კონფესიურ ჯგუფებს. საქართველოს გასაბჭოებისა და მეორე მსოფლიო ომის შემდეგ განსაკუთრებით იმატა რუსმა მოსახლეობამ. ევაკუირებული რუსები ომის დასრულების შემდეგ საქართველოში დარჩნენ საცხოვრებლად. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რუსი მოსახლეობის დიდმა ნაწილმა ისტორიულ სამშობლოში დაბრუნების გადაწყვეტილება მიიღო.

უკრაინელების მცირე რაოდენობა საქართველოს ტერიტორიაზე პირველად XVIII საუკუნის მეორე ნახევარში გამოჩნდა. XIX საუკუნის დამდეგს კი გადმოსახლებულთა შორის იყვნენ უკრაინელი კაზაკებიც, რომლებიც სამხედრო სამსახურის დასრულების შემდგომ, რუს სამხედროთა ანალოგიურად, სოციალურ-მატერიალური შეღავათებით სარგებლობდნენ. ამიტომ მათი ნაწილი სამუდამოდ დასახლდა სამხედრო ნაწილების ახლოს მათთვის სპეციალურად გამოყოფილ მიწის ნაკვეთებზე. სამხედრო მოსამსახურეების გარდა, პირველ უკრაინელთა შორის იყვნენ ადმინისტრაციულ დაწესებულებებში მომუშავე ოფიცრები (კომახია 2008: 209). XIX საუკუნეში უკრაინელთა ნებაყოფლობითი გადმოსახლების ერთი მიზეზი პოლიტიკური ხასიათისა იყო: მათი უმეტესობა დევნასა და რეპრესიებს გაურბოდა. მნიშვნელოვანი იყო ეკონომიკური ფაქტორიც, რომელიც უმიწაწყლო გლეხებს თავისუფალი მიწების ძიებისაკენ უბიძგებდა. 1860-იანი წლებიდან მუჰაჯირობის შედეგად გაჩენილ თავისუფალ ტერიტორიაზე სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფთან ერთად ჩაასახლეს უკრაინელებიც. რუსსა და ევროპელ სპეციალისტთა კვალად, სხვადასხვა სამეურნეო-სამრეწველო თუ საინჟინრო დარგის უკრაინელი სპეციალისტიც იწყებდა საქართველოში საქმიანობას, ზევრი მათგანი აქ მკვიდრდებოდა. კიდეც. მეორე მსოფლიო ომის დროს, სხვა ევაკუირებულ მოსახლეობასთან ერთად, საქართველოს შეაფარეს თავი უკრაინელებმაც. ომის

დასრულების შემდეგ, სხვათა მსგავსად, მათ აქ ირჩიეს დარჩენა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ქვეყანაში შექმნილი რთული სოციალურ-ეკონომიკური პირობებისა და პოლიტიკური არასტაბილურობის გამო, მათი ნაწილი სამშობლოში დაბრუნდა ან სხვა ქვეყნებში გაემგზავრა (კომახია 2008:211-212).

XIX საუკუნეში რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიასა და მის ეთნოპოლიტიკას ახალშემოერთებულ ტერიტორიებზე უკავშირდება გერმანელთა დასახლებების, ე.წ. კოლონიების გაჩენაც (ჯანიაშვილი 2008: 12). 1819 წელს საქართველოს აღმოსავლეთ რეგიონებში დაარსდა გერმანელთა 6 კოლონია გერმანული სახელწოდებებით (კაციტაძე 2014:73). ხელისუფლების მიერ კოლონისტებისათვის დაწესებული პრივილეგიები განაპირობებდა მათ ეკონომიკურ მომძლავრებას. გერმანელები საკმაოდ წარმატებით მისდევდნენ მეცხოველეობას, მევენახეობასა და სხვ. მათ, ძირითადად, შეინარჩუნეს ტრადიციული ყოფის ელემენტები, თუმცა, ცხადია, აითვისეს ადგილობრივი სამეურნეო-ყოფითი კულტურაც. XIX საუკუნის 70-იან წლებში თბილისში ფირმა „სიმენსის" შემოსვლას მრავალი ტექნიკოსის, მექანიკოსისა და ინჟინის ჩამოსვლაც მოჰყვა (მანჯგალაძე 2008: 225-227). გამორჩეულია კულტურისა და ხელოვნების გერმანელი მოღვაწეების კვალი XIX საუკუნის ქართულ კულტურაში. გერმანელების შედარებით მცირე ჯგუფების შემოსვლა საქართველოში XX საუკუნის 20-იან წლებშიც გრძელდებოდა და ეს უმთავრესად დაკავშირებული იყო 1921-22 წლის შიმშილობასთან, რომელიც მთელი რუსეთი მოიცვა. ეს განსაკუთრებით შეეხო ვოლგისპირელ გერმანელებს, რომელთაც საქართველოში მცხოვრები გერმანელები ხელს უმართავდნენ (სონღულაშვილი 2018:219). მეორე მსოფლიო ომის დროს განხორციელდა გერმანელი მოსახლეობის გასახლება მთელი საბჭოეთის ცენტრალური და სამხრეთი რეგიონებიდან აღმოსავლეთ რეგიონებში, მათ შორის, საქართველოში არსებული გერმანული კოლონიებიდან (ნათმელაძე1993:15-16). დეპორტირებულებს დაბრუნების უფლება მხოლოდ 1955 წელს მისცეს (Вормсбехер 1989: 72). საქართველოში XX საუკუნის მიწურულს შექმნილი რთული პოლიტიკურ- ეკონომიკური ვითარების გამო, სხვა ეთნოსთა მსგავსად, გერმანელებიც მასობრივად წავიდნენ საქართველოდან. 1990-იანი წლების დასაწყისში გადასახლების მსურველებს გერმანიის მთავრობაც დაეხმარა (კომახია 2008: 233).

სხვა ევროპელთა მსგავსად, პოლონელთა საქართველოში ჩამოსვლის მიზეზი ზოგჯერ პოლიტიკური, ხან - სამხედრო ვალდებულება ან კომერციული ინტერესები თუ უკეთესი საცხოვრისის ძიება იყო. 1794 წელს, საქართველოში სამშობლოდან გასახლებულ პოლონელთა პირველი ტალღა გამოჩნდა. ესენი იყვნენ ტადეუშ კოსტიუშკოს აჯანყების მონაწილეები, რომელთაც რუსეთის არმიის რიგები შეავსეს. XIX საუკუნეში საქართველოში ეტაპობრივად შემოვიდა პოლონელთა რამდენიმე ჯგუფი: ნაპოლეონის მხარეს 1812 წელს რუსების წინააღმდეგ მებრძოლი ტყვე პოლონელი ჯარისკაცები და ოფიცრები; პოლონეთის 1830 წლის აჯანყების დროს დახვრეტილ გენერალთა და ოფიცერთა შვილები. ტყვე ჯარისკაცთა ნაწილი კავკასიაში გაამწესეს, სადაც ისინი კავკასიელი მთიელების წინააღმდეგ ომში მონაწილეობდნენ. სწორედ მათი ერთი ჯგუფი მოხვდა საქართველოში (ჯალაბაძე 2008: 213-214).. XIX საუკუნის 40-იან წლებში საქართველოში პოლონელების კიდევ ერთი ტალღა შემოვიდა: ფიზიკოსები, მასწავლებლები, ოფიცრები, ვაჭრები და სხვ., რომელთა მიგრაცია ნებაყოფლობით ხასიათს ატარებდა და მოტივირებული იყო ცხოვრების პირობების გაუმჯობესებით (ჯალაბაძე 2008: 215). 1918-1924 წლებში მრავალი პოლონელი სამშობლოში დაბრუნდა, ხოლო დარჩენილთა ნაწილი სტალინური რეჟიმის რეპრესიების მსხვერპლი გახდა.

ჩეხებს საქართველოში კომპაქტური დასახლებები არასდროს ჰქონიათ, არც რაოდენობრივად გამოირჩეოდნენ. ჩეხი მიგრანტების პირველი ნაკადი საქართველოში XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე გამოჩნდა. უმეტესობა საქართველოში ოჯახებით ჩამოვიდა და სამუდამოდ აქ დარჩა. მეორე ნაკადი საქართველოში 1920-იან წლებში ჩამოდის. მიგრანტი ჩეხები მაღალკვალიფიციური სპეციალისტები იყვნენ (ინჟინრები, მეტალურგები, მექანიკოსები, ექიმები). ჩეხების ინტეგრაცია ქართულ გარემოში ადვილად მოხდა. მათი მცირერიცხოვნობის მიუხედავად, საგრძნობია მათი წვლილი სხვადასხვა დარგის განვითარებაში (ჯალაბაძე 2008:221). 1990-იან წლებში ჩეხეთის რესპუბლიკის მთავრობამ საბჭოთა კავშირში რთულ ეკონომიკურ პირობებში მცხოვრებ თანამემამულეთა სამშობლოში დაბრუნების პროგრამა შეიმუშავა. საქართველოდან ჩეხეთში მხოლოდ ერთეულები წავიდნენ (ეთნოსები საქართველოში 2008:222).

საქართველოში ცხოვრებენ ლატვიელები, ლიეტუველები და ესტონელებიც, სხვა ეთნოსებთან შედარებით, ისინი აქ გვიან დამკვიდრდნენ და მათი რაოდენობაც მცირეა (ჩიქოვანი 2008:235-240).

საქართველოში, როგორც კავკასიის ერთგვარ ცენტრში, ხდებოდა კავკასიის მკვიდრი ეთნოსების ინფილტრაციაც. XIX აუკუნის პირველ ნახევარში საქართველოში გაჩნდა ქისტების სოფლები. ქისტები ჩეჩნური ენის ქისტურ დიალექტზე მეტყველებენ. მიუხედავად ქართულ გარემოში ადაპტირებისა, ქისტები მკაცრად ინარჩუნებენ ძველი ადათ-წესებისადმი პატივისცემას. ქართულ გარემოში მათი ადაპტირების ერთგვარი გამოხატულებაა ის, რომ მათი გვარები ქართული გვარების შესატყვისად ( დაბოლოებით- შვილი) გაფორმდა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, 1990-იან წლებში დაიწყო პანკისის ქისტური მოსახლეობის მიგრაცია და ხეობის სოფლების დაცარიელება. 1994-1996 წლების ჩეჩნეთ-რუსეთის ომის გამო ქისტების უმრავლესობა ისევ დაუბრუნდა პანკისის ხეობას. დამატებით, ჩეჩენ ლტოლვილთა დიდი ჯგუფი 1999 წელს პანკისის ხეობაში გადმოვიდა (ჯალაბაძე2008:160-170). ჩრდილოეთკავკასიელი ლეკები, ავარელები, იგივე ხუნძები კომპაქტურად სახლობენ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში. 1990-იანი წლების დამდეგს ავარელების ერთმა ნაწილმა ისტორიულ სამშობლოში დაბრუნება გადაწყვიტა. საქართველოში დარჩენილი ავარელების აბსოლუტური უმრავლესობა ყვარლის რაიონის სოფლებში ცხოვრობს (კომახია, 2008:153,155).

უდიები კავკასიის ერთ-ერთი ყველაზე მცირერიცხოვანი ეთნოსია. ზოგი მეცნიერის აზრით, უდი კავკასიის ისტორიული ქრისტიანი ალბანელების ერთ-ერთი გადარჩენილი ტომია (სონღულაშვილი 2018:237). ისინი ცხოვრობენ ყვარლის რაიონის სოფელ ზინობიანში, სადაც 1920-22 წლებში ნებაყოფლობით გადმოსახლდნენ აზერბაიჯანიდან (ჯალაბაძე 2012:128; სონღულაშვილი 2018:241).

ამიერკავკასიაში ქურთი ტომები გამოჩნდნენ XIX საუკუნის დასაწყისში, რუსეთ-ოსმალეთის 1826-1828 წლების ომის შემდეგ, მასობრივად კი ისინი სახლდებიან ყირიმის ომისა (1853-1856) და 1877-78 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომების შემდეგ (ფირბარი, კომახია 2008:19). ქურთების საქართველოში უფრო ადრეულ შემოსვლასთან დაკავშირებული ცნობების თანახმად, მესხეთში ცალკეული

მომთაბარე ქურთი ტომები XVI საუკუნეში გამოჩნდნენ (ქსე 575-576). ქურთები თბილისში გამოჩნდნენ XIX საუკუნის მეორე ნახევარში (Анчабадзе, Волкова 1990:40). პირველი მსოფლიო ომის დროს და შემდეგაც ქურთთა ნაწილმა საქართველოსაც შეაფარა თავი. თანამედროვე ქურთების ძირითადი ნაწილი, კონფესიით იეზიდები, დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობამ 1918 წელს მიიღო პირველი მსოფლიო ომის შემდეგ თურქეთის მთავრობისა და მუსლიმი ქურთების ერთი ნაწილის მიერ რელიგიურ-პოლიტიკურ ნიადაგზე დევნის გამო. მათი უმრავლესობა თბილისში დაბინავდა. მცირე ნაწილი კი სხვადასხვა რეგიონში (სონღულაშვილი 2001:102).

საისტორიო წყაროების თანახმად, ქართლში ასურელები ძველთაგან ცხოვრობდნენ. XVIII საუკუნის მეორე ნახევარში, ერეკლე II-ის ინიციატივით, ახლო აღმოსავლეთიდან ლტოლვილი ქურთები და ასურელები ოჯახებიანად კახეთში ჩაასახლეს (აბაშიძე 2008: 171). მოგვიანებით, 1860-იანი წლების ბოლოს, ურმიელი ასურელების ჯგუფი საქართველოში ჩასახლდა (ყარაიას ველზე, დღევანდელი გარდაბნის რაიონი) და სოფელი ვასილევკა დააარსა. ურმიიდან ჩამოსული ასურელები XIX საუკუნის ბოლოს მცხეთის რაიონის სოფელ ქანდაშიც დამკვიდრდნენ (მღებრიშვილი 1999: 153). 1912-13 წლებში ბალკანეთისა და შემდეგ პირველმა მსოფლიო ომებმა განაპირობა ასურელთა ახალი, დიდი ტალღის შემოსვლა საქართველოში ირანიდან და თურქეთიდან (აბაშიძე 2018: 172). საქართველოს ასურელთა დიდი ნაწილი მართლმადიდებელია, მცირე ნაწილი - კათოლიკე. 1990-იან წლებში ასურელები, ძირითადად, რუსეთსა და ევროპის სახელმწიფოებში წავიდნენ.

საქართველოში სახლობენ ბოშებიც. მათი გამოჩენა ივარაუდება XIX საუკუნის დამდეგს. ბოშათა დიდი ნაკადი საქართველოში 1930-იან წლებში და, უმთავრესად, შავიზღვისპირეთსა და აღმოსავლეთ საქართველოს სხვადასხვა რეგიონში დასახლდნენ. ბოშათა ცხოვრების ტრადიციულმა მომთაბარულმა წესმა განაპირობა მათი ყოფისა და კულტურის თავისებურებანი. ბოშები ჩაკეტილად ცხოვრობენ და ამ გზით ინარჩუნებენ საკუთარ კულტურას. ოფიციალურად ისინი არ არიან აღიარებულნი ეთნიკურ ან კულტურულ უმცირესობად. 90-იან წლებში ბოშათა უმეტესობამ დატოვა საქართველო და საცხოვრებლად ძირითადად რუსეთში გადავიდა (ეთნოსები საქართველოში 2008: 242-245).

მიუხედავად იმისა, რომ ზემოთ აღნიშნული პოლიტიკურ-ეკონომიკური მიზეზების გამო ბევრი ეთნოსის წარმომადგენელმა დატოვა საქართველო, დღესაც აქ 100-მდე მცირერიცხოვანი ეთნიკური ჯგუფი სახლობს (თოფჩიშვილი 2010: 669). სწორედ ეს მულტიეთნიკური და, აქედან მომდინარე, მულტიკულტურული რეალობა განაპირობებს სახელმწიფოს მიერ საკანონმდებლო დონეზე ეთნიკური ჯგუფების ინტეგრაციისა და ეთნიკურ კულტურათა მხარდაჭერასთან დაკავშირებული სახელმწიფო მიდგომების შემუშავების აუცილებლობასა და პრიორიტეტულობას, რაც ჩვენი კვლევის საგანია.

# თავი 2. სახელმწიფო მიდგომები ეთნიკური უმცირესობების კულტურათა მიმართ (XIX საუკუნე - XX საუკუნის დასაწყისი)

## 2.1. ეთნიკურ უმცირესობათა კულტურული ინსტიტუციების განვითარება

მულტიეთნიკურ საქართველოში ეთნიკური ჯგუფების უკონფრონტაციოდ თანარსებობის ტრადიცია შენარჩუნდა XIX საუკუნეშიც, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ისტორიის ამ რთულ მონაკვეთში შეცვლილი პოლიტიკური რეალობის გამო, კოლონიური მმართველობის „სამიზნე " ქართველებთან ერთად აქ მცხოვრები ეთნიკური უმცირესობანიც გახდნენ. თავდაპირველად, რუსეთმა შემოიღო სამხედრო მმართველობა, რომელიც, როგორც ცნობილია, მიმართავდა რეპრესიებს ადგილობრივი მოსახლეობის ანტიიმპერიული განწყობა-ამბოხებათა ჩასაცხრობად; სამეფო გვარის წარმომადგენელთა და მეამბოხე დიდგვაროვანთა დაპატიმრება-გადასახლებასა და ა. შ. XIX საუკუნის შუა წლებიდან კი, როცა სამხედრო მმართველობა ჩაანაცვლა სამოქალაქომ, რუსეთის პოლიტიკა ოდნავ შერბილდა, უფრო ლიბერალური გახდა და გარეგნულად მოსახლეობაზე ზრუნვის სახე შეიძინა. ამ პერიოდის მთავარ ამოცანად გამოიკვეთა საქართველოს კულტურული, „მორალური" დაპყრობა (Дингельштедт 1860: 2). იმპერიის ამ მიზნის ერთ-ერთი იდეალური განმახორციელებელი გახლდათ 1845 წლიდან კავკასიის მეფისნაცვალი მ. ვორონცოვი, რომელმაც საქართველოს ძალისმიერი მართვა შეცვალა მკვიდრი მოსახლეობის წახალისება-დათმობებით, ქართველ წარჩინებულთა საიმპერიო სამსახურებში დაწინაურებით; კულტურული ღონისძიებების (თეატრების დაარსება, ჟურნალ-გაზეთების გამოცემა, კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა) (Акты ... 1885: 26; ჩხეტია 1944: 1) განხორციელების ხელშეწყობით. ასეთი მიდგომა ითვალისწინებდა არა მხოლოდ ქართული კულტურის ინსტიტუციების დაარსებასა და საქმიანობის გააქტიურებას, არამედ არაქართველ ეთნოსთა თვითიდენტიფიკაციისა და, რაც მთავარია, კოლონიურ სივრცეში ინტეგრირებისათვის აუცილებელი მცირე ეთნოსთა კულტურული ინსტიტუციების შექმნასა და ამ მიმართულებით სხვადასხვა სახის საქმიანობის მატერიალურსა და მორალურ მხარდაჭერას.

საქართველოში (კავკასიაში) შემოსვლის შემდეგ რუსეთის წინაშე იდგა ერთ-ერთი მთავარი ამოცანა: კულტურული დისტანციის დაძლევა ახალი ხელისუფლების ადმინისტრაციულ სუბიექტებსა და იძულებით დამორჩილებული ადგილობრივ მოსახლეობას შორის, ანუ ყველა პირობის შექმნა საიმპერიო სივრცეში მათი სოციოკულტურული ინტეგრირებისათვის. რუსეთის აქ დამკვიდრების დროისათვის თავად იმპერიის ცენტრებში კულტურული ინსტიტუციები, საგანმანათლებლო და სამეცნიერო სექტორი უფრო კარგად იყო განვითარებული. საქართველოში კი XIX საუკუნემდე, არახელსაყრელი საგარეო და საშინაო მიზეზების გამო, ისინი საერთოდ არ არსებობდა ან ფრაგმენტული ხასიათი ჰქონდა. კულტურის სფეროსა და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა სეგმენტთა საქმიანობის წარსამართავად სუსტი იყო ადგილობრივი ინტელექტუალური რესურსიც. ამიტომ XIX საუკუნის პირველი ნახევრის კულტურულ ფონს არსებითად ქმნიდა აქ რუს და ევროპელ მეცნიერთა, კულტურის, ხელოვნების სხვადასხვა დარგის მოღვაწეთა სიმრავლე და წარმატებული საქმიანობა. მათ დამკვიდრებას საქართველოში, კერძოდ, თბილისში, ჰქონდა როგორც ნებაყოფლობითი ხასიათი, ასევე  მართული იყო რუსეთის ხელისუფლების მიერ. მათ მიმართ რუსეთის საგადასახადო-ფინანსური პოლიტიკაც გაცილებით შეღავათიანი იყო, რათა გაეადვილებინა სხვადასხვა სფეროში (არა მარტო კულტურის სფეროში) მოღვაწე უცხოელთათვის საქართველოში დამკვიდრება. კავკასიის ადმინისტრაციულ ცენტრად ოფიციალურად აღიარებულ თბილისში ამ პოლიტიკის განხორციელებისათვის ახალ მმართველობას, უპირველესად, ესაჭიროებოდა საინფორმაციო ბეჭდვითი წყაროები. ამიტომ სხვადასხვა წელს თბილისში (არა მხოლოდ თბილისში) დაიწყო მთავრობის ოფიციალური ბეჭდვითი ორგანოების გამოცემა, მაგალითად, გამოდიოდა „ საქართველოს გაზეთი“, „ქართული გაზეთი“ (1819-1821), რომელიც რუსულენოვანი იყო და შემდეგ თარგმნიდნენ ქართულად; გაზეთები „Тифлисские ведомости“ (1828-1832), „Закавказский вестник“ (1838 წლიდან), „ Кавказ“ (1846). გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს ისეთი სოლიდური გამოცემები, როგორებიცაა „Акты, собранные Кавказской археографической комиссией“ (1866-1904) და „Кавказский календарь“ (1845-1916), რომლებიც ფასდაუდებელ ინფორმაციას შეიცავს კავკასიის, საქართველოს ისტორიის, მისი თანამედროვე ცხოვრებისა და მოღვაწეების შესახებ.

მნიშვნელოვანი იყო ასევე, რომ რუსულენოვანი მოსახლეობის ნორმალური ცხოვრებისა და ადაპტაციისათვის ყოფით პირობებთან ერთად შექმნილიყო რუსულენოვანი სათანადო მიკროკულტურული გარემო. მ. ვორონცოვმა მეფისნაცვლად დანიშვნისთანავე დაიწყო ზრუნვა ოპერის თეატრის დაარსებაზე, რომლის აშენება თავისი სახსრებით ითავა თბილისელმა სომეხმა ვაჭარმა და მეცენატმა გაბრიელ თამამშევმა. თეატრი გაიხსნა 1851 წელს. მოწვეულ იქნენ რუსი მსახიობები რუსეთიდან. 1846 წელს მეფისნაცვლის კანცელარიის ბაზაზე დაარსდა ე. წ. ტფილისის საჯარო ბიბლიოთეკა. 1842 წელს, დიმიტრი ყიფიანის ინიციატივით, თბილისში გახსნილი კერძო საამხანაგო ბიბლიოთეკის ფონდი საჯარო ბიბლიოთეკას გადაეცა. 1850-60-იან წლებს უკავშირდება საქართველოში პროფესიული სამუზეუმო საქმიანობის ჩამოყალიბება და განვითარება: 1852 წელს შეიქმნა რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების მუზეუმი; 1855 წელს - კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოების მუზეუმი; 1856 წელს - ნატურალისტ ბაიერნის კაბინეტი. ნიშანდობლივია, რომ 1851 წელს თბილისში, ვორონცოვის ბინაზე, გაიხსნა რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილება. წესდებით მისი მიზანი გახლდათ კავკასიის, მათ შორის, ცხადია, საქართველოს შესწავლა გეოგრაფიის, ეთნოგრაფიის, სტატისტიკისა და ა. შ. კუთხით, მასთან ბიბლიოთეკისა და მუზეუმის დაარსება (Семёнов 1896: 64). რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილება პირველი ოფიციალური სამეცნიერო უჯრედი იყო მთელ კავკასიაში. მას ჰქონდა თავისი ბეჭდვითი ორგანოები - „Записки“ და „ Отчёты“, რომლებშიც იბეჭდებოდა არაერთი სამეცნიერო ნარკვევი კავკასიის, საქართველოსა და თბილისის შესახებ (ჩხაიძე 2003: 9 ). ცხადია, როგორც ეს სამეცნიერო პუბლიკაციები, ისე მცირე მუზეუმებისა და რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების ბაზაზე 1867 წელს შექმნილი ე. წ. კავკასიის მუზეუმიც რუსულენოვანი იყო. იგი დღევანდელი სიმონ ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის წინამორბედად მიიჩნევა (ჩხაიძე 2003:7). იქ ძირითადად მოღვაწეობდნენ რუსი ან რუსეთის ქვეშევრდომი უცხოელი მეცნიერები (ა. გოლოვნინი; ი. ბარტოლომეი; გ. გაგარინი; ი. ნიკოლაი; ვლ. სოლოგუბი; გ.რადე. ა. ბერჟე და მრავალი სხვა). (ჩხაიძე 2003: 21). ამ სამეცნიერო-სამუზეუმო დაწესებულებათა საქმიანობაში მონაწილეობდნენ ქართველებიც,

მაგალითად, რაფ. ერისთავი, ივ. და რ. ანდრონიკაშვილები; გრ.და დ. ჯამბაკურ-ორბელიანები; დ. ყიფიანი და სხვ. (Кавказский календарь 1854: 607 ). კავკასიის განყოფილების მიერ დასტამბულ ეთნოგრაფიულ-ეკონომიკური ხასიათის სამეცნიერო ნარკვევთა ზოგიერთი ავტორიც, რუსებთან (ს. პუშკარიოვი; კ. ბოროზდინი და სხვ.) ერთად, ქართველებიც იყვნენ (პლ. იოსელიანი, დ. ბაქრაძე). მართალია, ამ და მსგავსი სხვა დაწესებულებების კულტურულ-სამეცნიერო საქმიანობა რუსეთის იმპერიის კოლონიურ ინტერესებს ემსახურებოდა, მაგრამ ქართული ეთნოგრაფიული ყოფის კვლევა, კულტურის ძეგლთა მრავალი ნიმუშის მოძიება, დაცვა და შესწავლა პირველად ხდებოდა, რაც, ცხადია, ქართული კულტურისთვის უმნიშვნელოვანესი იყო.

XIX საუკუნეს უკავშირდება რუსულენოვანი სამუსიკო პროფილის კულტურული დაწესებულებების დაარსებაც. 1891 წელს შეიქმნა სამუსიკო სასწავლებელი, რომლის დაარსების ისტორია უკავშირდება მის წინამორბედ კავკასი-ის სამუსიკო საზოგადოებასა (1871 წ.) და რუსეთის საიმპერატორო -სამუსიკო საზო-გადოების თბილისის განყოფილებას (1883 წ.კომპოზიტორი მ. იპოლიტოვ-ივანოვი). ამის შემდეგ შესაძლებელი გახდა თბილისში სამუსიკო სკოლის დაარსებაც, რომელიც ერთადერთ სამუსიკო-საგანმანათლებლო კერად იქცა საქართველოსა და მთელ ამიერკავკასიაში. მის ბაზაზე კონსერვატორიის შექმნის იდეა რუსეთის საიმპე-რატორო სამუსიკო საზოგადოების თბილისის განყოფილებასა და მ. იპოლიტოვ-ივანოვს უკავშირდება, რომლისთვისაც სახსრების შეგროვება 1891 წელს დაიწყო ცნობილ პიანისტ ან.რუბინშტეინის საქველმოქმედო კონცერტით. სწორედ ამ სამუსიკო სასწავლებლის ბაზაზე 1917 წელს შეიქმნა თბილისის კონსერვატორია. ამ სამუსიკო ინსტიტუციებშიც, ქართველი პროფესიონალი კადრების სიმწირის გამო, რუსი და უცხოელი მუსიკოსები მოღვაწეობდნენ.

საქართველოში, კერძოდ, თბილისში, აღსანიშნავია რუსი მხატვრებისა და არქიტექტორების საქმიანობაც. მხატვართაგან განსაკუთრებულად უნდა გამოიყოს გრ. გაგარინის მოღვაწეობა 1848-1855 წლებში. იგი მოიწვია მ. ვორონცოვმა, რათა გაეფორმებინა ოპერის თეატრის დარბაზი და ფოიე. სამწუხაროდ, 1874 თეატრის შენობის დაწვის დროს მისი მხატვრობაც დაიღუპა. საქართველოში გრ. გაგარინის შემოქმედებითი მოღვაწეობის ერთ-ერთი გამორჩეული ფურცელია მის მიერ სიონის

ტაძრის მოხატვა ცვილის საღებავებით (რაც საქართველოში პირველად განხორციელდა) და კანკელის აღდგენა (Дзуцова 2016:60-64). მასვე ეკუთვნის პარიზში დასტამბული ალბომები „თვალწარმტაცი კავკასია“ და „კავკასიის კოსტიუმები“, რომლებსაც დღესაც უდიდესი სამეცნიერო ღირებულება აქვს. გრ. გაგარინის გარდა, XIX საუკუნეში სხვა რუსი მხატვრებიც მოღვაწეობდნენ საქართველოში: პ.კოლჩინი-ხატავდა ჟანრულ სურათებს, პორტრეტებს, პეიზაჟებს, რომლებიც ექსპონირებული იყო ნატიფი ხელოვნების წამახალისებელი კავკასიური საზოგადოების მიერ მოწყობილ გამოფენებზე; მ. ტროშჩინსკი იყო გრ. გაგარინის თანაშემწე ქარვასლის თეატრის მოხატვის დროს. გრ. გაგარინის ესკიზების მიხედვით მან მოხატა სიონის ტაძრის გუმბათი და მარტყოფის გუმბათოვანი ტაძარი (Дзуцова 2016: 81-82). ცნობილია, რომ დაზგური ფერწერის (ჩვენთან დაზგური ფერწერის დარგი ჯერ კიდევ არ იყო განვითარებული) რუსსა და ევროპელ გამოცდილ ოსტატებს ხშირად იწვევდნენ წარჩინებულ ოჯახებში პორტრეტების კერძო წესით შესასრულებლად. საქართველოს მუზეუმებსა თუ კერძო კოლექციებში ისინი მრავლადაა შემორჩენილი. თბილისის კულტურული ცხოვრების განვითარებაში განსაკუთრებულია 1877 წელს დაარსებული ნატიფი ხელოვნების წამახალისებელი კავკასიური საზოგადოების საქმიანობის წვლილი. დაარსებიდან 1907 წლამდე ის ერთადერთი ინსტიტუცია იყო, რომელიც მასთან არსებულ სამხატვრო სკოლასთან ერთად საქართველოსა და მთელ ამიერკავკასიაში სამხატვრო ცხოვრებას განსაზღვრავდა.

საგრძნობი წვლილი შეიტანეს თბილისის არქიტექტურული იერსახის ფორმირებაში XIX საუკუნეში რუსეთის იმპერიის ცენტრებიდან ჩამოსულმა საქართველოში მოღვაწე რუსმა ან რუსეთის ქვეშევრდომმა არქიტექტორებმა: ი. სემიონოვმა, ალ. შიმკევიჩმა, კორ. ტატიშჩევმა, ალ. ოზეროვმა, ვ. შრეტერმა და სხვებმა. საქართველოში რუსული მმართველობის პირველი მნიშვნელოვანი შენობა 1802 წელს თბილისში აგებული მთავარმმართებლის რეზიდენცია იყო, რომელმაც რამდენჯერმე იცვალა სახე. 1845-1847 წლებში ი.სემიონოვის პროექტით აშენდა მეფისნაცვლის ახალი სასახლე - რუსული კლასიცისტური სტილის შენობა, 1860-იანი წლების რეკონსტრუქციის შემდეგ კი, გერმანელ არქიტექტორ ო. სიმონსონის პროექტის მიხედვით, მისი კლასიცისტური ფასადი შეიცვალა (ბერიძე 1960 :52).

თბილისის არქიტექტორად 1885-1891 წლებში მუშაობდა წარმოშობით პოლონელი, რუსეთის ქვეშევერდომი ალ. შიმკევიჩი, რომლის პროექტით 1894 წელს აიგო დღევანდელი უზენაესი სასამართლოს შენობა. 1898-1901 წლებში ალ.შიმკევიჩსა და თბილისში მოღვაწე კორ. ტატიშჩევს ეკუთვნის საარტისტო საზოგადოების (დღევანდელი შოთა რუსთაველის სახელობის აკადემიური თეატრი) შენობის პროექტი (გაბადაძე 2014: 31); რუს არქიტექტორ ალ. ოზეროვის მიერაა დაპროექტებული ყოფილი საუფლისწულო უწყების ღვინის სარდაფის შენობა თბილისში (1894-96 წწ.); ჭავჭავაძეების სახლი და ღვინის სარდაფი წინანდალში (1886-87 წწ.); დავით სარაჯიშვილის სახლი თბილისში, ერეკლე II ქუჩაზე და სხვ. (გერსამია 2019:1). ეს მხოლოდ მცირე ინფორმაციაა საქართველოში მოღვაწე რუსი არქიტექტორების შესახებ, თუმცა ის მაინც გვიქმნის წარმოდგენას XIX საუკუნის ქალაქმშენებლობაში მათ აქტიურ მონაწილეობაზე.

განსაკუთრებით გამორჩეულია ევროპელი, განსაკუთრებით, გერმანელი არქიტექტორების (ალ. ზალცმანის, ო. სიმონსონის, პ. შტერნის, ვ. შრეტერის, ლ. ბილფელდისა და სხვ.) საქმიანობა თბილისში. არქიტექტორ ალ. ზალცმანის პროექტითაა აგებული წმ. პეტრესა და პავლეს კათოლიკური ეკლესია (1870); კავკასიის მუზეუმის შენობა (1870 წ. იდგა საქართველოს ეროვნული მუზეუმის ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის ახლანდელი შენობის ადგილას). იგი ხელმძღვანელობდა თბილისის სახაზინო (ახლანდელი ოპერისა და ბალეტის) თეატრის მშენებლობას. მისი პროექტითვეა აგებული თბილისში მრავალი საცხოვრებელი სახლი, მედიკოს ა.ლიბაუსის თაოსნობითა და ალ. ზალცმანის მიერ შესრულებული მიხეილის საავადმყოფოს შენობა და სხვ. გერმანელ არქიტექტორ ო.სიმონსონის პროექტით 1859 წელს აიგო თბილისის კუკიისა და აბასთუმნის ეკლესიები; მანვე 1859 წელს შეასრულა თბილისში გახსნილი პირველი საზოგადოებრივი (ე. წ. ალექსანდრეს) ბაღის ესკიზი, მისი პავილიონებისა და ქაშვეთის ეკლესიის ახალი გალავნის პროექტი (გაბადაძე 2014: 23); 1865-1867 წლებში ი. სიმონსონის ავტორობით გოლოვინის პროსპექტზე აიგო სასტუმრო ,,ორიენტის" შენობა, რომელსაც საბოლოო სახე ალ.ზალცმანმა მისცა; გერმანელ არქიტექტორ პ. შტერნის სახელთანაა დაკავშირებული არაერთი შენობა თბილისში, მათგან გამორჩეული ნაგებობაა ახლანდელი ხელოვნების სასახლე, რომელიც მას დაუკვეთა

პრინცმა კ. ოლდენბურგმა. ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის შენობა გერმანული წარმოშობის პეტერბურგელ არქიტექტორ ვ. შრეტერის პროექტის მიხედვით აიგო (გაბადაძე 2014: 31). გერმანელ არქიტექტორ ლ. ბილფელდის პროექტით აიგო ქაშუეთის წმ. გიორგის ტაძარი; ამჟამად არარსებული წმ. პეტრესა და პავლეს ლუთერანული ტაძარი; ლიკანის მეფისნაცვლის სასახლე და სხვ. იტალიელ არქიტექტორ ჯ. სკუდიერის მოღვაწეობა დაიწყო ამიერკავკასიის პირველი საოპერო თეატრის (იტალიური ოპერის) მშენებლობით. 1851 წლის 8 ნოემბერს თეატრი საზეიმოდ გაიხსნა დონიცეტის ოპერით „ლუჩია დი ლამერმური." იტალიური დასის საქართველოში მოღვაწეობის მნიშვნელობასა და თეატრის სილამაზეზე თბილისში მყოფი ალ. დიუმაც აღფრთოვანებით წერდა (Дюма 1861: 38). საოპერო სპექტაკლების პარალელურად იმართებოდა მცირე საბალეტო წარმოდგენებიც პეტერბურგიდან მოწვეული ბალერინებისა და ბალერონების მონაწილეობით (კაშმაძე 2015: 49). ჯ. სკუდიერის პროექტით შეიქმნა თბილისის სათათბიროს პირველი შენობაც, შემდეგ კი - მტკვარზე ქვის ხიდი, რომელსაც დღესაც „მშრალ ხიდს" უწოდებენ. იტალიური საოპერო და ფრაგმენტულად წარმოდგენილი საბალეტო სპექტაკლები, ისევე როგორც რუსებისა და ევროპელების მიერ შექმნილი ევროპული არქიტექტურა თბილისის ცხოვრებას ევროპულ იერსახეს სძენდა და მნიშვნელოვნად უწყობდა ხელს საზოგადოების მხატვრული გემოვნებისა და კულტურის განვითარებას. რუსეთის იმპერიის მმართველობის მცდელობამ, თავისი ადმინისტრირების ცენტრებისთვის, კერძოდ, თბილისისთვის, მიეცა შესატყვისი სახე, ბუნებრივია, შედეგი გამოიღო და თბილისი შეიცვალა, განსაკუთრებით - მისი ვიზუალი, მასში ევროპული არქიტეტურული „აქცენტების ჩართვით", რომლებმაც სავსებით ორგანულად გააგრძელა თანაარსებობა ბუნებრივ რელიეფსა და ძველ არქიტექტურულ სტილთან ერთად (მანია 2006: 75).

ევროპული „კულტურული მეტყველების" შემოსვლა და დამკვიდრება, ცხადია, არ ამოიწურება და იფარგლება მხოლოდ არქიტექტურით. XIX საუკუნის დაზგურ ფერწერას, ადგილობრივ მხატვრებთან ერთად, უცხოელებიც ქმნიდნენ. საქართველოში დასახლებულ და მოღვაწე უცხოელ მხატვრებს შორის არაერთი გერმანელიც იყო. დავასახელებთ მხოლოდ რამდენიმეს: პ. ფონ ფრანკენი და მისი მეუღლე ჰ.ფრანკენი. სახელოვნებათმცოდნეო ლიტერატურაში პ. ფრანკენი

მოიხსენიება „კავკასიის მხატვრად". მას ასახული აქვს საქართველოს სხვადასხვა კუთხე, თბილისის ხედები, კავკასიელთა ტიპები, შესრულებული აქვს ეთნოგრაფიული სურათები. ჰ.ფრანკენი კი მუშაობდა ხატვის მასწავლებლად თბილისის ქალთა გიმნაზიაში, მრავალი შეკვეთა ჰქონდა თბილისის წარჩინებულთა ოჯახებში პორტრეტების შესასრულებლად (ჭოღოშვილი 2006: 7-8); გერმანელმა მხატვარმა თ.ჰორშელტმა კავკასიაში 1860-იან წლებში მიმდინარე საომარი მოქმედებების თემაზე მრავალი ნამუშევარი შექმნა. ამასთანავე, თითქმის მთელ საქართველოში მოგზაურობისას შეასრულა გრაფიკულ სურათთა ციკლი სხვადასხვა კუთხის ყოფისა და ტიპაჟების გამოსახულებებით; მხატვარი ოს. შმერლინგი, ალ. ზალცმანის მსგავსად, დაიბადა თბილისელი კოლონისტი გერმანელების ოჯახში. 1891 წელს დააარსა სამხატვრო სასწავლებელი; 1902 წელს - კავკასიის კაზმულ ხელოვნებათა წამახალისებელი საზოგადოების ფერწერის, ქანდაკებისა და ხუროთმოძღვრების სკოლა. მან დაასურათა იაკობ გოგებაშვილის „დედა ენა", ქართული ხალხური ზღაპრებისა და მოთხრობები; არის ქართული კარიკატურული მხატვრობის ერთ-ერთი პირველი წარმომადგენელი, ქმნიდა პორტრეტებს, პეიზაჟებს, ბატალურ სცენებს, ეთნოგრაფიულ სიუჟეტებს (ჭოღოშვილი 2006: 10); გეოგრაფი და ნატურალისტი, რუსეთის ქვეშევრდომი გერმანელი გ. რადე 1867 წლიდან კავკასიის მუზეუმს ჩაუდგა სათავეში (ჩხაიძე 2003: 30). იგი არა მხოლოდ მოგზაურობდა საქართველოსა და კავკასიაში ეთნოგრაფიული მასალის გასაცნობად და მუზეუმში ჩამოსატანად, ეწეოდა სამეცნიერო-ორგანიზაციულ საქმიანობას, არამედ მას ეკუთვნის ამ მოგზაურობებისას შესრულებული გრაფიკული სურათები ადგილობრივი ხედებისა და ტიპაჟების გამოსახულებებით; გერმანელმა ფერმწერმა და ილუსტრატორმა ფრ. ზიმმა კი მეუღლე მ. მაიერთან ერთად შეასრულა კავკასიის მუზეუმისთვის დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის ფრესკული გამოსახულებების ასლები და ა. შ.

დასკვნის სახით აღვნიშნავ, რომ, მიუხედავად ქართულისაგან რუსული და ევროპული კულტურისა და ხელოვნების განსხვავებისა, ამ სეგმენტმა ორგანულად დაიმკვიდრა ადგილი ახალ, მისთვის მანამდე უჩვეულო ესთეტიკურ სივრცეში. ადგილობრივმა მხატვრულმა გემოვნებამაც შეიგუა ის. ზოგადად, ახალი კულტურული ტრადიციების მიღება და დამკვიდრება ამ საუკუნეში კონფრონტაციის

გარეშე მიმდინარეობდა. ამის ერთ-ერთი მიზეზი ალბათ ისაა, რომ ისტორიულად ქართულ კულტურას სხვა კულტურული ელემენტების მიმღებლობა ახასიათებდა.

ცხადია, ამ დროს საქართველოში, განსაკუთრებით, თბილისში, არსებობდა რუსსა და ევროპელებზე გაცილებით ადრე დამკვიდრებულ მცირერიცხოვან ეთნოსთა კულტურული ტრადიციებიც. ხაზგასასმელია ისიც, რომ რომ XIX საუკუნეში საქართველოში პოლიტიკური კლიმატის ძირეულმა შეცვლამ შესაძლებლობა მისცა მათ, ახალ რეალობაში სხვა მიმართულებითაც განევითარებინათ თავიანთი კულტურები: ზოგიერთს დაეარსებინა კულტურული ინსტიტუციები, ჟურნალ-გაზეთები, ეროვნულ-საგანმანათლებლო დაწესებულებანი თუ სხვა, ანუ მათ მიეცათ საშუალება, „მოესინჯათ" და განევითარებინათ ეროვნული იდენტობის დემონსტრირების ახალი ინსტრუმენტები. ეს კი, ბუნებრივია, მათი კულტურის გარკვეულ ტრანსფორმაციასაც გამოიწვევდა. კულტურული ინსტიტუციების გაფართოება იმ დროს შეუქცევადი პროცესი იყო და მას პოზიტიური შედეგები ჰქონდა. უპირველესად კი ეს გამოიხატა იმით, რომ სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფს იდენტობის საჯარო სივრცეში გამოხატვის საშუალება მიეცა.

საქართველოში საუკუნეების განმავლობაში მულტიეთნიკურ გარემოში მცხოვრებ ეთნოსთა და მათ კულტურათა სიმრავლის გამო, ჩვენ ვერ ჩავუღრმავდებით ყველა მათგანის კულტურათა ახლებურად ფორმირებისა და დემონსტრირების საკითხს. შევჩერდებით მხოლოდ რამდენიმე მათგანზე (სომხებზე, აზერბაიჯანელებზე, ოსებსა და აფხაზებზე) და მათი კულტურული საქმიანობის თავისებურებების მიმოხილვით, შედეგების გაანალიზებითა და განზოგადებით შევეცდებით, ამ ქრონოლოგიური მონაკვეთის კულტურული ფონი ზოგადად წარმოვადგინოთ.

საქართველოში საუკუნეების განმავლობაში მცხოვრებ ეთნიკურ უმცირესობათა შორის რუსეთის კოლონიური მმართველობის დამკვიდრების დროისათვის სომხები ყველაზე მრავალრიცხოვანნი იყვნენ. მათ გაბატონებული მდგომარეობა ეკავათ ეკონომიკური (ვაჭრობა და საწარმოთა ფლობა, განსაკუთრებით XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან, ანუ სავაჭრო კაპიტალიზმის განვითარების პერიოდიდან) და სამოქალაქო-პოლიტიკური კუთხით (ჩიქოვანი ნ., ჩხაიძე ი. ... 2014:113-114). ამის გამო

აშკარა მეტოქეობაა ქართველებსა და სომხებს შორის, თუმცა ქართულ-სომხური ურთიერთობის ნარატივი, კონფრონტაციასთან ერთად, ძმობასაც უსვამდა ხაზს. მათგან განსხვავებით, იმ დროის ტერმინით, „თათრებს“, აზერბაიჯანელებს, ქართველები პრობლემურ ეთნიკურ ჯგუფად არ მიიჩნევდნენ, რადგან ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში ისინი მნიშვნელოვან როლს არ ასრულებდნენ. ოსები და აფხაზები ქართული კულტურული სივრცის ნაწილად აღიქმებოდნენ, თუმცა მოგვიანებით ქართველებთან ოსებისა და აფხაზების ურთიერთობაზე, მათ შორის, ეთნიკური განსხვავების გაღრმავებაზე, უარყოფითი ზეგავლენა მოახდინა რუსუფიკაციის ფაქტორმა, კერძოდ, ის იყო შედეგი რუსეთის მხრიდან განსხვავებათა „პოლიტიზაციისა და ინსტრუმენტალიზაციისა“ (ჩიქოვანი ნ., ჩხაიძე ი. .2014:112).

იმ დროს თბილისში გამომავალ არაქართულ პერიოდიკაში სომხურენოვანი გაზეთები, რუსულისა და ქართულის შემდეგ, ყველაზე მრავალრიცხოვანია, რადგან მათ გამოცემას ფინანსურად უზრუნველყოფდნენ მდიდარი სომეხი მეცენატები. მაგალითად, პოპულარული სომხური გაზეთ „მშაკის“ დაარსება დაკავშირებულია ცნობილ სომეხ მოღვაწე გრ. არწრუნთან. იგი მისი რედაქტორიც იყო 1892 წლამდე. თუმცა, როგორც თბილისელი მოქალაქის, სომეხთა საზოგადოებრივ-კულტურული საქმიანობის ერთ-ერთი აქტიური მონაწილის, ჰ. ტერ-გრიგორიანის ერთი წერილიდან ირკვევა, გაზეთის გამოცემის ორგანიზებაში, პროგრამის შემუშავებასა და სხვა საკითხების მოგვარებაში სომეხ გამომცემლებს ქართველები დაეხმარნენ, კერძოდ, ქართულენოვან გაზეთ ,,დროების“ რედაქტორ ს. მესხის ოჯახში, თავად რედაქტორსა და გაზეთის ქართველ მუშაკებთან კონსულტაციის შედეგად, მომზადებულა 1872 წლის იანვრიდან გამოსაცემი სომხურენოვან გაზეთ „მშაკის“ პროგრამა (ტერ-გრიგორიანცი 1918: 2). მესხის ოჯახში იკრიბებოდნენ და ამ საკითხზე ბჭობდნენ ქართველები (ს. მესხი, კ. ლორთქიფანიძე, გ. წერეთელი, სტ. მელიქიშვილი) და სომხები (გრ. არწრუნი, გ. სუნდუკიანი, სტ. პალასანიანი, გ. ჩიმიშკიანი, მ. ამერიკიანი, პ. იზმაილიანი და მრავალი სხვა (ტერ-გრიგორიანცი 1918: 6). საერთოდ, ამ სომხურმა ლიტერატურულ-პოლიტიკურმა გაზეთმა უდიდესი როლი ითამაშა თბილისში მცხოვრები სომეხი მკითხველის თვითშეგნების, ეროვნული იდენტობის გრძნობისა და, ამასთან, ქართველთა და სომეხთა ურთიერთსოლიდარობის გრძნობის გაღვივებაში. ეს უკანასკნელი კარგად ჩანს ამ

წერილის სათაურიდანაც - „მშაკი“ და სომეხ-ქართველთა ურთიერთობა“. იდენტობის ნარატივისა და ქართველ-სომეხთა ძმური თანაცხოვრების თვალსაზრისით, საგულისხმოა განჯის გუბერნიაში დაბადებული, მოგვიანებით კი თბილისის მკვიდრი, ფიროსმანის თანამედროვე თვითნასწავლი მხატვრისა და ქართულიდან სომხურად მთარგმნელ კ.გრიგორიანცის დოკუმენტური ნაწარმოებიც, რომელშიც წარმოდგენილია მრავალეთნიკური თბილისის კულტურის თავისებურებანი, არაერთი კოლორიტული პიროვნება, კარგად ჩანს ასევე მისი გულისტკივილი ქართული ენის შერყვნისა და, საერთოდ, ყოველივე ქართულის საზიანოდ მიმდინარე პროცესების გამო (გრიგორიანცი 2011:2-4).

სომხური კულტურის, განსაკუთრებით მხატვრობის, წვლილი საქართველოს კულტურაში კარგადაა შესწავლილი ქართულ სახელოვნებათმცოდნეო ლიტერატურაში. ნ. ზაალიშვილი მას უწოდებს სომხური მხატვრობის თბილისურ ფენომენს. ამიტომაც ეწოდა მის წიგნს „სომეხი მხატვრები საქართველოში. ჰაკობ ჰოვანათანიანიდან გაიანე ხაჩატურიანამდე“. მხატვარ ჰოვნათანიანების დინასტია საქართველოში მოღვაწეობდა XVII-XIX საუკუნეებში (ზაალიშვილი 2011:6-11). ამ დინასტიური მხატვრების გარდა, თბილისში ცხოვრობდნენ და ქმნიდნენ გ.ბაშინჯაღიანი, გრ. შარბაბჩიანი, ეღ. თადევოსიანი, არ.შამშინოვი, ალ. ბაჟბეუკ-მელიქოვი, გ. გრიგორიანი, თვითნასწავლი მხატვრები-ვ. ხოჯაბეკოვი, კ. გრიგორიანცი და სხვ. ქართული, თბილისური ყოფა და ისტორია, ბუნება, ფიროსმანი ერთგვარი ინსპირაცია იყო სომეხი მხატვრებისათვის. მრავალი მათგანი აქტიურად მონაწილეობდა 1877 წელს დაარსებულ *კავკასიის ნატიფი ხელოვნების წამახალისებელი საზოგადოების* გამოფენებშიც. მოგვიანებით, 1916 წელს, მათ თბილისში დააარსეს სომეხ მხატვართა კავშირი, რომელიც ერთგვარი წინამორბედი იყო მოგვიანებით, სულ სხვა პოლიტიკურ რეალობაში, 1921 წელს დაარსებული სომხური ხელოვნების სახლის - „ჰაიარტუნისა“, რომელსაც შეუერთდა პირველი. სამხატვრო სექციის გარდა, „ჰაიარტუნში“ ფუნქციონირებდა ლიტერატურული, სათეატრო და სამუსიკო სექციები, რომელთა ღონისძიებებს არა მხოლოდ ესწრებოდნენ *ქართველ ხელოვანთა საზოგადოების* წარმომადგენლები, არამედ თავადაც აქტიურად მონაწილეობდნენ მათში. 1916 წელს მხატვარ დ. შევარდნაძის მიერ დაარსებულ *ქართველ ხელოვანთა საზოგადოებას* კავშირი ჰქონდა

საქართველოში მცხოვრებ არაქართველ ხელოვანებთან, მათ შორის, სომეხ შემოქმედებთან, რაც გამოიხატებოდა მათთან ქართველ ხელოვანთა პედაგოგიური თანამოღვაწეობითა და ერთობლივი სამხატვრო გამოფენებით, მაგალითად, 1919 წელს თბილისში ქართველ მხატვართა პირველი გამოფენა მოეწყო, ხოლო შემდგომ, იმავე წელს, მოეწყო საქართველოში მცხოვრებ არაქართველ მხატვართა გამოფენა სომეხ მხატვართა მონაწილეობით. ნიშანდობლივია, რომ ამ გამოფენაზე ექსპონირებული მათი არაერთი ნაწარმოები შეიძინეს ეროვნული გალერეისათვის (აბასაძე 2019: 1). სომეხი და ქართველი მხატვრების შემოქმედებითი და ადამიანური ურთიერთობის თვალსაზრისით ნიშანდობლივია კიდევ ერთი ფაქტი - სომეხი მხატვრის, ალ.ბაჟბეუქ-მელიქოვისა და ლ.გუდიაშვილის ერთობლივი ექსპოზიცია 1919 წელს ჟურნალ „არსის“ რედაქციაში (ზაალიშვილი 2011: 7 ).

ცხადია, მხოლოდ მხატვრობით არ შემოიფარგლება ქართულ-სომხურ კულტურათა დიალოგი. თბილისელი სომეხი და ქართელი მოღვაწეებისათვის ძალზე ახლობელი იყო მათ გვერდით მოსაქმე არაერთი სომეხი ლიტერატორის სახელი, მათგან გამოვყოფდით ოვ. თუმანიანს, ალ. მოვსესიანსა (შირვან-ზადე) და გაბ. სუნდუკიანს. ოვ.თუმანიანი მუშაობდა სომხურ საგამომცემლო კავშირში, თანამშრომლობდა და ბეჭდავდა ნაწარმოებებს აქ გამომავალ სომხურ პერიოდიკაში. 1899 წელს მან თბილისში შექმნა ლიტერატურული წრე „ვერნათუნი“, რომლის წევრები იყვნენ სომეხი პოეტები, მწერლები, მხატვრები. მისი ცხოვრება საქართველოს ისტორიისა და ტრადიციებისადმი სიყვარულით იყო გაჯერებული. მან თარგმნა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ (ბაბურიანი 1964: 157-163), არაერთი ლექსი მიუძღვნა საქართველოს, სომხურ-ქართულ ურთიერთობებსა და მეგობრობას (ბლუაშვილი 2013: 4). ა. მოვსესიანი (შირვანზადე) სომხურ ყოველკვირეულ გაზეთ „ექოსა“ („არძაგანკ“) და გაზეთ „მშაკში“ აქვეყნებდა ლიტერატურულ ნაწარმოებებს. დედაქალაქთანაა დაკავშირებული ასევე ცნობილი სომეხი მწერლის, გ. სუნდუკიანცის, სახელიც. იგი იყო ერთ-ერთი ორგანიზატორი რეჟისორსა და მსახიობ გ. ჩმშკიანთან ერთად 1863 წელს ახალი სომხური თეატრის დაარსებისა თბილისში. ამავე დროს, წერდა პიესებს, რომლებსაც თავად თარგმნიდა და ინტენსიურად ბეჭდავდა ქართულ ჟურნალ- გაზეთებში. მისი ცნობილი პიესა „პეპო“ 1875 წელს წარმოადგინეს (ჯანიაშვილი 2008: 106).

საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ეთნოსები განსხვავდებოდნენ თვითიდენტიფიკაციის ხარისხით, კონსოლიდაციისა და კულტურის დონით, საზოგადოებრივი აქტიურობით. ამას, ცხადია, სხვადასხვა ობიექტური მიზეზი ჰქონდა - კულტურათა სხვადასხვაობა, მათი მატარებელი ეთნოსების თავისებურებანი, საქართველოში მათი ჩასახლების მიზეზები, აქ ცხოვრების ხანგრძლივობა და ეკონომიკური ბაზაც. საქართველომ და, კერძოდ, თბილისმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა აზერბაიჯანელი ხალხის ლიტერატურის, ხელოვნებისა და კულტურის განვითარების საქმეში, განსაკუთრებით, XIX საუკუნიდან, როდესაც თბილისი იქცა მთელი კავკასიის პოლიტიკურ და კულტურულ ცენტრად. აქ ქმნიდნენ თავიანთ ნაწარმოებებს მირზა შაფი ვაზეჰი, ნარიმან ნარიმანზადე (ნარიმანოვი), მირზა ფათალი ახუნდ ზადე-ახუნდოვი, ჰუსეინ მინასაზლი და სხვები. აზერბაიჯანელმა პოეტმა  მ. ვაზეჰიმ (ფსევდონიმი მირზა შაფი)  1844 წელს თბილისში ლიტერატურულ-ფილოსოფიური წრე დააარსა. ის არის ქრესტომათიის შემდგენელი და რუსულ-თათრული ლექსიკონის ავტორი, დაწერილი აქვს მრავალი სიმღერა, ლექსი, მათ შორის, თბილისისადმი მიძღვნილი.[1] (ენაკოლოფაშვილი 1952: 165-168). აზერბაიჯანელმა მ. ფათალი ახუნდოვმა, ანუ ახუნდ-ზადემ პირველმა შექმნა აზერბაიჯანულ ენაზე დრამატული ნაწარმოებები, კომედიები, რომელთაგან ერთ-ერთი „ლენქორანის სახანოს ვეზირი" აკაკის ქართულად უთარგმნია და მისთვის „ხანის ვეზირი" დაურქმევია. კომედიის ჟანრში მუშაობის გამო მას „თათარ მოლიერსაც“ უწოდებდნენ. თბილისში აზერბაიჯანულენოვნი ჟურნალ-გაზეთების რიცხვი, სომხურენოვანთან შედარებით, უმნიშვნელო იყო. 1906-1908 წლებში ძალზე პოპულარული ყოფილა ყოველკვირეული პოლიტიკურ-სატირული ჟურნალი „მოლა ნასრედინი“ (ჩიქოვანი ნ.,  ჩხაიძე ი. 2014: 113). 872 წელს აზერბაიჯანელი ინტელიგენციის ერთი ჯგუფის ინიციატივით პირველად დაიდგა მ. ახუნდოვის პიესა „ლენქორანის სახანოს ვეზირი“. XIX საუკუნის აზერბაიჯანელთა კულტურულ-საგანმანათლებლო განვითარებაში თავისი წვლილი შეიტანა ჰუსეინ მინასაზლიმაც, რომლის

[1] მახარაშვილი ეკა, გაზეთი „24 საათი Weekend, მირზა ვაზეჰი შაფი და მირზა ფათალი ახუნდოვი - საქართველოზე უზომოდ შეყვარებული აზერბაიჯანელი მწერლები 2010 წლის 27 თებერვალი. http://24blog.ge/weekend/story/3791-mirza-vazehi-shafi-da-mirza-fatali-akhundovi-saqartveloze-uzomod-sheyvarebuli-azerbaijaneli-mtserlebi. ნანახია 30.05.2021.

ინიციატივით გაიხსნა სკოლები. იგი თავადაც მუშაობდა მასწავლებლად მშობლიურ სოფელ სარვანში. მინასაზლის მოთხრობები საკუთარი ხალხის ყოფა-ცხოვრებას ასახავს (ჯანიაშვილი 2008: 124).

საქართველოში შედარებით გვიან და არამრავალრიცხოვნად დასახლებული ოსი ეთნოსის წარმომადგენელთა კულტურული ინსტიტუციების განვითარება ქართველებისა და ოსების მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობით მიმდინარეობდა. გასათვალისწინებელია, რომ ოსებს საქართველოში ჩამოსახლების დროისათვის არც კაპიტალი ჰქონდათ დაგროვილი და არც პოლიტიკურ ასპარეზზე ჩანდნენ. ამიტომ, როგორც მართებულადაა შენიშნული, ქართულ-ოსური ურთიერთობის ნარატივს განსახილველ ქრონოლოგიურ არეალში მწვავე კონფრონტაციული ხასიათი არ აქვს და უფრო კულტურული განსხვავებაა თვალსაჩინო (ჩიქოვანი ნ., ჩხაიძე ი. ... 2014: 161). გარკვეულ პრობლემას ქმნიდა ოსური დამწერლობის არარსებობაც. ცნობილი საზოგადო მოღვაწე ი. იალღუზისძე-გაბარაევმა ქართული გრაფიკის საფუძველზე 1802 წელს შექმნა ოსური ანბანი.[2]. თუმცა შემდეგ ოსური ანბანი რუსული ანბანის გრაფიკის საფუძველზე შეადგინა აკადემიკოსმა ან. შეგრენმა. ოსურ კულტურას დიდი ამაგი დასდო მწერალმა დ. ჭონქაძემ. მან შეადგინა და გამოსცა ქართულ-ოსური და ოსურ-ქართული ლექსიკონები. პირველი სკოლა საქართველოში ცხინვალში 1881 წელს დაფუძნდა. 1915 წლამდე სკოლების რაოდენობა 20-მდე გაიზარდა. 1907 წელს თბილისში დაარსდა ოსური საღამოს სკოლა (ხელმძღვანელი ვ. აბაევი), 1913 წელს კი ოსი ბავშვებისათვის თბილისში დაწყებითი სკოლა გაიხსნა. ოსი ინტელიგენციის წარმომადგენლებმა 1906 წელს დაარსეს გამომცემლობა «ირ» ვლადიკავკაზსა და თბილისში. იმავე წელს ვლადიკავკაზში გამოიცა პირველი გაზეთი ოსურ ენაზე «ირონ გაზეთ». 1907 წელს კი თბილისში გამოიცა მეორე გაზეთი ოსურ ენაზე «ნოგ ცარდ». მართალია, ამ გაზეთებმა მალევე შეწყვიტეს არსებობა, მაგრამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს ოსური საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებაში (ბეპიევა, ჩიქოვანი 2008: 74-75). აღსანიშნავია ოსური თეატრის საქმიანობაც. სცენისმოყვარეთა დასები წარმოდგენებს მართავდნენ სოფლებსა თუ ქალაქებში, ასევე ცხინვალში, სადაც ხშირად წარმოდგენებს თბილისიდან

[2] სონღულაშვილი ავთანდილ-განათლება და კულტურა ,, სამხრეთ ოსეთი'' საქართველოში ?! განათლება და კულტურა Iberiana გუშინ, დღეს, ხვალ 2010. https://iberiana.wordpress.com/songulashvili/as12/ ნანახია 30.05. 2021.

საგასტროლოდ ჩასული დასები და ცნობილი ქართველი მსახიობებიც მართავდნენ (გაზ. „დროება". 1875.12 სექტემბერი). პირველი სათეატრო შენობა 1895 წელს ლიახვის პირას აიგო საზაფხულო თეატრ „როტონდას" სახით, სადაც წარმოდგენილი იყო კ. მესხის „თამარ ბატონიშვილი". ოსური თეატრის ფუძემდებლად ელ. ბრიტაითი ითვლება. მისი პიესები რუსეთის პოლიტიკის წინააღმდეგ იყო მიმართული და დიდხანს იდგმებოდა თეატრის სცენაზე. 1906 წელს შეიქმნა თბილისის საგამომცემლო საზოგადოება. დღის წესრიგში დადგა თბილისში ოსური თეატრის შექმნის საკითხიც. ამავე წელს ოსური დრამწრის მონაწილეობით დრამატურგ ელ. ბრიტაითის პიესების მიხედვით სპექტაკლები ოსურ ენაზე შესრულდა. პირველი წარმოდგენა 1906 წელს ე.წ. „ვეტცელი"-ს შენობაში დაიდგა. 1907 წელს შეიქმნა მეორე თეატრი, რომელსაც ერთი წლის განმავლობაში ქართველი არტისტი ნ. გოცირიძე ხელმძღვანელობდა. 1909 წელს მეორე საგამომცემლო საზოგადოება „რუხსი" ჩამოყალიბდა. ამავე წელს პირველი ოსი დრამატურგი ქალის, რ. ქოჩისათის, კომედია დაიდგა. 1909 წელსვე თბილისში კიდევ ერთი ოსური დრამწრე შეიქმნა ოსური კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოება „რუხს"-ის ბაზაზე.[3] მათ ზუბალაშვილების სახლში დიდი წარმატებით წარმოადგინეს ოსი დრამატურგების პიესები, რომელთაც გამოეხმაურა იმდროინდელი პრესა (გაზ. „ჩვენი აზრი". 1909. N 121; газ.„Закавказье". 1909. N 12). ამდენად, ოსი და ქართველი ეთნოსის კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა ურთიერთთანამშრომლობის ნიშნით ვითარდებოდა.

საქართველოს მკვიდრ ეთნოსთაგან გამოსაყოფია აფხაზები, უწინარესად, რა თქმა უნდა, ქართველებთან ისტორიულად ერთ სახელმწიფოში პოლიტიკური და კულტურული თანაცხოვრების ხანგრძლივობის გამო. რუსეთის იმპერიის მმართველობის პერიოდში აფხაზთა კულტურის წარმოჩენის ნაკლები შესაძლებლობის ერთ-ერთი მიზეზი იყო აფხაზთა წინააღმდეგობა-აჯანყებები რუსეთის კოლონიური რეჟიმის წინააღმდეგ, საპასუხოდ - რუსეთის ხისტი პოლიტიკა აფხაზთა მიმართ, შედეგად კი მათი იძულებითი მუჰაჯირობა. აფხაზთა სამეფოს დროიდან გვიანდელ შუა საუკუნეებამდე მწიგნობრობის, სახელმწიფო მართვისა და საეკლესიო ენა ქართული იყო. XVIII საუკუნიდან, აქ ვრცელდება

---

[3] სონღულაშვილი ავთანდილ-განათლება და კულტურა ,, სამხრეთ ოსეთი'' საქართველოში ?! განათლება და კულტურა. Iberiana გუშინ, დღეს, ხვალ 2010. https://iberiana.wordpress.com/songulashvili/as12/ ნანახია 30.05 2021

თურქულ-ოსმალური დამწერლობა. XIX საუკუნის შუა ხანებიდან, აფხაზეთის სამთავროს გაუქმებიდან, ქართული და ოსმალური კულტურული გავლენის შეზღუდვის მიზნით, იმპერიამ აფხაზებს შეუქმნა რუსულ გრაფიკაზე დამყარებული აფხაზური ანბანი. პირველი მკვლევარი, რომელმაც შექმნა აფხაზური დამწერლობა, იყო. მან 1862 წელს კირილიცას დაამატა მის მიერვე შექმნილი ასო-ნიშნები და აფხაზური დამწერლობა შექმნა. ივ. ბართლომეიმ კი აფხაზური ანბანის შესადგენად ქართული ასოების გრაფიკა გამოიყენა, როგორც ყველაზე შესაფერისი აფხაზური ენისათვის, რაც აკლდა, ის ასო-ბგერები მიუმატა და 1865 წელს გამოსცა „აფხაზური ანბანი". თუმცა უპირატესობა მიენიჭა უსლარისეულ ანბანს. შექმნის დღიდან აფხაზური ანბანი რამდენიმეჯერ შეიცვალა. ეს კი ნეგატიურ გავლენას ახდენდა აფხაზური ლიტერატურისა და კულტურის განვითარებაზე (ანჩაბაძე 2008: 53). ამ პროცესში სხვადასხვა დროს მონაწილეობდნენ კ.მაჭავარიანი, ალ. ჭაჭუა, ნ. მარი. ცხადია, ოფიციალური აფხაზური დამწერლობის არარსებობის გამო ვერ იქმნებოდა და იბეჭდებოდა აფხაზურენოვანი მდიდარი ფოლკლორული თუ ლიტერატურული ნაწარმოებები, ვერ ხდებოდა აფხაზური კულტურული ტრადიციების საჯაროდ წარმოდგენა. პირველი აფხაზურენოვანი გაზეთი „აფსნი" მხოლოდ 1919 წელს გამოვიდა. 1912 წელს თბილისში აფხაზურ ენაზე გამოიცა დიმიტრი გულიას პირველი პოეტური კრებული „ლექსები და შაირები". აფხაზური მხატვრული ლიტერატურის შექმნის თარიღად 1906 წელი დადგინდა, ხოლო აფხაზური ლიტერატურის მესაძირკვლედ აღიარებულ იქნა დ. გულია. აფხაზი მწერალი იყო აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის მიხეილის ვაჟი, პოეტი, დრამატურგი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე, ქართველ თერგდალეულთა თანამოაზრე გიორგი შარვაშიძე-ჩაჩბა, რომელიც უპირატესად ქართულად წერდა. მისი ბიძაშვილი ალექსანდრე კი ცნობილი მხატვარი გახლდათ ევროპასა და რუსეთში, რომელსაც არასოდეს ავიწყდებოდა, რომ საქართველო, აფხაზეთი, იყო მისი სამშობლო. სწორედ მისი გარდაცვალება გახდა 1918 წელს ალ. შერვაშიძის სოხუმში, მამა-პაპურ კერაზე, დაბრუნების მიზეზი. აქ იწყება მისი საზოგადოებრივი მოღვაწეობა: ხსნის თეატრალურ კურსებს, ასწავლის იქ; ახორციელებს რამდენიმე წარმოდგენას მოწაფეებთან ერთად; აარსებს საბავშვო სტუდიას სოხუმის ქალთა გიმნაზიის შენობაში; ხელმძღვანელობს ხატვის წრესა და ა.შ. 1920 წელს ისევ

მიემგზავრება ევროპაში, თუმცა, სამშობლოს მოწყვეტილს, არ ავიწყდება იგი და უკვე ღრმად მოხუცებულმა მხატვარმა მთელი თავისი შემოქმედება უსასყიდლოდ უანდერძა სამშობლოს. 1958 წელს საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმმა მისგან საჩუქრად მიიღო პირადი არქივი და ხუთასამდე ნამუშევარი, რომელთაც ქართულ–აფხაზურად - შერვაშიძე-ჩაჩბად აწერდა ხელს (გელენავა 2003: 3). მიუხედავად ქართველთა და აფხაზთა შორის პოლიტიკურ ნიადაგზე არაერთხელ პროვოცირებული კონფრონტაციისა წარსულსა თუ უახლოეს აწმყოში, ასევე დღევანდელი სავალალო პოლიტიკური რეალობისა, ქართველი და აფხაზი ეთნოსების მომავალი მშვიდობიანი თანაცხოვრება განპირობებულია მათი წარსული ისტორიულ-კულტურული ერთობით.

განხილული მასალა საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ XIX საუკუნესა და XX საუკუნის დასაწყისში ქართულ კულტურულ არეალში შემოვიდა ახალი, რუსული და ევროპული კულტურული ნაკადი, მეორე მხრივ კი, საქართველოს მკვიდრ მცირერიცხოვან ეთნოსებს, ქართველების დარად, მიეცათ შესაძლებლობა, წარმოეჩინათ თავიანთი კულტურა, ტრადიციები სხვადასხვა კულტურული ინსტიტუციის (სკოლა, თეატრი, ჟურნალ-გაზეთი, ლიტერატურა, ჟურნალისტიკა, ზოგიერთს - დამწერლობა) დაარსება-ამოქმედების მეშვეობით და ამით უფრო განევითარებინათ ისინი, რაც, ზოგადად, საქართველოში მულტიკულტურული გარემოს გამრავალფეროვნებასა და სხვადასხვა ეთნოსთა ტოლერანტულ თანაცხოვრებას უწყობდა ხელს.

## 2.2. სახელმწიფო მიდგომები ეთნიკურ უმცირესობათა უფლებების დაცვის საკითხებისადმი საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასა (1918-1921) და საბჭოთა პერიოდში (1921-1991)

საქართველოს უახლეს ისტორიაში უმნიშვნელოვანესია დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის სამწლიანი პერიოდი. როგორც აღინიშნა, რუსეთის იმპერიული ეთნიკური პოლიტიკის შედეგად, XIX საუკუნეში საგრძნობლად შეიცვალა ეთნიკური სურათი ისტორიულად ისედაც მრავალეთნიკურ საქართველოში. ამგვარი მემკვიდრეობა ერგოთ დამოუკიდებელი საქართველოს მესვეურთ. ეს კი მოითხოვდა ამ მიმართულებით ადეკვატურ სახელმწიფო მიდგომას, რაც 1921 წლის 21 თებერვალს მიღებულ პირველ კონსტიტუციაში აისახა. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანას იმ დროისათვის არ გააჩნდა დამოუკიდებელი სამართლებრივი და კონსტიტუციური გამოცდილება, პირველი ქართული კონსტიტუციის ავტორებმა მაინც მოახერხეს, შეექმნათ უზენაესი საკანონმდებლო აქტი, რომელიც, კონსტიტუციონალისტთა (და არა მხოლოდ მათი) აზრით, გამორჩეული იყო როგორც მის თანამედროვე, ასევე დღევანდელი ევროპის კონსტიტუციებს შორისაც მრავალი პროგრესული სამართლებრივი პოზიციისა და ადამიანის უფლებების დაცვაზე გამოკვეთილი ორიენტაციის გამო. დიდი ბრიტანეთის პრემიერი რამსეი მაკდონალდსი 1920 წელს საქართველოში ვიზიტის შემდგომ საქართველოს კონსტიტუციის პროექტს მაღალ შეფასებას აძლევდა (მაცაბერიძე 2008: 171). დღევანდელი შეფასებითაც, პირველი კონსტიტუცია მსოფლიოში ერთ-ერთი პირველი საბაზისო დოკუმენტია, რომელშიც აისახა მოქალაქეთა სოციალ-ეკონომიკური უფლებები; მოხდა იმის გაცნობიერება, რომ ადამიანია ძირითადი სოციალური ღირებულება (ფუტკარაძე 2011:58; დემეტრაშვილი, კობახიძე 2011: 53); ასევე მიჩნეულია, რომ „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადება ჩვენს ქვეყანაში ერი-სახელმწიფოს ფორმირების მცდელობა იყო, ერი-სახელმწიფო კი ახალი დროის ევროპული მოვლენაა“ (მაცაბერიძე 2019:108).

1918 წელს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნას, პირველი კონსტიტუციის შემუშავებასა და მიღებას წინ უძღოდა და თან ახლდა ურთულესი საშინაო თუ საგარეო ხასიათის მოვლენები. დამოუკიდებლობის აქტში გაცხადებული იყო, რომ საქართველო იქნებოდა დემოკრატიული რესპუბლიკა და დამფუძნებელი კრების შეკრებამდე ქვეყნის მართვას გაუძღვებოდა ეროვნული საბჭო. მის წევრებს მიაჩნდათ, რომ ნაციონალური ერთეულების საკითხის მოგვარებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, თუმცა ეს მაინც გახდა დებატების საგანი. საბოლოოდ, საერთო კონსენსუსის საფუძველზე, 1918 წლის 10 სექტემბრის სხდომაზე საბჭომ მიიღო კანონპროექტი, რომლის მიხედვით, ქვეყნის ეროვნულ საბჭოში სხვადასხვა რაოდენობით წარმოდგენილნი იქნებოდნენ ძირითად ეთნიკურ უმცირესობათა (სომხები, თათრები (აზერბაიჯანელები), აფხაზები, რუსები, ქართველი ისრაელები, ებრაელები, გერმანელები და ბერძნები). [4]

1919 წლის თებერვალში იმ დროისათვის ყველაზე დემოკრატიული საარჩევნო უფლების (თანასწორი საარჩევნო უფლება, ქალთა მონაწილეობა არჩევნებში და სხვ.) საფუძველზე, პირდაპირი წესით არჩეულ იქნა დამფუძნებელი კრება (პარლამენტი). საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკაში ცდილობდნენ ეროვნული საკითხის „სანიმუშო გადაწყვეტას“, ეროვნული უმცირესობებისათვის ისეთი უფლებების მინიჭებას, „რომლის მაგვარი არც ერთ კონსტიტუციაში არ მოიპოვება“. ამისათვის კი ჯერ კიდევ 1918 წლიდან დაიწყო კონსტიტუციის პროექტზე მუშაობა, რომლის პროექტი გამოქვეყნდა 1920 წლის ზაფხულში და უკვე ნოემბერში დაიწყო მისი განხილვისა და მიღების პროცედურა, თუმცა რუსეთის აგრესიამ დააჩქარა მისი მიღება. საქართველოს პირველი კონსტიტუცია მიიღეს 1921 წლის 21 თებერვალს, 25 თებერვალს კი საბჭოთა რუსეთის მე-11 არმიამ დაიკავა თბილისი და გამოაცხადა საბჭოთა ხელისუფლება. 1921 წლის 17 მარტს დამფუძნებელმა კრებამ ბოლო სხდომაზე ბათუმში ემიგრაციაში წასვლამდე დროებით შეაჩერა 1921 წლის კონსტიტუციის მოქმედება (აშორტია, ელიზბარაშვილი 2014:18-19). ამდენად, საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციამ იარსება მხოლოდ 4 დღე.

---

[4] რესპუბლიკა 100 ძველი ამბები 1918: დებატები ეროვნული საბჭოს ეთნიკური უმცირესობებით შევსების შესახებ. 12.09. 1918. https://civil.ge/ka/archives/253053. ნანახია 30.08 2021.

პირველ კონსტიტუციაში სათანადოდ აისახა სახელმწიფო მიდგომა ეროვნულ უმცირესობათა უფლებათა, კერძოდ, კულტურულ უფლებათა დაცვის მიმართ. კონსტიტუციით განსაზღვრულია, ვინ შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე: *„საქართველოს მოქალაქეობა მოიპოვება წარმოშობით, ქორწინებით და ნატურალიზაციით“.* კონსტიტუციის შემქმნელებს არ გამორჩენიათ მოქალაქის არც ერთი უფლება, იქნებოდა ეს განათლების, პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიური თუ კულტურული უფლებები (საქართველოს კონსტიტუცია, მიღებული საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ 1921 წლის თებერვლის 21. 1921:8-11). საკანონმდებლო აქტის მე-14 თავი კი მთლიანად ეთმობა ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დაფიქსირებას. მასში აღნიშნულია, რომ კონსტიტუციით გარანტირებულია ეროვნული უმცირესობის თავისუფალი სოციალ-ეკონომიკური და კულტურული განვითარება, დედაენაზე სწავლა-აღზრდის, წერის, ლაპარაკისა და ბეჭდვის, ასევე ეროვნულ-კულტურულ საქმეთა შინაური მართვა-გამგეობის უფლება. იქვე ხაზგასმულია, რომ მათი ყველა უფლების დაცვას საჭიროებისამებრ ფინანსურად უზრუნველყოფს სახელმწიფო. ნიშანდობლივია ამ კონსტიტუციის ერთი ჩანაწერიც: *„ადგილობრივ მმართველობის ფარგლებში, სადაც ერთი რომელიმე ეროვნული უმცირესობა აღემატება ყველა მოქალაქეთა 20%-ს, ამ ეროვნულ უმცირესობის მოთხოვნით, მსჯელობა და საქმის წარმოება, სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებაში შემოღებულ უნდა იქნეს სახელმწიფო ენასთან ერთად მის დედა-ენაზედაც. არა ქართველ დეპუტატს, რომელმაც სახელმწიფო ენა საკმაოდ არ იცის, შეუძლია პარლამენტში სიტყვა წარმოსთქვას დედაენით, რომლის სწორ თარგმანს წინასწარ წარუდგენს პარლამენტის პრეზიდიუმს“* (საქართველოს კონსტიტუცია, მიღებული საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ 1921 წლის თებერვლის 21. 1921: 36-37). დაისვა საკითხი ავტონომიურ ერთეულებთან დაკავშირებითაც, კერძოდ, ავტონომიური მმართველობის უფლებით საქართველოს რესპუბლიკის განუყოფელ ნაწილებად მიჩნეულ იქნა აფხაზეთი - სოხუმის ოლქი, სამუსლიმანო საქართველო (ბათომის მხარე) და ზაქათალის (საინგილო) ოლქი. კონსტიტუციის შემქმნელთა აზრით, ეს იქნებოდა ერთგვარი ასიმეტრიული უნიტარიზმის მქონე სახელმწიფო, რომელიც აღიარებდა ზოგიერთი კუთხის ავტონომიურობას. ყველა პარტიის

წარმომადგენელი იზიარებდა იმ აზრს, რომ ეროვნულ უმცირესობებს „უნდა მისცემოდათ ყველაფერი, რაც სახელმწიფოს არ ვნებდა“ (გონაშვილი, ირემაძე, თევდორაშვილი, კახიანი, კვერენჩხილაძე, ჭიღლაძე 2017: 141). იქვე განისაზღვრა, რომ ავტონომიათა დებულებანი შემუშავებული იქნებოდა ცალკე კანონით. აფხაზეთის წარმომადგენლებთან ჯერ კიდევ კონსტიტუციის მიღებამდე თანამშრომლობის შედეგად შემუშავდა აფხაზეთის ავტონომიური მმართველობის დებულება, რომელიც 1920 წლის დეკემბერში განსახილველად წარედგინა დამფუძნებელ კრებას (გონაშვილი, ირემაძე, თევდორაშვილი, კახიანი, კვერენჩხილაძე, ჭიღლაძე 2017: 142). ამ დებულების თანახმად (იგი მიღებული უნდა ყოფილიყო კონსტიტუციის ამოქმედების შემდგომ), აფხაზეთს ეძლეოდა ფართო თვითმმართველობის უფლება (მაცაბერიძე 2019: 122). კონსტიტუციაში არ იყო გათვალისწინებული ავტონომია შიდა ქართლის იმ ნაწილისათვის, სადაც კომპაქტურად სახლობდნენ ოსები.

რუსეთის ოკუპაციისა და ანექსიის გამო ემიგრაციაში იძულებით წასულმა დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ ვერ შეძლო კონსტიტუციაში ფორმულირებული საკანონმდებლო დებულებების, მათ შორის, ეთნიკური უმცირესობების საკითხის რეალიზება, თუმცა, თავად მისი დაფიქსირების ფაქტი მეტად საყურადღებოა, რადგან კონსტიტუცია არა მხოლოდ თავისი დროისათვის იყო პროგრესული, არამედ სავსებით შეესატყვისება ზოგადად, ადამიანისა და, მათ შორის, ეთნიკურ უმცირესობათა უფლებების დამცველ თანამედროვე საერთაშორისო თუ ადგილობრივ აქტებს.

ბოლშევიკურმა იდეოლოგიამ მალევე შეცვალა ქვეყნის დემოკრატიული გეზი. 1922 წელს შეიქმნა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი (სსრკ). ამიერკავკასიის სამივე რესპუბლიკის გასაბჭოების შემდეგ ცენტრმა გადაწყვიტა, შეექმნა ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკა სამი რესპუბლიკის - აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს შემადგენლობით და ამ სახით შეეყვანა ისინი სსრკ-ის შემადგენლობაში. უკვე ამ პოლიტიკური გადაწყვეტილებით გამოიკვეთა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისაგან არსებითად განსხვავებული სახელმწიფო მიდგომა ამ კავშირში იძულებით შეყვანილი ერებისა და ეროვნებებისადმი. ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციულმა

სოციალისტურმა რესპუბლიკამ (ა/კ სფსრ) შეიმუშავა და მიიღო ამიერკავკასიის ფედერაციის კონსტიტუცია.

1922 წლის 2 მარტს, საქართველოს საბჭოების პირველმა ყრილობამ მიიღო პირველი საბჭოთა კონსტიტუცია, რომელიც, ცხადია, არსებითად განსხვავდებოდა წინამორბედისგან. პირველ საბჭოთა კონსტიტუციაში სახე იცვალა ადამიანის უფლებათა ინსტიტუტმაც. ის ეროვნულ უმცირესობათა უფლებებს მხოლოდ ორი წინადადებით შეეხო. აღინიშნა, რომ მათ ეძლევათ თავისუფალი განვითარებისა და მშობლიური ენის ხმარების უფლება როგორც საკუთარ ეროვნულ-კულტურულ, ისე საერთო სახელმწიფო დაწესებულებებში. დაუშვებლად იქნა მიჩნეული მათი შევიწროება და შეუწყნარებლობა (საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის კონსტიტუცია 1922: 5).

საბჭოთა კონსტიტუციაში აისახა ავტონომიური ერთეულების უფლება-მოვალეობის საკითხებიც. 1921 წლის 16 მარტს თურქეთსა და რუსეთს შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, იმავე წლის 16 ივლისს აჭარას საქართველოს შემადგენლობაში ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსი მიენიჭა. ეროვნული უმცირესობისთვის - ოსებისთვის 1922 წელს შეიქმნა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი. შესაბამისად, ეს აისახა პირველ საბჭოთა კონსტიტუციაში (საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის კონსტიტუცია. 1922:3). ის, მართალია, ამ ადმინისტრაციულ ერთეულთა ავტონომიურობას დეკლარირებულად აღიარებდა, მაგრამ საბჭოთა ხელისუფლების მკვეთრად ცენტრალიზების გამო საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში მათი ავტონომიური უფლებები, ისევე როგორც მთლიანად რესპუბლიკისა, მკვეთრად შეკვეცილი იყო.

1927 წლის 3 აპრილს საქართველოს საბჭოების IV ყრილობამ დაამტკიცა საქართველოს ახალი კონსტიტუცია. მასში ცვლილებები იქნა შეტანილი ეროვნულ უმცირესობებთან დაკავშირებით. პირველი საბჭოთა კონსტიტუციის მსგავსად, მასშიც არცთუ ვრცლადაა დეკლარირებული მათი უფლებები (საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუცია (ძირითადი კანონი). 1927: 7). სიახლე იყო ჩანაწერი, დაკავშირებული ავტონომიურ ერთეულებთან, კერძოდ, განისაზღვრა და დარეგულირდა მათი

სამართლებრივი სტატუსი. ამასთან, საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას უფლება ეძლეოდა, გამოსულიყო ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკისა და სსრკ შემადგენლობიდან (პირველი თავის მე-6 მუხლი), ისევე როგორც ამის უფლება ეძლეოდა ეროვნულ უმცირესობებს, ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ავტონომიურ ოლქებში. ცხადია, ამ უფლებით ვერც ერთი ერი თუ ეროვნება რესპუბლიკაში თუ ავტონომიურ ერთეულში ვერ ისარგებლებდა და არც უსარგებლია (80-იანი წლების პროვოცირებულ ცნობილ მოვლენებამდე). ოდნავ და მოჩვენებითად გაფართოვდა ადამიანის უფლებები (საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუცია (ძირითადი კანონი). 1927: 8). მოგვიანებით საქართველოს სსრ-ის მე-6 ყრილობის (1931 წლის 19 თებერვალი) დადგენილებით, აფხაზეთის მოკავშირე საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად გარდაიქმნა (საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუცია (ძირითადი კანონი). 1932:7).

მესამე საბჭოთა კონსტიტუცია საქართველოში დაამტკიცა საქართველოს სსრ საბჭოების საგანგებო მერვე ყრილობამ 1937 წლის 13 თებერვალს. იგი შეიქმნა 1936 წლის 5 დეკემბრის სსრკ-ის ე.წ. სტალინური კონსტიტუციის ბაზაზე. ცხადდებოდა, რომ, ძირითადად, აშენდა ახალი საზოგადოების პირველი ფაზა – სოციალიზმი და უნდა დაწყებულიყო კომუნიზმის მშენებლობა. 1937 წლის კონსტიტუციამ საგრძნობლად გააფართოვა მოქალაქეთა უფლებები და თავისუფლებები, რაც გამოიხატებოდა, მაგალითად, კრებებისა და მიტინგების მოწყობის, ასევე სიტყვის თავისუფლებაში და სხვ. რაც შეეხება საქართველოში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობებს, წინა კონსტიტუციებიდან თითქმის უცვლელად იქნა გადმოტანილი ფორმულირება მათი ყველანაირი, მათ შორის, კულტურული უფლების დაცვის შესახებ (საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუცია (ძირითადი კანონი). 1937: 54-55). 1937 წლის საქართველოს კონსტიტუცია (1936 წლის სტალინური კონსტიტუციის მსგავსად) შედარებით დემოკრატიულ კონსტიტუციად ითვლება, მაგრამ სწორედ 1937 წელი მიჩნეულია ადამიანის უფლებების მასობრივად ხელყოფის, დაპატიმრებების, ტერორის ერთ-ერთ გამორჩეულ წლად საბჭოთა

საქართველოსა და მთელი სსრკ-ის ისტორიაში. მომდევნო, ომისწინა, წლებში არაერთი ერი და ეროვნება იძულებით და მასობრივად გადაასახლეს მათი თავდაპირველი განსახლების ადგილებიდან სსრკ-ის შორეულ რეგიონებში. ამიტომ სავსებით ადეკვატურია სსრკ-ის კონსტიტუციის ცნობილი შეფასება: „1936 წლის კონსტიტუცია „მსოფლიოს გასაბრიყვებლად დაიწერა" (შაიო 2003: 19). ცხადია, ეს თანაბრად ეხება სსრკ-ის შესატყვისად შექმნილ საქართველოს 1937 წლის კონსტიტუციასაც. 1937 წლის კონსტიტუცია ოთხი ათეული წლის განმავლობაში მოქმედებდა.

1945 წელს საერთაშორისო ორგანიზაციის - გაეროს წევრი საბჭოთა კავშირიც გახდა. გაეროს ერთ-ერთი მიზანი, მისი წესდების მიხედვით, არის: *„ადამიანის ძირითად უფლებათა საყოველთაო პატივისცემა განურჩევლად რასის, სქესის, ენისა და რელიგიისა"*. არადა, სწორედ ეს უფლებები, მათ შორის, ეთნიკურ უმცირესობათა უფლებები ირღვეოდა სსრკ-ში, თუმცა მისი დაცვა დეკლარირებული იყო როგორც სსრკ-ის ყველა წინა, ისე 1977 წლის კონსტიტუციაში. XX საუკუნის 60-იანი წლებისათვის სსრკ-ის იდეოლოგებმა მიიჩნიეს , რომ საბჭოეთში სოციალიზმმა საბოლოოდ გაიმარჯვა და პროლეტარიატის დიქტატურა გადაიზარდა საერთო-სახალხო სახელმწიფოში. დღის წესრიგში დადგა ახალი კონსტიტუციის შემუშავებისა და მიღების აუცილებლობა. 1977 წელს მიღებულ იქნა სსრკ-ის მეოთხე კონსტიტუცია. საქართველოს მეოთხე და საბოლოო საბჭოთა კონსტიტუციის დედანი ამჯერადაც სსრკ-ის კონსტიტუცია იყო. 1978 წლის 15 აპრილს საქართველოს სსრ IX მოწვევის უმაღლესი საბჭომ VIII სესიაზე დაამტკიცა ეს კონსტიტუცია. წინა კონსტიტუციებთან შედარებით, კიდევ უფრო გაფართოვდა მოქალაქეთა უფლებები და თავისუფლებები, მათ შორის, ეროვნული უმცირესობისა ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურსა და კულტურული ცხოვრების ყველა სფეროში (საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუცია).[5] აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ, თავდაპირველად, საქართველოს სსრ-ის 1978 წლის კონსტიტუციის პროექტში არ იყო

[5] საქართველოს სსრ კონსტიტუცია, 15 აპრილი, 1978. https://nodussr.ru/konstituciya-gruzinskoj-ssr?fbclid=IwAR2MbjHGL6Jo8gYBcKgM5opPj-KuTGT4KKTomk6LuEeBGKrAUhPZrT_XmgI ნანახია 30.05 2021.

დაფიქსირებული ქართული ენის სახელმწიფო სტატუსი და ამას საბჭოთა იდეოლოგები ერთა თანასწორობის აუცილებლობით ამართლებდნენ. სახელმწიფო ენის სტატუსი ეძლეოდა რუსულს როგორც ერთაშორისი ურთიერთობის ენას. როგორც ცნობილია, ქართული ენის სახელმწიფო ენის სტატუსის დასაცავად თბილისში 1978 წლის 14 აპრილს მოეწყო საპროტესტო მიტინგი, რამაც შედეგი გამოიღო და კონსტიტუციაში სახელმწიფო ენად კვლავ ქართული ჩაიწერა.

ყველა საბჭოთა კონსტიტუცია მხოლოდ ფორმალურად აღიარებდა ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს, მათ შორის, ეროვნულ უმცირესობათა უფლებებს. ასეთი იყო ზოგადად მათდამი სსრკ-ის სახელმწიფო მიდგომა.

1990 წლის 28 ოქტომბრის მრავალპარტიულმა არჩევნებმა, ფაქტობრივად, დაასრულა საბჭოთა საქართველოსა და საბჭოთა კონსტუტუციების ეპოქა. ცხადია, სხვა უპირველეს საკითხებთან ერთად, უნდა გადაწყვეტილიყო ძირითადი კანონის - ახალი, არასაბჭოური, კონსტიტუციის მიღების საკითხი, მაგრამ ჯერ კიდევ არსებობდა სსრ კავშირი, საქართველო საბჭოთა სამართლებრივ სივრცეში იმყოფებოდა, რის გამოც ახალი კონსტიტუციის მიღება შეუძლებელი იყო. ამიტომ ახალი რეალობის საკანონმდებლო განმტკიცება ხელისუფლებამ გადაწყვიტა ისევ 1978 წლის კონსტიტუციის გადასინჯვის საფუძველზე. 1990 წლის 14 ნოემბერს, არჩევიდან სულ რაღაც 16 დღის შემდეგ, საქართველოს საქართველოს უზენაესმა საბჭომ პირველსავე სესიაზე მიიღო კანონი საქართველოს რესპუბლიკაში გარდამავალი პერიოდის გამოცხადების შესახებ, რომელსაც უნდა ემოქმედა ახალი კონსტიტუციის მიღებამდე. სესიამ უამრავი ცვლილება შეიტანა იმ დროს ჯერ კიდევ მოქმედ 1978 წლის საბჭოურ კონსტიტუციაში. დროებით ძალაში დარჩა 1978 წლის კონსტიტუციის ყველა ის თავი, რომლებიც ეხებოდა ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დაცვას. ასე რომ, ეს კონსტიტუცია, უფრო სწორად, მისი შესწორებულ-გადასინჯული ვერსია იყო გარდამავალი პერიოდის კონსტიტუცია.

1991 წლის 31 მარტს საქართველოში ჩატარებული რეფერენდუმის შედეგის გათვალისწინებით 1991 წლის 9 აპრილს საქართველოს უზენაესი საბჭოს საგანგებო სხდომაზე საზეიმოდ გამოცხადდა საქართველოს სახელმწიფოებრივი

დამოუკიდებლობის აქტი. ეროვნულ უმცირესობის საკითხთან დაკავშირებით ამ აქტში ხაზგასმული იყო საერთაშორისო სამართლის, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის, საერთაშორისო პაქტებისა და კონვენციების,ასევე გაერთიანებული ერების წესდების შესაბამისად ყველა ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური და ენობრივი ჯგუფის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები (საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი).[6] 1991 წლის ბოლოს არაკონსტიტუციური გზით მოხდა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს, რესპუბლიკის პრეზიდენტისა და მთავრობის უფლებამოსილების ვადაზე ადრე შეწყვეტა, შეიქმნა სამხედრო საბჭო, დროებითი მთავრობა. ძალადაკარგულად გამოცხადდა 1978 წლის კონსტიტუცია და კანონმდებლობა.

ამრიგად, 1918 წლიდან 1991 წლამდე მიღებულ კონსტიტუციებში შესატყვისად აისახა სახელმწიფო მიდგომა ეროვნულ უმცირესობათა საკითხისადმიც. ეს კი, სახელმწიფოებრივი ცხოვრების სხვა სეგმენტებთან ერთად, ერთგვარი ლაკმუსის ქაღალდი გახლდათ დემოკრატიული თუ საბჭოთა საქართველოს პოლიტიკური მრწამსის, ჰუმანური ნებისა და ტოლერანტიზმის ხარისხის შესაცნობად.

[6] საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი (საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1991 წლის 9 აპრილის საგანგებო სხდომა – საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს უწყებები, 1991 წ., №4, მუხ. 291) https://matsne.gov.ge/ka/document/download/32362/0/ge/pdf ნანახია 30.05 2021.

# თავი 3. სახელმწიფო მიდგომები ეთნიკურ უმცირესობათა კულტურის საკითხებისადმი

## 3.1. ეთნოკულტურული პოლიტიკის ჩამოყალიბების პირველი ეტაპი: XX საუკუნის დასასრული და XXI საუკუნის დასაწყისი (პოლიტიკის საკითხების ასახვა საკანონმდებლო დოკუმენტებში)

სახელმწიფო მიდგომა ეთნიკურ უმცირესობათა კულტურებისადმი, ისევე როგორც, ზოგადად, კულტურის პოლიტიკა და ადამიანის უფლებადაცვითი საქმიანობა მთელ მსოფლიოში განსაკუთრებით აქტუალური გახდა XX საუკუნის მეორე ნახევარსა და XXI საუკუნის დასაწყისში. ეს აისახა კიდეც ამ მიმართულებით მიღებულ არაერთ საერთაშორისო და მათ შესატყვის ადგილობრივ საკანონმდებლო დოკუმენტებში. კულტურის პოლიტიკით სახელმწიფო აფიქსირებს თავის უფლება-მოვალეობას საზოგადოების წინაშე, რათა დაიცვას ადამიანის უფლებათაგან ერთ-ერთი მნიშვნელოვანი - კულტურული უფლებები. მათი გათვალისწინება კრიტიკულად მნიშვნელოვანია კულტურის სფეროს მართვისათვის, ანუ კულტურის პოლიტიკისათვის, მათ შორის, ცხადია, პოლიტიკისათვის ეთნიკური უმცირესობების კულტურათა მიმართ.

საერთაშორისო სივრცეში დღეს უკვე მყარად დამკვიდრებული ადამიანის საყოველთაო უფლებების, მათ შორის, კულტურული უფლებების დაცვის აუცილებლობის აღიარება უკავშირდება 1945 წელს შექმნილ გაეროს, მასთან შექმნილ განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია UNESCO-სა და სხვა ორგანიზაციების საქმიანობას. აქედან მოყოლებული, სხვადასხვა წელს მიღებულ იქნა ადამიანის უფლებათა დაცვის, მათ შორის, ეთნიკურ უმცირესობათა კულტურული უფლებების დაცვის შემცველი არაერთი საერთაშორისო დოკუმენტი (გაეროს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია[7], ომის კონვენცია ადამიანის უფლებათა და ძირითად

[7] ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია 1948 10 აგვისტო.გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის უმაღლესი კომისრის ოფისი.საქართველო 2008.

თავისუფლებათა დაცვის შესახებ;[8] ევროპის სოციალური ქარტია;[9] გაეროს პაქტები სამოქალაქო, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ[10]; UNESCO-ს მიერ მიღებული მსოფლიო კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვის შესახებ;[11] კონვენცია არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ;[12] UNESCO-ს კონვენცია კულტურული თვითგამოხატვის მრავალფეროვნების დაცვისა და ხელშეწყობის შესახებ (2005 წ).[13] ეროვნულ უმცირესობათა დაცვის ჩარჩო კონვენცია[14] და სხვა, რომელთა რატიფიცირებას გარკვეული ინტერვალებით ახდენდა საქართველოც. 1992 წლის ივლისში საქართველო გაეროს 179-ე წევრი გახდა, რაც ორგანიზაციის ღირებულებებისა და პრინციპების აღიარებას გულისხმობს. ამ საერთაშორისო დოკუმენტებით განისაზღვრა არა მარტო ადამიანის ზოგადი და ეთნიკურ უმცირესობათა კულტურული უფლებები და თავისუფლებანი, არამედ დადგინდა, რომ მსოფლიო ცნობს ბუნებრივს (მატერიალურს), ადამიანის მიერ შექმნილ მატერიალურსა და არამატერიალურ მემკვიდრეობას და მისი დაცვის აუცილებლობას.

მართალია, დოკუმენტირებული სახით საქართველოში მცხოვრები მცირე ეთნოსების კულტურათა პოლიტიკა არ არსებობს, მაგრამ ეთნიკურ

---

http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/aqtebi3.pdf.ნანახია 30.08 2021

[8] ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია რომი, 1950 წლის 4 ნოემბერი. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი 11.05.1994.
https://matsne.gov.ge/ka/document/view/1208370?publication=0. . ნანახია 30.08 2021.

[9] ევროპის სოციალური ქარტია (შესწორებული).სტრასბურგი, 3.V. 1996, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი 03.05.
https://matsne.gov.ge/ka/document/view/1392164., 1996. ნანახია 13.08.2021

[10.] ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი. 1966 წლის დეკემბერი. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი 12.6.1966.
https://matsne.gov.ge/ka/document/view/1483577?publication=0. წ. ნანახია 30.08 2021.

[11]კონვენცია მსოფლიო კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვის შესახებ.
Convention Concerningthe Protection of the World Cultural and Natural Heritage https://whc.unesco.org/en/conventiontext. Unesco 16.10 1972 წ. ნანახია 30.08 2021.

[12] პარიზი, 2003 წლის 17 ოქტომბერი საერთაშორისო კონვენცია არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი. 17.10.2003
https://matsne.gov.ge/ka/document/view/1205181?publication=0. წ.ნანახია 30.08 2021.

[13]კონვენცია კულტურული თვითგამოხატვის მრავალფეროვნების დაცვის და ხელშეწყობის შესახებ.საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი 21.10.2005.
(https://matsne.gov.ge/ka/document/view/1205118?publication=0); ნანახია 30.08 2021.

[14] ჩარჩო კონვენცია ეროვნულ უმცირესობათა ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი 1.02.1995.
https://matsne.gov.ge/ka/document/view/1244853?publication=0. წ. ნანახია 30.08 2021.

უმცირესობათა კულტურისა და კულტურული მემკვიდრეობის მხარდასაჭერად სახელმწიფო მიდგომა დაფიქსირდა არაერთ საკანონმდებლო დოკუმენტში, მათ შორის, ერთი შეხედვით, კულტურის სფეროსაგან შორს მდგარ დარგობრივსა თუ ინსტიტუციურ აქტებშიც, რომელთაგან რამდენიმეს შევეხებით.

ნებისმიერი სახელმწიფოს პოლიტიკა სახელმწიფოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს სამართლებრივად წარმართვისათვის, უპირველესად, ასახულია მის უზენაეს კანონში - კონსტიტუციაში. 70-წლიანი საბჭოთა მმართველობის დასრულებისა და მომდევნო რთული პოლიტიკური პროცესების (სახელმწიფო გადატრიალება, სამოქალაქო ომი) შემდგომ საქართველოში პირველი სრულფასოვანი კონსტიტუცია მიიღეს 1995 წელს, რომელიც დამოუკიდებელი საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციას დაეყრდნო. ცხადია, 1995 წლის კონსტიტუციაში, ისევე როგორც საერთოდ კონსტიტუციებში, არ იყო და ვერც იქნებოდა სრულყოფილად მოცემული ეთნიკურ უმცირესობათა კულტურულ უფლებებთან დაკავშირებული სახელმწიფოს მიდგომა. 1995 წლის კონსტიტუციის მეორე თავი მთლიანად ეთმობა ადამიანის ძირითად უფლებებს. ქვეყნის მრავალეთნიკურობის, მრავალრელიგიურობისა და დემოკრატიული სამყაროსათვის სავალდებულო ადამიანის უფლება-თავისუფლებების გათვალისწინებით, იგიც აღიარებს. ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების მიუხედავად, ნებისმიერი ადამიანის თანასწორობას, აღმსარებლობის, სინდისის თავისუფლებებსა და ა.შ.[15] 1995 წლის კონსტიტუცია, ქვეყნის მულტიეთნიკური ისტორიული წარსულისა თუ იმდროინდელი ვითარების გათვალისწინებით, აფიქსირებს ეთნიკურ უმცირესობათა კულტურულ-საგანმანათლებლო საკითხებს, რომლებიც ხელს უწყობს მათ ინტელექტუალურ განვითარებას, სამოქალაქო ინტეგრაციას, ჩართულობას ქვეყნის ცხოვრებაში და ა.შ. საქართველოს მომდევნო - ე. წ. ვარდების რევოლუციის შემდეგ 1995 წლის შემდეგდროინდელი 2004 წლის კონსტიტუცია მიჩნეულია 1995 წლის კონსტიტუციის ახალ რედაქციად (მაცაბერიძე 2019:243), 2010 და 2017 წლებში განხორციელდა საკონსტიტუციო

[15] 1995 წლის საქართველოს კონსტიტუცია .საქართველოს პარლამენტი 1995 წლის 24 ივლისი. http://www.parliament.ge/ge/kanonmdebloba/constitution-of-georgia-68. ნანახია 30.08 2021.

რეფორმა, თუმცა კონსტიტუციებში ცვლილებები ყველაზე ნაკლებად ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების ნაწილს შეეხო, რაც ძირითადად უკვე ასახული იყო 1995 წლის კონსტიტუციაში (გონაშვილი 2010: 23; მაცაბერიძე 2019:250 ).

ახლა უშუალოდ შევეხოთ ადგილობრივ საკანონმდებლო დოკუმენტებს. ეროვნულ უმცირესობათა კულტურისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვას ორგანულად უკავშირდება სახელმწიფოს მიერ მათი საყოველთაო და ფუნდამენტური სამოქალაქო უფლებების დაცვის ვალდებულება. ამ თვალსაზრისით, უაღრესად მნიშვნელოვანია 1991 წელს მიღებული პირველი კანონი მოქალაქეობის შესახებ. ის საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში არაორდინალური და მნიშვნელოვანი პოლიტიკური ცვლილებების დროს მიიღეს. 1990 წლის 28 ოქტომბრის პირველი მრავალპარტიული არჩევნების შემდგომ უმნიშვნელოვანესი იყო მულტიკულტურული რეალობის გათვალისწინებითა და, ამავე დროს, მცირე ეთნოსების უფლებათა და თავისუფლებათა საერთაშორისო ნორმების დაცვით სწორი ოფიციალური პოლიტიკის შემუშავება. ეს გამოჩნდა კიდეც 1991 წლის ივლისში მიღებულ კანონში მოქალაქეობის შესახებ, რომელიც მნიშვნელოვანი იყო, უწინარესად, იმის გამო, რომ ეს იყო პოსტსაბჭოთა საქართველოს ისტორიაში პირველი კანონი მოქალაქეობის შესახებ (ჩხაიძე 2016: 87). ამ კანონით საქართველოს ყველა მკვიდრს მიენიჭა საქართველოს მოქალაქის სტატუსი და იგი ავტომატურად საქართველოს მოქალაქესთან ერთად აღარ იყო სსრ კავშირის მოქალაქე, ანუ კანონი ამკვიდრებდა საქართველოს რესპუბლიკაში როგორც სუვერენულ სახელმწიფოში ერთიანი მოქალაქეობის ცნებას. კანონი ასევე აცხადებდა, რომ საქართველოს მოქალაქედ ჩაითვლებოდა ყველა პირი, რომელიც მუდმივად ცხოვრობს აქ, აქვს მუდმივი სამუშაო ადგილი, მუდმივი შემოსავლის ლეგალური წყარო ან რაიმე უძრავი ქონება საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე, კანონი არ განარჩევდა ეთნიკური ნიშნით საქართველოს მოქალაქეებს, რომლებიც მუდმივად ცხოვრობდნენ აქ. მუხლობრივად იყო გაწერილი საქართველოს მოქალაქეობის შეძენისა და მიღების პირობებიც, რომელიც არ იყო დისკრიმინაციული საქართველოს მოქალაქეობის მსურველი ეთნიკური

ჯგუფების წარმომადგენლების მიმართ.[16]. 1991 წლის მოქალაქეობის შესახებ კანონში გამოიკვეთა დამოუკიდებელი სახელმწიფოს სტრატეგიული ხედვა საქართველოში მოსახლე ეთნოსთა მიმართ, მოხდა მათი უფლებების, მათ შორის, კულტურული უფლებების დაცვის დეკლარირება, ასევე თანასწორობის პრინციპის აღიარება ყველა  სფეროში. თუმცა კანონში დეკლარირებული ამ პრინციპების რეალიზება ვერ მოხერხდა, რადგან ეთნიკურმა და პოლიტიკურმა დაპირიპირებამ სამოქალაქო ომი გამოიწვია, საბოლოოდ სამხედრო გადატრიალების გზით დაემხო ეროვნული ხელისუფლება.

შემდგომი კანონები საქართველოს მოქალაქეობის შესახებ მიღებულ იქნა 1993[17] და 2014 წლებში[18] მათშიც, პირველი კანონის მსგავსად, გაცხადებულია, რომ საქართველოში დადგენილია ერთიანი მოქალაქეობა, ასევე განსაზღვრულია საქართველოს მოქალაქეობის მოპოვების პირობები დაბადებით, ნატურალიზაციით, საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და ამ კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლებით. მასშიც დაუშვებლადაა მიჩნეული ეთნიკური ნიშნით მოქალაქეთა დიფერენცირება, აღიარებულია მათი თანასწორობა, განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა და ა. შ. ცხადია, ერთიანი მოქალაქეობის ფუძემდებლური პრინციპიდან გამომდინარე და მასზე დაყრდნობით, ეს ორგანული კანონები, ადამიანის უფლებების დაცვის, ქვეყნის ისტორიული წარსულისა და სპეციფიკის გათვალისწინებით, პოლიტიკურად სწორ აქცენტებს აკეთებს და ქვეყნის ყველა მოქალაქეს, განურჩევლად ეროვნებისა, თანაბარ უფლებებს, მათ შორის,

---

[16] დამოუკიდებლობის გაკვეთილები მომავლისკენ წარსულის გააზრებით როგორ ვხდებოდით დამოუკიდებელი საქართველოს მოქალაქეები –1991ივნისი 1, 1991 https://lessonsgeo.wordpress.com/author/ekatsamalashvili/ ნანახია 30.08 2021.

[17] საქართველოს ორგანული კანონის საქართველოს მოქალაქეობის შესახებ.აქართველოს 1997 წლის 1 ოქტომბრის კანონი №893-პარლამენტის უწყებანი, №43, 30.10.1993, გვ.5. https://matsne.gov.ge/ka/document/view/32596?publication=20.ნანახია 30.08 2021. https://matsne.gov.ge/ka/document/view/2342552?publication=5.ნანახია30.08 2021.

[18] საქართველოს ორგანული კანონის საქართველოს მოქალაქეობის შესახებ.საქართველოს პარლამენტი 2014 წლის 30 აპრილი. მუხლი 3. https://matsne.gov.ge/ka/document/view/32596?publication=20. ნანახია 30.08 2021.

კულტურულ უფლებებს ანიჭებს და გამოდის ერთგვარ გარანტად მათი დაცვისა.[19]

2016 წლის კანონი ე. წ. მიწის კანონის შესახებ[20] ეხება მიწათსარგებლობის უფლებრივი წესის სამართლებრივ მოწესრიგება-დადგენას. აქაც არ მომხდარა მიწით მოსარგებლის, მფლობელის ეთნიკური ან საცხოვრებელი ადგილის ნიშნით (მხედველობაში გვაქვს, უპირველესად, მაგალითად, საქართველოს სხვადასხვა გეოგრაფიულ ერთეულში, სოფლად, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელთა კომპაქტური დასახლებები) დიფერენცირება. ამიტომ აღნიშნული კანონი შეგვიძლია განვიხილოთ გაგრძელებად სხვა კანონების იმ პრინციპებისა, რომლებიც ეთნიკურ უმცირესობათა სრული თანასწორუფლებიანობის საერთაშორისი ნორმას ემყარება.

ადამიანის უფლებების დაცვის მარეგულირებელ სამართლებრივ დოკუმენტებს შორის ასევე მეტად ღირებული და ნიშანდობლივია 2010 წელს მიღებული საქართველოს შრომის კოდექსი. ის აწესრიგებს საქართველოს ტერიტორიაზე შრომითსა და მის თანამდევ ურთიერთობებს, რომელთა ფორმულირებაში ხაზგასმულია დაუშვებლობა შრომითსა და წინასახელშეკრულებო ურთიერთობებში რაიმე ნიშნით დიკრიმინაციისა[21](მე-2 მუხლი). ამ ნორმატიული აქტის მიხედვითაც, სოციუმში ურთიერთობის მოსაწესრიგებლად უმთავრეს პრინციპად ისევ ერთა თანასწორუფლებიანობაა მიჩნეული. მასზე დაფუძნებული შრომითი ურთიერთობა კი არა მხოლოდ სოციუმის სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის თანაცხოვრების უპირველეს მარეგულირებელად, არამედ ის პოლიეთნიკური სახელმწიფოს მდგრადი არსებობის ერთ-ერთ მთავარ გარანტიადაცაა აღიარებული. 1997 წელს მიიღეს კანონი საჯარო სამსახურის შესახებ, რომელიც განსაზღვრავს მოსამსახურის

[19] საქართველოს ორგანული კანონის საქართველოს მოქალაქეობის შესახებ.აქართველოს პარლამენტი 2014 წლის 30 აპრილი. მუხლი 3. https://matsne.gov.ge/ka/document/view/32596?publication=20.ნანახია 30.08 2021.

[20] კანონი მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის სპეციალური წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ.
საქართველოს პარლამენტი 03.06. 2016.
ttps://matsne.gov.ge/ka/document/view/3306633?publicatiohttps%3A%2F%2Fmatsne.gov.ge%2Fka%2Fdocument%2Fview%2F3306633%3Fpublicatin შესახბ.; ნანახია 30.08 2021.

[21]საქართველოს შრომის კოდექსი. საქართველოს პარლამენტი 17.12.2010.
https://matsne.gov.ge/ka/document/view/1155567. მე-2 მუხლი; ნანახია 30.08 2021.

სამართლებრივ მდგომარეობას, განურჩევლად ეროვნებისა და სხვა სპეციფიკური ნიშნებისა, კანონის წინაშე ყველა საჯარო მოხელის თანასწორობას.[22]

იმ ნორმატიული აქტებიდან, რომლებიც კულტურის სფეროს არ განეკუთვნება, საგულიხმოა კიდევ ერთი დოკუმენტი- 2005 წელს დამტკიცებული საქართველოს უსაფრთხოების ეროვნული კონცეფცია,[23] რომლის მიხედვით, უსაფრთხოების პოლიტიკის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებად, პრიორიტეტად, ეროვნულ ინტერესად და ქვეყნის მდგრადი განვითარება-უსაფრთხოების აუცილებელ პირობად განსაზღვრულია კულტურის სფეროს განვითარებისათვის ეთნოსთა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის, მათი სამოქალაქო ინტეგრაციის, იდენტობისა და კულტურის შენარჩუნებისათვის პირობების შექმნა.

მიუხედავად იმისა, რომ ზემოთ მოხმობილი ნორმატიული აქტების უმრავლესობის ძირითადი მიმართულება თუ მიზანი არ იყო და ვერც იქნებოდა ეროვნულ უმცირესობებთან დაკავშირებით ოფიციალური ეთნოპოლიტიკის შემუშავება და სამართლებრივად ფორმულირება, მაინც ცხადი გახდა, რომ XX საუკუნის დასასრულსა და XXI საუკუნის დასაწყისში შემუშავებული კულტურის სფეროსგან შორს მდგარ ამგვარ საკანონმდებლო დოკუმენტებშიც დაფიქსირებულია ეთნიკური ჯგუფებისადმი პოლიტიკური მიდგომა, რადგან ის მულტიეთნიკური სახელმწიფოს ზოგადი პოლიტიკის ორგანულ ნაწილადაა აღიარებული.

კვლევის მიმართულების გათვალისწინებით, უნდა გავარკვიოთ, თუ როგორ აისახა მცირე ეთნოსების კულტურათა მიმართ მიდგომა უშუალოდ კულტურის სფეროსთან დაკავშირებულ საკანონმდებლო დოკუმენტებში. უნდა აღვნიშნოთ, რომ ყველა მათგანს აერთიანებს ერთა თანასწორობისა და, ზოგადად,

[22]საქართველოს კანონი საჯარო სამსახურის შესახებ. საქართველოს პარლამენტი 27.10.2015.ნანახია 30.08 2021
https://matsne.gov.ge/ka/document/view/3031098?publication=ნანახია 29 30.08 2021

[23] საქართველოს ეროვნული უსაფრთხოევის კონცეფცია 2005 საქართველოს პარლამენტი 08.07.2005. ნანახია 30.08 2021
https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/43156?publication=0 ნანახია 30.08 2021

ნებისმიერი სახის კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნებისა და დაცვის ფუნდამენტური პრინციპი. თუმცა, განსხვავდება მათი რეალიზების ფორმა. ასეთი საკანონმდებლო დოკუმენტებია, მაგალითად, კანონები საბიბლიოთეკო საქმის;[24] ეროვნული კინემატოგრაფიის სახელმწიფო მხარდაჭერის,[25] მუზეუმების; [26] მაუწყებლობის; [27] უმაღლესი [28] და ზოგადი განათლების შესახებ, [29]ასევე კანონი სახელმწიფო თეატრების [30] შესახებ და სხვ. ყველა ეს ინსტიტუცია კულტურის პოლიტიკის განხორციელების მნიშვნელოვანი ინსტრუმენტებია და, ცხადია, საყურადღებოა ეთნოსების კულტურათა პოლიტიკის გატარების თვალსაზრისითაც.

კანონში საბიბლიოთეკო საქმის შესახებ დეტალურადაა ფორმულირებული ბიბლიოთეკის მუშაობის სპეციფიკა როგორც კულტურულ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო-ინფორმაციული დაწესებულებისა. თუმცა ის სოციალური დაწესებულებააცაა, რადგან ემსახურება სხვადასხვა ეროვნების პირს. ამიტომ ბიბლიოთეკათა ფუნქციონერების ძირითად პრინციპად ამ კანონში განისაზღვრა მკითხველთა თანასწორუფლებიანობისა და პოლიტიკური და რელიგიური ნეიტრალიტეტის დაცვა. ამასთან, ბიბლიოთეკა წიგნების, ანუ კულტურის, კულტურული მემკვიდრეობის საცავია. ამიტომ კანონში ბიბლიოთეკის უპირველეს მოვალეობად განისაზღვრა კულტურულ ფასეულობათა შენარჩუნება, გამდიდრება, რეგისტრაცია და მათი საგანგებო რეჟიმით დაცვის კონტროლი.

---

[24] საქართველოს კანონი საბიბლიოთეკო საქმის შესახებ პარლამენტის უწყებანი,18 10.07.96. https://matsne.gov.ge/ka/document/view/33046?publication=4.ნანახია 30.08 2021.
[25] საქართველოს კანონი ეროვნული კინემატოგრაფიის სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ. საქართველოს პარლამენტი 05.12.2000. https://matsne.gov.ge/ka/document/view/17794?publication=6. 2000 წ. ნანახია 30.08 2021.
[26] საქართველოს კანონი მუზეუმების შესახებ. საქართველოს პარლამენტი. 22.06.2021. https://matsne.gov.ge/ka/document/view/15508?publication=4. ნანახია 30.08 2021
[27] საქართველოს კანონი მაუწყებლობის შესახებ. საქართველოს პარლამენტი. 23 12. 2014. https://matsne.gov.ge/ka/document/view/32866?publication=56 .ნანახია 30.08 2021.
[28] საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ.საქართველოს პარლამენტი 21.12.2004. https://matsne.gov.ge/ka/document/view/32830?publication=82 .ნანახია 30.08 2021.
[29] საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ.საქართველოს პარლამენტი 08.04.2005. https://matsne.gov.ge/ka/document/view/29248?publication=85. ნანახია 30.08 2021.
[30] საქართველოს კანონონი სახელმწიფო თეატრების შესახებ.საქართველოს პარლამენტი 09.06.2006. https://matsne.gov.ge/ka/document/view/23824?publication=3. ნანახია 30.08 2021.

ეროვნული კინემატოგრაფიის სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ საქართველოს კანონის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპია შემოქმედებითი მოღვაწეობის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის გარანტიების შექმნა. მართალია, მასში უშუალოდ მცირე ეთნოსთა კულტურებთან დაკავშირებული საკითხები არაა ცალკე გაწერილი, მაგრამ კანონის დასაწყისშივეა განაცხადი, რომ ის მრავალთან ერთად შედგება კულტურის შესახებ კანონისაგან, რაც უკვე ნიშნავს, რომ მისთვის ამოსავალია კულტურის შესახებ კანონში ფორმულირებული პოზიცია ეთნიკური ჯგუფების კულტურების დაცვა-განვითარებასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, ქართული ეროვნული კინოს ჩასახვიდანვე და მისი მთელი ისტორიის განმავლობაში მასში მოღვაწე კინემატოგრაფისტების ეთნიკური „სიჭრელეც" (ვლ. ბარსკი; ა. ბეკ-ნაზაროვი; ვ. დოლენკო; ნ. ნენოვა; ლ. პუში; ს. ფარაჯანოვი; ფ. გეგელე; ფ. ვისოცკი; ბ. კრეპსი; ო. მაგაკიანი; ლ. სუხოვი და ა. შ.) ცხადს ხდის, თუ რამდენად რეალიზდებოდა ქართულ კინემატოგრაფში შემოქმედებითი მოღვაწეობის თავისუფლება ეთნიკური თვალსაზრისით, რაც ერთ-ერთი განმაპირობებელია ქართული მრავალფეროვანი და გამორჩეული კინოკულტურისა. ცნობილია, რომ არაერთ კინოშედევრში რეალურად აისახა მულტიეთნიკური ცხოვრების არა მხოლოდ კოლორიტულობა, არამედ, რაც ახლა ჩვენი კვლევისთვის საგულისხმოა, საქართველოსთვის სახასიათო ეთნიკური შემწყნარებლობა-ტოლერანტობა. ასე რომ, ქართულ კინოხელოვნებაში ეთნოსების ამა თუ იმ რაკურსით წარმოჩენა, უპირველესად, სახიერდება მის კინოპროდუქციაში.

მუზეუმების შესახებ საქართველოს კანონში ასევე აისახა ზოგადად მუზეუმების ფუნქცია - მოახდინოს მსოფლიო, ადგილობრივი და და ეთნიკური უმცირესობების კულტურული მონაპოვრების დემონსტრირება-ექსპონირება. მით უმეტეს, რომ ჩვენს მუზეუმებში, მათ შორის, ეთნომუზეუმებში მრავლადაა დაუნჯებული საქართველოს მულტიკულტურული არტეფაქტები.

მუზეუმების მსგავსად, სატელევიზიო მაუწყებლობის სპეციფიკა იძლევა საშუალებას, რომ მან უდიდესი როლი შეასრულოს ერთა შორის თანასწორობის, ასევე ეთნიკური კულტურების დაცვის საქმეში. საქართველოს მრავალეთნიკურობისა და მულტიკულტურულობის გათვალისწინებით,

მაუწყებლობის შესახებ საქართველოს კანონით იკრძალება რასობრივი, ეთნიკური, რელიგიური ან სხვაგვარი შუღლის გამაღვივებელი, ასევე რომელიმე ჯგუფის დისკრიმინაციის ან ძალადობისკენ წამქეზებელი პროგრამები და, პირიქით, პროგრამებში უნდა აისახოს ეთნიკური, კულტურული, ენობრივი, რელიგიური, ასაკობრივი და გენდერული მრავალფეროვნება.

საქართველოს კანონებში უმაღლესი და ზოგადი განათლების შესახებ ასახულია შემწყნარებლობის, ეთნიკური ჯგუფების ურთიერთპატივისცემის დამკვიდრების ვალდებულება, უმცირესობების წევრების ინდივიდუალური და კოლექტიური უფლება, რომ მათ თავისუფლად ისარგებლონ მშობლიური ენით, შეინარჩუნონ და გამოხატონ თავიანთი კულტურული უფლებები და ა. შ. კონსტიტუციის შესაბამისად, ამ კანონებშიც აღნიშნულია, რომ იმ მოქალაქეებს, რომლებისთვისაც ქართული ენა არამშობლიურია, უფლება აქვთ მიიღონ განათლება მშობლიურ ენებზე.

კანონი ქართული თეატრის შესახებ საერთოა საქართველოს ტერიტორიაზე არსებული თეატრებისთვის. როგორც ცნობილია, ქართულთან ერთად საქართველოში მუშაობდა და მუშაობს ეთნიკურ უმცირესობათა არაერთი თეატრალური დასი, რომლებიც ემსახურება თავიანთი კულტურების განვითარებას უმრავლესობის კულტურასთან თანასწორ პირობებში.

ამრიგად, კულტურის სფეროს დარგობრივ საკანონმდებლო დოკუმენტებში გარკვეულად დაფიქსირდა ეთნოსების კულტურათა მიმართ. თუმცა ის, ცხადია, უფრო კარგადაა მოცემული 90-იანი წლების მიწურულს მიღებულ საბაზისო კანონებში კულტურისა და კულტურული მემკვიდრეობის შესახებ.

ადამიანის საყოველთაო უფლებების, ასევე მის კულტურულ უფლებებთან დაკავშირებული კულტურული მემკვიდრეობის განსაზღვრისა და მისი დაცვის აუცილებლობის აღიარების შემდეგ და მისგან გამომდინარე, XX საუკუნის მეორე ნახევარში დადგინდა კულტურის სფეროს მართვის აუცილებლობა. პარალელურად, გაჩნდა შესატყვისი ტერმინიც - კულტურის პოლიტიკა. 1969 წელს გამოქვეყნდა დოკუმენტი „კულტურის პოლიტიკა - წინასწარი კვლევა", რომელიც წარმოადგენდა გაეროს მიერ 1967 წელს UNESCO-ს მიერ მონაკოში გამართული მრგვალი მაგიდის შედეგს. ამ დოკუმენტში ხაზი გაესვა კულტურის

პოლიტიკის მნიშვნელობას და საერთაშორისო სივრცეში იგი პირველად განისაზღვრა (Cultural Policy a Preliminary Study. UNESCO. 1969:5). მასში, ფაქტობრივად, კულტურის პოლიტიკა სახელმწიფო პოლიტიკის აუცილებელ შემადგენელ ნაწილად იქნა აღიარებული, ანუ ითქვა, რომ კულტურის რეგულირებისათვის სახელმწიფოებმა უნდა განახორციელონ სხვადასხვა ხასიათის (ფინანსური, ადმინისტრაციულ-ორგანიზაციული და სხვ.) ხელშემწყობი ქმედებანი. მოგვიანებით მრავალ ქვეყანაში, ადგილობრივი სპეციფიკის გათვალისწინებით, შეიქმნა კულტურის პოლიტიკის სტრატეგიული დოკუმენტები. მათი უპირველესი მიზანი კულტურის, კულტურული მემკვიდრეობის, მათ შორის, მულტიეთნიკურ სახელმწიფოში ეთნიკური კულტურების დაცვა გახლდათ. ამას ემსახურებოდა საერთაშორისო პრაქტიკის შესატყვისად საქართველოში 1997 წელს შემუშავებული კანონიც კულტურის შესახებ.[31] მასში საკანონმდებლო დონეზე იქნა გაცხადებული სახელმწიფოს მონაწილეობის აუცილებლობა კულტურის ნებისმიერი სახეობის დაცვა-განვითარების მნიშვნელოვან საქმეში, ასევე კულტურის პრიორიტეტულობა და უდიდესი სტრატეგიული მნიშვნელობა. ამასთან, ნათქვამია, რომ საქართველოში ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური თუ ენობრივი კუთვნილების მიუხედავად, მისი მოქალაქენი თანასწორნი არიან კულტურულ ცხოვრებაში. განსაზღვრულია სახელმწიფოს ვალდებულებანიც, რაც მდგომარეობს ამ მიმართულებით აქტივობების ხელშეწყობაში, მათი კულტურისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და განვითარების მიზნით. შემოქმედებითი თავისუფლების აღიარების მიუხედავად, კანონი კრძალავს ისეთი შემოქმედებითი პროდუქტის არსებობას, რომლითაც ილახება სხვა ადამიანის უფლებები, ინტერესები, რომლებიც აღვივებს ეროვნულ, ეთნიკურ, რელიგიურსა და რასობრივ შუღლს. 1997 წელს მიღებულ კანონს კულტურის შესახებ მოჰყვა 1999 წლის კანონი კულტურული მემკვიდრეობის

[31] საქართველოს კანონი კულტურის შესახებ. საქართველოს პარლამენტი 12.06.97. https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/31402?publication=10. ნანახია 30.08 2021

დაცვის შესახებ.[32] მისი მოქმედება ვრცელდება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე არსებულ კულტურულ მემკვიდრეობაზე, განურჩევლად იმისა, რომელ ეთნიკურ ჯგუფს ეკუთვნის იგი. ჩამოთვლილია კულტურული მემკვიდრეობისა და მის დაცვა-აღრიცხვასთან დაკავშირებული საქმიანობის სახეები; მისი დაცვის ორგანოები; მის დასაცავად კულტურისა და სხვადასხვა სამინისტროს უფლებამოსილებანი და ა. შ. კულტურული მემკვიდრეობა დაცულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსითაც. 2007 წელს საქართველოს პარლამენტმა გამოაქვეყნა კანონი „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ", სადაც მთელი თავები ეძღვნება დანაშაულს კულტურული მემკვიდრეობის წინააღმდეგ.[33].

საქართველოს კულტურის, მათ შორის, ეთნიკურ უმცირესობათა კულტურის პოლიტიკა, ისევე როგორც ნებისმიერი ქვეყნისა, უპირველესად, ეფუძნება ამ სფეროში არსებულ საერთაშორისო აქტებს. ამ ქვეთავში შემოვიფარგლებით მხოლოდ იმის აღნიშვნით, რომ 1995 წელს ევროსაბჭომ მიიღო ეროვნულ უმცირესობათა ჩარჩო-კონვენცია, რომელიც ამ სახის ერთადერთი სავალდებულო დოკუმენტია. საქართველომ, მოახდინა რა ამ დოკუმენტის რატიფიცირება, აიღო საერთაშორისო ვალდებულება, დაიცვას ეთნიკური უმცირესობების უფლებები. მოგვიანებით, პრეზიდენტის 2005 წლის განკარგულებით, ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ ევროპული ჩარჩო კონვენციის შესაბამისად, შემუშავდა შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფცია და სამოქმედო გეგმა. ამ სტრატეგიული დოკუმენტის რეალიზებაში დიფერენცირებული უფლება-მოვალეობით მონაწილეობენ 1997 წლიდან შექმნილი სახალხო დამცველის, ანუ ომბუდსმენის

---

[32] კანონი კულტურული მემკვიდრეობის შესახებ. https://matsne.gov.ge/ka/document/view/11932?publication=5. საქართველოს პარლამენტი 25.06 1999. ნანახია 30.08 2021.
https://matsne.gov.ge/ka/document/view/21076?publication=16. საქართველოს პარლამენტი 08.05.2007. ნანახია 30.08 2021.

[33] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების და დამატებების შეტანის შესახებ. საქართველოს პარლამენტი 08.05.2007. https://matsne.gov.ge/ka/document/view/21148?publication=0. ნანახია 30.08 2021.

აპარატი, მასთან 2005 წელს დაარსებული ტოლერანტობის ცენტრი და სხვა ორგანიზაციები.

დასასრულ, შეიძლება ითქვას, რომ ამ ქვეთავში მიმოხილული ზოგიერთი დარგობრივი ინსტიტუციისა და მათი პოლიტიკის მაკოორდინებელი კანონებისათვის, უპირველესად კი, კულტურის სფეროს საქმიანობის მარეგულირებელი საბაზისო დოკუმენტებისათვის, ერთ-ერთი არსებითია ეთნოსებისა და მათი კულტურების თანასწორობის, დაცვა-განვითარებისა და სახელმწიფო მხარდაჭერის საკითხები. ამ დოკუმენტებში უკვე ჩანს მცირე ეთნოსების კულტურათა მიმართ სახელმწიფოს ხედვა, რაც გვაძლევს იმის თქმის უფლებას, რომ საქართველოში კულტურის ოფიციალური პოლიტიკის, ასევე მცირე ეთნოსების კულტურათა პოლიტიკის შემუშავების პირველ ეტაპად შეიძლება მივიჩნიოთ XX საუკუნის დასასრული და XXI საუკუნის დასაწყისი.

## 3.2. პოლიტიკა მცირე ეთნოსების კულტურათა მიმართ XXI საუკუნის დასაწყისში: 2009-2019 წლებში ეთნიკური უმცირესობების მხარდასაჭერად შემუშავებული სახელმწიფო მიდგომის წინაპირობა

XXI საუკუნის დასაწყისში გადაიდგა უფრო ქმედითი ნაბიჯები ეთნოსთა უფლებათა დაცვისა და ეთნიკური ერთეულების კულტურათა პოლიტიკის რეალიზებისათვის. ადამიანისა და მცირე ეთნიკურ ერთეულთა უფლებადაცვითი ოფიციალური სტრუქტურა შეიქმნა 1992 წელს - საქართველოს რესპუბლიკის ეროვნებათშორისი ურთიერთობისა და ადამიანის უფლებათა დაცვის სახელმწიფო კომიტეტი. ხოლო 1997 წლიდან ჩამოყალიბდა ადამიანის უფლებების, მათ შორის, მცირე ეთნოსთა კულტურული და სხვა უფლებების დამცავი რთული სისტემური და მრავალპროფილიანი ინსტიტუციები:-სახალხო დამცველის, ანუ ომბუდსმენის აპარატი; მასთან 2005 წლიდან დაარსებული ტოლერანტობის ცენტრი და სხვა ორგანიზაციები. თუმცა ამ ფუნქციას ახორციელებდა და ახორციელებს სხვა სახელმწიფო სტრუქტურებიც. მათ შორის წამყვანია საქართველოს კულტურის სამინისტრო, სადაც მუშაობისას, სამსახურეობრივი მოვალეობიდან გამომდინარე, ვფლობთ სტატისტიკური ხასიათის ინფორმაციას, რომ 2009 წლამდეც, ვიდრე საქართველოს კულტურის სამინისტრო შეიმუშავებდა ეროვნულ/ეთნიკურ უმცირესობათა კულტურის ხელშეწყობის პროგრამას, უკვე 2004-2008 წლებში, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ასიგნებათა ფარგლებში ხორციელდებოდა ეროვნულ/ეთნიკურ უმცირესობათა კულტურის მხარდაჭერა 11 ეთნიკური ორგანიზაციის ბაზაზე (თბილისის სომხური, აზერბაიჯანული და რუსული სახელმწიფო თეატრები; საქართველოს ებრაელთა ისტორიისა და აზერბაიჯანული კულტურის მუზეუმები; კავკასიური სახლი, რუსული კულტურის ცენტრი, უკრაინელთა ასოციაცია, გაზეთები: „ვრასტანი", „გურჯისტანი", „სვობოდნაია გრუზია"). სამინისტროს ფინანსური დახმარებით მათ მიერ წლების განმავლობაში განხორციელდა საქართველოს ეროვნულ უმცირესობათა კულტურის დაცვა-განვითარების, პოპულარიზაციისა და

ქართულ სივრცეში მათი შემდგომი ინტეგრირების ხელშემწყობი ღონისძიებანი. 2004-2009 წლებში შეიმჩნევა ეროვნულ უმცირესობათა სახელმწიფო კულტურული ინსტიტუციების დაფინანსების ზრდის ტენდენცია. ეს ცხადად გამოჩნდა ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასა და ჩატარებულ კულტურულ ღონისძიებათა ჩვენეულ შეფასებაში. ცხადია, ბიუჯეტის ზრდა იწვევს ამ ეთნიკური კულტურული ინსტიტუციების შემოქმედებითი საქმიანობის მასშტაბის გაზრდასაც, რასაც ადასტურებს 2007 წლიდან კულტურის სამინისტროს ხელშეწყობით რეალიზებული პრემიერების, სპექტაკლების, რეგიონებში ჩატარებული გასვლითი სპექტაკლების, გასტროლებისა და სხვა კულტურული ღონისძიებების მზარდი სტატისტიკა. ისინი აღნუსხულია ჩვენ მიერ, თუმცა მათი სიმრავლე მათგან მხოლოდ არსებითისა და საეტაპოს აღნიშვნის საშუალებას გვაძლევს. მაგალითად, 2007 წელს სომხური და აზერბაიჯანული თეატრების საქმიანობის შესწავლამ მოგვცა დასკვნის გაკეთების საშუალება, რომ მათ რეპერტუარში იყო როგორც კლასიკური, ეროვნული, ასევე ქართული თემატიკის სპექტაკლები. დასახელებული ეთნოთეატრების გასტროლები ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რაიონებში განაპირობებს მათ ინტეგრაციას ქვეყნის საერთო კულტურულ სივრცეში, ინფორმაციულობისა და საერთო კულტურული პოტენციალის ამაღლებას. ამ წლის სტატისტიკით საგულისხმოა ეთნომუზეუმებისა და ეთნოცენტრების გაფართოებული საგამომცემლო-საგანმანათლებლო საქმიანობაც: მაგალითად, ებრაელთა მუზეუმის მიერ სამეცნიერო შრომების მე-5 ტომის გამოცემა; კავკასიური სახლის მიერ გამოცემული 10-მდე წიგნის წარდგენა, აზერბაიჯანელ პოეტთა წიგნების პრეზენტაციები და მრავალი სხვა.

ზემოთ დასახელებული კულტურული ინსტიტუციების მუშაობა უფრო შთამბეჭდავად გამოიყურება 2008 წელს, რაც გამოიხატება თეატრების გასტროლების შედარებითი სიმრავლით ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რაიონებში; აზერბაიჯანული კულტურის მუზეუმის მიერ მოწყობილი გამოფენებითა და სხვა ღონისძიებებით. ეთნიკურ კულტურულ ორგანიზაციათა მიერ განხორციელებული საქმიანობის ამ ძირითადი ტენდენციების წარმოჩენითაც ჩანს, რომ საქართველოს კულტურის სამინისტროს

მხარდაჭერით XXI საუკუნის დასაწყისში, ანუ 2009 წლამდე - ჩვენი საკვლევი ქრონოლოგიური მონაკვეთის დასაწყისამდე - ეთნიკურ უმცირესობათა კულტურის ხელშეწყობის მიზნით სხვადასხვა პროგრამა-პროექტების ფარგლებში განხორციელდა ეთნიკურ კულტურათა მხარდამჭერი არაერთი ღონისძიება, რაც მიუთითებს, რომ ერთი სტრუქტურული ერთეულის მიერ მცირე ეთნოსების კულტურათა მხარდამჭერი პოლიტიკა ქმედითი იყო.

ეთნიკურ ერთეულთა მხარდამჭერი სახელმწიფო მიდგომა დაფიქსირდა ამ ქრონოლოგიურ მონაკვეთშივე მიღებულ უმნიშვნელოვანეს კონცეფციებსა და გეგმებში. ასეთია შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფცია და სამოქმედო გეგმა, რომელიც შეიქმნა ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ ევროპული ჩარჩო კონვენციის შესატყვისად[34] (რატიფიცირებულია 2005 წელს) და შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების შესახებ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 8 აგვისტოს № 639 განკარგულების საფუძველზე (დამტკიცდა 2009 წელს).[35] შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნულმა კონცეფციამ და სამოქმედო გეგმამ (შემდგომ გამოყენებულ იქნება - სამოქმედო გეგმა) განსაზღვრა სახელმწიფო სტრატეგია 5 წლის განმავლობაში ექვსი მიმართულებით. ესენია: *კანონის უზენაესობა; განათლება და სახელმწიფო ენა; მედია და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა; პოლიტიკური ინტეგრაცია და სამოქალაქო მონაწილეობა; სოციალური და რეგიონალური ინტეგრაცია; კულტურა და თვითმყოფადობის შენარჩუნება.* აქვე მოცემულ იქნა თითოეული მიმართულების შესატყვისი სამოქმედო გეგმა ქვეამოცანების დაწვრილებითი დიფერენცირებით, რომლებშიც გათვალისწინებულია მთელი საქართველოს მასშტაბით ეთნიკურ უმცირესობათა კულტურისა და კულტურულ უფლებათა დაცვისათვის განსახორციელებელი ზოგადი ხასიათის ღონისძიებებიც (*საქართველოს ეროვნული უმცირესობების კულტურის მხარდაჭერის პროგრამა; რეგიონული ბიბლიოთეკების, საკლუბო*

[34] ჩარჩო კონენცია ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ. სტრასბურგი 1.02.1995 საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი 01.02.1995.
https://matsne.gov.ge/ka/document/view/1244853?publication=0.ნანახია 25.05. 2021.

[35] საქართველოს მთავრობის განკარგულება N348 2009 წლის 8 მაისი.
https://matsne.gov.ge/ka/document/view/2091642?publication=0. ნანახია 25.05 2021.

*დაწესებულებებისა და სახელოვნებო სკოლების ხელშეწყობა; ეროვნულ უმცირესობათა მატერიალური და არამატერიული კულტურული ფასეულობების დაცვა*), დაფიქსირებულია ამ ღონისძიებათა შემსრულებელი სტრუქტურები და გაწერილია შესრულების ვადებიც- 2009-2014 წლები. კონცეფციაში გათვალისწინებულ იქნა მისი და სამოქმედო გეგმის კოორდინირებისა და მონიტორინგის სტუქტურული ერთეულებიც. მათგან უმთავრესია სახელმწიფო მინისტრის აპარატი შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში, რომელმაც შეაფასა ეროვნული კონცეფციისა და 2009-2014 წლების სამოქმედო გეგმა სათანადო დოკუმენტით.[36] ის კი, თავის მხრივ, ეფუძნება სხვადასხვა ადგილობრივი და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ მომზადებულ შეფასებებს, ეთნიკური უმცირესობების სფეროს ექსპერტთა კვლევებს, სახალხო დამცველის ყოველწლიურ ანგარიშებს, სახალხო დამცველთან არსებულ ეროვნულ უმცირესობათა საბჭოების მონიტორინგის შედეგებსა და ა. შ. ამგვარი კომპლექსური კვლევა ყოველწლიურად ტარდება, რომლის არსებით ხასიათს, ცხადია, განსაზღვრავს შეფასებითი სეგმენტი, ანუ ეროვნული კონცეფციისა და სამოქმედო გეგმის ექვსივე მიმართულებით დაგეგმილი პროგრამებისა და ღონისძიებების ანალიზი და შეფასება. კვლევის ავტორებს გამოაქვთ ძირითადი დასკვნები და იძლევიან რეკომენდაციებსაც არსებული ხარვეზების გამოსასწორებლად. ეს კი საშუალებას იძლევა, მიზნობრივად გაძლიერდეს სახელმწიფო მიდგომა, მათ შორის, ეთნიკურ კულტურათა დაცვის მიმართულებით.

ბუნებრივია, სახელმწიფო მიდგომა ეთნიკურ უმცირესობათა მხარდასაჭერად ქვეყნის სტრატეგიული კურსია და ამიტომ ის გაგრძელდა 2014 წლის შემდეგაც. უპირველესად, ის აისახა 2015 წლის 17 აგვისტოს საქართველოს მთავრობის განკარგულებით (განკარგულება # 1740) დამტკიცებულ 2015-2020 წლების სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო ხუთწლიან

[36] შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციისა და 2009-2014 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების შეფასების დოკუმენტი. შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი. თბილისი 2014. https://smr.gov.ge/uploads/prev/__cd492646.pdf. ნანახია 25.05 2021.

სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაში.[37] სტრატეგიის ძირითად მიზნად დასახელებულია საზოგადოების თითოეული წევრის კულტურული ფასეულობებისა და იდენტობის დაცვა. ამისათვის კი სტრატეგია და სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს აქტიურ ინტერაქციას არა მარტო ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენლებთან, არამედ ქართულენოვან მოსახლეობასთანაც. 4 ძირითად სტრატეგიულ მიზნად განისაზღვრა *ეთნიკურ უმცირესობათა თანაბრად და სრულფასოვნად მონაწილეობა სამოქალაქო და პოლიტიკურ ცხოვრებაში; მათთვის თანაბარი სოციალურ-ეკონომიკური პირობებისა და შესაძლებლობების შექმნა; ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობა ყველა დონეზე და სახელმწიფო ენის ცოდნის გაუმჯობესება; მათი კულტურის შენარჩუნება, ტოლერანტული გარემოს წახალისება.*

ამ სტრატეგიულ დოკუმენტს ახლავს 2015-2020 წლებში განსახორციელებელი ზოგადი ხასიათის სამოქმედო გეგმა ამ ოთხივე სტრატეგიული მიზნის შესაბამისად შუალედური მიზნის, ამოცანების, ზოგადი ღონისძიებების, მათი შემსრულებელი სტრუქტურებისა და შესრულების ვადების განსაზღვრით. აქ დიფერენცირებულია ეთნიკური უმცირესობების კულტურათა მიმართ სახელმწიფოს პოლიტიკის შუალედური მიზნის მხოლოდ არსებითი მიმართულებანი: *კულტურის პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში ეთნიკური უმცირესობების როლისა და მნიშვნელობის ასახვა; ეთნიკურ უმცირესობათა კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და პოპულარიზაცია; კულტურული მრავალფეროვნების წახალისება.* ბუნებრივია, ამ დოკუმენტში ვერ დასახელდებოდა კონკრეტული ღონისძიებანი. ეს სხვა სახელმწიფო სტრუქტურების პრეროგატივაა.

სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის თანახმად, ყოველი კალენდარული წლის ბოლოს შემუშავდება და საქართველოს მთავრობას წარედგინება მომდევნო წლის სამოქმედო გეგმა, რომელიც ეფუძნება სტრატეგიის ამოცანებს

[37] შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციისა და სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ. საქართველოს მთავრობა 08.05.2009. https://matsne.gov.ge/ka/document/view/2091642?fbclid=IwAR1qqVy1lWUdQo8OJSErn83QKXqZ3-wJL8jLOu_1WpPIdrqCVdxyp11jyLk&publication=0. ნანახია 25.05 2021.

და ასახავს დამატებით ჩასატარებელ ღონისძიებებს. გარდა ამისა, სტრატეგიით დასახული მიზნებისა და ამოცანების წარმატებით განხორციელებისათვის გათვალისწინებულია შუალედური და საბოლოო შეფასება. ეს დოკუმენტი ასევე ითვალისწინებს ახალ რეალობას - საქართველოსა და ევროკავშირს შორის 2014 წელს ხელმოწერილ ასოცირების ხელშეკრულებას, რომლის ერთ-ერთ მთავარ მიზნად, დემოკრატიულ რეფორმათა შორის, ეთნიკურ უმცირესობათა უფლებებისა და კულტურული მრავალფეროვნების დაცვისა და ინტეგრაციის გაძლიერებაა დასახელებული. დოკუმენტში აღნიშნულია მისი წინამორბედი-შეწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციისა და 2009-2014 წლების სამოქმედო გეგმის შესაბამისად განხორციელებული როგორც წარმატებული საქმიანობა, ასევე არსებული გამოწვევები, რომლებიც მოითხოვს შემდგომ რეაგირებას; ასევე აღნიშნულია, რომ ყოველი წლის ბოლოს პასუხისმგებელი უწყებები შეადგენენ მომდევნო წლის სამოქმედო გეგმას, რომელშიც ჩამოყალიბებული იქნება კონკრეტული პროექტები და ღონისძიებები სტრატეგიით დასახული ამოცანებისა და ზოგადი ღონისძიებების შესაბამისად უკვე მიღწეული შედეგებისა და გამოვლენილი ხარვეზების გათვალისწინებით. სტრატეგიით დასახული ამოცანებისა და ღონისძიებების განხორციელების მონიტორინგისა და შესრულებული საქმიანობის შესახებ ანგარიშგების უზრუნველსაყოფად შეიქმნა სახელმწიფო უწყებათაშორისი კომისია, რომელსაც კოორდინაციას უწევს შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი. სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის განხორციელებას უზრუნველყოფს პასუხისმგებელი უწყებანი თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში. მათი ჩამონათვალი საკმაოდ ვრცელია. მათ შორის, ცხადია, უმთავრესია საქართველოს კულტურის სამინისტრო, რომელიც უპირველესი გამტარებელია სახელმწიფო მიდგომისა ეთნოსთა კულტურების დაცვა-განვითარების მიმართულებით. კომისიის მუშაობაში ასევე მონაწილეობს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატთან არსებული ეროვნულ უმცირესობათა საბჭოები, რომლებიც ყოველწლიურად ახორციელებს

სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგს.

გავეცნოთ 2015-2019 წლების სამუშაო გეგმის ანგარიშების ზოგად ტენდენციებს. ისევე როგორც 2009-2014 წლების სამოქმედო გეგმის შეფასება-მონიტორინგის ანგარიშების, ამ ანგარიშების მიზანიც ქვეყანაში სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დაცვის თვალსაზრისით არსებული მდგომარეობის მონიტორინგი და ობიექტური შეფასებაა; ამ სფეროში შემდგომი პროგრესის ხელშესაწყობად რეკომენდაციების შემუშავება და მათი შესრულების ადვოკატირება.

ანგარიშის მთავარ კითხვებად განისაზღვრა: 1. *ხორციელდებოდა თუ არა სამოქმედო გეგმის შესრულება ეროვნულ უმცირესობების მონაწილეობითა და მათთან თანამშრომლობით;* 2. *რამდენად რელევანტურია სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული და განხორციელებული აქტივობები?* 3. *რამდენად ეფექტიანად სრულდება სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობები?*

მონიტორინგი ჩატარდა ამ დოკუმენტის ოთხი სტრატეგიული მიზნის შესაბამისად, სათანადო შეფასება მიეცა თითოეულის შესრულების ხარისხს რეგიონების მიხედვით. ანგარიშის დასაწყისში დაწვრილებითაა გადმოცემული მონიტორინგის მექანიზმი და ინსტრუმენტები, აღნიშნულია, რომ მონიტორინგის საწყის ეტაპზე ექსპერტების მიერ ჩატარდა საბაზისო მოკვლევა, რომლის შედეგად მოხდა მონიტორინგის რესპონდენტების (სახელმწიფო უწყებებისა და სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესში ჩართული დაინტერესებული მხარეების) იდენტიფიცირება, შემდეგ, სრულყოფილი ინფორმაციის მიღების მიზნით, სახალხო დამცველის მიერ (მონიტორების მიერ შემუშავებული კითხვარების საფუძველზე) 25 სახელმწიფო უწყებიდან გამოთხოვილ იქნა წერილობითი ინფორმაცია. მის საფუძველზე ჯგუფის წევრებმა ჩაატარეს სამაგიდო კვლევა, ანალიზი და რეგიონების მიხედვით დაადგინეს სტრატეგიული მიზნებისა და სამოქმედო გეგმების შესაბამის ღონისძიებათა შესრულების რაოდენობა და ხარისხი. რაც შეეხება, ეთნიკურ უმცირესობათა კულტურული მემკვიდრეობის დაცვასა და პოპულარიზაციას, ანგარიშის ამ ნაწილში დაწვრილებითაა ჩამოთვლილი ეთნიკურ

უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში სად, როდის და რა სახის კულტურული ღონისძიება ჩატარდა, ამავე დროს, დაფიქსირებულია კონკრეტული ხარვეზებიც რეგიონების მიხედვით. ეთნიკურ უმცირესობათა მხარდაჭერის მიმართულებით ანგარიშში ხაზი გაესვა კულტურის სამინისტროს მიერ 2016 წლიდან გამოცხადებულ ღია საგრანტო კონკურსის პროგრამას, რომელიც უშუალოდ ეხება საქართველოში მაცხოვრებელი ეთნიკურ უმცირესობათა შემოქმედებისა და კულტურის წარმოჩენას. როგორც დედაქალაქში, ასევე რეგიონებში ყოველწლიურად ფინანსდება და ხორციელდება 15-20 კულტურული პროექტი. მონიტორების მიერ მოცემულია ვრცელი ჩამონათვალი რეკომენდაციებისა, რომლებიც ეხება კონკრეტულ რეგიონში არსებულ კონკრეტულ ხარვეზს.

რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ 2009-2014 და 2015-2020 წლებში შემუშავებული სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული სამოქმედო გეგმები და შემდგომი ანგარიშები ასახავს ინფორმაციის სრულ სპექტრს სხვადასხვა პროფილის უწყებების მიერ ჩატარებული სამუშაოების შესახებ თბილისსა და რეგიონებში ეთნიკურ უმცირესობათა ხელშეწყობის კუთხით.

ჩვენ მიერ მიმოხილვითად და მხოლოდ ამ დროს არსებული ტენდენციების საჩვენებლად წარმოდგენილი ეთნიკურ უმცირესობათა კულტურის მხარდამჭერი არაერთფეროვანი, გააზრებული და კომპლექსური ქმედებებანი, კოორდინირებული სახელმწიფო სტრუქტურების მიერ, გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ XXI საუკუნის დასაწყისში უკვე ჩანს, რომ სახელმწიფოს აქვს ეთნიკურ უმცირესობათა კულტურის მხარდაჭერის მიმართულებითა და საერთაშორისო ვალდებულებების ამსახველი დოკუმენტებით გამყარებული სახელმწიფო მიდგომა, უფრო სწორედ, ამ დროისთვის ეთნიკური ერთეულების კულტურათა მიმართ სახელმწიფო პოლიტიკის აქცენტები და ტენდენციები უკვე გამოკვეთილია. აქედან გამომდინარე, ის უნდა მივიჩნიოთ 2009-2019 წლებში ეთნიკური უმცირესობების მხარდასაჭერად შემუშავებული სახელმწიფო მიდგომის წინაპირობად, რადგან მთლიანად XXI საუკუნის დასაწყისის სახელმწიფო

პოლიტიკას ეთნოსთა კულტურის მიმართ ჯერ კიდევ არ ჰქონდა სისტემური სახე. ეს რთული და მრავალპლასტიანი პროცესი სწორედ 2009 - 2019 წლებში წარიმართა სხვადასხვა სახელმწიფო ინსტიტუტუციის მიერ.

## 3.3. მცირე ეთნოსების კულტურათა მხარდამჭერი სახელმწიფო პოლიტიკის განმახორციელებელი ინსტიტუციები (2009-2019)

ა) სახელმწიფო დაქვემდებარებაში მყოფი სსიპ ინსტიტუციები: თეატრები, მუზეუმები. ეთნიკური უმცირესობების კულტურათა თვითმყოფადობის შენარჩუნებისა და ქართულ კულტურასთან ინტეგრაციის მიზნით მათი მუშაობის ზოგადი ტენდენციების მიმოხილვა

2009-2019 წლებში ეთნოსების კულტურათა მიმართ სახელმწიფო მიდგომის დინამიკა გამოიხატა მის სისტემურ ხასიათში, კულტურული ინსტიტუციების საქმიანობის გააქტიურებაში. მათ შორის, უპირველესად, გამოსაყოფია თეატრები და მუზეუმები, რომლებიც 2009 წლიდან სსიპ ფორმით დაფუძნებული სახელმწიფო ორგანიზაციების სახით მოექცნენ სამინისტროს სუბსიდიაზე მყოფი ორგანიზაციების ნუსხაში. ესენია: სსიპ დ. ბააზოვის სახელობის საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული და სსიპ მირზა ფათალი ახუნდოვის აზერბაიჯანული კულტურის მუზეუმები, სსიპ თბილისის პეტროს ადამიანის სახელობის სომხური, სსიპ ჰეიდარ ალიევის სახელობის აზერბაიჯანული და სსიპ ალექსანდრე გრიბოედოვის სახელობის რუსული დრამატული თეატრები. მას 2010 წელს დაემატა სსიპ სმირნოვების მუზეუმი. 2009 წლის შემდეგ უწყვეტად ხორციელდება ეთნიკურ უმცირესობათა კულტურის დაცვა-განვითარების, პოპულარიზაციის, თვითგამოხატვისა და ქართულ სივრცეში მათი შემდგომი ინტეგრირებისათვის აუცილებელი ფინანსური, ორგანიზაციული და მორალური მხარდაჭერა. ამ ინსტიტუციების რაოდენობიდან და სახელმწიფოს დახმარებით მათი ათწლიანი საქმიანობის მასშტაბიდან გამომდინარე, ცხადია, აქ შეუძლებელია მათი მუშაობის გამოწვლილვით განხილვა, თუმცა საერთო ტენდენციების გამოკვეთისა და სათანადო დასკვნის გამოტანის საშუალებას იძლევა ჩვენ მიერ

ქვემოთ წარმოდგენილი მასალა, რომელშიც დაფიქსირებულია ეთნოსების კულტურული ინსტიტუციების პროფესიული საქმიანობის ზუსტი ფაქტობრივი მონაცემები.

საქართველოს კულტურის სამინისტროს მიერ სსიპ ორგანიზაციებისთვის გაწეული მხარდაჭერა განხორციელდა სხვადასხვა პროგრამისა თუ პროექტის სახით. მათგან ხაზი უნდა გაესვას ჩვენ მიერ წინა ქვეთავში უკვე დასახელებულ, 2009 წლიდან შემუშავებულ ეროვნულ უმცირესობათა (2014 წლიდან მას ეწოდა ეთნიკურ უმცირესობათა) კულტურის მხარდაჭერის პროგრამას. კულტურის სამინისტროს მხრიდან სსიპ ორგანიზაციების დასაფინანსებლად გაცემული თანხის შესახებ ჩვენ მიერ მოპოვებული დაწვრილებითი ინფორმაციის საფუძველზე დავადგინეთ, რომ ამ კულტურული ინსტიტუციების ბიუჯეტს 2009-2019 წლებში მზარდი ტენდენცია ჰქონდა, კერძოდ, გაიზარდა თეატრსა და მის გარეთ, ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში გამართული სპექტაკლების რაოდენობა, მზარდია საგასტროლო მონაცემებიც და მაყურებელთა რაოდენობაც. გარდა ამისა, სამინისტრო ფინანსურად უზრუნველყოფდა სსიპ ორგანიზაციების მიერ ჩატარებულ ეთნოსთა კულტურის პოპულარიზაციის მხარდამჭერ სხვა ღონისძიებებსაც.

2009-2019 წლებში სსიპ ეთნომუზეუმებისა და თეატრების საქმიანობიდან გამოვყოფთ მხოლოდ რამდენიმე საეტაპოს. ეთნომუზეუმების საქმიანობის სპეციფიკა საერთოდ, განსაკუთრებით კი, ქართულ კულტურულ სივრცეში, შესაძლებლობას აძლევს მათ, რომ საზოგადოებისთვის მისაწვდომი გახადონ მათი იდენტობის გამომხატველი კულტურის ძველი ექსპონატები, მუზეუმშივე, სხვადასხვა ღონისძიების სახით, აღნიშნონ მათი ეთნოსისთვის მნიშვნელოვანი თარიღები და ამით ხელი შეუწყონ ეროვნული თვითშეგნების ამაღლებას. 2009 წლის საქმიანობიდან შეიძლება დასახელდეს აზერბაიჯანული კულტურის მუზეუმში, მუდმივი ექსპოზიციების პარალელურად, ნოვრუზ-ბაირამისადმი, 20 იანვრისა და ხოჯალის ტრაგედიებისადმი მიძღვნილი საღამოების, ფილმის პრეზენტაცია, პოეზიის საღამოებისა და საზეიმო კონცერტების გამართვა. 2010-2011 წლებში გაგრძელდა კულტურის სამინისტროს პროგრამა-ეროვნულ/ეთნიკურ უმცირესობათა კულტურის მხარდაჭერა. აზერბაიჯანული

კულტურის მუზეუმში დაფინანსდა ხალიჩების გამოფენა (2011 წ.); ამის გარდა, აქ ჩატარდა სხვადასხვა სახის 17 ღონისძიება, მათ შორის, მოეწყო მ. ახუნდოვის საღამო (2011 წ.). 2012-2013 წლებში, სამინისტროს ფინანსური დახმარებით, ეთნიკურ უმცირესობათა მუზეუმებს მიეცათ საშუალება, მათი კულტურული ტრადიციების შენარჩუნება-აღორძინების მიზნით, განეხორციელებინათ არაერთი ღონისძიება: აზერბაიჯანული კულტურის მუზეუმთან შეიქმნა აზერბაიჯანული ხელით ნაქსოვი ხალიჩებისა და ხალიჩების ქსოვის ტექნოლოგიის შემსწავლელი წრეები და დამზადდა აზერბაიჯანული ხალიჩების უძველესი ესკიზები (2012 წ.). ეს პროექტი გაგრძელდა შემდეგ წელსაც, კერძოდ, მუზეუმში მოეწყო აზერბაიჯანული ტრადიციული ხელით ნაქსოვი გობელენებისა და სხვა ნამუშევრების გამოფენა (2013 წ.). იმავე მუზეუმში გაიმართა საქართველოს დამოუკიდებლობისა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საარქივო მასალების გამოფენა და მირზა ფათალი ახუნდოვის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო (2018 წ.); გამოიფინა აზერბაიჯანული კულტურული მემკვიდრეობის ამსახველი მასალა, წარმოდგენილ იქნა ნოვრუზ ბაირამის ტრადიციული სუფრა; მუზეუმის მიმდებარე სკვერში ჩატარდა სახალხო კონცერტი ქართული და აზერბაიჯანული მუსიკისა და ცეკვის ანსამბლების მონაწილეობით (2019 წ.); გაიმართა აზერბაიჯანელ და ქართველ ახალგაზრდა ხელოვანთა ერთობლივი გამოფენა (2019 წ.).

გ. ბააზოვის სახელობის საქართველოს ებრაელთა მუზეუმმა გამოსცა წიგნი ,,მტკვარ-არაქსის კულტურის პრობლემები“, ასევე სხვა სამეცნიერო ნაშრომები; მოეწყო ქართველ ებრაელთა საღამო თეატრში ,,ვერიკო” (2011 წ.). სარეაბილიტაციო-სარემონტო სამუშაოების შემდგომ გაიხსნა გ. ბააზოვის სახელობის ებრაელთა ეთნოგრაფიულ-ისტორიული მუზეუმი და მოეწყო ებრაელი ხალხის საქართველოში ყოფა-ცხოვრების ამსახველი ექსპონატების გამოფენა (2014 წ.); ჩატარდა სამეცნიერო კონფერენცია „თბილისი-იერუსალიმი“(2014 წ.); მოხდა მუზუმის ფონდების ინვენტარიზაცია და შეიქმნა ინვენტარიზაციის ელექტრონული პლატფორმა (2016 წ.).. ებრაელთა მუზეუმმა უმასპინძლა ისრაელში მცხოვრები ცნობილი ქართველი ებრაელი მხატვრის, თ.

იაკობაშვილის (1959-2018 წწ.), პერსონალურ გამოფენას (2018 წ.); მუზეუმში გაიმართა ცნობილი ქართველი ებრაელი პოეტისა და მთარგმნელის ჯემალ აჯიაშვილის (1944-2013) ხსოვნის საღამო (2018 წ.). მუზეუმში ჩატარდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსების 100 წლის, ისრაელის სახელმწიფოს დაარსების 70 წლისა და ებრაელთა საქართველოში 2600-წლოვანი ისტორიისადმი მიძღვნილი საღამო, სახელწოდებით „საქართველო-ისრაელი"(2018 წ.); იქვე გაიმართა ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცული ებრაულწარწერიანი საფლავის ქვების გამოფენა (2018 წ.).

სსიპ სმირნოვების მუზეუმში დასრულდა ინვენტარიზაციის პროცესი და მზადება მუზეუმის გახსნისათვის (2016 წ.), 2017 წელს კი გაიხსნა მუზეუმი, სადაც კულტურულ-საგანამათლებლო ფორმატში ჩატარდა „ღია გაკვეთილი სმირნოვების მუზეუმში“ (2018 წ.); ევროპის მემკვიდრეობის დღეების ფარგლებში კი მოეწყო აქ დაცული გერმანული ექსპონატების ექსპოზიცია (2018 წ.).

ეთნომუზეუმების საქმიანობა იძლევა იმის თქმის შესაძლებლობას, რომ სამინისტროს მიერ მათი მხარდაჭერა შთამბეჭდავია, ისევე როგორც თავად ამ ინსტიტუციების ძალისხმევა, გაუწიოს საკუთარ კულტურას არა მხოლოდ პოპულარიზაცია, არამედ იზრუნოს მისი თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად, რაც ტოლფასია ეროვნული იდენტობის შენარჩუნებისა.

ამავე მიზანს ემსახურებოდა 2009-2019 წლებში ეთნოთეატრების საქმიანობაც. 2009 წელს სომხურმა თეატრმა წარმოადგინა 2 პრემიერა და გამართა გასვლითი სპექტაკლები მარნეულისა და ბოლნისის რაიონების სოფლებში; აზერბაიჯანულ დრამატულ თეატრში შედგა ასევე 2 პრემიერა და ჩატარდა საქველმოქმედო სპექტაკლები მარნეულის რაიონის სოფლებში (2009 წ.); 2010 წლის ღონისძიებათაგან გამოსაყოფია სომხურ დრამატულ თეატრში მათი უშუალო სადადგმო საქმიანობის პარალელურად გამართული სომხეთის კულტურის დღეები; სომხეთის დამოუკიდებლობის 20 წლისთავთან დაკავშირებით სომხურმა თეატრმა წარმოადგინა სპექტაკლი ,,პეპო“ (2011 წ.); რუსულმა დრმატულმა თეატრმა მონაწილეობა მიიღო თბილისის II საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალში (2011 წ.); სადადგმო ხარჯით ხელი

შეეწყო სსიპ აზერბაიჯანულ თეატრს სპექტაკლისათვის ,,ლენქორანის ვეზირის თავგადასავალი“ (2012 წ.); რუსულ დრამატულ თეატრში სამინისტროს ფინანსური დახმარებით შედგა ორი სპექტაკლის პრემიერა - „ბაღდათის ზეცა“ (ვ. მაიაკოვსკის მიხედვით) და „კონკია“ (2013 წ.); ამავე თეატრმა სამინისტროს დაფინანსებით მონაწილეობა მიიღო და დიდი წარმატება მოიპოვა ქ. მოსკოვში გამართულ საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე «Золотой Витязь» (2013 წ.); სომხურმა თეატრმა წარმოადგინა 17 სპექტაკლი და სამინისტროს ხელშეწყობით დაიგეგმა სამი-ოთხი პრემიერის ჩვენება (2016-2017 წწ.); აზერბაიჯანულმა თეატრმა წარმოადგინა 1 საპრემიერო სპექტაკლი (2016 წ.) და გასვლითი სპექტაკლი აზერბაიჯანელებით კომპაქტურად დასახლებულ გარდაბანში (2017 წ.); 2016-2017 წლებში შედარებით პროდუქტიული იყო რუსული დრამატული თეატრის საქმიანობა. მის სცენაზე წარმოადგინეს 49 სპექტაკლი (2016 წ.), ხოლო 2017 წელს, ადგილობრივ გამართული სპექტაკლების გარდა, დასმა ქ. მოგილიოვში დადგა ერთი საგასტროლო სპექტაკლი. თეატრების სადადგმო შემოქმედებითი საქმიანობა გაგრძელდა 2018-2019 წლებშიც, განსაკუთრებით რუსული თეატრისა. რაც შეეხება სომხურსა და აზერბაიჯანულ თეატრებს, ისინი თავიანთ უშუალო საქმიანობას შენობათა უვარგისობისა და სარეაბილიტაციო სამუშაოების გამო არაინტენსიურად, მაგრამ მაინც ახორციელებდნენ (შენობებთან დაკავშირებით საუბარი გვექნება ქვემოთ, სხვა ქვეთავში).

2009-2019 წლებში გაწეული საქმიანობის მიმოხილვა წარმოდგენას გვიქმნის, თუ როგორ ხორციელდებოდა 2009–2019 წლებში ეთნიკურ უმცირესობათა კულტურის თვითმყოფადობის შენარჩუნებისა და ქართულ კულტურასთან ინტეგრაციისკენ მიმართული სახელმწიფო ეთნიკური კულტურის პოლიტიკა.

**ბ) ეთნიკური უმცირესობების (უძრავი მატერიალური) კულტურული მემკვიდრეობის დაცვა-შენარჩუნების საკითხების მიმოხილვა**

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის საკითხებს დღეს კურირებს 2008 წელს შექმნილი სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის

დაცვის ეროვნული სააგენტო[38], რომლის მიზნებად და ამოცანებად განისაზღვრა მატერიალური და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ყველა სახის ძეგლთა დაცვა, კვლევა, პოპულარიზაცია, მონიტორინგი, დოკუმენტირება, საგანმანათლებლო და საერთაშორისო პროექტების განხორციელება და ა. შ. სააგენტოს ფუნქციის შემსრულებელი წინამორბედი ორგანიზაციების არსებობის ისტორია უკავშირდება XIX საუკუნეს, როცა ცალკეულმა მოღვაწეებმა და ორგანიზაციებმა დაიწყეს ზრუნვა საქართველოს მრავალსახოვანი კულტურული მემკვიდრეობის, მათ შორის, უძრავი ძეგლების დაცვაზე. ეს უფრო ინტენსიურად და კვალიფიციურად გაგრძელდა XX-XXI საუკუნეებში, მისი აღსრულება კი სხვადასხვა დროს ევალებოდა სხვადასხვა უწყებას. დღეს საქართველოში აღნუსხულია კულტურული მემკვიდრეობის 20 000-მდე უძრავი ძეგლი, მათ შორისაა, ცხადია, ეთნიკურ უმცირესობათა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებიც, იქნება ეს მუზეუმები, თეატრები, ცალკეულ კონფესიათა საკულტო ძეგლები თუ სხვა. 2004 წელს საქართველოს კულტურის სამინისტროს სტრუქტურაში შეიქმნა კულტურული მემკვიდრეობის დეპარტამენტი, რომელმაც დამკვეთისა და მაკონტროლებლის ფუნქცია შეითავსა. სახელმწიფო პოლიტიკის გატარებისა და დარგის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, შემუშავდა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის პროგრამაც მზარდი დაფინანსების ტენდენციითა და კულტურული მემკვიდრეობის მართვის ევროპულ მოდელთან მისადაგებული სტრუქტურით.

ცხადია, ეთნიკურ უმცირესობათა კულტურული ძეგლების რაოდენობა შედარებით მცირეა, თუმცა მათ დაცვას, რეაბილიტირებას, რესტავრაციას, განურჩევლად იმისა, ექნება მათ მინიჭებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი თუ არა, უდიდესი მნიშვნელობა აქვს. როგორც წესი, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი შენობა-ნაგებობას ენიჭება მისი გამორჩეული ისტორიულ-კულტურული თუ არქიტექტურული მახასიათებლებიდან გამომდინარე და იგი არ არის დიფერენცირებული

[38]საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო მინისტრის ბრძანება3/331. 2008 წლის 21 ნოემბერი.
https://www.heritagesites.ge/ka. ნანახია 30.05.2021.

რომელიმე ეთნოსისა თუ კონფესიისადმი კუთვნილების მიხედვით. 2009-2019 წლებშიც სხვადასხვა ეთნიკური უმცირესობის მრავალი კულტურული თუ საკულტო ნაგებობის დაცვა-რეაბილიტირება იქცა სახელმწიფოს ზრუნვის ობიექტად საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, რაც, ცხადია, აძნელებს ამ კუთხით ჩატარებული სამუშაოს სრული სურათის წარმოჩენას. ამიტომ აქაც შერჩევის პრინციპით ვისარგებლებთ, ყურადღებას შევაჩერებთ კულტურული მემკვიდრეობის ცალკეულ ობიექტებზე და შევეცდებით, მათი მეშვეობით განზოგადებულად წარმოვაჩინოთ სახელმწიფო პოლიტიკა ეთნიკურ უმცირესობების კულტურათა მიმართ.

ერთ-ერთი ასეთი ობიექტია სსიპ მირზა ფათალი ახუნდოვის თბილისის აზერბაიჯანული კულტურის მუზეუმი, რომლის შენობა რეაბილიტაციას საჭიროებდა. სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ეს შენობა 2009 წელს აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო ნავთობის კომპანიას გადაეცა პირდაპირი მიყიდვის ფორმით. მასვე დაევალა გადაცემული ქონების ბაზაზე მუზეუმის ფუნქციონირების უზრუნველყოფა და აღნიშნული შენობის რეკონსტრუქცია. ვინაიდან შენობას სამინისტროს მიერ მინიჭებული აქვს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი, მისი, როგორც ძეგლისა და მასში დაცული კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების დაზიანებისა და განადგურებისაგან დასაცავად 2009 წელს საქართველოს კულტურის სამინისტროს, ქ. თბილისის მერიას, აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო ნავთობკომპანიის საქართველოს წარმომადგენლობას შორის დაიდო ხელშეკრულება ძეგლის მოვლა-პატრონობის შესახებ. მეორე ეთნომუზეუმი, რომლის შენობა ასევე წლების განმავლობაში ავარიულ მდგომარეობაში იყო, დღევანდელი სახელდებით სსიპ დავით ბააზოვის სახელობის საქართველოს ებრაელთა და ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა ისტორიის მუზეუმია, რომელიც სხვადასხვა წელს თბილისის სხვადასხვა შენობაში იყო განთავსებული. იგი 1951 წელს დაიხურა და აღდგა 1992 წელს. მიუხედავად ამისა, წლების განმავლობაში მისი შენობის რეაბილიტაცია, ფინანსური თუ სხვა წინააღმდეგობების გამო, მოუგვარებელი იყო ისევე, როგორც მისი კუთვნილი ეპიგრაფიკული, ხელნაწერი,

არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული, ისტორიული, მხატვრული მასალის, არქივებისა და ა. შ. დაცვის პრობლემა. 2014 წელს ფონდ „ქართუს“ დახმარებით მოხერხდა მუზეუმის კუთვნილი შენობის რეაბილიტაცია და მუზეუმი შეუდგა თავისი ფუნქციის სრულფასოვნად აღსრულებას. საგულისხმოა, რომ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ინიცირებით, 2018 წლის აპრილში არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი და ეროვნული კატეგორია მიენიჭა ქართულ-ებრაული 26 საუკუნოვანი უნიკალური ურთიერთობის ტრადიციას და ამ მნიშვნელოვანი მოვლენის პრეზენტაცია მოხდა სწორედ ამავე მუზეუმში როგორც ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა ისტორიის ერთ-ერთ მთავარ კულტურულსა და სამეცნიერო ცენტრში.

თბილისში არსებული სსიპ ჰეიდარ ალიევის სახელობის თბილისის აზერბაიჯანული და სსიპ პეტროს ადამიანის სახელობის სომხური პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრების შენობები გარკვეული წლები ავარიული იყო და ისინი 2014 წელს კულტურის სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირების ინფრასტრუქტურული სახის საჭიროებების განმხილველი კომისიის მიერ შეყვანილ იქნა სარეაბილიტაციო შენობების პრიორიტეტულ ნუსხაში. თავად რეაბილიტაცია რთული და მრავალწლიანი აღმოჩნდა, რომელიც უკავშირდებოდა არაერთი ფინანსური, ტექნიკურ-სამშენებლო თუ ბიუროკრატიული პრობლემის გადაწყვეტას. ამის გამო საფრთხის ქვეშ აღმოჩნდა ამ კულტურული ორგანიზაციების მიერ თავიანთი უშუალო ფუნქციის სრულფასოვნად შესრულება. აზერბაიჯანული თეატრის შენობის რეაბილიტირების საკითხი ჯერაც მოუგვარებელია და დაკავშირებულია საქართველო-აზერბაიჯანს შორის რიგი საკითხების (ახალი შენობის აგება, მისთვის განკუთვნილი ადგილის გამოყოფა და სხვ.) შეთანხმება-გადაწყვეტასთან. რაც შეეხება სსიპ პ. ადამიანის სახელობის სომხურ პროფესიულ სახელმწიფო დრამატულ თეატრს, მისი შენობის რეაბილიტაციის დაწყება 2017 წელს ითავა ფონდმა „ქართუმ“ და ეს პროცესი დასასრულს მიუახლოვდა.

საქართველოს მთელ ტერიტორიაზე არცთუ უმნიშვნელო რაოდენობისაა ებრაელთა, სომეხთა და აზერბაიჯანელთა საკულტო ძეგლებიც. მათგან, უპირველესად, აღვნიშნავთ სომხური საკულტო ძეგლების შედარებით სიმრავლეს. საბჭოთა პერიოდში საქართველოში არსებული ყველა რელიგიური ნაგებობა ჩამოერთვა მათ მფლობელებს და გადავიდა სახელმწიფო საკუთრებაში. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ კი რელიგიურ კონფესიებს, მათი მოთხოვნის საფუძველზე, საკულტო ობიექტები კანონმდებლობით დადგენილი წესით გადაეცათ საკუთრებაში. 2002 წელს საქართველოს მართლმადიდებლურ ავტოკეფალურ ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის გაფორმდა კონსტიტუციური შეთანხმება (კონკორდატი). რომელიც  აღიარებს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე არსებულ მართმადიდებლურ ტაძრებს, მონასტრებს (მოქმედსა და არამოქმედს), მათ ნანგრევებს, აგრეთვე მიწის ნაკვეთებს, რომლებზეც ისინია განლაგებული") ეკლესიის საკუთრებად [39] სხვა რელიგიურ კონფესიებთან მიმართებით სახელმწიფოს მიერ მსგავსი აქტი მიღებული არ ყოფილა. მიუხედავად ამისა, სახელმწიფო ზოგადად, კონკრეტულად კი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო, თავისი ვალდებულების შესაბამისად, ზრუნავს საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ ყველა მცირე ეთნოსის საკულტო ძეგლებზეც. რაც შეეხება ჩვენს ქვეყანაში არსებულ სომხურ საკულტო ძეგლებს, ზოგიერთი მათგანის კონფესიურ წარმომავლობა-კუთვნილებაზე დღემდე მიდის სჯა ქართველსა და სომეხ მეცნიერთა შორის. ამ ცალკეული, გამონაკლისი და სადავო შემთხვევების მიუხედავად, სომხური რელიგიისა და კულტურის არაერთ ძეგლს სათანადო დაფინანსებით ჩაუტარდა რეაბილიტაცია-რესტავრაცია, მაგალითად, თბილისში 2013 წელს განხორციელდა შამქორელთა ღვთისმშობლის (კარმირ ავეტარანი) ეკლესიის რეაბილიტაციის პროექტი; 2014 წელს - სურბნიშნის ტაძრის სარეაბილიტაციო სამუშაოების მესამე ეტაპი; 2015 წელს მოხდა თბილისში ნორაშენის ტაძრის რეაბილიტაციის პროექტის კორექტირება. 2014-

[39] საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო საქართველოს პარლამენტის დადგენილება „საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის" კონსტიტუციური შეთანხმების დამტკიცების შესახებ .საქართველოს პარლამენტი 22.10.2002.
https://matsne.gov.ge/ka/document/view/41626?publication=0  ნანახია 25.05  2021.

2015 წლებში თბილისში ჩატარდა მცირე ეთნოსთა საკულტო ნაგებობების ინვენტარიზაცია. ამასთანავე, საკონსერვაციო მდგომარეობის შეფასების პროექტის ფარგლებში შესწავლილ იქნა 2 სინაგოგა; 1 მეჩეთი; ათეშგა (ზოროასტრული კულტის ტაძარი); 2 კათოლიკური და 8 სომხური ეკლესია. ამ უკანასკნელთაგან აღსანიშნავია სურბ-გევორქის ტაძრის რეაბილიტაცია; შამქორეცის სომხური ეკლესიის ნანგრევების კონსტრუქციული გამაგრება და კონსერვაციის პროექტის შედგენა; 2016 წელს ერევანცოც სურბ მინასის ბაზილიკის რეაბილიტაცია. ასევე აღსანიშნავია თბილისში თანდოიანთა სურბ ასტვაწაწინის, ღვთისმშობლის, ბაზილიკა, რომელიც ძალიანაა დაზიანებული. ნაგებობას არ აქვს მინიჭებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი, თუმცა ექცევა ძეგლის ერთიან საკადასტრო ნუსხაში და მასზე ვრცელდება კულტურული მემკვიდრეობის შესახებ საქართველოს კანონით დადგენილი სამართლებლივი რეჟიმი. 2016 წელს თბილისის განვითარების ფონდის მიერ პროექტ „ახალი თბილისის“ ფარგლებში მომზადდა ეკლესიის კონსერვაციის პროექტი, ასევე განხორციელდა სამუშაოების დიდი ნაწილი.

2017 წელს განხორციელდა ჯავახეთში მდებარე სომხური მონოფიზიტური ძეგლების ინვენტარიზაცია, რომლის ფარგლებში სხვადასხვა დროს მოექცა ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის 27, ახალქალაქის მუნიციპალიტეტის 62, ასპინძის მუნიციპალიტეტის სამი და ბორჯომის მუნიციპალიტეტის ორი დასახლებული პუნქტი.

მუსლიმურ საკულტო ძეგლებთან დაკავშირებით უნდა აღვნიშნოთ, რომ 2012 წელს ახალციხის, ასპინძის, ადიგენის მუნიციპალიტეტებში 22 მეჩეთს, რაბათის კომპლექსს, მინარეთს მიენიჭა კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი; 2014-2015 წლებში ბოლნისის მუნიციპალიტეტის ორ სოფელში - სავანეთსა და ჭაფალაში მომზადდა იქ არსებული აზერბაიჯანული მავზოლეუმების ინვენტარიზაცია და რეაბილიტაციის პროექტი; ქობულეთში ჩატარდა მუსლიმური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის - კვირიკეს ჯამეს სარეაბილიტაციო სამუშაოები. საერთო ჯამში, განხორციელდა 126 ძეგლისა და ობიექტის მდგომარეობის შესწავლა/ფიქსაცია და მონიტორინგი.

2018 წელს განხორციელდა სამცხე-ჯავახეთში არსებული კათოლიკური ძეგლების ინვენტარიზაცია, მოხდა 18 ობიექტის შესწავლა და ფოტოფიქსაცია, 20 ძეგლის მონიტორინგი. 2017 წელს გ. ჩიტაიას სახელობის ეთნოგრაფიულ მუზეუმში სახელმწიფოს მხარდაჭერით დასრულდა ოსური სახლის რეაბილიტაცია და ის საზეიმოდ გაიხსნა.

მცირე ეთნოსთა უძრავ ძეგლთა დაცვის თვალსაზრისით, აუცილებლად უნდა აღინიშნოს XIX საუკუნეში საქართველოში დასახლებული გერმანელი კოლონისტების ყოფით-ინფრასტრუქტურული ობიექტებისა და კულტურულ-რელიგიური მემკვიდრეობის ძეგლების აღდგენა-რეაბილიტირება. ამ მიზნით 2015-2016 წლებში, კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოს დაფინანსებით, განხორციელდა მათი შესწავლა (შემსრულებელი - სამხრეთ კავკასიაში გერმანული კულტურული მემკვიდრეობის დაცვის კავშირი). ინვენტარიზაციის ფარგლებში იდენტიფიცირდა 23 გერმანული დასახლება ავთენტური სახელითა და მდებარეობით, გაკეთდა თითოეული მათგანის რუკა, სადაც ზუსტი გეოგრაფიული კოორდინატებით დატანილ იქნა იქ არსებული ყველა გერმანული შენობა, გამოვლინდა 1200-ზე მეტი სხვადასხვა ფუნქციის ობიექტი, მათგან 410-სთვის დამზადდა საველე და საინვენტარიზაციო ბარათი, ცხრამეტისთვის - პასპორტი, ჩატარდა ისტორიულ-საარქივო და სამეცნიერო-ბიბლიოგრაფიული კვლევა, ცალკე გაკეთდა ექვსი ყველაზე მნიშვნელოვანი დასახლების ურბანული ქსოვილის ისტორიულ-კულტურული კვლევა თემატური რუკების დართვით; კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი მიენიჭა 40-მდე ობიექტს. მათ შორის, წალკის მუნიციპალიტეტში, სოფ. თრიალეთში მდებარე თრიალეთის ეკლესიას; მომზადდა იქვე მდებარე ყოფილი ლუთერანული ეკლესიის მცირე რეაბილიტაციის პროექტი. ასურეთში წინასწარული კვლევები გაგრძელდა მრავალმხრივ საინტერესო ურბანული ქსოვილისა და არქიტექტურული ძეგლების რეაბილიტაციით, რაც, საქართველოს მთავრობის დაფინანსებით რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ მუნიციპალური განვითარების ფონდთან ერთად იტვირთა. ქართულ-გერმანული საგანძურის-ორსაუკუნოვანი გოთური სტილის სახლების აღდგენა-დაცვა-გადარჩენა 2016 წელს დაიწყო და მათ 2017

წელს პირვანდელი სახე დაუბრუნდა. საქართველოში არსებული გერმანული კულტურული მემკვიდრეობის ობიექტთა სრული ინვენტარიზაციისა და კვლევის შემდეგ გაჩნდა იდეა გერმანული არქიტექტურული მემკვიდრეობის ბეჭდური სახით გამოცემისა. 2017 წელს ააიპ სამხრეთ კავკასიაში გერმანული კულტურული მემკვიდრეობის დაცვის კავშირმა დააფინანსა წიგნის ,,გერმანული დასახლება და არქიტექტურული მემკვიდრეობა საქართველოში" გამოცემა. რაც შეეხება გერმანული კოლონისტების განსახლების მეორე ადგილს, დღევანდელ ბოლნისს, იქ 2019 წლის მიწურულს გაიხსნა თანამედროვე სტანდარტებით აგებული საქართველოს ეროვნული მუზეუმის ბოლნისის მუზეუმი, რომლის დარბაზებში ადგილობრივ მოპოვებულ არქეოლოგიურ მასალასთან ერთად გამოიფინა გერმანელი კოლონისტების არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშები და სხვა ექსპონატები, რომლებიც წარმოდგენას გვიქმნიან მათ ყოფა-ცხოვრებაზე.

2018 წლიდან საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ეროვნულმა სააგენტომ დაიწყო საქართველოში არსებული პოლონური მემკვიდრეობის კვლევის ფართომასშტაბიანი პროგრამის განხორციელება. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის პროგრამის ფარგლებში ამავე წელს განხორციელდა საქართველოს სხვადასხვა ქალაქში არსებული საარქივო მასალის დამუშავება და მის საფუძველზე შემდგომი წლების სამოქმედო გეგმის შემუშავება. 2019 წელს მიმდინარეობდა საქართველოში პოლონური კულტურული მემკვიდრეობის კომპლექსური მულტიდისციპლინური კვლევისა და ინვენტარიზაციის პროგრამის პირველი ეტაპი - პოლონელ არქიტექტორთა და ინჟინერთა მიერ დაპროექტებული შენობების, პოლონელთა კუთვნილი ან მათ ცხოვრებასა და მოღვაწეობასთან დაკავშირებული შენობებისა და სხვა ობიექტების ინვენტარიზაცია.

ზემოჩამოთვლილი ღონისძიებები ნათელს ხდის საქართველოში სხვადასხვა ეთნიკური უმცირესობის უძრავი ძეგლების დაცვა-შენარჩუნების მიზნით 2009-2019 წლებში ჩატარებული სამუშაოების მასშტაბს, მეორე მხრივ კი, ამ ღონისძიებათა კავშირს სახელმწიფოს პრიორიტეტებთან, რომლებიც აქტუალურია და უკავშირდება თარიღებსა თუ მოვლენებს (ქართულ-ებრაული

26 საუკუნოვანი მეგობრობა; საქართველო-გერმანიის ურთიერთობის 100 წლისთავი) ან სამეზობლო პოლიტიკას - სახელმწიფოთაშორის მოლაპარაკებებსა და მათთან დაკავშირებულ პროცესებს (აზერბაიჯანული და სომხური თეატრების შენობათა რეაბილიტირება); ზოგიერთი უძრავი ძეგლის (სომხური) კონკრეტული რელიგიური კონფესიისთვის მიკუთვნების მეტად აქტუალურ საკითხსა და მისი მეცნიერულად შესწავლის აუცილებლობას. ამ ძეგლების აღნუსხვა, დაცვა, თანამედროვე სტანდარტებით აღდგენა-რეაბილიტირება დაკავშირებულია ფინანსურ, ტექნიკურსა და სხვა სახის პრობლემებთან. მიუხედავად ამ კომპლექსური ხასიათის სირთულეებისა, ჩვენ მიერ მოძიებული და დამუშავებული ფაქტობრივი მასალა ცხადყოფს, რომ სახელმწიფო თანმიმდევრულად ასრულებს ვალდებულებებს კულტურის პოლიტიკის განუყოფელი სეგმენტის - ეთნიკურ უმცირესობათა უძრავი ძეგლების დასაცავად.

**გ) ეთნიკური უმცირესობების კულტურათა მხარდაჭერის მიზნით განხორციელებულ ღონისძიებათა სანიმუშო მაგალითები**

სახელმწიფო ინსტიტუციების მიერ ეთნიკური უმცირესობების კულტურათა მხარდაჭერა ვლინდება მათი არატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვასა და განვითარებაზე ზრუნვითაც, რაც რეალიზდება მთელი საქართველოს მასშტაბით კულტურასა და სახელოვნებო სფეროში სხვადასხვა პროგრამა-პროექტების ფარგლებში განხორციელებული მრავალი ღონიძიებით. ამასთან, კულტურის პოლიტიკის ეს სეგმენტი სახელმწიფოსაგან მოითხოვს მცირე ეთნოსთა ყველა ჯგუფის ჩართვას ამ ღონისძიებებში მათი შესაძლებლობის, მოთხოვნების, კულტურის დონის, ეთნიკურ-რელიგიური სპეციფიკის და ხშირად ამ უკანასკნელთან დაკავშირებული სენსიტიური, ზოგჯერ საგარეო/სამეზობლო პოლიტიკასთან შეხების წერტილის მქონე საკითხების გათვალისწინებასაც. არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის თვალსაზრისით, მრავალსაპექტიანი და მოცულობითი სამუშაო ჩატარდა 2009-2019 წლებში, რომელსაც წარმოვადგენთ კულტურისა და სახელოვნებო სფეროში ძირითადად კულტურისა სამინისტროს მატერიალური,

ორგანიზაციული და მორალური მხარდაჭერით განხორციელებულ მრავალსახოვან ღონისძიებათა სანიმუშო მაგალითების მეშვეობით.

კულტურულ ურთიერთობათა ცენტრ „კავკასიური სახლის“ მიერ 2009 წლის ღონისძიებათაგან უპირველესად დავასახელებდით საქართველოს კულტურის სამინისტროს ხელშეწყობით გამართულ სომეხი კინორეჟისორის, სერგო ფარაჯანოვის 85 წლისთავისადმი მიძღვნილსა და კავკასიური ეთნოსების ფოლკლორის საღამოებს.

2009 წელს სამინისტროს მიერ შემუშავებული ეთნიკური უმცირესობის მხარდაჭერის მასშტაბური პროგრამა მათი კულტურული ცხოვრების არაერთ სეგმენტს მოიცავს, მათ შორისაა ლიტერატურისა და ბიბლიოთეკის განვითარების ხელშეწყობის პროგრამაც. მის ფარგლებში კულტურის სამინისტრომ 2009 წელს ფინანსურად უზრუნველყო საქართველოში სომხური და აზერბაიჯანულენოვანი გაზეთების - „ვრასტანისა” და „გურჯისტანის” გამოცემა, რაც გაგრძელდა მომდევნო წლებშიც. ასევე ღირებული კულტურული მოვლენა იყო 2010 წელს გალერეა „მუზაში” გამართული თბილისელი სომეხი მხატვრების (22 მხატვარი) გამოფენა და მათი ალბომის გამოცემა. 2011 წლიდან 2019 წლის ჩათვლით სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერილ ღონისძიებათაგან საგულისხმოა რეგიონული ფესტივალი „ღია ცის ქვეშ“, რომელიც ტრადიციულად იმართება მცირე ეთნოსებით კომპაქტურად დასახლებულ სხვადასხვა რეგიონში. 2011 წელს წიგნისა და ლიტერატურის პროგრამის ფარგლებში გამოიცა ნ. ქუჩაკის ,,ას ერთი ჰაერენი” ქართულსა და სომხურ ენებზე; იგ. ობოლენსკის -,,ქალის ბედი და ,,ღირსების ფასი” (რუსულ, ფრანგულსა და ინგლისურ ენებზე); 2012 წელს კი აზერბაიჯანულ ენაზე თარგმნილი ვაჟა-ფშაველას ,,გოგოთურ და აფშინა“; ასევე სომხური ლიტერატურის ანთოლოგია ქართულ ენაზე. სამინისტროს ფინანსური და ორგანიზაციული მხარდაჭერით, 2013 წელს განხორციელდა პროექტი ქართულ-სომხური და ქართულ-აზერბაიჯანულენოვანი საინფორმაციო კომპიუტერული მეგა-თამაშები „ერთიანი საქართველო“; გამოიცა ოსი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის, გ. ძუგაევის ლექსების ორენოვანი (ქართულ-ოსური) კრებული „ოსური რომანსი“; სამინისტრომ ხელი შეუწყო ინგუში მწერლისა და საზოგადო მოღვაწის

ი. ქაჰოევის საიუბილეო კვირეულის მოწყობას (ორგანიზატორი - სსიპ ჩერქეზული (ადიღეური) კულტურის ცენტრი).

2014 წელი ქართველთა და ებრაელთა 26 საუკუნოვანი მეგობრობის წლად გამოცხადდა. ამისათვის მთავრობამ დამატებითი სახსრები გამოყო, კულტურის სამინისტრომ კი ითავა ამ თარიღისადმი მიძღვნილ ღონისძიებათა მთავარი ორგანიზატორობა და კულტურული პროგრამების ავტორობა, რომელთაგან უმნიშვნელოვანესი გახლდათ სსიპ გ. ბააზოვის სახელობის საქართველოს ებრაელთა და ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა რეაბილიტირებული მუზეუმის საზეიმო გახსნა. ამ საიუბილეო თარიღს ასევე უკავშირდება თანამედროვე მოთხოვნათა გათვალისწინებით და კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით ელექტრონული სახით მომზადებული პროექტი „26 სუკუნე“, რომელიც ქართველ და ებრაელ ხალხთა შორის ისტორიულ-კულტურული ურთიერთობების ამსახველ ყველა ღირშესანიშნავ მოვლენას ასახავდა.

მცირე ეთნოსთა ლიტერატურული მემკვიდრეობის პროპაგანდა-პოპულარიზაციის მიზნით, 2014 წელსვე გამოიცა არაერთი წიგნი: ქართულ და ოსურ ენებზე - კლასიკოსი ოსი მწერლის, ნ. ჯუსოითის ორენოვანი ლექსების კრებული ,,მთები აკვანი ჩემი“; აზერბაიჯანულ ენაზე - წიგნი ,,ასი დიდი ქართველი“; კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრ ,,ჰაირტუნის“ ინიციატივითა და სამინისტროს ფინანსური დახმარებით გამოსაცემად მომზადდა ორი ალბომი: „საქართველოს სომეხი მხატვრები მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში“ და ,“ძველი თბილისის ილუსტრაციები“.

2014 წელს დაიწყო მასშტაბური პროექტი „მრავალფეროვანი საქართველო“, რომელსაც სსიპ გ.ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის მუზეუმი და კულტურის სამინისტრო ერთობლივად ახორციელებს. პროექტი მიზნად ისახავს ყოველწლიურად ეთნიკურ უმცირესობათა კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში (ნინოწმინდა, ახალქალაქი, მარნეული, ბოლნისი, დმანისი დუისი) ახალგაზრდების კულტურული ცხოვრების გააქტიურების მიზნით 10-15 ღონისძიების გამართვას (შეხვედრები მწერლებთან, გამოფენები, კინოჩვენებები, სალექციო კურსები).

2015 წელს თბილისის კონსერვატორიაში მოეწყო ოსური კლასიკური მუსიკის საღამო; ოსი ხალხის ლიტერატურის მხარდაჭერის გამოხატულება იყო კოსტა ხეთაგუროვის ლექსების ორენოვანი - ოსურ-ქართული კრებულის გამოცემა; ჩატარდა ახალგაზრდებისთვის განკუთვნილი ქართულ-სომხურენოვანი და ქართულ-აზერბაიჯანულენოვანი მეგა თამაშები „ერთიანი საქართველო“, რათა მათ მიაწოდონ ინფორმაცია ქართული ანბანის, მუსიკის, მხატვრობის, ლიტერატურისა და გეოგრაფიის შესახებ. ამავე წელს ეროვნულ უმცირესობათა კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში (ნინოწმინდა, ბოლნისი) მოსწავლე-ახალგაზრდობა თანამედროვე ქართველ მწერლებს შეხვდა; მეექვსედ განსხვავებულ ფორმატში ბოლნისის კულტურის ცენტრში გაიმართა მულტიეთნიკური ფესტივალი „ერთი ცის ქვეშ“, რომელშიც, უმთავრესად, სახელოვნებო სკოლის მოსწავლეები (200-მდე ბავშვი) მონაწილეობდა. 2016 წელს კულტურის სამინისტროს მიერ გამოცხადდა კონკურსი „საქართველოს ცენტრსა და რეგიონებში ეთნიკურ უმცირესობათა ღონისძიებების ხელშეწყობა“. კონკურსის შედეგად დაფინანსებული ღონისძიებები მეტ-ნაკლებად ითვალისწინებდა საქართველოში მცხოვრებ ყველა ეთნიკური უმცირესობის კულტურულ ინტერესებს. ამ კონკურსის ფარგლებში განხორციელდა 7 პროექტი: ჩატარდა 4 კონკურს-ფესტივალი და გაიმართა 3 გამოფენა-კონცერტი, მაგალითად, კავშირ „დემოსის" ინიციატივით შემუშავდა პროექტი „სხვა საქართველო სად არის", რომლის ფარგლებში ქ. მარნეულში ჩატარდა ქართული სიმღერის ამავე სახელწოდების კონკურს-ფესტივალი; ამავე წელს მცირე ეთნოსებით კომპაქტურად დასახლებულ მარნეულსა და ნინოწმინდაში პროექტის- „ყველა კულტურა განსხვავებული, მაგრამ თანასწორია“ ფარგლებში გაიმართა სხვადასხვა ეთნოსის ფოლკლორული ანსამბლების კონცერტები და კონკურსები ხატვაში. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ა(ა)იპ „კავკასიური მოზაიკის“ საინიციატივო პროექტი „ქართველთა და ოსთა მეგობრობა“, რომელიც ითვალისწინებდა ადმინისტრაციული საზღვრის გამყოფ ხაზთან მდებარე სოფლების მოსახლეობისათვის კულტურული ღონისძიებების ჩატარებას. სოფ. ერგნეთში სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით მოეწყო ქართულ-ოსური ურთიერთობების ამსახველი ფოტოგამოფენა, ასევე ქართველი და ოსი

მხატვრების ნამუშევრების გამოფენა, კონცერტი და ნაციონალური კერძების დეგუსტაცია.

განსაკუთრებით გამოვყოფდით 2016 წელს პანკისის ხეობის ქისტი მოსახლეობის ინტეგრაციისა და მათი თვითმყოფადი კულტურული მემკვიდრეობის დაცვა-განვითარებისთვის კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით ჩატარებულ მრავალფეროვან ღონისძიებებს. ამ ხეობის ქისტი მოსახლეობის ეთნიკურ-რელიგიური თავისებურებებისა და იმ პერიოდში გამწვავებული პოლიტიკურ-რელიგიური ვითარების გათვალისწინებით, სამინისტრომ შეიმუშავა პროექტი „ჩვენი ხალხი - ვაინახები“, რომლის ორგანიზატორებმა იქ შერჩეული შემოქმედებითი ჯგუფების მონაწილეობით თბილისში, კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში, გამოფენა და კონცერტი გამართეს; 2016 წლის 21 მაისს სოფელ დუისში კულტურული მრავალფეროვნების დღე აღინიშნა; ღია ცის ქვეშ გაიმართა სხვადასხვა საზეიმო ღონისძიება: საზეიმო კონცერტი ადგილობრივი ფოლკლორული ანსამბლებისა და სსიპ გორის გ. ერისთავის სახელობის პროფესიული დრამატული თეატრის მსახიობთა მონაწილეობით; პროექტის - „ეროვნულ უმცირესობათა კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაცია“ - ფარგლებში ჩატარდა ერთობლივი ფოლკლორული კონცერტი თუშებისა და ვაინახების მონაწილეობით; გამოიცა ალბომი „ვაინახური ხელოვნება“. მასში თავმოყრილია ვაინახური ხელოვნების ნიმუშები, ინფორმაცია ვაინახური ტრადიციული კულტურის, უძველესი რეწვის ტექნოლოგიებისა და ოსტატების შესახებ; პანკისის ხეობაში ქართული ხელოვნების უკეთ გაცნობის მიზნით, სამინისტროს ფინანსური დახმარებით, 2016 წელსვე გაიმართა სსიპ ნ. დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა თეატრის გასტროლი პანკისის სოფლებში (დუისი, ომალო, ჯოყოლო), ასევე სსიპ „ჩრდილების თეატრის“ გასტროლი სოფ. დუისში; სსიპ აპ. ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის პედაგოგებმა ჩაატარეს მასტერკლასი პანკისის ხეობაში და მოეწყო ტრადიციული რეწვის ნიმუშთა გამოფენა.

აღნიშვნას იმსახურებს კულტურის სამინისტროს ხელშეწყობით ხალიჩების საერთაშორისო ყოველწლიური ფესტივალი ქ. ახალციხეში, რაბათის სივრცეში,

რომლის მიზანია კავკასიაში ხალიჩის ტექნოლოგიის, წარმოების, ისტორიული ტრადიციებისა და გამოცდილების გაზიარება. დამატებით შემუშავდა 2017-2019 წლების სახელმწიფო სამოქმედო გეგმა სხვადასხვა სახელმწიფო უწყების, მათ შორის, კულტურის სამინისტროს ჩართულობით პანკისში განსახორციელებელი ღონისძიებებისა და მთლიანად სახელმწიფო პოლიტიკის უფრო ეფექტიანად წარმართვის მიზნით.

2017 წელს საქართველოს ქალთა საბჭოს პროექტის - „სიყვარულის გზით" - შესაბამისად, ქ. ბორჯომში მოეწყო დამოუკიდებელ საქართველოსა და უკრაინას შორის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების 100 წლის იუბილისადმი მიძღვნილი გამოფენა და კონცერტი სამცხე-ჯავახეთში მცხოვრები უკრაინელების, ოსების, სომხების, ბერძნებისა და ქართველების მონაწილეობით, მოეწყო მათი ტრადიციული კერძების პრეზენტაცია. ა(ა)იპ „ქალთა უფლებების სათემო ინიციატივამ" მოამზადა პროექტი „საქართველოს ქურთ-ეზიდთა კულტურული მემკვიდრეობა". მის ფარგლებში მოეწყო ქურთ-ეზიდ მხატვართა და ტრადიციული ხელოვნების ოსტატთა ნამუშევრების გამოფენა თბილისში, ბათუმსა და თელავში, შესრულდა ქართულ-ეზიდური სიმღერები და ცეკვები. 2017 წელსვე საქართველოში მცხოვრები ასირიელების მიერ ჩამოყალიბებული ახალგაზრდული ორგანიზაცია „ნინევიის" ინიციატივითა და სამინისტროს დახმარებით, უძველესი ასურული ტრადიციების აღორძინების მიზნით ჩატარდა ასურული ენის დღე; წარმოდგენილ იქნა ასურული ტრადიციული კერძები, კოსტიუმების გამოფენა, ასურელი მხატვარ-დიზაინერ რ. ელდაევას გამოფენა, ანსამბლ „ნინევიას" კონცერტი.

2018 წელს ეთნიკურ უმცირესობათა ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში ჩატარდა 2 კონკურსი - „საქართველოს ცენტრსა და რეგიონებში ეთნიკურ უმცირესობათა ტრადიციული დღესასწაულებისა და საიუბილეო ღონისძიებების მხარდაჭერა" (11 პროექტი) და „ეთნიკურ უმცირესობათა თვითმყოფადობის ამსახველი გამოცემების ხელშეწყობა" (4 პროექტი). მათგან გამოვყოფთ ა(ა)იპ ორგანიზაციის- „განიარაღება და არაძალადობა" ინიციატივით მოწყობილ ბოშათა კულტურის ფესტივალს; ა(ა)იპ კულტურულ-საგანმანათლებლო და ახალგაზრდულ ცენტრ „ჰაირატუნის" მიერ გამართულ სომხურ ტრადიციულ

დღესასწაულ კათნაპურს; შპს „იარტის“ მიერ სომეხ მხატვარ ს. ჩახოიანცის (1924-2009) სურათების გამოფენასა და სხვ.

საგანგებოდ უნდა აღვნიშნოთ პოლონელების კულტურის მხარდამჭერი ღონისძიებანი, რომლებიც პოლონელთა და ქართველთა ერთობლივი ძალისხმევით ჩატარდა. 2018 წლის 17 აპრილს ქ. ქუთაისში საზეიმოდ გაიხსნა სტ. კრუკოვსკის სახელობის პოლონურ-ქართული ინტერდისციპლინური კვლევითი ცენტრი. 2019 წელს ეთნიკურ უმცირესობათა ხელშეწყობის მრავალწლიანი პროგრამის პრიორიტეტად განისაზღვრა „კულტურაზე წვდომა და კულტურული მრავალფეროვნება“, ჩატარდა კონკურსი - „ეთნიკურ უმცირესობათა თვითმყოფადობის შენარჩუნების მიზნით შემოქმედებითი საქმიანობის ხელშეწყობა“. მათი მხარდაჭერა წიგნი-ალბომებისა და კულტურული ღონისძიებების მხარდაჭერის მიმართულებით წარიმართა, გამოიცა საქართველოში მოღვაწე პოლონელ მხატვარ ჰ. ჰრინევსკის 150 წლისთავისადმი მიძღვნილი, მისი ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი წიგნი-ალბომი (საქართველოს ეროვნული მუზეუმი); პროექტის-„მრავალეროვანი საქართველოს“ ფარგლებში დაიბეჭდა ფლორენსკების ოჯახის შემოქმედებითი მემკვიდრეობის გამორჩეული ნიმუშების კატალოგი და მოეწყო გამოფენა (ხელოვნების სასახლე).

სსიპ თბილისის ნ. დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა პროფესიულმა სახელმწიფო თეატრმა განახორციელა სპექტაკლი-აქცია „სარა ბარა ბზია ბზბოით, ანუ მე შენ მიყვარხარ" ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებზე; განხორციელდა პროექტი - ,,ჰოვანეს თუმანიანი-150" (სომეხთა სამოციქულო მართლმადიდებელი წმიდა ეკლესიის საქართველოს ეპარქია). მომზადდა და დაიბეჭდა ჰ. თუმანიანის ორენოვანი საიუბილეო კრებული, მოეწყო საიუბილეო საღამოები და გაიმართა წიგნის პრეზენტაციები როგორც საქართველოში, ასევე სომხეთშიც.

2009-2019 წლებში ეთნიკურ უმცირესობათა კულტურული მემკვიდრეობის მხარდამჭერ ღონისძიებათა სანიმუშო მაგალითების განხილვა კარგად აჩვენებს მათ მასშტაბსა და მრავალფეროვნებას, ცალკეული ეთნოსების სპეციფიკის, საჭიროებებისა და განწყობების გათვალისწინებით, შედეგზე ორიენტირებულ

სახელმწიფო ქმედებებს. მიუხედავად ამისა, ზოგადად ეთნიკურ უმცირესობათა ტრადიციების დაცვის, თვითმყოფადობის შენარჩუნებისა და სამოქალაქო ინტეგრაციის მიმართულებით არსებული ეთნოპოლიტიკა განვითარებას საჭიროებს. მაგალითად, საკუთარი ინიციატივების განხორციელების უფრო მეტი შესაძლებლობა უნდა მიეცეთ ეთნიკური უმცირესობების კულტურის ცენტრებს, საინიციატივო ჯგუფებს, კვლავაც აქტუალური პრობლემაა სახელმწიფო ენის, ქართული კულტურის, აგრეთვე იმ უფლებებისა და მოვალეობების ცოდნა, რაც საქართველოს კონსტიტუციით მინიჭებული აქვთ საქართველოს მოქალაქეებს, მათ შორის, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს. ყოველივე ეს ეთნიკური უმცირესობების კულტურათა მხარდაჭერის პოლიტიკის დონეზე სახელმწიფოს მხრიდან უფრო სიღრმისეულ მიდგომებს მოითხოვს.

### დ) სახალხო დამცველის აპარატისა და ტოლერანტობის ცენტრის საქმიანობა და მისი შეფასება

მულტიეთნიკურ საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ უმცირესობათა კულტურისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა-განვითარებასთან, მათ სამოქალაქო ინტეგრაციასა და ტოლერანტობასთან დაკავშირებული საკითხებისა და ამ მხრივ არსებული გამოწვევების გადასაჭრელად 2009-2019 წლების სახელმწიფო მიდგომების შესასწავლად ძალზე მნიშვნელოვანია 1997 წელს შექმნილი სახალხო დამცველის (ომბუდსმენის) აპარატისა და მასთან 2005 წლიდან დაარსებული ტოლერანტობის ცენტრის, აგრეთვე სხვა ორგანიზაციების საქმიანობის ანალიზი. სახალხო დამცველის, ანუ ომბუდსმენის თანამდებობა მსოფლიოში პირველად შვედეთის პარლამენტმა ჯერ კიდევ 1809 წელს შემოიღო და განამტკიცა ამავე წლის კონსტიტუციით, თუმცა ამ ინსტიტუტის დამკვიდრებას დანარჩენმა მსოფლიომ დიდი დრო მოანდომა. მართალია, სახალხო დამცველის ინსტიტუტი საქართველოში 1997 წლიდან ფუნქციონირებს, მაგრამ იმავე უფლებადამცველი ფუნქციის შემსრულებელი ორგანო მანამდეც არსებობდა. 1992 წელს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის ეროვნებათშორისი ურთიერთობისა და ადამიანის უფლებათა დაცვის სახელმწიფო კომიტეტის შექმნის შესახებ (შემდგომ მას ეწოდა საქართველოს

რესპუბლიკის ადამიანის უფლებათა დაცვისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობის კომიტეტი). სახალხო დამცველის ინსტიტუტის ჩამოყალიბება მოგვიანებით სწორედ მის ბაზაზე მოხდა. მანამდე კი საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ კონსტიტუციური დებულება გათვალისწინებული იყო 1995 წელს მიღებულ კონსტიტუციაში, თუმცა მისი აპარატის ფორმირება 1997 წელს მოხერხდა. დღეს მას რიგით მეექვსე სახალხო დამცველი ხელმძღვანელობს.

სახალხო დამცველის აპარატი რთული სტრუქტურაა და მოიცავს 13 დეპარტამენტს, რომლებიც თავიანთი პროფილის შესაბამისად ფუნქციონირებს. ის შეისწავლის ადამიანის საყოველთაო უფლებათა დაცვა-დარღვევის საკითხებს საქართველოში და პარლამენტს წარუდგენს ყოველწლიურ ანგარიშებს, რომლებშიც აღნუსხულია ეთნიკურ უმცირესობათა უფლებების, მათი კულტურისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის თვალსაზრისით არსებული მდგომარეობაც, ასევე სახელმწიფო უწყებების მიერ მცირე ეთნოსთა მხარდასაჭერად კონკრეტული მიმართულებებით განხორციელებული ქმედებები. იმავე საკითხებს მონიტორინგს უწევს ტოლერანტობის ცენტრიც. ამაში მას ეხმარება 2005 წელს სახალხო დამცველის აპარატთან შექმნილი ეთნიკურ უმცირესობათა და რელიგიათა საბჭოები. პირველი აერთიანებს უმცირესობათა საკითხების შემსწავლელ 100-მდე ორგანიზაციას, ხოლო რელიგიათა საბჭოში 30-მდე რელიგიური გაერთიანებაა წარმოდგენილი.[40] ტოლერანტობის ცენტრის საქმიანობის ერთ-ერთი მიმართულება სწორედ ამ რელიგიური და ეთნიკური უმცირესობების საბჭოების მუშაობის კოორდინირებაა. მანვე ჩაატარა 2009-2014 წლების ეროვნული კონცეფციისა და სამოქმედო გეგმის, ასევე 2015-2020 წლების სახელმწიფო სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი. ანგარიშებში დაფიქსირებულ საკითხებს კი, თავის მხრივ, თავს უყრის სახელმწიფო მინისტრის აპარატი შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში - სახელმწიფო ორგანო, რომელიც უძღვება ეთნიკურ უმცირესობათა სახელმწიფო პოლიტიკას ჩვენს ქვეყანაში. ჩვენ მიერ უკვე დასახელებული 2009-2014 წლების შემწყნარებლობისა

---

[40] სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრი-2005 ვებ გვერდი შექმნილია გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით. http://www.tolerantoba.ge/index.php?id=1345202134. ნანახია 25.05 2021.

და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციის ექვსი მიმართულებიდან მე-6 *„კულტურა და თვითმყოფადობის შენარჩუნება“* უშუალოდ ეხება საერთაშორისო და ადგილობრივი რეგულაციებით დადგენილ უმცირესობათა ეთნიკურ-კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნების ვალდებულებას. აქვე განსაზღვრულია მისი ამოცანებიც: *1. სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბების ხელშეწყობა; 2. ეროვნული უმცირესობების კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნება; 3. ეროვნული უმცირესობების კულტურული მემკვიდრეობის დაცვა; 4. ტოლერანტობის სულისკვეთების მხარდაჭერა, კულტურათაშორისი დიალოგისა და კავშირების ხელშეწყობა; 5. საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში ეროვნული უმცირესობების მონაწილეობის ხელშეწყობა; 6. ეროვნული უმცირესობების კულტურის, ისტორიის, ენისა და რელიგიის შესახებ საზოგადოების ცოდნის გაღრმავება და ქვეყნის კულტურულ ღირებულებად მათი წარმოჩენა.*[41] ამგვარად ფორმულირებულმა ამოცანებმა, ფაქტობრივად, განსაზღვრა მომავალი ანგარიშების ძირითადი ფოკუსთემატიკა. ვიდრე უშუალოდ ამ წლიური ანგარიშებს თემატურად (და არა ქრონოლოგიური თანმიმდევრობით) განვიხილავთ და ძირითადი ტენდენციებს წარმოვაჩენთ, ანგარიშების სპეციფიკაში გასარკვევად საჭიროდ ჩავთვალეთ წინასწარ ძირითადი მახასიათებლებისა და არსებითი მიზეზების გამოკვეთა.

ანგარიშების უპირველესი მახასიათებელი ისაა, რომ ეთნიკურ უმცირესობათა კულტურულ უფლებებთან დაკავშირებულ სხვადასხვა პრობლემას არცთუ იშვიათად ისევ უბრუნდებიან მათი ავტორები. ამას, ცხადია, თავისი ახსნა და მიზეზი აქვს: ჯერ ერთი, საქართველოში მულტიკულტურული მოსახლეობის არცთუ მცირერიცხოვანი არსებობა განაპირობებს, ზოგადად, მათ კულტურულ უფლებებთან დაკავშირებული პრობლემების ნაირგვარობასა და სიხშირეს. მათ მოგვარება-გადაჭრას კი ხანდახან აფერხებს ზოგიერთი ეთნოსის მენტალურ-კულტურული თავისებურებანი. გარდა ამისა, ისინი კომპაქტურად თუ დისპერსულად განსახლებულნი არიან საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, რაც ასევე დამაბრკოლებელი გარემოებაა მათი პრობლემების მონიტორინგის

[41] საქართველოს მთავრობის განკარგულება N348 2009 წლის 8 მაისი https://matsne.gov.ge/ka/document/view/2091642?publication=0. ნანახია 25.05.2021

სრულყოფილად და ამომწურავად განსახორციელებლად. გარდა ამისა, ამავე მიზეზით, კულტურის სამინისტროსა და სხვა ინსტიტუციების მხრიდან ყოველთვის ვერ ხერხდება მათი კულტურული უფლებების დაცვასთან დაკავშირებული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად აუცილებელი ტექნიკური და სოლიდური ფინანსური რესურსის სრული და სწრაფი მობილიზება, მათი უკმარისობის გამო. ჩვენი მხრიდან იმასაც უნდა მიექცეს ყურადღება, რომ 2009 წელს კულტურის სამინისტროს ახალი შემუშავებული ჰქონდა ზემოთ ნახსენები ეროვნულ უმცირესობათა კულტურის მხარდაჭერის პროგრამა. მისი ამოქმედების დაყოვნებაც შეიძლება მივიჩნიოთ ერთ-ერთი მიზეზად იმისა, რომ ანგარიშებში მოცემული ნეგატიური ფაქტების გამოსწორება-მოგვარება ჩვენი საკვლევი ქრონოლოგიური მონაკვეთის დასაწყისში ზოგჯერ დროულად ვერ მოხერხდა. სწორედ ჩვენ მიერ აქ გამოკვეთილ ძირითად მიზეზთა გამო, ეთნიკურ უმცირესობებთან დაკავშირებულ ანგარიშებში დაფიქსირებული პრობლემები აქტუალობას არ კარგავს ხანგრძლივი დროის განმავლობაში.

ანგარიშების მეორე არსებით მახასიათებლად უნდა მივიჩნიოთ თემატიკის ფართო სპექტრი. გავიმეორებთ, მასში, შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციის ზემოთ მოხმობილი ამოცანების შესაბამისად, ეთნოსთა კულტურისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვასთან ერთად, განხილულია სამოქალაქო ინტეგრაციის, განათლების, იდენტობის მაჩვენებელი ყველა ნიშნის განვითარების, ტოლერანტული თანაცხოვრებისა და სხვა საკითხებიც.

მესამე მახასიათებლად შეიძლება გამოიყოს, რომ ყველა ანგარიშში ეთნიკურ უმცირესობათა კულტურული უფლებების დაცვასა თუ დარღვევასთან დაკავშირებული ამა თუ იმ კონკრეტული ფაქტისა თუ ხარვეზის დაფიქსირებასთან ერთად, მოცემულია რეკომენდაციებიც, როგორც მათ გამოსასწორებლად სახელმწიფოს მხრიდან მომავალ ქმედებათა გასათვალისწინებელი ორიენტირები.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენეული ზოგადი წინასწარი დასკვნით, ნათელი გახდა, რომ სახალხო დამცველის აპარატისა და ტოლერანტობის ცენტრის თანამშრომლები თავიანთ ანგარიშებში არ

იფარგლებიან საკითხების მხოლოდ წარმოჩენით, არამედ სახელმწიფოებრივი პასუხისმგებლობით ეკიდებიან მათ და ამით დიდი წვლილი შეაქვთ არა მხოლოდ არსებული პრობლემების მოგვარებაში, არამედ სახელმწიფოს მიერ ეთნოსების კულტურათა მიმართ პოლიტიკური კურსის უფრო სრულფასოვნად გატარებაში.

როგორც ითქვა, ანგარიშები გეოგრაფიულად მოიცავს საქართველოს მთელ ტერიტორიას, ეხება კომპაქტურად თუ დისპერსიულად განსახლებული ეთნიკური უმცირესობების კულტურებთან დაკავშირებულ მრავალფეროვან საკითხებს. ცხადია, ამ მასშტაბის გამო, შეუძლებელია ანგარიშებში ასახული ყველა ინფორმაციის დაწვრილებით აღნუსხვა და გაანალიზება, მაგრამ შესაძლებელია არსებითი ვექტორების გამოკვეთა და შემდეგ მათი განზოგადება; ამასთან, რაც ჩვენი კვლევისთვის განსაკუთრებით ღირებულია, მათი გაანალიზების შემდეგ გარკვეული დასკვნების გამოტანა 2009-2019 წლებში მცირე ეთნოსების კულტურათა მიმართ სახელმწიფოს პოლიტიკასთან დაკავშირებით.

ეროვნული უმცირესობების თვითმყოფადობის შენარჩუნება (ეროვნული კონცეფციის მე-6 ამოცანა) კომპლექსურია და მჭიდროდ არის დაკავშირებული მათი მრავალსახოვანი კულტურული მემკვიდრეობის - ენის, ტრადიციების, რელიგიისა თუ იდენტობის გამომხატველი სხვა მარკერების დაცვა-შენარჩუნებასთან. ამ მხრივ სახელმწიფოს მიერ ჩვენს საკვლევ ქრონოლოგიურ მონაკვეთში - 2009-2019 წლებში გაწეული საქმიანობა სათანადოდ აისახა ანგარიშებში.

იდენტობის მარკერთაგან, უწინარესად, შევჩერდებით ანგარიშებში დაფიქსირებულ ეთნიკური უმცირესობების საკულტო თუ კულტურული მემკვიდრეობის სხვა ძეგლების (არამატერიალურის) დაცვასთან დაკავშირებულ ფაქტებზე.

ანგარიშებში ხაზგასმულია, რომ, უმცირესობათა ძეგლების სიმრავლის მიუხედავად, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის კუთხით ჩატარებულია მნიშვნელოვანი სამუშაოები: მოხერხდა 50-მდე სომხური ეკლესიის, 10 მეჩეთისა და ჯამეს, 5 სინაგოგის (თბილისში, ბათუმში, თელავში, ბოლნისში,

ახალქალაქისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებში) აღრიცხვა (შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციისა და სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში. 2010: 38) ;[42] 2009 წლის ანგარიშში შესულია სოფელ გორელოვკაში დუხობორების ე.წ. Сиротский дом-ის სახელმწიფოს მხრიდან დაფინანსებისა და რეაბილიტაციის საკითხი. ირკვევა, რომ მისი შეყვანა კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში კულტურის სამინისტრომ, სახალხო დამცველის არაერთგზისი მითითების შემდეგ, 2010 წელს მოახერხა. მას მუზეუმის სტატუსი მიენიჭა და რუსული დუხობორული კულტურის ნაკრძალად გამოცხადდა. თუმცა ანგარიშში ისიცაა აღნიშნული, რომ სამინისტრომ მიერ ამ ძეგლისთვის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მინიჭების მიუხედავად, ადგილობრივ მუნიციპალიტეტსა და კულტურის სამინისტროს მაინც სათანადო ყურადღება არ მიუქცევია ამ ძეგლისთვის.(სახალხო დამცველის ანგარიში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ. 2010: 330-331)[43] ანგარიშებში ასევე დასახელებულია სხვა ობიექტების არცთუ მცირე რიცხვი, რომლებიც იმსახურებს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა ნუსხაში შეტანას, მაგალითად, კულტურათა და რელიგიათა თანაზიარობის უნიკალური ისტორიულ-კულტურული გარემო, რაბათის უბანი ქ. ახალციხეში. მას 2011 წელს ეროვნული მნიშვნელობის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი განესაზღვრა. ქალაქის ამ უძველეს უბანში ერთმანეთის გვერდითაა მეჩეთი, სომხური, კათოლიკური, მართმადიდებლური ეკლესიები, სინაგოგები. 2011 წელს ქ. ახალციხეში ჩატარებული რაბათის უბნის ინვენტარიზაციის შედეგად სამინისტრომ უძრავი ძეგლის სტატუსი მიანიჭა 19 ობიექტს; არქიტექტურული, კულტურული და ისტორიული თვალსაზრისით, მნიშვნელოვნად ჩაითვალა ქუთაისის ყველა სინაგოგისა და ონის სინაგოგისათვის კულტურული ძეგლის სტატუსის მინიჭება. ეს სტატუსი აქვს

[42] შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციისა და სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში. 2015 მარტი.
https://smr.gov.ge/uploads/prev/__f546b9b3.pdf. ნანახია 19.08.2021.

[43] სახალხო დამცველის ანგარიში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ. 2010: 330-331. https://ombudsman.ge/geo/saparlamento-angarishebi. ნანახია 19.08 2021.

თბილისის სინაგოგას „დიდი ლოცვა“, ქუთაისის ერთ სინაგოგასა და დამხმარე ნაგებობას ზ. გაპონოვის ქუჩაზე.

ანგარიშებში ხშირად ეთმობა ყურადღება ეთნიკურ უმცირესობათა ძეგლთა ინვენტარიზაციის, რესტავრაცია-რეაბილიტაციისა და კულტურის ძეგლთა ნუსხაში შეტანის პრობლემებს. აღნიშნულია ისიც, რომ საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსის უკმარისობის გამო, კვლავ პრობლემად რჩება ამ საკითხების მასშტაბურად მოგვარება,[44] მაგალითად, გადაუდებელი აღდგენითი და გამაგრება-სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება სჭირდება სომხური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებს - სურბ ნიშნისა და მუღნის სურბ გევორქის ეკლესიებს. საშურადაა მიაჩნეული მათი წარმომავლობისა და კუთვნილების სადავო საკითხის გადაჭრაც. საგანგებოდ გამახვილდა ყურადღება რელიგიური ნაგებობების უხარისხო რესტავრაციაზეც. საილუტრაციოდ მოხმობილია 2012 წელს თბილისში სადავო, უმოქმედო სომხური ტაძრის - სურბ ნიშნის სამრეკლოს ჩამონგრევა; კულტურის სამინისტროსთან შეუთანხმებლად ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ უდეში მდებარე კათოლიკური ტაძრის (ორივე შეტანილია საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა ნუსხაში) იერსახის შეცვლა, გალავნისა და გუმბათის გადაკეთება[45]. ერთ-ერთ ანგარიშში წინაა წამოწეული ეთნიკური უმცირესობების ე.წ. სადავო ტაძრების დაბრუნების აქტუალური პრობლემა, კერძოდ, აღიშნულია, რომ სომეხთა წმინდა მართლმადიდებელი ეკლესიის საქართველოს ეპარქია თბილისში 5 და ახალციხეში 1 ტაძრის დაბრუნებას მოითხოვს; კათოლიკე და მართლმადიდებელ ეკლესიებს შორის დავა მიმდინარეობს 5 ტაძარზე, რომლებიც ამჟამად მართლმადიდებელ ეკლესიას ეკუთვნის; დღის წესრიგში დგას ორი ევანგელურ-ლუთერული ტაძრის, ათეულობით მეჩეთისა და ერთი სინაგოგის კონფესიური კუთვნილების დადგენისა და დაბრუნების საკითხიც. აღნიშნულია ისიც, რომ ყველა ეს საკულტო ნაგებობა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია. მათ კუთვნილებასა და დაბრუნებასთან დაკავშირებული არაერთწლიანი დავის გამო,

[44]შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციისა და სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში. 2011: 116
https://smr.gov.ge/uploads/prev/3b8c0b.pdf . ნანახია 25.05.2021.
[45] სახალხო დამცველის ანგარიში ადამიანთა უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ. 2012: 115. https://ombudsman.ge/geo/saparlamento-angarishebi., ნანახია 25.05 2021.

ფაქტობრივად, ამ ნაგებობებს არ ჩატარებიათ გამაგრებითი და სარეკონსტრუქციო სამუშაოები, რამაც ტაძრების მდგომარეობა სავალალო გახადა. ანგარიშის რეკომენდაციით, სახელმწიფოს მხრიდან საჭიროა შესაბამისი პროფილის სხვადასხვა უწყების მობილიზება და ამ პრობლემების გადაჭრის გზების იმგვარი მოძიება, რომ არ დაირღვეს საერთაშორისო და ადგილობრივი რეგულაციებით განსაზღვრული სხვადასხვა აღმსარებლობის პირთა უფლებები.[46]

2016 წლის ანგარიშში სახალხო დამცველმა დადებითად შეაფასა დედაქალაქში არსებული ქრისტიანული რელიგიის ძეგლების დაცვის კუთხით არსებული მდგომარეობა: ეკლესიების დიდი ნაწილი გადახურული და რესტავრირებულია, მათში ტარდება ღვთისმსახურება; თუმცა, ისიც აღინიშნა, რომ, დედაქალაქში არსებული ქრისტიანული კულტურის სხვა ძეგლებისგან განსხვავებით, ეთნიკურ უმცირესობებთან (სომხურ თემთან) დაკავშირებული ძეგლების ნაწილი ავარიულ მდგომარეობაშია. ასეთი საკულტო ძეგლებია: 1. მუღნის „სურბ გევორგი“; 2. შამხორეცოც „კარმირ ავეტარანი“; 3. ერევანცოც „სურბ მინასი“; 4. „სურბ ნშანი“ („სურბ ნიკოღაიოსი“); 5. თანდოიან „სურბ ასტვაწაწინი“. იქვე ემითითებულია, რომ, მართალია, ეს ძეგლები შეტანილია კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა ნუსხაში, მაგრამ მათი გადარჩენის მიზნით გასატარებელი სამუშაოები – რესტავრაცია, კონსერვაცია არ მიმდინარეობს; გამონაკლისია ვერცხლის ქუჩის № 6-ში მდებარე ეკლესია, რომელსაც რამდენიმე წლის წინ ჩაუტარდა გამაგრებითი სამუშაოები, თუმცა პროცესი არ გაგრძელებულა და დაუსრულებელია. სავსებით ობიექტურად აღინიშნა, რომ მათ მოვლა-პატრონობასა და რეაბილიტაციას, მატერიალური რესურსების ნაკლებობის გარდა, აბრკოლებს ეკლესიების კონფესიური კუთვნილებისა და ისტორიის შესახებ რელიგიური გაერთიანებების წარმომადგენლებს შორის არსებული განსხვავებული შეხედულებები.[47]

[46] სახალხო დამცველის ანგარიში ადამიანი უფლებებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ. 2013: 311. https://ombudsman.ge/geo/saparlamento-angarishebi. ნანახია 25.05 2021

დადებითად შეფასდა 2015 წელს დაწყებული გერმანული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების აღრიცხვა-ინვენტარიზაცია, რომელიც 2016 წელსაც გაგრძელდა. აღინიშნა ასევე, რომ ბოლნისის მუნიციპალიტეტის ისტორიის მუზეუმში ექსპონირებული იქნებოდა არქეოლოგიური და ბოლნისში მცხოვრები გერმანელი კოლონისტების ეთნოგრაფიული მასალაც (თანამედროვე სტანდარტების დაცვით აგებული ეს მუზეუმი 2019 წლის დეკემბერში გაიხსნა). ანგარიშში ჩამოთვლილია 2017 წლის ოქტომბერში დაგეგმილი ღონისძიებების ნუსხა, რომელიც მიძღვნილი იყო გერმანელი კოლონისტების საქართველოში ჩამოსახლების 200 წლისთავისადმი.[48]

უმცირესობათა ძეგლების აღრიცხვა-ინვენტარიზაციის თვალსაზრისით, დასახელებულია 2010 წელს დასრულებული სამწლიანი პროექტიც -„ოსმალური ძეგლების ინვენტარიზაცია“. პროექტის ფარგლებში შესწავლილ იქნა თბილისის მუზეუმებსა და არქივებში დაცული მასალა, სამცხესა და აჭარაში არსებული ოსმალური ისტორიული ძეგლების ნაწილი, ოსმალური არქიტექტურის რამდენიმე ათეული ობიექტი[49] ასევე აღიწერა ქვემო ქართლში არსებული მუსლიმური ძეგლები (მეჩეთი, ჯამე, აბანო, მავზოლეუმი). 2011 წელს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების აღრიცხვა-ინვენტარიზაციის, კვლევისა და რეაბილიტაციის მიზნით საქართველოს ძეგლთა დაცვისა და კულტურის სამინისტრომ გამოყო სოლიდური თანხა[50].

საკულტო ძეგლთა გარდა, ანგარიშებში დიდი ყურადღება ექცევა უმცირესობათა კულტურული ინსტიტუციების (თეატრების, მუზეუმების.) სრულფასოვან მუშაობას, ასევე ამის შემაფერხებელ გარემოებებს, მაგალითად, ანგარიშებში არაერთი წელი ხვდებოდა პ.ადამიანის სახელობის სომხური და ჰ. ალიევის სახელობის აზერბაიჯანული თეატრების შენობების, ასევე ებრაელთა

---

47

48 სახალხო დამცველის ანგარიში ადამიანთა უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ. 2016:432-434. https://ombudsman.ge/geo/saparlamento-angarishebiნანახია 25.05.2025

49 შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციის და სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში. 2010: 65.
https://smr.gov.ge/uploads/prev/4da937.pdf. ნანახია25.05 2021

50 შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციის და სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში. 2011: 12-13
https://smr.gov.ge/uploads/prev/3b8c0b.pdf. ნანახია 25.05.2025

ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შენობის ავარიულობისა და მისი აღდგენის პრობლემა. ამ საკითხს ჩვენ უკვე შევეხეთ წინა თავებში. ამიტომ აქ მხოლოდ იმის შენიშვნით შემოვიფარგლებით, რომ ანგარიშებში ხაზგასმულია, ამ კულტურული ინსტიტუციების ავარიულობის მიუხედავად, სამინისტრო, სომხურ თეატრში პრემიერების, საქველმოქმედო და საგასტროლო სპექტაკლების გასამართად სომეხი ეთნოსით კომპაქტურად დასახლებულ საქართველოს რეგიონებსა და საზღვარგარეთ, სომხეთის დედაქალაქ ერევანში. შემოქმედებითი საქმიანობის წარმართვისათვის, სადადგმო რეპერტუარის გასაფართოებლად და გასტროლებისათვის განაგრძობდა მათ ფინანსურ მხარდაჭერას. ის ყოველწლიურად ფინანსურად დაეხმარა თბილისის აზერბაიჯანულსა და რუსულ დრამატულ თეატრებსაც.[51]

ეთნიკური უმცირესობათა მხარდამჭერი სამუზეუმო პოლიტიკა ამ ანგარიშების ერთ-ერთი მთავარი და ძალზე ხშირად განხილული თემაა. აუცილებლადაა მიჩნეული უმცირესობების უძრავ-მოძრავი ძეგლების, საკულტო ნაგებობების (ქუთაისისა და ონის სინაგოგების), აგრეთვე მსგავს ძეგლთა შესახებ მუზეუმებსა და არქივებში დაცული მდიდარი მასალის აღწერა და მონაცემთა ბაზის შექმნა, რაც, ანგარიშების ავტორთა აზრით, ხარვეზით ან საერთოდ არ ხორციელდებოდა. სანიმუშოდ მოხმობილია, ახალქალაქის მუნიციპალიტეტის მუზეუმი, სადაც მოეპოვებათ მხოლოდ XX საუკუნის 80-იან წლებში აღრიცხული ძეგლების სია. ანგარიშებში დაფიქსირებულია ამ მიმართულებით მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი ხარვეზები, კერძოდ, ძეგლთა ინვენტარიზაცია სხვადასხვა მუნიციპალიტეტის კულტურის განყოფილების მიერ მეტ-ნაკლები წარმატებით, ხშირად კი შეფერხებით მიმდინარეობს; გარდა ამისა, შედარებით დაბალია ადგილობრივი სამუზეუმო კადრების კვალიფიკაცია. ამიტომ გამოთქმულია სურვილი და რეკომენდაცია, რომ სურვილისამებრ, მოხდეს მათი და, საერთოდ, კულტურის ადგილობრივი სამსახურების თანამშრომელთა პროფესიული გადამზადება; მეტი ყურადღება დაეთმოს რეგიონებში ეთნოგრაფიულ-მხარეთმცოდნეობის მუზეუმებში დაცული ეთნიკური მასალის ექსპონირებასა და

[51] შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციისა და სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში. 2010: 47722..
https://smr.gov.ge/uploads/prev/4da937.pdf . ნანახია 25.05. 2021

პოპულარიზაციას, მაგალითად, აღინიშნა, რომ ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში დაცული ებრაული თემის ისტორიასთან, ასევე ქუთაისსა და ახალციხეში ქართველ კათოლიკეთა მოღვაწეობასთან დაკავშირებული მდიდარი სამუზეუმო მასალის გამოყენებისა თუ ექსპონირების შესაძლებლობანი უფრო მეტად უნდა იქნეს გამოყენებული; ყურადღება უნდა მიექცეს ახალციხის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიულ მუზეუმსაც, როგორც საგანმანათლებლო-კულტურულ კერასა და აქ დაცული მდიდარი საფონდო მასალის გამო ინტერრელიგიური დიალოგის გამართვის თვალსაჩინო ადგილს მულტიკულტურული ხასიათის ექსპონატთა სიმრავლის გამო. ასეთად იქნა მიჩნეული გარდაბნის მხარეთმცოდნეობის მუზეუმიც. საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ უმცირესობათა კულტურების, ტრადიციების, წეს-ჩვეულების საზოგადოებისათვის უკეთ გაცნობის მიზნით, ანგარიშებში გამოითქვა აზრი, რომ სასურველია პერიოდულად რადიო-ტელეგადაცემებში ამ თემატიკაზე სიუჟეტების მომზადებას.[52] ანგარიშებში რეგიონული მუზეუმებიდან ყურადღება გამახვილებულია ონის მხარეთმცოდნეობის ისტორიული მუზეუმზეც, სადაც ისტორიული და მხატვრული ღირებულების 15 000-მდე უნიკალური ექსპონატია დაცული. ონი ებრაელი თემის აქტიური განსახლების ადგილიცაა, რის გამოც ამავე მუზეუმში ამ ეთნოსთან დაკავშირებული საინტერესო საისტორიო-ეთნოგრაფიული მასალაცაა განთავსებული. ონის მუზეუმში არსებული მდგომარეობის შესწავლის შემდეგ ანგარიშებში აღინიშნა[53] შენობის ავარიული მდგომარეობა, რომელიც განსაკუთრებით დამძიმდა მიწისძვრის შემდეგ; ეს კი საფრთხეს უქმნიდა ექსპონატებსა და მომსახურე პერსონალს. მუზეუმის ახალი შენობით უზრუნველსაყოფად იქვე გაიცა რეკომენდაციები. სახელმწიფომ მოახდინა მათზე რეაგირება, თუმცა სათანადო ფინანსურ-ტექნიკური რესურსის უქონლობისა და სხვა ფაქტორების გამო, მხოლოდ 2019 წელს მოხერხდა ამ მუზეუმისთვის ახალი შენობის აგების დაწყება და ის მალე დასრულდება.

[52] სახალხო დამცველის ანგარიში ადამიანის უფლებათა დაცვისა და თავისუფლების მდგომარეობის შესახებ. 2012: 769.
https://ombudsman.ge/geo/saparlamento-angarishebi. ნანახია 25.05.2021.
[53] სახალხო დამცველის ანგარიში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვისა მდგომარეობის შესახებ. 2014: 530-534.
https://ombudsman.ge/geo/saparlamento-angarishebi.ნანახია 25.05 2021.

ანგარიშებში არაერთგზის იქნა განხილული თბილისის გ. ჩიტაიას სახელობის ეთნოგრაფიულ მუზეუმში ე.წ. ოსური სახლის რეაბილიტაციის საჭიროება, რომელიც დაკეტილი იყო და მნახველს არ ჰქონდა საშუალება, გასცნობოდა იქ დაცულ ოსი ეთნოსის ცხოვრების ამსახველ მნიშვნელოვან ეთნოგრაფიულ მასალას.[54]. თუმცა ამ პრობლემის მოგვარება, ონის მუზეუმის ახალი შენობის მსგასად, სწრაფად ვერ მოხერხდა. მოგვიანებით სახალხო დამცველი მიესალმა გ. ჩიტაიას სახელობის თბილისის ეთნოგრაფიულ მუზეუმში არსებული ე.წ. ოსური სახლის აღდგენას. [55]

ანგარიშების კიდევ ერთ მიკროთემად შეიძლება გამოიყოს ეთნიკურ უმცირესობათა კომპაქტურად განსახლების რეგიონებში კულტურისა და ე.წ. ეთნოსთა სახლების არსებობის მნიშვნელობა მათი კულტურული განვითარებისათვის. აღინიშნა, რომ ამ მხრივ ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის სოფლების კულტურის სახლების დიდ ნაწილში (ისევე როგორც საქართველოს სხვა რეგიონების სოფლებში) მძიმე ვითარებაა, შენობები დიდწილად ამორტიზებული და გამოუსადეგარია. ამიტომ რეკომენდებულ იქნა, ხელი შეეწყოს ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ სოფლებში კულტურის სახლების რეაბილიტაციას ან ახალი კულტურული ცენტრების დაარსებას, თუნდაც ე.წ. ეთნოსთა სახლების სახით. ამის მაგალითებად მოხმობილია თბილისში კულტურის სამინისტროს ხელშეწყობით 2012 წელს გახსნილი პირველი ჩერქეზულ-ადიღეური სახლი - სსიპ ჩერქეზულ-ადიღეური ცენტრი;[56] 2015 წელს თბილისშივე დაარსებული საქართველოს იეზიდთა სახლი, რომლის მსგავსი სულ რამდენიმე ქვეყანაშია (გერმანია, უკრაინა, ერაყი). შენობა და მისი მართვა გადაეცა იეზიდთა სასულიერო საბჭოს.[57] 2014 წელს კვლავ პრობლემად რჩებოდა ეროვნული უმცირესობებით

[54] სახალხო დამცველის ანგარიში ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების დაცვის მდგომარეობის შესახებ. 2013: 320.
https://ombudsman.ge/geo/saparlamento-angarishebi ნანახია. 25.052021

[55] სახალხო დამცველის ანგარიში ადამიანთა უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ. 2016:439,
https://ombudsman.ge/geo/saparlamento-angarishebi.ნანახია 25.05 2021

[56] სახალხო დამცველის ანგარიში ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების მდგომარეობის დაცვის შესახებ. 2011: 118.
https://ombudsman.ge/geo/saparlamento-angarishebi0. ნანახია 25.05 2021.

[57] შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციისა და სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში. 2015:69.
https://www.ombudsman.ge/geo/saqmianobis-angarishebi/saqartvelos-saxalxo-damcvelis-2015-wlis-saqmianobis-angarishi. ნანახია 25.05 2021.

კომპაქტურად დასახლებულ სოფლებში კულტურის სახლების ამოქმედება, რასაც სახალხო დამცველი 2013 წლის ანგარიშშიც შეეხო. ამიტომ ეთნიკურ უმცირესობათა კულტურული უფლებების დაცვის ვალდებულების კუთხით კვლავ გაიცა რეკომენდაცია სოფლად კულტურის სახლების რეაბილიტაციასა და იქ სამოქალაქო ინტეგრაციის ხელშემწყობი პროექტების განხორციელების თაობაზე. [58]

ეთნიკური უმცირესობების კულტურული თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად ეთნიკური კულტურული ინსტიტუციებისა (თეატრები, მუზეუმები, კულტურის ან ეთნოსთა სახლები) გარდა, ძალზე მნიშვნელოვანია არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვა-გადარჩენა, ამისათვის კი სხვადასხვა შინაარსის კულტურულ ღონისძიებათა ჩატარება, რაც ზემოთ დასახელებული ამოცანების შესაბამისად მხარდაჭერილია სახელმწიფოს მიერ. სწორედ ასეთი პოზიტიური ფაქტებია დაფიქსირებული მონიტორინგის ჯგუფის მიერ საქართველოს სხვადასხვა რეგიონში. საერთო ტენდენციის უკეთ გამოსაკვეთად და საილუსტრაციოდ მოვიხმობთ ზოგიერთ ეთნიკურ თემთან დაკავშირებით განხორციელებულ რამდენიმე ღონისძიებას: 2010 წლის მაისში თბილისში სახელმწიფოს მხარდაჭერით გაიმართა სომხეთის კულტურის დღეები, მის ფარგლებში სომხურ სახელმწიფო დრამატულ თეატრში მიწვეული იყვნენ სომხეთიდან ჩამოსული სტუმრები; მირზა ფათალი-ახუნდოვის აზერბაიჯანული კულტურის მუზეუმის მხარდასაჭერად 2010 წელს კულტურის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით იქ მოეწყო 2 დოკუმენტური ფილმის ჩვენება; ჩატარდა ნ. ნარიმანოვის საიუბილეო ღონისძიება; საქართველოსა და აზერბაიჯანის დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი საღამო; სამინისტროს ხელშეწყობით მუზეუმში განხორციელდა პროექტი-აზერბაიჯანული ხელით ნაქსოვი ხალიჩები - ტრადიციის შენარჩუნება; პანკისის ხეობაში, სოფ. დუისში, გაიხსნა ისტორიულ-ეთნოგრაფიული

[58] სახალხო დამცველის ანგარიში ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების დაცვის მდომარეობის შესახებ.2014: 459,
https://ombudsman.ge/geo/saparlamento-angarishebi.ნანახია 25.05.2021.

მუზეუმი, სადაც განთავსდა ქისტური და ქართული ყოფა-ცხოვრებისთვის დამახასიათებელი ნივთები და ა.შ.[59]

ანგარიშების მორიგ მიკროთემად გამოიკვეთა მცირე ეთნოსთა სამოქალაქო ინტეგრაციისა და მასთან ასევე დაკავშირებული მათი კულტურული პოტენციალის უფრო მეტად გასავითარებლად ბიბლიოთეკების, სამუსიკო სასწავლებლების გახსნისა და სახალხო-ეთნიკური დღესასწაულების მოწყობის საკითხებიც. მიუხედავად ამ მიმართულებით დადებითი ტენდენციების დაფიქსირებისა, ანგარიშებში მიჩნეულია, რომ სამოქალაქო ინტეგრაციის კუთხით კულტურის სფეროში არსებული პოტენციალი ჯერ კიდევ სრულფასოვნად არაა წარმოჩენილი. დაფიქსირდა ეთნიკური უმცირესობების სამოქალაქო ინტეგრაციის, კონკრეტულად, საქართველოში ყველაზე მრავალრიცხოვანი ეროვნული უმცირესობის – სომხებისა და აზერბაიჯანელების სამოქალაქო ინტეგრაციის პრობლემებიც. აღინიშნა, რომ ბოლო წლებში სახელმწიფოს მხრიდან არასაკმარისი ყურადღება ექცეოდა მათი თვითმყოფადობის, ენის, კულტურის, ტრადიციებისა და სხვა ეთნიკური თავისებურებების დაცვის საკითხს[60]. არაერთ ხარვეზთან ერთად, ანგარიშებში ჩამოთვლილია სხვადასხვა შინაარსის უამრავი კულტურული ღონისძიება. ქვემოთ მოხმობილი მცირე ჩამონათვალშიც კარგად ჩანს მათი მასშტაბურობა და შინაარსობრივი მრავალფეროვნება.აღნიშნულია, რომ საქართველოს კულტურის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება აზერბაიჯანულენოვანი და სომხურენოვანი გაზეთების- ,,ვრასტანისა“ და ,,გურჯისტანის“ გამოცემა და ისინი ეთნიკურ უმცირესობათა კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში ვრცელდება; წალკაში მოეწყო ფესტივალი „ღია ცის ქვეშ“ და მასში

---

[59] შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციისა და სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში. 2010: 47-72.
https://smr.gov.ge/uploads/prev/4da937.pdf. ნანახია 25.05 .2021.
სახალხო დამცველის ანგარიში ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების მდგომარეობის დაცვის შესახებ. 2011: 118.
https://ombudsman.ge/geo/saparlamento-angarishebi0. ნანახია25.05 2021.

[60] სახალხო დამცველის ანგარიში ადამიანის უფლებებათა და თავისუფლებათა მდგომარეობის შესახებ. 2011:220.
https://ombudsman.ge/geo/saparlamento-angarishebi. ნანახია 25.05.2021.

მონაწილეობა მიიღეს ამ მუნიციპალიტეტში არსებული კულტურის სახლის ქორეოგრაფიულსა და სამუსიკო წრეებში გაერთიანებულმა მცირე ეთნოსთა წარმომადგენელმა ბავშვებმა; მათ შორის, უხუცესთა ანსამბლმა „თრიალეთმა"; 2010 წელს გარდაბანში ჩატარდა ასურული სახალხო დღესასწაული „ხაბნისანი"; ახალციხეში, რაბათის ტერიტორიაზე, მოეწყო სახალხო დღესასწაული ახალციხელობა; ყვარლის რაიონში - ფესტივალი „შემოდგომის ფერები".[61] 2013 წელს მარნეულის კულტურის ცენტრში ჩატარდა სკოლის მოსაწავლეთა ღია კონცერტი „ქართული მუსიკის საღამო" ეთნიკური უმცირესობების მონაწილეობითა და მრავალი სხვ.)[62] ანგარიშებში აქტუალურია, როგორც ითქვა, ბიბლიოთეკებისა და სამუსიკო სკოლების საკითხიც. საქმე ისაა, რომ 2006 წლიდან საქართველოს მთელ ტერიტორიაზე დაიწყო სოფლის ბიბლიოთეკების ლიკვიდაცია, ხოლო 2011 წლის რეფორმის შემდეგ გაუქმდა სამუსიკო სასწავლებლებიც (ე. წ. მუსიკალური ათწლედები). ამ „რეფორმებით'' განსაკუთრებით დაზარალდა სოფლის მოსახლეობა, მათ შორის, მცირერიცხოვანი ეთნოსებით დასახლებული რეგიონები. საბიბლიოთეკო სისტემის გაუმართავ მუშაობასთან დაკავშირებით მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა ეთნიკური უმცირესობების განსახლების ადგილებში საბიბლიოთეკო ქსელის მოუწესრიგებლობა, ქართული და ეროვნულენოვანი წიგნების რაოდენობის სიმწირე, ბიბლიოთეკების შენობების გათბობის სისტემის ან ზოგ სოფელში ბიბლიოთეკების არარსებობა და ა.შ. ამ მიმართულებით გაიცა არაერთი რეკომენდაცია, კერძოდ, სასურველად იქნა მიჩნეული, რომ ზემოთ აღნიშნული ხარვეზის გამოსასწორებლად ცენტრალური ხელისუფლების მიერ ინიცირებულ იქნეს „ბიბლიოთეკების დახმარების პროგრამა". აღინიშნა, რომ ამ მიმართულებით არსებული ნაკლოვანების გამოსასწორებლად 2012 წელს

---

[61] შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციისა და სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში. 2013: 225.
https://smr.gov.ge/uploads/prev/0317d5.pdf. ნანახია 25.05 2021.

[62] სახალხო დამცველისანგარიში ადამიანის უფლებებათა და თავისუფლებათა მდგომარეობის დაცვის შესახებ.2011: 118.
https://ombudsman.ge/geo/saparlamento-angarishebi. ნანახია 25.05.2021.

კულტურის სამინისტროს დაფინანსებით დაიწყო პროექტი „კავკასიური ელბიბლიოთეკა“, რომლის მიზანი იყო ქართველი, აზერბაიჯანელი და სომეხი მწერლების ნაწარმოებების პოპულარიზაცია. მეორე ეტაპზე ძირითად კავკასიურ ენებს უნდა დამატებოდა აფხაზური და ოსურიც. თუმცა, სამინისტროს წარმომადგენლების აზრით, პროექტის მნიშვნელობის მიუხედავად, იგი სათანადო ხარისხითა და პროფესიული დონით ვერ შესრულდა, რის გამოც, პროექტის დაფინანსება შეწყდა.[63] ბიბლიოთეკების დახურვის ძალზე საზიანო ტენდენციის მიუხედავად, ანგარიშებში ისიცაა აღნიშნული, რომ ბოლო წლებში ზოგიერთ რეგიონში აღდგა რამდენიმე დახურული ბიბლიოთეკა. ცალკე მონაკვეთი ეთმობა სამუსიკო სასწავლებლების გაუქმებასაც, რის გამოც უმცირესობებით დასახლებული რეგონების მოსახლეობაში ჩნდება მეზობელ ქვეყნებში (სომხეთი, აზერბაიჯანი, რუსეთი) მუსიკალური განათლების მიღების საჭიროება. ამ პრობლემის ნაწილობრივ გადასაჭრელად აუცილებელად იქნა მიჩნეული ეთნიკური უმცირესობების მჭიდროდ განსახლების რეგიონებში (ახალქალაქი, ნინოწმინდა, წალკა) კულტურული ღონისძიებების რიცხვის გაზრდა. გამოითქვა სურვილი, რომ მცირერიცხოვანი ეთნოსებით დასახლებულ ადგილებში მომავალი წლის კულტურული ღონისძიებების სიაში მოხვდეს სხვადასხვა შემსრულებლის მოწვევის პრეცედენტები, გაიმართოს კლასიკური მუსიკის კონცერტები და სხვა.[64]

სამოქალაქო ინტეგრაციისა და მისი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის დემონსტრირებისათვის, მოხმობილია ჩრდილოეთკავკასიური წარმომავლობის საქართველოს მოქალაქეების მოთხოვნა, რომ ხელი შეეწყოს საქართველოში მცხოვრები ჩეჩნების, დაღესტნელებისა და სხვა კავკასიელი ეთნოსების წარმომადგენელთა თანამშრომლობას კულტურის სფეროში ჩრდილოეთ კავკასიის შესაბამისი რესპუბლიკების მოქალაქეებთან. როგორც ანგარიშებიდან

---

[63] შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციისა და სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში. 2012:85.
https://smr.gov.ge/uploads/prev/3577d1.pdf. ნანახია 25.05.2021.

[64] სახალხო დამცველის ანგარიში ადამიანის უფლებებთა დაცვისა და თავისუფლების მდგომარეობის შესახებ. 2012: 812-14.
https://ombudsman.ge/geo/saparlamento-angarishebi. ნანახია 25.05.2021.

ირკვევა, მცირე ეთნოსების ინტეგრაციასთან დაკავშირებით საქართველოს მიერ აღებული საერთაშორისო ვალდებულების მიუხედავად, ამ პროცესს დროდადრო გარკვეული ბარიერები ექმნება. ამიტომ გაიცა რეკომენდაცია, რომ შესაბამისი წინადადებებისა და მოთხოვნის შემთხვევაში, ხელი შეეწყოს მომავალში საქართველოში მცხოვრები ჩეჩნების, დაღესტნელებისა და სხვა კავკასიელი ეთნოსის წარმომადგენელთა თანამშრომლობას კულტურის სფეროში ჩრდილოეთ კავკასიის შესაბამისი რესპუბლიკების კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაციებთან და განხორციელდეს ამ თანამშრომლობის ხელშემწყობი პროგრამები. იმავე ანგარიშში დაფიქსირებული სხვა რეკომენდაციით, უდიური ენის, კულტურისა და ტრადიციების შენარჩუნებისთვის საქართველოს ხელისუფლებამ უნდა გამოყოს შესაბამისი რესურსები და ხელი შეუწყოს საერთაშორისო ორგანიზაციებისა და დონორების ჩართვას ამ საკითხის გადაწყვეტაში.[65]. ანგარიშებში გამოკვეთილია ისიც, რომ სახელმწიფოს ეკისრება ეთნიკური უმცირესობების როგორც თვითმყოფადობის შენარჩუნებისა და კულტურულ ცხოვრებაში თანაბარი მონაწილეობის უზრუნველყოფის, ასევე ასიმილაციისგან დაცვის ვალდებულება. ასიმილაციის საკითხი განსაკუთრებულადაა ხაზგასმული ომბუდსმენის 2014 წლის ანგარიშში.[66]

ამდენად, სახალხო დამცველისა და ტოლერანტობის ცენტრის ანგარიშების ანალიზმა, მათი მიმოხილვითი ხასიათის მიუხედავად, ცხადყო, თუ 2009-2019 წლებში სახელმწიფოებრივად რამდენად მნიშვნელოვანი და პოზიტიური საქმიანობაა გაწეული ეთნიკურ უმცირესობათა კულტურის მხარდასაჭერად ამ ორი და სხვა ინსტიტუციების, განსაკუთრებით, საქართველოს კულტურის სამინისტროს მიერ. თუმცა აღნიშნულ ქრონოლოგიურ მონაკვეთში სახელმწიფოს მცირე ეთნოსების კულტურათა მიმართ სახელმწიფო პოლიტიკის შეფასების სისრულისათვის აუცილებლად უნდა ითქვას ისიც (რაც ამ

---

[65] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში ადამიანის უფლებებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ. 2013: 324, 331. https://ombudsman.ge/geo/saparlamento-angarishebi. ნანახია 25.05 2021.

[66] სახალხო დამცველის ანგარიში ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებათა დაცვის მდომარეობის შესახებ.2014: 457-460. https://ombudsman.ge/geo/saparlamento-angarishebi. ნანახია 25.05. 2021.

ანგარიშების მიმოხილვამაც აჩვენა), რომ ანგარიშებში დაფიქსირებული არაერთი რეკომენდაცია, განსაკუთრებით, ეთნიკური უმცირესობების კულტურული (ან საკულტო) ძეგლების აღდგენის მიმართულებით, ამისთვის საჭირო რესურსის სიმწირის გამო ნაწილობრივ დღესაც მოუგვარებელია. საქართველოში ეთნიკური უმცირესობების ყოფისა და კულტურის თანამედროვე მდგომარეობის ამსახავი დოკუმენტებია, რომლებიც დროთა განმავლობაში უფრო მეტ ისტორიულ მნიშვნელობას შეიძენს, რამეთუ მათში კარგად ჩანს ქართული სახელმწიფოს ეთნიკურ უმცირესობათა კულტურის პოლიტიკის სტრატეგია XXI საუკუნის დასაწყისში.

**ე) ეთნოკულტურულ პოლიტიკაში ევროპულ ფასეულობათა დასამკვიდრებლად სახელმწიფოს მიერ აღებული საერთაშორისო ვალდებულებების (ევროკავშირის, გაეროსა და სხვ.) სტანდარტებისა და რეგულაციების გათვალისწინება.**

საერთაშორისო სამართლებრივ დოკუმენტებში შესული ეთნიკურ უმცირესობათა უფლებების დაცვისა და აღსრულების ვალდებულება შემუშავებულია სხვადასხვა ორგანიზაციის - ევროკავშირის, გაეროს, ევროპის საბჭოს, ეუთოსა და სხვათა მიერ. ეთნიკურ უმცირესობათა დაცვა რამდენიმე მიმართულებას მოიცავს, კერძოდ, პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურსა და, ცხადია, კულტურასთან დაკავშირებულ საკითხებსაც. ცხადია, ეთნიკური უმცირესობის კულტურული, ლინგვისტური თუ აღმსარებლობითი უფლებების დაცვა ევალება საქართველოსაც, რომელიც იზიარებს ადამიანის უფლებათა დაცვის ყველა ძირითადი საერთაშორისო კონვენციას. მათგან უპირველესად, უნდა დასახელდეს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია.[67]. მიუხედავად იმისა, რომ ის არ აწესებს ეთნიკური უმცირესობების უფლებების თაობაზე სპეციალურ რეგულაციას, მის ზოგიერთ მუხლში საუბარია აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლებასა და დისკრიმინაციის დაუშვებლობაზე, განურჩევლად რასისა, სქესისა, კანის ფერისა, რელიგიისა, ეროვნული და სოციალური წარმოშობისა. ადამიანის ზოგად

---

[67] ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია/ECHR, საქართველოში ძალაში შევიდა 1999 წლის 20 მაისს. https://matsne.gov.ge/ka/document/view/1208370?publication=0. ნანახია 25.05.2021.

უფლებათა დაცვის მიმართულებით რეგულაციები და ვალდებულებები აისახა 2014 წელს საქართველოს პარლამენტის დადგენილებით დამტკიცებულ უმნიშვნელოვანეს ისტორიულ დოკუმენტში - ადამიანთა უფლებების დაცვის ეროვნულ სტრატეგიაში (2014-2020 წლებისათვის).[68] მასში ადამიანის უფლებათა დაცვის სტრატეგიულ მიმართულებად განისაზღვრა რწმენის, აღმსარებლობის თავისუფლებისა და თანასწორობის უფლებათა, მათ შორის, კულტურული უფლებათა უზრუნველყოფა-დაცვა.[69]

ევროპის საბჭოს ფარგლებში ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის საპირწონედ სტრასბურგში 1995 წელს მიღებულ იქნა ეროვნულ უმცირესობათა დაცვის ჩარჩო კონვენცია/FCNM,[71] რომელიც ეროვნული უმცირესობების უფლებების ამსახველი ერთადერთი სავალდებულო ძალის მქონე საერთაშორისო სამართლებრივი ბერკეტია, განსხვავებით გაეროს სამართლებრივი დოკუმენტებისაგან, იგი უფრო კონკრეტულ რეგულაციებს აწესებს ამ ჯგუფების ზოგადი უფლებების, მათ შორის, ეთნიკური უმცირესობების კულტურული უფლებების დაცვის თვალსაზრისით. ის საქართველოს პარლამენტის დადგენილებით რატიფიცირებულ იქნა 2005 წელს, ხოლო ძალაში შევიდა 2006 წელს.[71] სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა პაქტში/ICCPR კი ყურადსაღებია მუხლები, რომლებიც ეთნიკური უმცირესობების უფლებების დაცვის სამართლებრივ საფუძველს ქმნის. გენერალური ანსამბლეის მიერ 1966 წელს მიღებული ეს პაქტი ძალაშია 1976 წლიდან, საქართველოში კი - 1994 წლიდან[72] მიუხედავად იმისა, რომ ამ პაქტის მიზანია განსაზღვროს სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები, გამომდინარე იქიდან, რომ ყველა უფლება ურთიერთდაკავშირებულია, ICCPR - ის იშვიათი

---

68

69 ადამიანთა უფლებების დაცვის ეროვნულ სტრატეგია 2014-2020 საქართველოს პარლამენტის 2014 წლის 30 აპრილის №2315-IIს დადგენილებით http://myrights.gov.ge/ka/documents/documents/strategy. ნანახია 25.05. 2021.

71

71 ჩარჩო კონვენცია ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ.სტრასბურგი,1.02.1995 https://matsne.gov.ge/ka/document/view/1244853?publication=0 საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი 11.04.2006, ნანახია 25.05. 2021.

72 საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი.16.12.1966, https://matsne.gov.ge/ka/document/view/1398335?publication=0 ნანახია 25.05. 2021

გამონაკლისია გაეროს სისტემაში არსებულ მექანიზმთაგან, რომელიც ითვალისწინებს სპეციალურ ჩანაწერს, მუხლებს ეთნიკური, რელიგიური და ლინგვისტური უმცირესობების უფლებების საკითხზე. ეს ჩანაწერი ავალდებულებს წევრ სახელმწიფოს, უზრუნველყოს ამ უფლებების დაცვა ნებისმიერი ძალადობისა და უარყოფისგან.კანონმდებლობით, სასამართლო და ადმინისტრაციული პრაქტიკით კიდევ ერთი სამართლებრივი დოკუმენტი, მიღებული გაეროს მიერ 1965 წელს, არის საერთაშორისო პაქტი რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ, რომელშიც აღნიშნულია, რომ სახელმწიფოები ვალდებულნი არიან სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ და სხვა სფეროებში მიიღონ სპეციალური ზომები რასობრივი/ეთნიკური ინდივიდების/ჯგუფების ადეკვატური განვითარებისა და დაცვის უზრუნველსაყოფად. ის ძალაში შევიდა 1969 წელს,[73] საქართველოში კი 2002 წელს.[74] ადამიანის კულტურული უფლებების საკითხს საგანგებოდ ეხება ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა საერთაშორისო პაქტი/ICESCR, რომელიც მოიცავს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კატალოგს, რომელთა შესრულებაც სახელმწიფოებს ევალებათ. იგი გენერალური ანსამბლეის მიერ სარატიფიკაციოდ მიღებულ იქნა 1966 წელს, ძალაში შევიდა 1976 წელს, საქართველოში კი -1994 წელს.[75] 2005 წელს იუნესკოს მიერ პარიზში მიღებულ იქნა კონვენცია კულტურული თვითგამოხატვის მრავალფეროვნებისა და დაცვის შესახებ, რომელიც საქართველოში ძალაშია 2008 წლიდან.[76]

ბოლო წლების საქართველოს ისტორიაში ფრიად გამორჩეული მოვლენაა საქართველოსა და ევროკავშირს შორის დადებული ე. წ. ასოცირების

---

[73] რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ“ გაეროს 1966 წლის კონვენციით გათვალისწინებული რასობრივი დისკრიმინაციის ლიკვიდაციის კომიტეტის კომპეტენციის აღიარების თაობაზე, https://matsne.gov.ge/ka/document/view/41416 ნანახია 25.05. 2021.

[74] რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ“ გაეროს 1966 წლის კონვენციით გათვალისწინებული რასობრივი დისკრიმინაციის ლიკვიდაციის კომიტეტის კომპეტენციის აღიარების თაობაზე. https://matsne.gov.ge/ka/document/view/41416. ნანახია 25.05. 2021.

[75] ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტისაქართველოს საგარეოსაქმეთა მინისტრი 16.12 1966. https://matsne.gov.ge/ka/document/view/1483577?publication=0, ნანახია 25.05 2021.

[76] კონვენციაკულტურული თვითგამოხატვის მრავალფეროვნების დაცვის და ხელშეწყობის შესახებ. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი 20.10.2005. https://matsne.gov.ge/ka/document/view/1205118?publication=0 ნანახია 25.05 2021.

ხელშეკრულება, ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებასა და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის. მას ხელი მოეწერა 2014 წელს, ხოლო სრულად შევიდა ძალაში 2016 წლიდან.[77] მისი უმთავრესი მიზანია, ხელი შეუწყოს მხარეებს შორის პოლიტიკურ ასოცირებასა და ეკონომიკურ ინტეგრაციას. ამიტომ სავსებით ბუნებრივია, რომ მასში ეთნიკურ უმცირესობათა უფლებებზე, მით უმეტეს, კულტურულ უფლებებსა და მათ დაცვაზე გამოკვეთილად არაფერია ნათქვამი. თუმცა შეთანხმების პრემბულაში აღნიშნულია, რომ ამ შეთანხმების ხელმომწერი მხარეები აღიარებენ იმ საერთო ღირებულებებს (დემოკრატია, ადამიანი უფლებათა დაცვა და სხვ.), რომლებსაც ეფუძნება ევროკავშირი და რაც მიჩნეულ იქნა შეთანხმებით გათვალისწინებული პოლიტიკური ასოცირებისა და ეკონომიკური ინტეგრაციის ქვაკუთხედად. ცხადია, აქ იგულისხმება ევროკავშირის ქვეყნებთან ახალასოცირებულ საქართველოში უმცირესობათა ყველანაირი უფლების დაცვის აუცილებლობაც. ამ მიმართულებით ქვეყანაში საერთო სტანდარტების დაუცველობის შემთხვევაში, ბუნებრივია, გაძნელდებოდა და შეფერხდებოდა ასოცირების შეთანხმების ხელმოწერა.

საერთაშორისო დოკუმენტებში აღნიშნული უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობა განმტკიცებულია მათი დაცვის მექანიზმებით – საერთაშორისო სასამართლოებითა (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო/ECtHR) თუ კომიტეტებით (გაეროს კომიტეტები: ადამიანის უფლებათა კომიტეტი, რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი და სხვ.), რომლებიც ამ უფლებების იმპლემენტაციას უწყობს ხელს. ამ მექანიზმებთან დაკავშირებული ვალდებულება საქართველოსაც აღიარებული აქვს შესაბამისი კონვენციების საფუძველზე. საქართველოსთვის ასევე რელევანტურია ევროპის საბჭოს ფარგლებში არსებული სამართლებრივი მექანიზმები, რომლებიც ეთნიკური უმცირესობების უფლებების დაცვის

[77] ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი 27.06.2014 https://matsne.gov.ge/ka/document/view/2496959?publication=0. ნანახია 25.05. 2021.

მონიტორინგისთვისაა გამოსაყენებელი. ერთ-ერთი ასეთი ყველაზე მნიშვნელოვანი სასამართლო მექანიზმია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, რომელიც ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მთავარი აღმასრულებელი ორგანოა. გარდა ამისა, ევროპის საბჭოს ეთნიკური უმცირესობების დაცვის უმნიშვნელოვანესი ჩარჩო-კონვენციის შესრულების მონიტორინგს ახორციელებს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტი, რომელიც პერიოდულ ანგარიშგებისა და რეკომენდაციების გზით ამოწმებს ეთნიკური უმცირესობების უფლებრივ მდგომარეობას წევრ ქვეყნებში, მათ შორის, საქართველოშიც.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი ინსტიტუციებისა, არსებობს სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებიც, რომლებიც თავისი საქმიანობით ხელს უწყობს ეთნიკურ უმცირეობათა პრობლემების მოგვარებას. 1996 წელს დაარსდა ევროპის გაერთიანება უმცირესობების საკითხებში/ECMI,[78]არაპარტიული დამოუკიდებელი მულტიდისციპლინური ინსტიტუცია, რომლის მიზანია უმცირესობების საკითხებში საერთაშორისო მულტიდისციპლინური კვლევითი საქმიანობა, ასევე ევროპის მასშტაბით ეთნიკური კონფლიქტების დარეგულირების ხელშეწყობა. ცენტრს აქვს სამეცნიერო ბეჭდვითი ორგანო - ევროპის გაერთიანების ჟურნალი უმცირესობების საკითხებში.[79] სადაც ქვეყნდება ამ სფეროში კვლევითი საქმიანობის შედეგები.1975 წელს დაარსდა ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციაა/OSCE, როგორც მონაწილე ქვეყნებს შორის დიალოგისა და თანამშრომლობის ფორუმი (საერთაშორისო ორგანიზაციების ზოგადი მიმოხილვა და მათი თანამშრომლობა საქართველოსთან 2005:72). OSCE-ს ადამიანის უფლებების დაცვის პოლიტიკა კონცენტრირებულია რელიგიის თავისუფლებაზე, ეთნიკური კონფლიქტების აღმოფხვრასა და სხვა პრიორიტეტულ საკითხებზე. 1992 წელს ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ამ ორგანიზაციის კოორდინაციით ნაციონალურ უმცირესობებთან დაკავშირებული კონფლიქტის აღმოფხვრის

[78] სამეცნიერო ბეჭდვითი ორგანო - ევროპის გაერთიანების ჟურნალი უმცირესობების საკითხებში. European centre for Minority issues- https://www.ecmi.de/the-centre/our-mission. ნანახია 30.05.2021

[79] სამეცნიერო ბეჭდვითი ორგანო - ევროპის გაერთიანების ჟურნალი უმცირესობების საკითხებში-1966 https://www.ecmi.de/the-centre/our-mission. ნანახია 25.05. 2021

მიზნით შეიქმნა ეროვნული უმცირესობების უმაღლესი კომისია. მისი მიზანია, დროულად დასახოს ეთნიკური დაძაბულობის შეწყვეტის გზები, რათა საფრთხე არ შეექმნას OSCE-ის წევრებს შორის სტაბილურობას. OSCE აზერბაიჯანს, სომხეთსა და საქართველოსა ეხმარება კონფლიქტების მოგვარებასა და დემოკრატიზაციაში. საქართველო OSCE-ში შევიდა 1992 წელს. 2003 წელს გაიხსნა მისიის ხელმძღვანელობის ოფისი.

ეროვნული უმცირესობების უმაღლესი კომისიის საქმიანობის უკეთ დემონსტრირებისათვის, შევეხებით ეთნიკურ უმცირესობის ინტეგრაციისადმი მიძღვნილ, 2012 წელს OSCE-ის მიერ გამოცემულ ნაშრომს „ლუბლიანას მრავალფეროვანი საზოგადოების ინტეგრაციის გზამკვლევი“.[80] ამ დოკუმენტს ინტეგრაციის დოკუმენტს ან ლიუბლიანის გზამკვლევსაც (The Ljubljana Guidelines on Integration of Diverse Societies & Explanatory Note) უწოდებენ. გამომცემელთა აზრით, სასურველია, იგი გახდეს ყველა ქვეყნის პრიორიტეტი, რათა ევროპის ქვეყნების საერთო ღირებულებების გათვალისწინებით შემუშავებულმა რეკომენდაციებმა მოახდინოს რეგიონებში კონფლიქტის პრევენცია და განმუხტოს ეთნიკურ ჯგუფებს შორის შესაძლებელი დაძაბულობა[81]. ამ მიზნით დოკუმენტში ჩამოთვლილია ეთნიკურ უმცირესობათა მკვიდრ მოსახლეობასთან ინტეგრაციის პოლიტიკის 4 პრიორიტეტი: 1. *ინკლუზია და ეფექტური თანამონაწილეობა;* 2. *უფლებები და მოვალეობები;* 3. *ინტერკომუნების ურთიერთობები;* 4. *უმრავლესობისა და უმცირესობის თანაარსებობის პოლიტიკის განვითარება* [82]. დაზუსტებულია სახელმწიფოს მხრიდან აუცილებლად განსახორციელებელი ქმედებანი ამ პრიორიტეტების რეალიზებისათვის, როგორიცაა ინტერკულტურული დიალოგის წარმოება; უმრავლესობისა და უმცირესობის ჯგუფებს შორის გაცვლითი ღონისძიებებისა და შეხვედრების ორგანიზება და სხვ. OSCE-ს ეგიდით გამოცემულ ამ დოკუმენტში მოცემული ინტეგრაციის პოლიტიკის ზემოთ ჩამოთვლილი

[80] The Ljubljana Guidelines on Integration of Diverse Societies & Explanatory Note .Nov.7 2021 https://www.osce.org/files/f/documents/0/9/96883.pdf . ნანახია 25.05. 2021
[81] The Ljubljana Guidelines on Integration of Diverse Societies & Explanatory Note 2012: 2-4 Nov.7 2021 https://www.osce.org/files/f/documents/0/9/96883.pdf. ნანახია 25.05. 2021
[82] The Ljubljana Guidelines on Integration of Diverse Societies & Explanatory Note 2012: 19-23https://www.osce.org/files/f/documents/0/9/96883.pdf. ნანახია 25.05. 2021

პრიორიტეტების გაცნობა გვაჩვენებს, რომ საქართველოს სხვადასხვა ინსტიტუციის მიერ ეთნიკურ უმცირესობათა ინტეგრაციის, ასევე მათ კულტურათა მიმართ სახელმწიფო პოლიტიკის სხვა მიმართულებებით ჩატარებული საქმიანობა, რომელიც განხილულ იქნა დისერტაციის წინა თავებში, შეესაბამება ამ გზამკვლევის ძირითად ვექტორებს.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ დოკუმენტებში ეთნიკურ უმცირესობათა კულტურის საკითხები უფრო მეტად ადამიანთა უფლების დაცვის კონტექსტს უკავშირდება (გამონაკლისია ევროპის ჩარჩო კონვენცია), მით უფრო, რომ ეს საკითხი უცხოეთში მიგრაციული პოლიტიკის პრინციპს ეყრდნობა და ამ კუთხით განიხილება. მაგრამ საქართველო ისტორიულად მულტიეთნიკური და მულტიკულტურული ქვეყანაა და ეს საკითხი კულტურული თვითმყოფადობისა და კულტურათაშორისი ინტეგრაციის კუთხით სახელმწიფოს მხრიდან მუშაობის სხვა პრინციპებს მოითხოვს.

სახელმწიფოს პოლიტიკა ეთნოსების კულტურათა მიმართ, უპირველესად, უნდა დაფიქსირდეს ქვეყნის კულტურის პოლიტიკის სტრატეგიაში. 2016 წელს შეიქმნა საქართველოს კულტურის სტრატეგია-2025 - კულტურის პოლიტიკის ოფიციალური დოკუმენტი. მასში დაფიქსირებულია 2016-2025 წლებში კულტურის პოლიტიკის მხოლოდ სტრატეგიული მიმართულებანი, მიზნები, ამოცანები, ანუ ის არაა კულტურის განვითარების დაწვრილებითი გეგმა, რომელიც გაცილებით ტევადი, რთული და მრავალწახნაგოვანი უნდა იყოს. კულტურის პოლიტიკის დარგში არსებული საერთაშორისო კვლევებით მიჩნეულია, რომ ნებისმიერი ქვეყნის კულტურის პოლიტიკაში თანაარსებობს სამი ასპექტი: *კონცეპტუალური, ეკონომიკური და საკანონმდებლო.* კულტურის პოლიტიკის სრულფასოვანი განხორციელებისათვის საჭიროა კონცეპტუალური მხარის (გარკვეულად, უმთავრესის) შერწყმა ეკონომიკურსა და საკანონმდებლოსთან. „კულტურის სტრატეგია-2025"-შიც არის სამივე ამ ასპექტის მიკროთემებად *(ცნობიერების ამაღლება და განათლება; კულტურაზე წვდომა და კულტურის მრავალფეროვნება; კულტურისა და სხვა სფეროების ურთიერთმიმართება; კულტურის დაფინანსება; კულტურის ინფრასტრუქტურა და ახალი ტექნოლოგიები; შემოქმედებითი ინდუსტრიები; კულტურის*

*ინტერნაციონალიზაცია; კულტურის მმართველობის პრინციპები)* გამოყოფისა მცდელობა, თუმცა, აქ ისინი მაინც ზოგადაა წარმოდგენილი. მიუხედავად ამისა, ეს დოკუმენტი მაინც მოიცავს საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ უმცირესობებთან მიმართებით სახელმწიფო კულტურის პოლიტიკის ხედვასაც. ფორმულირებულია მისი მიზნები და ამოცანები: უმცირესობების აქტიური მონაწილეობა კულტურულ ცხოვრებაში, ხელმისაწვდომობა კულტურის ინფრასტრუქტურასა და რესურსებზე და ა. შ. ამ და მსგავსი მიზნებიდან გამომდინარე, ამოცანებად განისაზღვრა კულტურული და შემოქმედებითი პროექტების, ინიციატივების, ღონისძიებებისა და კამპანიების ორგანიზება, უმცირესობათა მატერიალური და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და აღდგენა, მათი ინვენტარიზაცია, კლასიფიკაცია, სააღრიცხვო დოკუმენტაციის შექმნა, რეესტრის წარმოება და რუკაზე დატანა, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, სხვადასხვა ტრადიციული ცოდნისა და საშემსრულებლო ხელოვნების შენარჩუნება (კულტურის სტრატეგია-2025. 2016: 16- 19,37 ) და ა. შ. ამ დოკუმენტში მოცემულია კულტურის განვითარების სტრატეგიული ვექტორები. ერთ-ერთ სტრატეგიულ მიმართულებად მიჩნეულია სახელმწიფოს მხრიდან მცირე ეთნოსების კულტურათა ხედვა, რომლის იმპლემენტაცია, როგორც ზემოთ წარმოვაჩინეთ, ხორციელდება სხვადასხვა ინსტიტუციის მიერ სახელმწიფოს ფინანსური, ორგანიზაციული და მორალური მხარდაჭერით.

იმის გათვალისწინებით, რომ საქართველო 70 წელი საბჭოთა კავშირის ნაწილი იყო, საინტერესოდ მივიჩნიეთ პოსტსაბჭოთა სივრცის ზოგიერთი ქვეყნის ეთნიკურ უმცირესობათა კულტურის პოლიტიკის ძირითადი მახასიათებლების შედარება საქართველოს სახელმწიფოს ანალოგიურ ხედვასთან. შევჩერდით ჩვენსავით მცირე ქვეყანაზე (2016 წლის მონაცემებით 1,32 მილიონი მოსახლეობით), ესტონეთზე, სადაც 100-ზე მეტი ეროვნების წარმომადგენელი ცხოვრობს. მათგან რუსულენოვანი მოსახლეობის (25 პროცენტი) რაოდენობამ მოიმატა მეორე მსოფლიო ომის შემდგომ, საბჭოთა კავშირის მიერ სხვა ბალტიისპირულ ქვეყნებთან ერთად, ესტონეთის ოკუპაციის შედეგად. ამ მულტიეთნიკური რეალობისა და ესტონელი მოსახლეობის (69%)

უფლებების გათვალისწინებით, ესტონეთში მოქმედი კანონი ვარირებს ქვეყანაში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების სტატუსის შესაბამისად. მაგალითად, ესტონეთში მცხოვრები რუსი ეთნოსის ნახევარზე მეტი ესტონეთის მოქალაქეა და მათთვის მოქმედებს ეთნიკური ესტონელებისათვის განკუთვნილი კანონები. ისინი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების თითქმის ყველა პროცესში სრულყოფილად არიან ინტეგრირებულნი.[83] ესტონეთის კულტურის სამინისტრო კოორდინირებას უწევს დოკუმენტს „ესტონეთის ინტეგრაცია-2020" (შედარებისთვის, 2009 წელს საქართველოში შემუშავდა შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფცია და სამოქმედო გეგმა). ინტეგრაციის პრობლემის გადაჭრა როგორც ესტონეთში, ისე საქართველოში უკავშირდება უმრავლესობისა და ეთნიკური უმცირესობების თანაარსებობას ტოლერანტული, ერთიანი საზოგადოების ფარგლებში. ესტონეთის კულტურის სამინისტროს გარდა, ინტეგრაციის პროცესში მონაწილეობს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო (მაგალითად, ქვეპროგრამით „ეთნიკური უმცირესობების განათლება და კულტურა“); შინაგან საქმეთა სამინისტრო (ქვეპროგრამით „სოციალური კომპეტენცია“); სოციალურ საქმეთა სამინისტრო (ქვეპროგრამით „ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ ზრდასრულთა ესტონური ენის სწავლების ქვეპროგრამა“) და ა. შ. ესტონეთში სახელმწიფო ინტეგრაციაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ისეთი ინსტიტუციების ჩართულობა და თანამონაწილეობაც, როგორებიცაა ინტეგრაციის ფონდი, ინოვაციების ფონდი, ადგილობრივი კომუნები და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები და სხვ[84] საქართველოსთან პარალელისთვის შეიძლება გავიხსენოთ, რომ საქართველის კულტურის სამინისტროსა და სხვა ინსტიტუციების მიერაც ეთნიკურ უმცირესობათა ჩართულობით მათ მრავალფეროვან კულტურათა გასავითარებლად და პოპულარიზაციისათვის წლების განმავლობაში იქმნება საგანმანათლებლო პროგრამები და პროექტები;

[83] Cultural diversity and integration -Cultural diversity and integration-13.12. 2010 https://www.kul.ee/en/activities/cultural-diversity, ნანახია 25.05. 2021.
[84] Cultural diversity and integration -Cultural diversity and integration-13.12. 2010. https://www.kul.ee/en/activities/cultural-diversity. ნანახია 25.05. 2021.

ტარდება მრავალფეროვანი შემოქმედებითი ფესტივალები და სხვადასხვა ღონისძიება.

ბალტიისპირეთის ქვეყნებს, მიუხედავად საერთო რეგიონული სივრცისა, აქვთ კულტურის განვითარების, ერთმანეთის კულტურის აღქმისა და ეთნიკურ უმცირესობებთან მიმართებით კულტურის პოლიტიკის განსხვავებული ხედვა, რაც განპირობებულია მათი განვითარების სხვადასხვაობით. მაშინ, როდესაც ლიტვა უფრო მჭიდროდაა დაკავშირებული ჩრდილოევროპულ სივრცესთან და მენტალური ბმა აქვს პოლონეთთან, ამასთან, ლიტვას და ლატვიას აკავშირებს საერთო ენობრივი მახასიათებელი - ისინი ბალტიურ ენათა ჯგუფს განეკუთვნება, მათგან განსხვავებით, ესტონური ენა ფინურ-უნგრული ენათა ჯგუფის ნაწილია და უფრო მეტად ფინეთის კულტურასთანაა დაკავშირებული. ლიტვა, რუსების გარდა, დასახლებულია გერმანელი ეთნიკური უმცირესობებით, რომელიც სრულფასოვნად არიან ინტეგრირებული პოლიტიკურ, რელიგიურ, ეკონომიკურსა და კულტურულ პროცესებში (რუსულენოვანი უმცირესობები ბალტიისპირა ქვეყნებში 2018: 4). ბალტიისპირეთის სამივე ქვეყანაში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების ენის, კულტურის შენარჩუნებასა და დაცვას სახელმწიფო კანონი არეგულირებს. მიუხედავად ამისა, ბალტიისპირა ქვეყნებში მცხოვრები რუსი ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლები ქვეყნებს ხშირად ადანაშაულებენ დისკრიმინაციაში სხვა ერების მიმართ (რუსულენოვანი უმცირესობები ბალტიისპირა ქვეყნებში 2018: 5).

შევეხებით მოლდოვის ეთნიკურ პოლიტიკასაც. მას განაპირობებს იდეოლოგიური დეტერმინანტები. ერთ-ერთი შეხედულებით, კულტურულ-ისტორიული განვითარების ჭრილში მოლდოვის კულტურა მოიაზრება პან-რუმინული კულტურის ნაწილად, მოლდოვური ენა კი-რუმინული ენის დიალექტად. საპირისპირო იდეოლოგიის თანახმად, მოლდოვა რუმინული გავლენისგან თავისუფალი, დამოუკიდებელი კულტურის მქონე ქვეყანაა, რომლის ისტორია, კულტურა, რელიგია და ენა უნიკალური მოლდოვური მახასიათებლებით გამოირჩევა და საერთო ნიშან-თვისებები არ აქვს რუმინულ ნაციონალურ მახასიათებელებთან. ეს რეალობა აისახება ამ ქვეყნის მიდგომაში

ეთნოსების კულტურათა მიმართ.[85] გარდა ამისა, მოლდოვის სპეციფიკა ისიცაა, რომ ეკონომიკური განვითარების დაბალი დონე ქვეყანაში სიღარიბის პრობლემას ქმნის, რაც, თავის მხრივ, ხელს უშლის მოლდოვაში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციასა და მათი კულტურული ინსტიტუციების ხელშეწყობას მოლდოვის კონსტიტუციაში მოლდოვის რესპუბლიკის სრულყოფილი ერის-ერთიანი ნაციის განმარტებაში მოიხსენიებიან როგორც წარმოშობით მოლდოველი მოქალაქეები, ასევე ქვეყნის ტერიტორიაზე მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები[78]. 1990-იანი წლების ბოლოს მოლდოვაში შეიქმნა ნაციონალური უმცირესობების სახელმწიფო დეპარტამენტი, საბოლოოდ, 2005 წელს ქვეყანაში დაარსდა ინტერეთნიკური ურთიერთობების სახელმწიფო ბიურო, რომელიც მოლდოვაში ეთნიკური უმცირესობების პოლიტიკის გამტარებელი სახელმწიფო ორგანოა. მისი მთავარი მიზნებია მოლდოვაში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების დაცვა, ხელშეწყობა და განვითარება; ამისთვის სხვადასხვა აქტივობისა და ღონისძიების ორგანიზება. ქვეყანაში მოქმედი 82 ეთნიკური ორგანიზაცია (მაგ., სლავური კულტურისა და დამწერლობის ფონდი; ებრაული კულტურის საზოგადოება და მრავალი სხვა) თანამშრომლობს ინტერეთნიკური ურთიერთობების სახელმწიფო ბიუროსთან. საგულისხმოა, რომ, საქართველოს მსგავსად (აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის თვითაღიარებული რესპუბლიკები), მოლდოვაშიც არსებობს არაღიარებული დნესტრისპირეთის, სხვანაირად, ტრანსისტრიის რესპუბლიკა, რომელიც მოლდოვას 1990 წელს გამოეყო და გახდა დე-ფაქტო დამოუკიდებელი ნაწილი. ამან, საქართველოს მსგავსად, აქ შექმნა არა მხოლოდ გამორჩეული პოლიტიკური, არამედ ეთნიკურ-კულტურული კლიმატიც. საერთაშორისო კვლევებში ტრანსისტრია წარმოადგენს სეპარატისტულ რესპუბლიკას. ამ პრობლემას აანალიზებს ევროპის გაერთიანების/ECMI-ის ჟურნალში ალ. ოსიპოვისა და ჰ. ვასილევიჩის 2017 წელს გამოქვეყნებული სტატია „ტრანსისტრიის ფენომენი პოსტსაბჭოთა მრავალფეროვნების ჭრილში“. სტატიაში განხილულია მოლდოვის

[85] The EthnicPolicyof Moldova 2015 (C:/Users/sali/Downloads/2015KosienkowskiEthnicPolicyofMoldova.pdf. ნანახია 25.05. 2021.

ტრანსისტრიის რესპუბლიკის (TMR) მრავალფეროვნების პოლიტიკა. ავტორთა აზრით, ტრანსისტრია „რუსული უნივერსის“ ნაწილი უფროა, სადაც მოლდოველი და სლავი ეთნოსები თანაცხოვრობენ; ტრანსისტრიის მმართველი ძალების რიტორიკა თანასწორუფლებიანობის შესახებ მხოლოდ ნაწილობრივაა იმით გამართლებული, რომ რეგიონში სხვადასხვა ეთნოსი სხვადასხვა ლინგვისტური ნიშნის მატარებელია და საკუთარ ენაზე საუბრობს, თუმცა, მათი დასკვნით, ეს არ შეიძლება იყოს დამოუკიდებელი სუვერენული სახელმწიფოს არსებობის მყარი გარანტი[86]. ტრანსისტრიის ე. წ. ფენომენი და მასთან დაკავშირებული პრობლემი მსგავსია საქართველოში დროებით არსებული აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის არაღიარებული წარმონაქმნების პრობლემებისა. ეს არაა მხოლოდ პოლიტიკური პრობლემა. მასთან დაკავშირებულია აფხაზებსა და ოსებთან ქართველი ეთნოსის მომავალი ტოლერანტული თანაცხოვრების სირთულეები, რაც ახლაც და მომავალშიც აფხაზი და ოსი ეთნოსების მიმართ მრავალმხრივ გააზრებულ მიდგომას მოითხოვს.

[86] Women, Etno-cultural communities and the state in Ethiopia 24.10.2017 https://www.ecmi.de/fileadmin/redakteure/publications/pdf/Working_Paper__100.pdf ნანახია 25.05.2021

## 3.4. ემპირიული კვლევის შედეგები და მცირე ეთნოსების კულტურათა მხარდამჭერი საკანონმდებლო დოკუმენტების (2009-2019) დახვეწისა და გაუმჯობესების მიზნით შემუშავებული რეკომენდაციები

კულტურის პოლიტიკას, მათ შორის, ცხადია, ეთნოსების კულტურათა მიმართ არსებულ პოლიტიკას ახორციელებს სახელმწიფო, უფრო კონკრეტულად კი, კულტურის სფეროს არაერთი ინსტიტუცია - ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების დაქვემდებარებაში არსებული მუზეუმები, თეატრები, კულტურული და მემორიალური სახლ-მუზეუმები და სხვ. მათი საქმიანობის წარმოჩენის მიზნით, ჩავატარეთ ემპირიული კვლევა, რომლის განხორციელების დროს ვემყარებოდით კულტურის პოლიტიკის მენეჯმენტის ცნობილი სპეციალისტების, მ. დრაგიჩევიჩ-შეშიჩისა და ბრ. სტოიკოვიჩის შეხედულებას კულტურის პოლიტიკის სფეროში ინფორმაციის მოსაპოვებლად ამა თუ იმ სახის სამეცნიერო კვლევების ჩატარების აუცილებლობის შესახებ. ამგვარი კვლევის მიზანია კულტურის სფეროში არსებული სტრატეგიების ანალიზი, შეფასება, განახლება და ახალი იმპულსების აღმოჩენა, რაც დაეხმარება კულტურის პოლიტიკის განმახორციელებელ უწყებებს არსებული ხარვეზების აღმოფხვრაში, პოლიტიკის ოპტიმირებასა და დახვეწაში (დრაგიჩევიჩ-შეშეჩი, ბრ. სტოიკოვიჩი. კულტურა, მენეჟმენტი, ანიმაცია, მარკეტინგი. 2007: 202-205). ს. კოიხელიც ხაზს უსვამს ემპირიული კვლევის განსაკუთრებულ როლს კულტურის მენეჯმენტში [87] კიდევ ერთი მკვლევრის, არ. კრუპლის, ერთ-ერთი ნაშრომი თვისებრივი კვლევის მიმართულებით ერთგვარი გზამკვლევია, რომელიც საერთაშორისო სტანდარტებს ემყარება. მასში ასახული კვლევის მეთოდები ორიენტირებულია პერსონალური, სამეცნიერო და პრაქტიკული კვლევის ეფექტებსა და გავლენებზე. პერსონალურ

---

[87] კოიხელი ს. ემპირიული კვლევის როლი კულტურის მენეჯმენტში. კვლევის სფერო, განვითარება და ინოვაციური ემპირიული პრაქტიკის მოდელირება კულტურის მენეჯმენტის ყოველწლიური ჟურნალი. 2010
http://www.fachverband-kulturmanagement.org/wp-content/uploads/2012/10/ZurRolleDerEmpirischenForschungImKulturmanagement.pdf. ნანახია 25.05.2021.

კვლევასთან დაკავშირებით, საუბარია კონკრეტული ინდივიდების მიერ ჩატარებულ კვლევებზე, მათ ემპირიულ გამოცდილებასა და მიდგომებზე; მოთხრობილია თვისებრივი სამეცნიერო კვლევითი თეორიებისა და მოდელების შესახებ; პრაქტიკულ ნაწილში კი აღწერილია თვისებრივი კვლევის მეთოდები და ინსტრუმენტები, ასევე, თუ როგორ ტარდება თვისებრივი კვლევა. საბოლოოდ, ეს გზამკვლევი დამხმარე საშუალებააა თვისებრივი კვლევის სამუშაო პროცესში ჩართული პრაქტიკოსი მკვლევრებისთვის[88]

არაერთი თვისებრივი კვლევა მიზნად ისახავს ნახევრად სტანდარტული ინტერვიუების მეშვეობით საზოგადოებაში არსებული სტერეოტიპული ქცევების გამოვლენას რიცხობრივად არამასშტაბური კვლევების მეშვეობით. საილუსტრაციოდ შეიძლება მოვიხმოთ ჰ. ჯენსენის პუბლიკაცია, სადაც აღნიშნულია, რომ რაოდენობრივი კვლევა მრავალრიცხოვანი პოპულაციის გამოკითხვაზეა ორიენტირებული, თვისებრივი კვლევა კი შემოიფარგლება კვლევაში მონაწილე ნაკლები რაოდენობის ინდივიდების გამოკითხვით და ორიენტირებულია საკვლევი თემის გაშლის ხარისხზე და არა რესპონდენტთა რაოდენობაზე.[89]

ჩვენ მიერ გამოყენებული ემპირიული კვლევის მეთოდი, უმთავრესად, თვისებრივია, თუმცა რაოდენობრივი კომპონენტი აისახება გამოკითხული კულტურული ინსტიტუციების მიერ ზუსტი მონაცემების გადმოცემაში. ინსტიტუციების მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე შევეცადეთ, შეგვეჯამებინა მათი საქმიანობის სპეციფიკა და ტენდენციები ეთნიკური კულტურების მართვის მიმართულებით. სწორედ ეს, და არა რაოდენობრივი მონაცემების დადგენა და ანალიზი, არის თვისებრივი კვლევის მთავარი მიზანი. კვლევის ინსტრუმენტად, ამ სფეროს სპეციალისტთა შეხედულებაზე დაყრდნობით, ხშირად გამოიყენება გამოკითხვის მეთოდი, სადაც კითხვარი მოიცავს ე. წ. ღია და დახურულ კითხვებს. ეს ავტორები განარჩევენ საცდელი

---

[88] კრუპლი არ. თვისებრივი კვლევის მეთოდები.ემპირიაზე ორიენტირებული სახელმძღვანელო ფსიქოლოგიისა და პედაგოგიკის სტუდენტებისთვის. ჰამბურგის უნივერსიტეტის გამოცემა. 2019. https://www.researchgate.net/publication/285471178_Introduction_to_Qualitative_Research Methods). ნანახია 25.05.21.

[89] ჯენსენი ჰ. ხარისხობრივი კვლევის მეთოდების ლოგიკა და მისი როლი სოციალური კვლევის მეთოდების განვითარებაში. ხარისხობრივი კვლევის ფორუმი.2010 https://www.researchgate.net/publication/45194054_The_Logic_of_Qualitative_Survey_Research_and_its_Position_in_the_Field_of_Social_Research_Methods. ნანახია 25.05.2021.

გამოკვლევების ტექნოლოგიებს, მათ შორის დასახელებულია კითხვარებიც, რომელთა საფუძველს, მათი აზრით, უნდა წარმოადგენდეს პასუხები ზოგადად ფორმულირებულ შემდეგ კითხვებზე: *რა, ვინ , სად , როდის, რატომ, რამდენი და როგორ?* ისინი თვლიან, რომ ეს და მსგავსი ღია და დახურული კითხვები აუცილებელი ემპირიული ცდაა ცოდნის მისაღებად და კულტურის მენეჯმენტის უკეთ წასამართად. პირდაპირი, ღია გამოკითხვისაგან განსხვავებით, დახურული კითხვები გადაეგზავნა რესპონდენტებს, ან ისინი უშუალოდ ე. წ. ველზე გამოიკითხნენ. ეს მეთოდი გამოიყენება მაშინ, როცა კვლევა ხორციელდება შედარებით დიდ ტერიტორიაზე (მ. დრაგიჩევიჩ შეშეჩი, ბრ. სტოიკოვიჩი. კულტურა, მენეჟმენტი, ანიმაცია, მარკეტინგი. 2007: 212-214). კითხვარის პასუხების სისტემატიზაცია-ანალიზის შედეგად ირკვევა გამოსაკითხი ინსტიტუციების მიერ ეთნოსების მიმართ კულტურის პოლიტიკის განხორციელების ხარისხი.

საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით, მაგრამ მისი გარკვეული მოდიფიკაციითა და თითოეული ინსტიტუტის საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით, ჩვენც შევადგინეთ შემდეგი კითხვარი:

1. *როდის მიენიჭა თეატრს/ მუზეუმს/ კულტურის ცენტრს სახელმწიფო ორგანიზაციის სტატუსი, რა დოკუმენტი უდევს მას საფუძვლად (კანონი, ბრძანება და ა.შ.)* [90].
2. *ინფორმაცია თეატრის/მუზეუმის/კულტურის ცენტრის ისტორიისა და შემოქმედებითი ცხოვრების შესახებ; რომელი პერიოდი იყო გამორჩეულად ნაყოფიერი თქვენი ორგანიზაციისთვის და რაში გამოიხატა ეს*[91];
3. *როგორია 2009-2019 წლებში თეატრის/მუზეუმის/კულტურის ცენტრის შემოქმედებითი განვითარების დინამიკა (პრემიერები, გასტროლები, ფესტივალებში მონაწილეობა, ექსპოზიციების, მაყურებლების რაოდენობა); მათგან განსაკუთრებით რომელ ღონისძიებებს გამოყოფდით?* [92]

---

[90] პირველი კითხვის მიზანია გამოკითხული კულტურის სახელმწიფო ინსტიტუციების იდენტიფიცირება. აქედან გამომდინარე, უკვე შესაძლებელია მათი, როგორც სახელმწიფო პოლიტიკის განმსაზღვრელი ინსტიტუციების, საქმიანობისა და როლის დადგენა.

[91] მეორე კითხვის მიზანია გამოკითხული ინსტიტუციების ორგანიზაციული სტრუქტურისა და წარმატებული საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მიღება.

[92] მესამე კითხვა ემსახურება ინფორმაციის მოპოვებას იმის თაობაზე, თუ როგორია გამოკითხული ინსტიტუციების შემოქმედებითი საქმიანობის დინამიკა. მათი საქმიანობის სპეციფიკიდან

4. *რა ინფორმაციას ფლობთ საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ უმცირესობებისა და მათ კულტურის სახელმწიფო მხარდაჭერის თაობაზე?*

ეს კითხვარი შევადგინეთ იმის გათვალისწინებით, რომ რესპონდენტებისგან მიღებული ინფორმაცია მაქსიმალურად იქნებოდა შესაბამისი ზემოთ დასახელებული კითხვებისა: *რა, ვინ , სად , როდის, რატომ, რამდენი და როგორ?* კითხვარი დაეგზავნა შემდეგ კულტურულ ინსტიტუციებს: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს[93] ქვემდებარე სსიპ ეთნიკურ უმცირესობათა კულტურულ ინსტიტუციებს, მუნიციპალურთაგან - მარნეულის, ნინოწმინდის, ახმეტისა და ბაღდადის კულტურის ცენტრებს; ადგილობრივი მუნიციპალიტეტის ქვემდებარე მემორიალურსა და კერძო მუზეუმებს; სსიპ ქართულ მუზეუმებს; არასამთავრობო ორგანიზაციებსა და თბილისის მერიას.

ამ ინსტიტუციების მიერ გადმოგზავნილ პასუხებს შეჯამებული, განზოგადებული და ანალიტიკური სახით წარმოვადგენთ. გარკვეული ხარვეზების მიუხედავად, ისინი იძლევა კულტურის სახელმწიფო პოლიტიკის წარმოჩენის საშუალებას მათ მიერ გატარებული ღონისძიებების მეშვეობით. გამოკითხული ინსტიტუციებისგან მიღებული პასუხების გათვალისწინებით, შევეცადეთ რეკომენდაციების შემუშავებასაც.

უპირველესად, მიმოვიხილავთ თბილისში არსებული ეთნიკური ჯგუფების მუზეუმებისგან მიღებულ პასუხებს. ზოგადად, მუზეუმების სპეციფიკა იძლევა საშუალებას, რომ ქვეყნის ცხოვრება, მათ შორის, კულტურული ცხოვრება და კულტურის პოლიტიკა ვიზუალურად ძალიან კარგად წარმოჩნდეს იქ დაცული არტეფაქტების ექსპონირებით, ასევე მათ მოსაძიებლად წარმოებული

---

გამომდინარე, შემოქმედებითი განვითარების ინდიკატორებად შერჩეულ იქნა ის ეროვნული თუ საერთაშორისო აქტივობები, რაც ხელს უწყობს კულტურის ამ ინსტიტუციების ორგანიზაციული განვითარების მენეჯმენტს.

[93] აღნიშნული ორგანიზაციები უკვე მრავალი წელი საქართველოს კულტურის სამინისტროს დაქვემდებარებაში იმყოფება. 2009 წლიდან სამინისტროს სხვა კულტურულ ინსტიტუციებთან ერთად ისინი სსიპ -საჯარო სამართლის იურიდიული პირი გახდა. აღნიშნული კულტურული დაწესებულებები სამინისტროს სხვა ორგანიზაციებთან ერთად საბიუჯეტო ასიგნებების ფარგლებში იღებენ ყოველწლიურ ბიუჯეტს შემოქმედებითი საქმიანობისთვის.

არქეოლოგიური ექსპედიციებისა და მოპოვებული მასალის შესახებ არსებული სამეცნიერო პუბლიკაციების მეშვეობით. ესაა ძალზე ზოგადად ყველა მუზეუმის მუშაობის სპეციფიკა. ეთნიკური ნიშნის მატარებელი ნებისმიერი მუზეუმიც, ცხადია, არა არის გამონაკლისი ამ მხრივ.

ასეთ მუზეუმთა შორის გამორჩეულია სსიპ დ. ბააზოვის სახელობის საქართველოს ებრაელთა და ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა ისტორიის მუზეუმი (დღევანდელი სახელწოდება). პირველ კითხვაზე გაცემული პასუხის მიხედვით იგი საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატის ბრძანებით 1933 წლის 23 ნოემბერს დაარსდა. მაშინ ის სხვაგვარად -საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ სახელმწიფო მუზეუმად - იწოდებოდა. 1951 წელს, თვრამეტწლიანი ფუნქციონირების შემდეგ, საბჭოთა კავშირში მიმდინარე ანტისიონისტური მოძრაობის გამო, მუზეუმი დაიხურა. საქართველოს მთავრობის 1992 წლის დადგენილებით კი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა ასოციაციის წარდგენის საფუძველზე, საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი აღდგა და მიენიჭა ცნობილი რაბინისა და საზოგადო მოღვაწის, დავით ბააზოვის, სახელი. საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შემდგომი ბედის შესახებ ზემოთ უკვე ვისაუბრეთ. იგი ჩვენს კითხვაზე პასუხშიც აისახა. მუზეუმის რეაბილიტაციის დასრულების შემდეგ მუზეუმს დაუბრუნდა მისი კუთვნილი რარიტეტული კოლექციები, რომლებიც 1952 წელს მუზეუმის გაუქმების შემდეგ გადანაწილდა სხვადასხვა მუზეუმში. მეორე კითხვაზე გაცემული პასუხით ირკვევა, რომ მუზეუმის არსებობიდან დღემდე სამუზეუმო საქმიანობა მიმდინარეობდა მრავალი მიმართულებით, იქნებოდა ეს კოლექციების მეცნიერული შესწავლა, კონსერვაცია-რესტავრაცია, გამოფენების მოწყობა, კატალოგებისა თუ სამეცნიერო ნაშრომების გამოცემა. სანიმუშოდ შეიძლება დასახელდეს სხვადასხვა წელს გამოცემული ებრაისტიკა-ქართველოლოგიისათვის მნიშვნელოვანი სამეცნიერო „შრომების“ ცხრა ტომი ( ღამბაშიძე 2015: 20-22.). გარდა ამისა, 1991,1998, 2014 წლებში მუზეუმის ორგანიზებით საქართველოსა და ისრაელში ჩატარდა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია-„თბილისი-იერუსალიმი-3“. მუზეუმში დღესაც გრძელდება საგამოფენო, სამეცნიერო-საგანმანათლებლო და საგამომცემლო-კვლევითი მუშაობა,

რომელთა ჩამოთვლით პასუხი ეცემა მეორე და მესამე კითხვის ნაწილსაც - 2009-2019 წლებში მუზეუმში წარმოებული შემოქმედებითი საქმიანობისა და გამორჩეული ღონისძიებების შესახებ. პასუხების მიხედვით ირკვევა, რომ მუზეუმში ამ პერიოდში გაიმართა და დღესაც იმართება მსოფლიოს ქართველ და ებრაელ ქალთა ასოციაცია ,,ესთასა'' და მუზეუმის ერთობლივი ღონისძიება - მეგობრობის საღამოები; ეწყობა საჯარო ლექციები, ქართველი და ებრაელი მხატვრების (საქართველო, ისრაელი, აშშ, ევროპის ქვეყნები) გამოფენები. პასუხის მიხედვით, მნიშვნელოვანი და განსაკუთრებით გამორჩეულიდაა მიჩნეული მუზეუმის მოღვაწეობა 2014-2020 წლებში, როცა აღინიშნა (2014 წ.) საქართველოში ებრაელთა დამკვიდრების ოცდაექვსსაუკუნოვანი საიუბილეო თარიღი; 2015 წ. ჩატარდა ონის სინაგოგის 125 წლის იუბილე; ახალციხეში 2016 წ. აღინიშნა საქართველოში უძველესი ებრაული სინაგოგის დაარსებიდან 275 და მისი განახლებიდან 153 წლის იუბილე; 2017-2018 და 2020 წწ. საქართველოსა და ისრაელში გამოიცა წიგნები, რომლებიც შეეხებოდა აქ დამკვიდრებულ ებრაელთა და ქართველთა ლიტერატურულსა და მეგობრულ ურთიერთობებს; მუშაობის გამრავალფეროვნების მიზნით ქართულ-ებრაულ კულტურათა დიალოგის ფარგლებში მუზეუმი თანამშრომლობს ხელოვნების სხვადასხვა დარგის მოღვაწეებთან, კულტურის სფეროს დაწესებულებებთან, არასამთავრობო და კომერციულ ორგანიზაციებთან, შემოქმედებით კოლექტივებთან. მეოთხე კითხვასთან დაკავშირებით „მოკრძალებული" და არაზუსტი პასუხი ასეთია: „რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო აფინანსებს საქართველოს ებრაული თემის საქმიანობას; მუზეუმის შენობას მინიჭებული აქვს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი", ანუ პასუხი შემოიფარგლება მხოლოდ მათი ორგანიზაციისადმი სახელმწიფოს მხრიდან გაწეული მხარდაჭერის ზოგადი აღნიშვნით.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ ეს კითხვა, ისევე როგორც მესამე კითხვის ის ნაწილი, რომელიც შეეხება დაწესებულების პროფილის შესატყვისად ექსპოზიციებისა და, განსაკუთრებით, მაყურებლების რაოდენობას, ებრაელთა მუზეუმისა და სხვა ორგანიზაციების პასუხებში ძირითადად გვერდავლილია. რაც შეეხება ებრაელთა მუზეუმის საქმიანობის ჩვენეულ დასკვნით შეფასებას, კითხვარზე გაცემული პასუხები გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ მუზეუმის მიერ

ჩატარებულ ღონისძიებათა აქ შეკვეცილად მოხმობაც კი ნათელს ხდის, თუ რამდენად მრავალფეროვანია მის მიერ გაწეული კულტურულ- საგანმანათლებლო საქმიანობა.

საქართველოში დამკვიდრებული აზერბაიჯანელი ეთნოსის კულტურის შენარჩუნებისა და განვითარებისთვის უმნიშვნელოვანესი იყო საჯარო სამართლის იურიდიული პირის - მ. ფათალი ახუნდოვის აზერბაიჯანული კულტურის მუზეუმის შექმნა 2007 წელს, რომელმაც გააერთიანა ნ. ნარიმანოვისა და მ. ყული ზადეს სახლ-მუზეუმების ექსპონატები. თუმცა ჯერ კიდევ 1982 წლიდან ქალაქ თბილისში ფუნქციონირებდა მ.ფათალი ახუნდოვის სახლ-მუზეუმი. ეს დაწესებულება გამოფენებისა და ღონისძიებების მეშვეობით აცნობს საზოგადოებას აზერბაიჯანული კულტურის მრავალფეროვნებას.

მ. ფათალი ახუნდოვის აზერბაიჯანული კულტურის მუზეუმში ერთ-ერთი გამორჩეულია აზერბაიჯანული კულტურული მემკვიდრეობის ნიმუში - ხელით ნაქსოვი ხალიჩები, რომელიც იუნესკოს კულტურული მემკვიდრეობის სიაშია შეტანილი. აზერბაიჯანელებით კომპაქტურად დასახლებულ რაიონებში ქართული მატყლით იქსოვებოდა აზერბაიჯანული ხალიჩები. სწორედ ამიტომ მუზეუმის მიერ თავისი არსებობის განმავლობაში ჩატარებულ ღონისძიებათაგან რესპონდენტთა მიერ ერთ-ერთ გამორჩეულადაა დასახელებული მუზეუმის საგანგებო პროექტის მომზადება ამ ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშის დაცვა-შენარჩუნებისათვის. პროექტი ითვალისწინებდა ამისთვის აუცილებელი პრაქტიკული ბაზის მომზადებასაც. განსაკუთრებით აქტიური იყო 2012-2016 წლები, როცა საქართველოს კულტურის სამინისტროს წარედგინა მუზეუმში მომზადებული საგანმანათლებლო პროექტი „აზერბაიჯანული ხელით ნაქსოვი ხალიჩები - ტრადიციის შენარჩუნება“. სამინისტრომ მხარი დაუჭირა მის განხორციელებას. შედეგი მოულოდნელი იყო, რადგან მუზეუმის თანამშრომელთა მიერვე მოძიებულმა აზერბაიჯანელმა მქსოველებმა შექმნეს ძველებური ხალიჩების შესანიშნავი ანალოგები. პროექტით შესაძლებელი იყო სკოლის მოსწავლეებისათვის მათი ოსტატობის გაცნობა და სწავლებაც. ასე რომ, პასუხის მიხედვით, ეს პერიოდი მიჩნეულია ნაყოფიერად. ამ დროს შექმნილი ხალიჩები, სხვა მნიშვნელოვან სამუზეუმო ექსპონატებთან ერთად, ხშირადაა ექსპონირებული მუზეუმის შიდა და

გასვლით გამოფენებზე. მიღებული პასუხებით ირკვევა, რომ მუზეუმი 2009-2019 წლებში აქტიური სამუზეუმო ცხოვრებით ცხოვრობდა, მაგალითად, 2009-2011 წლების საგანმანათლებლო პროექტით მუზეუმში მოქმედებდა ხატვის; ხალხური მუსიკისა და ცეკვის; ქართული და აზერბაიჯანული ენების შემსწავლელი წრე; 2011 წლიდან რეგულარულად საქართველოს შალვა ამირანაშვილის სახელობის მუზეუმში, ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზსა და ეროვნულ სამუსიკო ცენტრში იმართებოდა აზერბაიჯანული ხალიჩების გამოფენები. მუზეუმის ბაზაზე მომზადდა და გამოიცა წიგნები: „კონსტანტინე ფაღავა, მირზა ფათალი ახუნდოვი" (ქართ./აზერბ. ენაზე); „ნიზამი" - 2014 წწ.) და სხვ. ხალხური და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშების ექსპონირებით (2016 წ.), მუზეუმმა მონაწილეობა მიიღო ახალციხის ტრადიციულ საერთაშორისო ფესტივალში - „რაბათი 2016". 2018 წელს მოეწყო საქართველოს დამოუკიდებლობისა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის 100 წლის იუბილისადმი მიძღვნილი საარქივო მასალის გამოფენა. 2019 წელს - აზერბაიჯანელი პოეტის მირზა შაფი ვაზეჰის 225 წლის იუბილისადმი მიძღვნილი პოეზიის საღამო, მ. ფათალი ახუნდოვის აზერბაიჯანული კულტურის მუზეუმისა და საქართველოს ფოლკლორის ცენტრის ერთობლივი ორგანიზებით, აზერბაიჯანის მუღამის საერთაშორისო ცენტრის მუზეუმში გაიმართა მუღამის საღამოები და მრავალი სხვ. მუზეუმი აქტიურად მონაწილეობდა და მონაწილეობს 2009-2019 წლებში გამართულ საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმებში: (2009, 2012, 2015 წწ. ქ. ბაქო); ICOM-ის საერთაშორისო კონფერენციებში (2014, 2018 წწ. ქ. ბაქო). როგორც გამოჩნდა, პასუხებმა შედარებით სრულად ასახა მუზეუმის საქმიანობა არაერთი მიმართულებით (ფესტივალებსა და სამეცნიერო თავყრილობებში მონაწილეობა, საგამოფენო საქმიანობა სხვადასხვა სივრცეში), რომელთა შესახებ ინფორმაციის მოპოვება იყო მესამე კითხვის მიზანი. კითხვარის პასუხებიდან ჩანს მუზეუმის აქტიურობაც სხვადასხვა გამოჩენილ პირთა უკვდავსაყოფად, რომელთა მოღვაწეობა დაკავშირებული იყო საქართველოსა და აზერბაიჯანის ისტორიულ წარსულთან. მაგალითად, მუზეუმის მიმართვის საფუძველზე 2015 წელს მუზეუმმა დღის წესრიგში დააყენა მეფე ერეკლეს თანამებრძოლის, საქართველოს გმირის, ხუდია ბორჩალოელის ძეგლის დადგმის საკითხი ქ. მარნეულში.

მ. ფათალი ახუნდოვის აზერბაიჯანული კულტურის მუზეუმი, ფაქტობრივად, აზერბაიჯანული კულტურის ცენტრი და ორი ხალხის - აზერბაიჯანელებისა და ქართველების - მეგობრობის კერაა, რაზეც მეტყველებს თუნდაც მუზეუმის მიერ 2014-2019 წლებში მიღებული არაერთი ადგილობრივი და საერთაშორისო ჯილდო. მათგან გამოვყოფდით 2019 წელს მუზეუმისათვის მინიჭებული საქართველოს კულტურის სამინისტროს უმაღლესი ჯილდოს - ხელოვნების ქურუმის წოდებას.

მეოთხე კითხვაზე მუზეუმის პასუხი, როგორც, სამწუხაროდ, მოსალოდნელი იყო, ზოგადი ხასიათისაა. თუმცა მესამე კითხვაში კონკრეტული თანხებია მითითებული, თუ რა პროექტი და ღონისძიება რამდენით დააფინანსა საქართველოს კულტურის სამინისტრომ 2009-2017 წლებში. ირკვევა, რომ მუზეუმის მიერ ჩატარებულ მრავალ ღონისძიებათაგან უმრავლესი ფინანსურად და ორგანიზაციულად მხარდაჭერილია სახელმწიფოს მიერ.

თბილისის ძველი უბნის ერთ-ერთ გამორჩეულ შენობაში განთავსებულია სსიპ სმირნოვების მუზეუმი, რომელიც კითხვარის პირველ კითხვაზე გაცემული პასუხის მიხედვით, დაფუძნდა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვისა მინისტრის 2010 წლის 18 ოქტომბრის ბრძანება 3/227-ის საფუძველზე. საინტერესოა მუზეუმის სახელწოდების ისტორია, რომელიც ასევე მოცემულია რესპონდენტის მიერ: მუზეუმი ფლობს ნიკოლოზ პირველის ფრეილინას, ალ. როსეტის, ნივთების კოლექციას, რომელიც მისმა ვაჟმა მ. სმირნოვმა, დედის თხოვნით, ჩამოიტანა პეტერბურგიდან. ექსპოზიცია განლაგებულია იმავე სახლში, სადაც მ. სმირნოვი ცხოვრობდა მეუღლე ლ. თამამშევასთან ერთად, რომელსაც ეს სახლი გადაეცა მზითვში თავისი პაპისგან, იმ დროისთვის ცნობილ ვაჭარ ი.თამამშევისგან. ეს სახლი ისტორიული ძეგლია და აშენებულია ცნობილი გერმანელი არქიტექტორის ო.სიმონსონის მიერ. სმირნოვების მუზეუმი ისტორიულ-მემორიალური მუზეუმების ჯგუფს მიეკუთვნება, რომლის ისტორია და მემკვიდრეობა რუსულ და ევროპულ კულტურასთანაა დაკავშირებული. ამჟამად ის ფუნქციონირებს როგორც ქართული, რუსული და ევროპული ხელოვნების (ავეჯი, ჭედური ხატები, პორტრეტები, გერმანული მარკები, ღია ბარათები, ჭურჭელი და სხვა საყოფაცხოვრებო ნივთები) მუზეუმი. XIX ს-ში კი ეს სახლი ქართველი და უცხოელი ინტელიგენციის თავშეყრის ადგილი გახლდათ.

დღეს სმიროვების მუზეუმი მულტიკულტურული ხელოვნების ერთგვარი კერაა საქართველოში. მუზეუმის მიერ კითხვარის შესაბამისად მოწოდებული ინფორმაციით, აქ ეწყობა ღია გაკვეთილები სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის მოსწავლეებისთვის; მუსიკალური საღამოები (რომანსიადა); უნიკალური გამოფენები („ობობას ქსელი“); ღია გაკვეთილები, სამეცნიერო ლექციები და სემინარები; პოეზიისა და შემოქმედებითი საღამოები; წიგნის პრეზენტაციები, ამ სახლის ბინადართა ისტორიებზე შექმნილი ფილმების პრემიერები და რეტროსპექტული ჩვენებები; თემატური ექპოზიციები (პუშკინის ეპოქა, როსეტის კოლექცია, გერმანული ნივთების კოლექცია, დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება) და ა.შ. მეორე კითხვაზე გაცემული პასუხის მიხედვით, მუზეუმისთვის გამორჩეულად ნაყოფიერი იყო 2017-18 წლები და 2019 წლის პირველი ნახევარი, როცა მუზეუმს ესტუმრნენ როგორც ევროპელი და რუსი ვიზიტორები, ისე ადგილობრივი დამთვალიერებლები. ამის შედეგად, გარდა მუზეუმის პოპულარიზაციისა, შემოსული თანხებით მოხერხდა მწირი ბიუჯეტის პირობებში მუზეუმის ინფრასტრუქტურის მეტ-ნაკლებად კეთილმოწყობა. მესამე კითხვის იმ ნაწილის პასუხი, რომელიც შეეხება ექსპოზიციებისა თუ მნახველების რაოდენობას, დაუზუსტებელია, თუმცა რეალობის შესაბამისი, რადგან მუზეუმმა სამუზეუმო სტატუსი მიიღო მხოლოდ 2010 წელს, მისი ცნობადობა, მუზეუმის თანამშრომელთა აზრით, სხვა მუზეუმებთან შედარებით ჯერჯერობით დაბალია, 2019 წლის 20 ივნისის ცნობილი მოვლენების შემდეგ კი ვიზიტორების რაოდენობამ საგრძნობლად იკლო, გადაიდო მუზეუმის ექსპონატების ინვენტარიზაცია და ის ამჟამად დროებით დალუქულია. მეოთხე კითხვაზე სმირნოვების მუზეუმის თანამშრომელთა პასუხიც, სხვათა მსგავსად, ზოგადია, ანუ მხოლოდ აღნიშნულია, რომ სახელმწიფო ამ საკითხს დიდ ყურადღებას აქცევს. თუმცა იქვე გამოთქმულია სურვილი, რომ უფრო მეტად შეეწყოს ხელი ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციას, ქართული ენისა და ისტორიის სწავლების დონის ამაღლებას. არსებითად ევროპული კულტურის საცავისაგან - სმირნოვების მუზეუმისგან მიღებული ეს პასუხები ცხადყოფს კულტურათაშორისი დიალოგის მნიშვნელობასა და აუცილებლობას, ეს კი უფრო მეტ აქტუალობას იძენს დღეს, როცა საქართველოს სახელმწიფო ისწრაფვის

ევროპისაკენ, იზიარებს ევროპულ კულტურულ ფასეულობებს და მეტიც, ევროპის ნაწილად აცხადებს თავს.

როგორც ვნახეთ, ზემოაღნიშნული მუზეუმების საქმიანობა ერთმანეთისაგან განსხვავდება და, შესაბამისად, გაგზავნილი კითხვარის პასუხებიც ცხადყოფს მუზეუმების მიერ გაწეული საქმიანობის განსხვავებულობას.

რაც შეეხება კულტურის პოლიტიკას ეთნიკური ჯგუფების თეატრებთან მიმართებთ, საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე ძველია რუსული პროფესიული თეატრი. როგორც ვიცით, რუსთა ინტენსიურად დამკვიდრება საქართველოში XIX ს-ის დასაწყისიდან ისტორიულ-პოლიტიკურ მოვლენებს უკავშირდება. რუსი ეთნოსის სიმრავლე მოითხოვდა მათი კულტურული მოთხოვნების რეალიზებას. ეს კარგად უწყოდა ჯერ კიდევ რუსეთის იმპერიის მმართველობამ, რომელმაც 1845 წლის 20 სექტემბერს რუსული თეატრის სახელწოდებით დააარსა პირველი პროფესიული თეატრალური ჯგუფი საქართველოსა და კავკასიაში, რომლის მემკვიდრეა ალ. გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი. ეს სახელი, პირველ კითხვაზე გაცემული პასუხის მიხედვით, თეატრს ეწოდა 1936 წელს, ხოლო საქართველოს კულტურის სამინისტროს მიერ გრიბოედოვის თეატრი 2005 წელს სსიპ სახით ჩამოყალიბდა (ბრძანება 3/117).

მეორე კითხვის პასუხში დაწვრილებითაა გადმოცემული თეატრის შემოქმედებითი ისტორია, ჩამოთვლილია ამ ისტორიის, შემქმნელი არაერთი თაობის რუსი და ქართველი ცნობილი რეჟისორები, მსახიობები თუ თეატრის მხატვრები. გამორჩეულ და ნაყოფიერ წლებად მიჩნეულია 2005 წლის საერთაშორისო საიუბილეო წელი (გრიბოედოვის თეატრის 160 წლის იუბილე) და 2015 წელი, როდესაც გრიბოედოვის სახელობის თბილისის დრამატულმა თეატრმა თავისი არსებობის 170 წლის იუბილე აღნიშნა. ამ თეატრთან არის დაკავშირებული, რუსი რეჟისორების - მამა-შვილის, გიორგი და სანდრო ტოვსტონოგოვების, მოღვაწეობაც. თეატრში არის „ტოვსტონოგოვის ფოიე", სადაც გაიხსნა ტოვსტონოგოვებისადმი მიძღვნილი ფოტოგამოფენა. ორივემ შესამჩნევი კვალი დატოვა საქართველოში არსებული რუსული თეატრის ისტორიაში. გასაკვირი არაა, რომ, კითხვარის პასუხების მიხედვით, თეატრის ცხოვრებაში გამორჩეულ თარიღებად მიჩნეულია ასევე 1938-46 წლებში გ. ტოვსტონოგოვისა და უფრო მოგვიანებით, 1974 წელს, მისი

ვაჟის, ს. ტოვსტონოგოვის, მოსვლა თეატრში. რთულ 90-იან წლებშიც თეატრმა განაგრძო რეპეტიციები და პრემიერების თამაში. გამორჩეულად მიიჩნევენ რესპონდენტები 1999 წელსაც, რომელიც რეჟისორ ავთო ვარსიმაშვილის სახელთანაა დაკავშირებული. მან როგორც რეჟისორმა და თეატრის ხელმძღვანელმა, ახალი ფურცელი ჩაწერა თეატრის ისტორიაში. ასეთია მეორე კითხვაზე გაცემული პასუხი. თეატრი დღემდე რჩება „რუსულენოვან ქართულ თეატრად", რომელიც აგრძელებს ქართული და რუსული თეატრალური სკოლების ყველა საუკეთესო ტრადიციას, ამავე დროს, ინოვაციური ძიებებისკენ მიისწრაფვის, რაც მთავარია, ტოლერანტობის, ჰუმანურობის შესანიშნავი მაგალითია. დავუბრუნდეთ ისევ პასუხებში მკვეთრად ხაზგასმულ 2015 წელს და ამ წლის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებულ გამორჩეულ ღონისძიებებს. უპირველესად კი იმას, რომ 2015 წელს თეატრმა მიიღო გადაწყვეტილება, აღედგინა თავისი მუზეუმი, სადაც დაცულია ამ თეატრის ხანგრძლივი ისტორიის ამსახველი ძალზე საინტერესო მასალა (ფოტომასალა, პროგრამები, პლაკატები, დეკორაციები, კოსტუმების, წიგნების, პიესების, პრიზებისა და სუვენირების კოლექციები). 170 წლის იუბილესთან დაკავშირებით თეატრში ფართო მასშტაბის ექსპოზიცია განთავსდა, რომელიც ასახავდა თეატრის 170-წლიან რთულ შემოქმედებით გზას. პასუხში დაფიქსირებულია, რომ საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმმა ახლადგახსნილ მუზეუმს საექსპოზიციოდ გადასცა XX საუკუნის დასაწყისისა და მეორე ნახევრის არაერთი რუსი და ქართველი ცნობილი რეჟისორის მიერ დადგმული სპექტაკლების პლაკატები და სხვა მასალა, რომლებიც დღეს წარმოდგენილია თეატრის დიდი დარბაზის ფოიეში. მუზეუმში დაცულია თეატრის სხვადასხვა დროის ცნობილი მსახიობების ფოტოარქივები; XX საუკუნის 20-90-იანი წლების სპექტაკლების უნიკალური ფოტოები; ყველაზე ძველი პროგრამა 1904 წლით თარიღდება. ცხადია, მუზეუმში დაცული და მხოლოდ ნაწილობრივ ექსპონირებული ყველა მასალა ღირებულია თეატრის ბიოგრაფიის აღსადგენად. მესამე კითხვაზე გაცემული პასუხიდან ირკვევა, რომ 2009-2019 წლებში თეატრი წელიწადში სულ მცირე 3-4 პრემიერას დგამს, მონაწილეობს უამრავ ფესტივალში და გასტროლებს მართავს ბევრ ქვეყანაში, ასევე საქართველოს რეგიონებში. 2015 წელსვე გრიბოედოვის თეატრმა ჩაატარა პირველი საერთაშორისო კონფერენცია - „რუსული

თეატრი საზღვრებს გარეთ“, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს 29 ქვეყნის თეატრალურმა ფიგურებმა. 2009-2019 წლების შემოქმედებით საქმიანობასთან დაკავშირებით, რესპონდენტების პასუხებში ხაზგასმულია თეატრის საგასტროლო საქმიანობა, რომელმაც მოიცვა რუსეთის ქალაქები და რეგიონები; გასტროლები უკრაინაში წელიწადში 3 ჯერ, ასევე ყაზახეთში, აზერბაიჯანში, სომხეთში. პასუხში ასევე აღნიშნულია, რომ ბოლო რამდენიმე წელია გრიბოედოვის თეატრმა დაიწყო ევროპაში გასტროლები, კერძოდ, დანიაში, კვიპროსში; წლის განმავლობაში თეატრი აუცილებლად მართავს გასტროლებს საქართველოს რეგიონებშიც: ქუთაისში, ბათუმში, თელავში, ჭიათურაში, ახალციხესა და ტყიბულში. გრიბოედოვის თეატრიდან მიღებული პასუხიდან ირკვევა, რომ თავად თბილისში მაყურებლის რაოდენობა უცვლელია და შესატყვისი მისი მცირე (187 მაყურებელი) და დიდი დარბაზების (778 მაყურებელი) ტევადობისა. უნდა ითქვას, რომ მესამე კითხვის ამ ნაწილზე პასუხი მხოლოდ გრიბოედოვის სახელობის თეატრიდან მივიღეთ. აღნიშნულია ასევე, რომ გალერეა „თბილისის“ შენობაში თეატრის განთავსების შემდეგ მას მიეცა საშუალება, გაემართა წარმოდგენები ტექნიკურად უფრო გამართულ თეატრალურ სივრცეში. ამას ემატებოდა ტურისტების, გამორჩეულად, რუსულენოვანი ტურისტების, სიმრავლე საქართველოში. მეოთხე კითხვასთან დაკავშირებით მათი პასუხიც ძალზე ზოგადი და ლაკონურია: „სამწუხაროდ, ინფორმაციას არ ვფლობთ“. თუმცა, მათ მიერ ხაზგასმულია ა. გრიბოედოვის სახელობის თეატრის მიმართ სახელმწიფო მხარდაჭერა: „თეატრის ბიუჯეტი წლიურად შეადგენს 1 მილიონ 100 000 ლარს“.

ალ. გრობოედოვის თეატრში გამოკითხვა ორი მიმართულებით წარიმართა: ერთი ეხებოდა თეატრს, მეორე - თეატრის ბაზაზე დაფუძნებულ მუზეუმს. მიღებული პასუხები ცხადს ხდის, რომ, თეატრისა და მუზეუმის განსხვავებული სპეციფიკის მიუხედავად, ისინი ერთი ორგანიზმია, მათი მეშვეობით იწერებოდა და იწერება ალ. გრიბოედოვის თეატრის უკვე 175 წლიანი ისტორია როგორც საქართველოში რუსული კულტურის ისტორიის ერთი მნიშვნელოვანი სეგმენტისა. ეს ტრადიცია გაგრძელდება, მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკური ფონის გამო რუსულენოვანი მოსახლეობის რაოდენობა საქართველოში შემცირდა.

სომხური კულტურული ორგანიზაციებიდან ერთ-ერთია პ. ადამიანის სახელობის სომხური პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი. თბილისის სომხური პროფესიული თეატრი დაარსდა ჯერ კიდევ 1856 წელს. პირველ კითხვაზე მიღებული პასუხის მიხედვით, თეატრს სახელმწიფო სტატუსი მიენიჭა 1921 წლის მაისის თვეში. 2005 წელს, საქართველოს კულტურის მინისტრის ბრძანებით (3/104), იგი დაფუძნდა სამინისტროს ქვემდებარე სსიპ ორგანიზაციად.

რაც შეეხება სომხური დრამატული თეატრის შემოქმედებით საქმიანობას, პასუხებში დაწვრილებითაა ჩამოთვლილი თბილისში მცხოვრები და მოღვაწე ის პიროვნებები, რომელთა სახელები მჭიდროდ უკავშირდება თბილისის სომხური თეატრის ისტორიას. აღნიშნულია, რომ თბილისში გაიზარდა და იზრდება სომეხი თეატრალური მოღვაწეების არაერთი თაობა და ჩამოთვლილია მრავალი მათგანი. მოწოდებულია ასევე ინფორმაცია, თუ სომხეთიდან მოწვეული რომელი ცნობილი მსახიობი ან რეჟისორი მოღვაწეობდა თეატრში და რომელ წლებში. მეორე კითხვის მეორე ნაწილთან დაკავშირებით ნათქვამია, რომ თეატრის ისტორიაში ნაყოფიერი პერიოდი იყო 1936 წელი, რომელიც მიჩნეულია თბილისის სომხური თეატრის განვითარების ახალ ეტაპად, რადგან სომხური დრამატული თეატრის კოლექტივი გადავიდა ახალ შენობაში და ჰქონდა თავისი დადგმების სტაბილური რეპერტუარი. აღნიშნულია, რომ სომხური თეატრის სპექტაკლებში თამაშობდნენ არაერთი თაობის ქართველი მსახიობები და პირიქით. სწორედ კულტურათაშორისი დიალოგის ნათელი მაგალითია ამგვარი შემოქმედებითი კავშირები ქართველ და სომეხ მსახიობებს, რეჟისორებს, მხატვრებს შორის. 1991 წელს თეატრმა შეიცვალა სახელწოდება, ამჟამად ის პ. ადამიანის სახელს ატარებს. მეორე გამორჩეული პერიოდად რესპოდენტებმა მიიჩნიეს 2018-2019 თეატრალური სეზონი, როცა შენობის რეაბილიტაციის პირობებში მათ შეძლეს 7 პრემიერის დადგმა. რაც შეეხება 2009-2019 წლებში შემოქმედებითი საქმიანობის ხარისხს, აღნიშნულია, რომ წელიწადში თეატრში 4-5 ახალი სპექტაკლი იდგმება; თამაშდება 30 სპექტაკლზე მეტი; თეატრი გადის გასტროლებზე საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, ასევე სომხეთში; დასი მონაწილეობს უცხოეთის თეატრალურ ფესტივალებში. თეატრის შემოქმედებით ჯგუფთან აქტიურად თანამშრომლობენ თანამედროვე ქართველი რეჟისორები, კულტურული ცენტრები და არასამთავრობო ორგანიზაციები, თეატრის

სარეპერტუარო პოლიტიკა უკავშირდება ქართულ დრამატურგიასაც. მესამე კითხვის მეორე ნაწილი მაყურებელთა რაოდენობის შესახებ პასუხგაუცემელია, ალბათ ობიექტური მიზეზის - შესაფერისი ინფრასტრუქტურის არარსებობის გამოც. მეოთხე კითხვაზე გაცემული პასუხი უკავშირდება ამ მხარდაჭერის კონკრეტიკას პასუხები თითქმის ყოველთვის შენობის რეაბილიტაციასა და ამ საქმეში სახელმწიფო მხარდაჭერას უკავშირდება. ერთი შეხედვით, ეს მოსალოდნელიც იყო, რამდენადაც წლების განმავლობაში პროფესიული საქმიანობისათვის თითქმის უვარგისი თეატრის შენობის რეაბილიტაციის საკითხი მოუგვარებელი რჩებოდა სხვადასხვა ობიექტური მიზეზის გამო. ამდენად, ამ ქრონოლოგიურ მონაკვეთში მცირე ეთნოსებისადმი სახელმწიფოს კულტურის პოლიტიკის ყველაზე ცხადი დემონსტრირება სახელმწიფოს მხარდაჭერაა თეატრის ახალი შენობის ასაგებად, რომელიც სრულდება. ეს კი თეატრს საშუალებას მისცემს კიდევ უფრო განავითაროს თავისი საქმიანობა და, ამასთან, გააგრძელოს დიალოგი ქართულ კულტურულ სივრცესთან.

თბილისში ასევე არსებობს აზერბაიჯანული თეატრი. პირველ კითხვაზე გაცემული პასუხის თანახმად, ორმოცდაჩვიდმეტწლიანი პაუზის შემდეგ, 2004 წელს, ეს თეატრი კვლავ აღდგა და სახელმწიფო სტატუსი მიენიჭა. მას საფუძვლად უდევს საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 11 ივნისის N 216 ბრძანებულება. რაც შეეხება მეორე კითხვის პირველ ნაწილს (თეატრის ისტორიისა და შემოქმედებითი ცხოვრების შესახებ), მასთან დაკავშირებით მეორდება ის ინფორმაცია, რაც ზემოთაც აღვნიშნეთ (XIX საუკუნის ორმოცდაათიან წლებში ქ.თბილისში, ბარენბეკოვის ქარვასლის სარდაფში, ახუნდოვის პიესის „ლენქორანის ხანის ვეზირის თავგადასვლის" მიხედვით კომედია „არაბეთის ხანის ვეზირის" დადგმა). ამავე კითხვაზე გაცემული პასუხის მიხედვით, აზერბაიჯანული კლასიკური დრამატურგიის პირველი ნიმუშები შეიქმნა იმავე პერიოდში და ჩამოთვლილია ზოგიერთი მათგანი. გადმოცემულია ამ თეატრის არსებობის შემდგომი ისტორიაც. მრავალფეროვანი რეპერტუარი თავიდანვე იძლეოდა იმის საშუალებას, რომ მოეწყოთ გასვლითი წარმოდგენები ქალაქის სხვადასხვა თეატრში, მაგალითად, სათავადაზნაურო თეატრში, სახაზინო თეატრში,ზუბალოვის სახელობის სახლსა და ავლაბარ პალასში. 1910 წელს აზერბაიჯანული თეატრი ზუბალოვის სახელობის

სახალხო სახლის (ამჟამინდელი კ.მარჯანიშვილის სახელობის თეატრის შენობა) სრულუფლებიანი წევრი გახდა. გამოჩენილი მსახიობის, ვასო აბაშიძის, მწერლის შალვა დადიანისა და საზოგადო მოღვაწის ვალერიან გუნიას დახმარებით, 1929-1930 წლებში გადაწყდა, თვეში რამდენიმეჯერ ეთამაშათ აზერბაიჯანულენოვანი სპექტაკლები იმ სცენაზე. ქართული თეატრის (მაგალითად, შოთა რუსთაველის სახელმწიფო აკადემიური დრამატული თეატრის) შენობაშიც. იდგმებოდა როგორც აზერბაიჯანული პიესები, ისე ითარგმნებოდა აღმოსავლური, რუსული და ევროპული დრამატურგიის საუკეთესო ნიმუშები. აზერბაიჯანული თეატრიდან მიღებული პასუხები იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ ყველა აღნიშნული პერიოდი იყო თავისებურად მნიშვნელოვანი თეატრის ცხოვრებაში, ხოლო 1922 წელი იმით იყო მაინც გამორჩეული, რომ ამ წელს თეატრს მ.ფ.ახუნდოვის სახელობის სახელმწიფო აზერბაიჯანული თეატრის სტატუსი მიენიჭა. პასუხით ისიც გახდა ცნობილი, რომ აზერბაიჯანული სახალხო სახლი, ანუ ნარიმანოვის კლუბი 1912 წლიდან 1947 წლამდე ფუნქციონირებდა და აქ იდგმებოდა აზერბაიჯანული პიესები. მეორე კითხვის ბოლო ნაწილზე გაცემულია პასუხი, რომ გამორჩეულად ნაყოფიერია თეატრისათვის 2004 წელი, როცა თეატრი აღდგა. აზერბაიჯანული თეატრის რთული ისტორიიდან გამომდინარე, თავად პასუხების ავტორებმა მისი საქმიანობა ორ ეტაპად დაყვეს: პირველი ეტაპი - 1947 წლამდე და მეორე ეტაპი - 2004 წლის შემდგომ. სწორედ ამ უკანასკნელი ერთგვარი წყალგამყოფი თარიღის, ანუ 2004 წლის შემდგომ, თბილისის აზერბაიჯანულ სახელმწიფო დრამატულ თეატრში საინტერესო პროექტები, პრემიერები, ფესტივალები განხორციელდა, რომლების წლების მიხედვითაა ამ პასუხში ჩამოთვლილი  რეჟისორების მითითებით. აღნიშნულია ისიც, რომ 2009 - 2019 წლებში თეატრის კოლექტივი გასტროლებს მართავდა საქართველოს რაიონებსა და ქალაქებში, აგრეთვე ასტრახანში, კრანოვოდსკში, აშხაბადში, სამარყანდში, ერევანში, ბუხარაში, ტაშკენტში, ირანსა და თურქეთში. მესამე კითხვა მოითხოვს რესპონდენტისაგან არა მხოლოდ გასტროლების ჩამოთვლას, არამედ ფესტივალებში, საერთაშორისო ღონისძიებებში, პროექტებში მონაწილეობის შესახებ ინფორმაციის მოწოდებას. თეატრიდან მიღებული პასუხებით ვლინდება, რომ თეატრის საქმიანობა არც ამ მხრივ არის მწირი. თეატრს მიუღია მონაწილეობა ადგილობრივსა და საერთაშორისო (2015, 2016,

2017, 2019 წწ.) თეატრალურ ფესტივალებში. ასე რომ, 2009-2019 წლებში თეატრის შემოქმედებითი განვითარების დინამიკასთან დაკავშირებულ მესამე კითხვაზე პასუხი ნათელია (თუმცა ის არასრულია, რადგან მან კითხვის ყველა სეგმენტი ვერ მოიცვა). ამ ქრონოლოგიურ მონაკვეთში თეატრი მართლაც მრავალფეროვანი შემოქმედებითი საქმიანობით იყო დაკავებული. თეატრის შენობა, რომელიც განთავსებულია ქ. თბილისში, ვახტანგ.გორგასლის ქ.#1-ში, სარემონტო მდგომარეობაშია, რის გამოც თეატრის დასი იძულებულია, სპექტაკლები სხვა თეატრების სცენაზე გამართოს. ამის გამო თეატრს არ ჰყავს მუდმივი მაყურებელი. მით უფრო დასაფასებელია აზერბაიჯანული თეატრის შემოქმედებითად ასეთი აქტიური ცხოვრება. მეოთხე კითხვაზე პასუხი ტრადიციულად მოკლეა და ზერელე, კერძოდ, ისინი ეხებიან საქართველოს კულტურის სამინისტროს მიერ სსიპ ჰ. ალიევის სახელობის თბილისის აზერბაიჯანული პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის მხარდაჭერას, რაც გამოიხატა დაფინანსებაში მათი სპექტაკლების დადგმისა და საერთაშორისო ფესტივალებში მონაწილეობისათვის. თუმცა დაფიქსირებულია ისიც, რომ მათთვის ცნობილია ინფორმაცია კულტურის ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში საქართველოს კულტურის სამინისტროს მიერ გამოცხადებული კონკურსის - ,,ეთნიკურ უმცირესობათა თვითმყოფადობის შენარჩუნების მიზნით შემოქმედებითი საქმიანობის ხელშეწყობის“ არსებობის შესახებ. ამრიგად, XX საუკუნის 10-იანი წლებიდან მოყოლებული, ჰ.ალიევის სახელობის აზერბაიჯანული პროფესიული დრამატული თეატრი, მიუხედავად დღესაც არსებული მრავალი ინფრასტრუქტურული პრობლემისა, მაინც ახერხებს მეტ-ნაკლებად პროფესიულად წარმართოს თავისი საქმიანობა და, ამავე დროს, სახელმწიფო მხარდაჭერის მეშვეობით, საერთაშორისო ასპარეზზეც გაიტანოს აზერბაიჯანული თეატრალური კულტურა.

მუნიციპალური კულტურული ინსტიტუციების საქმიანობის გასაცნობად, შევეხებით მარნეულის, ნინოწმინდის, ახმეტისა და ბაღდათის კულტურის ცენტრებს; ადგილობრივი მუნიციპალიტეტის ქვემდებარე მემორიალურსა და კერძო მუზეუმებს. მარნეულის, ნინოწმინდისა და ახმეტის მუნიციპალიტეტები გამორჩეულია ეთნიკურ უმცირესობათა სიმრავლითა და სხვადასხვაობით. მით უფრო საინტერესოა და მნიშვნელოვანი ჩვენ მიერ შედგენილ ოთხპუნქტიან

კითხვარზე გაცემული პასუხებით უშუალოდ მათგან ინფორმაციის მიღება. როგორც წესი, მუნიციპალური დაქვემდებარების კულტურული ინსტიტუციების საქმიანობის მასშტაბი და ფინანსური შესაძლებლობა, ცენტრალურთან შედარებით, მოკრძალებული და შეზღუდულია, სამაგიეროდ, უფრო მიზანმიმართულია იქ მოსახლე ეთნიკური ჯგუფის კულტურული ინტერესების გათვალისწინების თვალსაზრისით. მარნეულის კულტურის ცენტრის მიერ პირველ კითხვაზე გაცემული პასუხი იძლევა ინფორმაციას, რომ ა(ა)იპ მარნეულის მუნიციპალიტეტის კულტურის, საკლუბო, საბიბლიოთეკო და სამუზეუმო გაერთიანება, ანუ კულტურის ცენტრი ჩამოყალიბდა 2007 წლის 16 თებერვალს, მარნეულის საკრებულოს განკარგულების საფუძველზე. მეორე კითხვაზე გაცემული პასუხი ზოგადია, აღნიშნულია, რომ კულტურის ცენტრი მუდმივად ეცნობა და თავადაც ახორციელებს სახელმწიფო პროგრამებს, რომლებიც მიმართულია ეთნიკური უმცირესობების მხარდაჭერისაკენ. ამ ცენტრის ისტორია (მეორე კითხვა) ავტონომიურად ვერ გადმოიცემა, რადგან ის პროეცირებულია მისადმი დაქვემდებარებულ კულტურულ ორგანიზაციათა საქმიანობაზე, რაც აისახა კიდეც კულტურის ცენტრის მიერ გაცემულ პასუხებში. ესაა წლების განმავლობაში (2007-2019 წწ.) ჩატარებული სხვადასხვა სახის ადგილობრივი (მარნეულში) შემოქმედებითი ღონისძიებანი; საერთაშორისო ფესტივალები (ბულგარეთის ქალაქ პრიმორსკში; ესპანეთის ქ. ლორეტ დე მარიში; აზერბაიჯანის ქ. ბაქოში 2014-2019 წწ.), ადგილობრივი პროექტები და მის ფარგლებში გამართული კონცერტები (2013 და 2017 წწ.), რომლებიც მართლაც შთამბეჭდავია რაოდენობრივადაც და მრავალფეროვნებითაც და ემსახურება ადგილობრივი მრავალეთნიკური მოსახლეობის კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნება-განვითარებასა და მათ სამოქალაქო ინტეგრაციას.

როგორც ითქვა, მარნეულის კულტურის ცენტრი ერთგვარი გაერთიანებაა ადგილობრივი მასშტაბის კულტურული ორგანიზაციებისა. ესაა მუზეუმები და ცენტრთან არსებული თეატრალური დასი. კულტურის ცენტრის ქვემდებარე (სტრუქტურული ერთეულის სახით) მუზეუმებია მ.ჯავახიშვილის სახელობის მუზეუმი სოფ.წერაქვში; მ.ფაშაევის სახელობის მუზეუმი სოფ. შაუმიანში და აშუღ ქამანდარის მუზეუმი. პირველი მუზეუმი არაა ჩვენი კვლევის საგანი,

რადგან ის ქართველი მწერლის მემორიალური მუზეუმია. კულტურის ცენტრთან უშუალო კოორდინაციით მივიღეთ აშუღ ქამანდარის მუზეუმისგან ჩვენს კითხვარზე მოკლე და გაერთიანებული პასუხები, კერძოდ, მუზეუმმა მეორე, მესამე და მეოთხე კითხვის პასუხები გააერთიანა, ამასთან, მხოლოდ 2017-2019 წლების საქმიანობის შესახებ მოგვაწოდა ინფორმაცია და ისიც ძალზე ლაკონური. პასუხები ასეთია: „1. აშუღ ზიადანის ლექსთა კრებულის პრეზენტაცია; 2. ყველაზე ნაყოფიერი იყო 2017-2019 წწ.; ასევე აშუღ რამინისადმი მიძღვნილი ღონისძიების გამო - 2018 წელიც; 3. აშუღი ქამანდარი თავად არის ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი და მუზეუმიც ამ მიმართულებით ფუნქციონირებს; 4. სრული მხარდაჭერა სახელმწიფოს მხრიდან ეთნიკური უმცირესობების მიმართ“. როგორც ვხედავთ, ინფორმაცია არ იძლევა საშუალებას, რომ სრული წარმოდგენა შეგვექმნას ამ მუზეუმის საქმიანობაზე. თუმცა, როგორც ჩანს, ამის მიზეზია ის, რომ თავად ეს მუზეუმი ვერ იქცა ერთგვარ მიკროკულტურულ ცენტრად, რითაც, ალბათ, განპირობებულია პასუხების სიმწირე. რაც შეეხება სოფ. შაუმიანში არსებულ მეორე კულტურულ მცირე ინსტიტუციას, ისიც სახელობითია და ცნობილი დირიჟორის - ალ. მელიქ ფაშაევის მუზეუმია. მასთან დაკავშირებით მარნეულის კულტურის ცენტრიდან ასევე ძალზე მცირე ინფორმაცია მივიღეთ. წარმოდგენილია მხოლოდ ბოლო სამი წლის სტატისტიკა, რომლიდანაც ვიგებთ, რომ მთელი წლის განმავლობაში ამ მუზეუმში დამთვალიერებელთა ჯგუფების რაოდენობა 45-დან 75-მდე მერყეობს, ვიზიტორთა საერთო საერთო რაოდენობა კი 2000-ზე მეტია. კონკრეტული ღონისძიებები და შემოქმედებითი საქმიანობა, გამოფენები თუ სხვა სახის ღონისძიებები, რომელთა განსაზღვრასაც ითვალისწინებდა კითხვარი, დასახელებული არაა. აქაც ისევე, როგორც აშუღ ქამანდარის მუზეუმში, როგორც ჩანს, არ ტარდება განსაკუთრებული კულტურული მნიშვნელობის ღონისძიებები, წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი აუცილებლად მოხვდებოდა კითხვარის პასუხებში, რასაც ნამდვილად ვერ ვიტყვით მარნეულის კულტურის ცენტრთან არსებულ თეატრალურ დასზე, რომლის შემოქმედებითი საქმიანობა მართლაც შთამბეჭდავად გამოიყურება ცენტრის მიერ მოწოდებულ მასალაში. უნდა ითქვას, რომ პასუხები არც აქაა პუნქტობრივად მოცემული, ანუ არ მიჰყვება კითხვარის ყველა კითხვას თანმიმდევრობით, თუმცა ის

ერთიანი და შედარებით სრული ინფორმაციაა ამ თეატრალური დასის შესახებ. ირკვევა, რომ მარნეულის მუნიციპალიტეტს ამ დრომდე არ აქვს თეატრი, თუმცა კულტურის ცენტრი 2013 წლიდან ეწევა დასის საქმიანობის ხელშეწყობასა და პოპულარიზაციას. დგამს სპექტაკლებს კულტურის ცენტრის რამდენიმე თანამშრომლის, მოხალისეებისა და ამ ცენტრთანვე არსებული თეატრალური სტუდიის აღსაზრდელების მონაწილეობით. მათ მიერ მოწოდებული ინფორმაციით ნათელი ხდება, რომ ეს არაპროფესიული თეატრალური დასი ახერხებს სპექტაკლების დადგმასა (ბათუმში 2014 წ.; თბილისში 2019 წ.) და ზოგიერთ თეატრალურ ფესტივალში მონაწილეობით მათ ჩვენებასაც კი საქართველოს გარეთ (საბერძნეთის ქ. ათენში. 2017 წ.; პოლონეთის ქ. გდანსკში 2019 წ. ). მათი საქმიანობა, შეიძლება ითქვას, შთამბეჭდავია. მიუხედავად იმისა, რომ, როგორც უკვე აღინიშნა, მარნეულის კულტურის ცენტრმა არ მოგვაწოდა კითხვარის შესაბამისი პასუხები, ერთი რამ მაინც ცალსახად გაცხადდა, რომ ამ მულტიკულტურულ რეგიონში კულტურის ცენტრის ქვემდებარე ინსტიტუციათაგან, კერძოდ, მუზეუმებთან შედარებით, უფრო ინტენსიურ შემოქმედებით საქმიანობას ეწევა კულტურის ცენტრთან არსებული თეატრალური დასი. ამიტომ ადგილობრივ თვითმმართველობასთან ერთად აქტიურად დაიწყო და გრძელდება მუშაობა მუდმივმოქმედი დასით მუნიციპალური თეატრის ჩამოსაყალიბებლად.

საერთოდ, ეთნიკურ უმცირესობათა კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნების კუთხით დიდი მნიშვნელობა აქვს ეთნიკურ უმცირესობათა კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში მათი ტრადიციების, ისტორიული ღირსშესანიშნაობების, სახალხო დღესასწაულების, კულტურის მოღვაწეებისა და სხვა სახის კულტურული ღონისძიებების მხარდაჭერასა და განვითარებას, რაც ერთიანი მულტიკულტურული ქვეყნის სურათს ქმნის. ეს ეხება ნებისმიერ პოლიეთნიკურად გამორჩეულ რაიონს, მათ შორის, ცხადია, ნინოწმინდასაც, სამწუხაროდ, ამ დრომდე არ მიგვიღია ინფორმაცია ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვის, ახალგაზრდულ საქმეთა და ტურიზმის განვითარების სამსახურიდან ეთნიკურ უმცირესობათა მხარდაჭერის მიმართულებით მათ მიერ ჩატარებული კულტურული ღონისძიებების თაობაზე. აღნიშნული სამსახურის ქვემდებარეა ორი მემორიალური მუზეუმი. ესენია: ვიქტორ

ოვსეპიანისა და ვაჰან ტერიანის სახლ-მუზეუმები. კითხვარის ოთხივე კითხვის დიფერენცირების გარეშე და მწირი სახით მივიღეთ ინფორმაცია სომეხი მწერლისა და მხატვრის, ვ. ოვსეპიანის, მუზეუმიდან. აღნიშნული მუზეუმი 1998 წელს დაფუძნდა ადგილობრივი მუნიციპალიტეტის მიერ და ის წარმოადგენს მემორიალურ მუზეუმს, სადაც ვ. ოვსეპიანის მრავალი მემორიალური ნივთი, ჩანაწერი, წერილი და სხვა ექსპონატია დაცული. აქ ინახება მდიდარი საარქივო მასალა, ხელოვნების მოღვაწეთა მიმოწერა შემოქმედთან. მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, 2009-2019 წლებში (მესამე კითხვა) მუზეუმში ჩატარდა კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებანი ვ. ოვსეპიანის შემოქმედებისადმი მიძღვნილი სახალხო საღამოების სახით. რაც შეეხება ვ. ტერიანის მუზეუმს, ჩვენი სურვილი, მიგვეღო ინფორმაცია ამ მუზეუმის საქმიანობის შესახებ, უპასუხოდ დარჩა.

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ რუსი მოსახლეობის შემცირების ტენდენციის ფონზე, საინტერესოდ მივიჩნიეთ ნინოწმინდის რაიონის სოფ. გორელოვკაში დღემდე კომპაქტურად მცხოვრები რუსი ე. წ. დუხობორების ყოფითი და კულტურული ცხოვრების, კერძოდ, ე. წ. ობოლთა სახლის შესახებ ინფორმაციის მოპოვება. დუხობორებს გამორჩეული რელიგიურ-კულტურული ტრადიციები (სახასიათო არქიტექტურის საცხოვრებელი სახლები, კულტურა, ყოფა, მართლმადიდებლურისაგან განსხვავებული რელიგიური წეს-ჩვევები) აქვთ. ამიტომ კითხვარი მათაც დაეგზავნა. მიღებული პასუხები არასტანდარტულია, თუმცა შეიცავს შედარებით მოცულობით ინფორმაციას ამ რეგიონში და, საერთოდ, საქართველოში მათი დამკვიდრების, საქმიანობის, ტრადიციების, ყოფის, ასევე ამჟამად მათი რიცხოვნების შემცირების მიზეზების შესახებ. ამ ინფორმაციას ჩვენ უკვე შევეხეთ სხვა ქვეთავში, როცა ეთნიკურ ჯგუფთა საქართველოში ჩამოსახლება-დამკვიდრების თემა განვიხილეთ. ამიტომ აქ მხოლოდ ნინოწმინდის მუნიციპალიტეტისაგან მიღებულ ჩვენი კითხვების შესატყვის, თუმცა არასრულად და არათანმიმდევრიულად მოწოდებულ პასუხებს შევეხებით. პირველ კითხვაზე პასუხის მიხედვით, ირკვევა, რომ ამ ე. წ. ობოლთა სახლს 2008 წელს მიენიჭა მუზეუმ-ნაკრძალის სტატუსი, ხოლო რუსული კლუბისა და საქართველოს „ რუს ქალთა“ კავშირ „იაროსლავნას“ შუამდგომლობით, ასევე საქართველოს განათლების

სამინისტროს მხარდაჭერით იმავე სოფლის ლ. ტოლსტოის სახელობის N 1 საჯარო სკოლას სსიპ კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული სააგენტოს მიერ 2018 წელს მიენიჭა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი (20/12-ის ბრძანება). გამოგზავნილ პასუხში განმარტებულია, თუ რატომ ეწოდა ობოლთა სახლს ეს სახელი და რა ფუნქციას ასრულებდა და ასრულებს დღეს ის. ობოლთა სახლი იგივე სამლოცველო სახლია და დგას სოფლის ცენტრში. აქ ჯერ კიდევ გასულ საუკუნეებში კვებავდნენ ბავშვებსა და ყველა შეჭირვებულს. აქედან მოდის მისი ეს პირობითი სახელი. კითხვარის მეორე და მესამე კითხვაზე პასუხები, ფაქტობრივად, გაერთიანებულია, თუმცა ინფორმაცია საგულისხმოა. გამორჩეულსა და ნაყოფიერ წლად მიჩნეულია 2001 წელი, როცა გორელოვკაში ზეიმით აღინიშნა საქართველოში რუსი დუხაბორების გადმოსახლების 170 წლისთავი. დღესასწაულზე ჩამოვიდა ბევრი სტუმარი საქართველოს კუთხეებიდან, რუსეთიდან, კანადიდან. მეოთხე კითხვაზე პასუხის გაცემისას რესპონდენტი - ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი შემოიფარგლა იმის აღნიშვნით, რომ დაახლეობით 20 წელიწადია რუს ქალთა კავშირი „იაროსლავნა“ და დუხაბორების სათემო საქველმოქმედო დახმარებას უწევს „ობოლთა სახლს“ სხვადასხვა ღონისძიების გამართვაში. თუმცა არაა კონკრეტულად განმარტებული, რა სახის კულტურული ღონისძიებები ჩატარდა. აქვე აღნიშნულია, რომ დუხობორებისა და ობოლთა სახლის საქმიანობა ტურისტების მიმოსვლასა და შემოწირულობაზეა დამოკიდებული. ,,ობოლთა სახლი“, მიუხედავად სახელმწიფოს მიერ მინიჭებული სტატუსისა, მნიშვნელოვან სარეაბილიტაციო სამუშაოებს მოითხოვს. ცალსახაა, ეს ისტორიულ-კულტურული ლოკაცია თავისი ღირებულებით, განსაკუთრებული რელიგიური და ყოფითი კულტურითა და ისტორიით ჩვენი ქვეყნის კულტურული მრავალფეროვნების მნიშვნელოვანი ნაწილია. ამიტომ დუხობორები მათი კულტურულ- რელიგიური ტრადიციების შენარჩუნებისა და პოპულარიზაციის მიზნით მხარდაჭერას საჭიროებენ.

ჩვენ მიერ შემუშავებული კითხვარი დაეგზავნა ახმეტის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრსაც, რადგან მივიჩნიეთ, რომ ამ რეგიონში მნიშვნელოვანია პანკისის ხეობა და მისი ქისტი მოსახლეობა. ამიტომ ახმეტის კულტურის ცენტრის საქმიანობა პოლიტიკურ დატვირთვასაც იძენს, მით უმეტეს, ისეთი გამოწვევის გამო, როგორიცაა ადგილობრივ მოსახლეობაში რელიგიური რადიკალიზმის - ვაჰაბიზმის

გავრცელება. ამგვარი გამოწვევის ნეგატიური გავლენის შესამცირებლად კი აქ ტრადიციული კულტურული ღირებულებების მხარდაჭერა-წახალისების სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა კიდევ უფრო იზრდება. კითხვარის პირველი კითხვის პასუხად ახმეტის კულტურის ცენტრიდან მიღებული ინფორმაციით, ა(ა)ი.პ ახმეტის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი შეიქმნა 2007 წელს ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებით. კულტურის ცენტრიდან მიღებული პასუხების უმეტესობა არაა დიფერენცირებული და კითხვარის პასუხების თანმიმდევრულად შესატყვისი, თუმცა მოწოდებულია შედარებით სრული ინფორმაცია მისი საქმიანობის ოთხი მიმართულების შესახებ. ესენია: საკლუბო, საბიბლიოთეკო და სამუზეუმო საქმიანობა და ძეგლთა დაცვა. პასუხიდან ცნობილი ხდება, რომ საკლუბო გაერთიანებაში, ქ. ახმეტის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებების გარდა, შედის უშუალოდ პანკისის ტერიტორიაზე მდებარე დუისის, ჯოყოლოს, ხალაწნისა და ომალოს სასოფლო კლუბები, ასევე ანსამბლი „პანკისი“. იქვე მუნიციპალიტეტის მასშტაბით საკლუბო გაერთიანების მიერ ჩატარებულ ღონისძიებათა შორის დასახელებულია ყოველწლიური სახალხო დღესასწაული „პანკისობა;“ საბიბლიოთეკო გაერთიანებაში ამ მუნიციპალიტეტში არსებულ ბიბლიოთეკათა შორის დასახელებულია დუისის, ჯოყოლოსა და ხალაწნის ბიბლიოთეკები. პასუხის მიხედვით, ახმეტის მუნიციპალიტეტის სამუზეუმო გაერთიანება მოიცავს სამ მუზეუმს, მათ შორის, ჩვენთვის საინტერესო პანკისის ეთნოგრაფიულ (ქისტების) მუზეუმს, რომელიც 2010 წელს ა(ა)ი.პ ახმეტის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის დირექტორის ბრძანებით შეიქმნა. აღნიშნულია ისიც, რომ მასში დაცულია არქეოლოგიური, ნუმიზმატიკური და ეთნოგრაფიული ხასიათის 300-მდე ექსპონატი; ყოველწლიურად მუზეუმს სტუმრობს 500-ზე მეტი როგორც ადგილობრივი, ისე უცხოელი დამთვალიერებელი. პასუხში ზოგადად და არა კონკრეტულად მითითებულია, რომ მუზეუმში იმართება შემეცნებითი ხასიათის ღონისძიებები. ზემოთ მოცემული საგულისხმო ინფორმაცია ერთდროულად მიესადაგება ჩვენი კითხვარის მესამე და მეოთხე კითხვას, უფრო სწორად მის გარკვეულ სეგმენტს, დანარჩენი პასუხგაუცემელია. მესამე კითხვაზე გაცემულ პასუხში ხაზგასმულია, რომ კულტურის ცენტრი დაარსებიდან დღემდე (ე. ი. იგულისმება ჩვენი საკვლევი 2009-2019 წლებიც) აქტიურად ახორციელებს მასზე

დაკისრებულ ვალდებულებებს, ცხადია, იგულისხმება კულტურული ღონისძიებების ჩატარება პანკისის ხეობაშიც, რომლებიც, როგორც აღნიშნულია, რადიკალური ისლამის მომძლავრების გამო ძნელდება, რადგან სულ უფრო და უფრო ცოტა ახალგაზრდა ინტერესდება სახელოვნებო და კულტურული საქმიანობით. აღნიშნულია ისიც, რომ ეს ღონისძიებები ძირითადად ადგილობრივი მასშტაბისაა, ხშირია მიწვევები საზღვარგარეთის ქვეყნებიდან, მაგრამ ბიუჯეტის სიმცირის გამო ვერ ხერხდება საერთაშორისო კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობა. მესამე კითხვა ითვალისწინებს რესპონდენტისაგან განსაკუთრებული ღონისძიების გამოკვეთას. ამ მხრივ ერთგვარად გამორჩეულია ინფორმაცია პანკისის მუზეუმში ჩატარებული ღონისძიებების შესახებ, კერძოდ, აღნიშნულია, რომ პანკისის ეთნოგრაფიული მუზეუმი ათი წლის განმავლობაში (ეს მოიცავს 2010-2019 წლებს) ეწევა სხვადასხვა ტიპის შემოქმედებით საქმიანობას; ის ერთადერთი მუზეუმია ხეობაში, რომელიც მუდამ ღიაა პანკისში ჩამოსული უამრავი ტურისტისთვის; აქ ტარდება სხვადასხვა სახის შემეცნებითი ლექცია მოსწავლეებისა და სტუდენტებისთვის; მუზეუმი თავისი ექსპონატებით აქტიურად მონაწილეობს ახმეტის მუნიციპალიტეტის მიერ ორგანიზებულ სხვადასხვა ღონისძიებაში, მათ შორის, პანკისობაში, ბიძინაობასა და ა.შ. ქისტების, როგორც ეთნიკურ უმცირესობათა სახელმწიფო მხარდაჭერის დემონსტრირების თვალსაზრისით ნათქვამია, რომ მუზეუმში არსებული წიგნადი ფონდის გარკვეული ნაწილი მუზეუმს საჩუქრად გადასცა საქართველოს პარლამენტის ეროვნულმა ბიბლიოთეკამ; სახელმწიფოს მხარდაჭერითვე პანკისის ეთნოგრაფიული მუზეუმში გარემონტდა მთავარი დარბაზი, აღჭურვა ექსპონატების გამოსაფენი ორი მაგიდითა და ორი კარადით, შეძენილ იქნა ეთნოგრაფიული ექსპონატი - ძველებური საჭელა (საბერველი, გრდემლი). პასუხის მიხედვით, მუზეუმის ცხოვრებაში ყველაზე ნაყოფიერ პერიოდად მიჩნეულია მუზეუმის დაარსებისა და გახსნის დრო - 2010 წ., რადგან ამ დროს ძალიან ბევრი დამთვალიერებელი სტუმრობდა მუზეუმს როგორც საქართველოდან, ისე სხვადასხვა ქვეყნიდან. მუზეუმის წარმატებად ჩაითვალა გამოცემა პანკისელი ქისტი თ.დიშნის სამენოვანი (ქართულად, რუსულად, ინგლისურად) წიგნისა „ვაინახების ხელოვნება“, სადაც სამუზეუმო ექსპონატები მთლიანადაა შესული. მეოთხე კითხვაზე პასუხით დასტურდება, რომ

რესპონდენტები იცნობენ სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის არსებობის ფაქტს, მათ დაასახელეს მხოლოდ ეს ერთი დოკუმენტი. ეს კი, ალბათ, ნიშნავს იმას, რომ მათთვის უცნობია ამ მიმართულებით სხვა სახელმწიფო დოკუმენტების არსებობა და ინფორმაცია სახელმწიფოს შესაბამის ქმედებათა შესახებ.

ამდენად, ახმეტის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის მიერ კითხვარზე გაცემული არასრულყოფილი პასუხები მხოლოდ ნაწილობრივ გვიქმნის წარმოდგენას სახელმწიფოს მიერ აქ გატარებულ კულტურის პოლიტიკაზე, თუმცა კითხვარზე პასუხების მეშვეობით მუზეუმის საქმიანობის ფრაგმენტულად წარმოდგენაც ცხადს ხდის, ერთი მხრივ, რამდენად რთულია და სენსიტიური ამ რეგიონში ამგვარი პოლიტიკის გატარება და, სწორედ ამავე მიზეზითვე, სახელმწიფოებრივად რამდენად აუცილებელი და საჭიროა აქ ამ პოლიტიკის გატარება ქისტების სამოქალაქო ინტეგრაციისა და ქვეყნის სტაბილურობისათვის.

საქართველოს ერთი მხარე - იმერეთი, უფრო ზუსტად, ბაღდათის მუნიციპალიტეტი, არ ხასიათდება ეთნიკურ უმცირესობათა სიმრავლით, მაგრამ აქ მდებარეობს გამოჩენილი საბჭოთა რუსი პოეტის ვ. მაიაკოვსკის სახლ-მუზეუმი, რომელიც ექვემდებარება ა(ა)იპ ბაღდათის მუნიციპალიტეტის ინფორმაციულ, ტურიზმის, საბიბლიოთეკო და სამუზეუმო გაერთიანებას. კითხვარის პირველ კითხვაზე გაცემული პასუხის მიხედვით, სახლ-მუზეუმი დაარსებულია 1940 წლის 14 აპრილს, მაიაკოვსკის გარდაცვალებიდან 10 წლის თავზე, ხოლო მნახველების მისაღებად მზად იყო 1941 წლიდან. მეორე კითხვაზე გაცემულ პასუხში აღნიშნულია, რომ მუზეუმის საქმიანობის ძირითადი სფეროა პოეტის პიროვნებითა და მისი შემოქმედებით დაინტერესებულ პირთა, ტურისტთა საექსკურსიო მომსახურება, მისი შემოქმედების მეცნიერული კვლევა. გამორჩეულად დასახელდა 2000 წელი, როდესაც ლიტერატურული განყოფილების ბაზაზე დაფუძნდა ლიტერატურული სალონი, სადაც პერიოდულად იმართება სალონური ხასიათის ლიტერატურული ღონისძიებები (დაახლოებით 7 ღონისძიება წლის განმავლობაში). თუმცა არა მხოლოდ ეს წელი ჩაითვალა გამორჩეულად. მეორე კითხვაზე გაცემული პასუხის მიხედვით, ასეთ ნაყოფიერ პერიოდად მუზეუმის ცხოვრებაში მიჩნეულია XX საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისიც, როდესაც მუზეუმში მომსვლელ ტურისტთა

რაოდენობამ წლიურად 500 000 გადააჭარბა. გარდა ამისა, რესპონდენტის მიერ მუზეუმის ცხოვრებაში ერთგვარ წყალგამყოფადაც იქნა მიჩნეული 2008 წელი, როდესაც ფონდ „ქართუს" დაფინანსებით მუზეუმს ჩაუტარდა სრული სარემონტო-სარესტავრაციო სამუშაოები, მოხდა სამუზეუმო შენობებისა და ინფრასტრუქტურის სრული მოწესრიგება. მესამე  კითხვა შეეხება ჩვენი კვლევის ქრონოლოგიურ მონაკვეთში - 2009-2019 წლებში ამ კულტურული დაწესებულების შემოქმედებითი საქმიანობის დინამიკას, გამოხატულს მისი სპეციფიკის შესაბამის ღონისძიებებში. პასუხი აქაც ზოგადია, ყოველგვარი კონკრეტიკის გარეშე, კერძოდ, აღნიშნულია, რომ ნაყოფიერი იყო 2009-2019 წლებიც, როდესაც განსაკუთრებულად აქტიურად მიმდინარეობდა ლიტერატურულ-სალონური და მთარგმნელობით-შემოქმედებითი საქმიანობა. მესამე კითხვის იმ ნაწილს, რომელიც მოითხოვდა ამ წლებში ჩატარებულ ღონისძიებათაგან განსაკუთრებულის გამოყოფას, გაეცა ასეთი პასუხი: განსაკუთრებულია მასშტაბური ღონისძიებანი, რომლებიც მიეძღვნა პოეტის დაბადების 115, 120 და 125 წლის თავს. შესაბამისად, ეს ღონისძიებები ჩატარებულა 2008, 2013 და 2018 წლებში. მეოთხე კითხვაზე გაცემული პასუხი სრულიად გამორჩეულია ყველა სხვა კულტურული დაწესებულებისაგან მიღებული არცთუ სრულყოფილი და ნაკლებ ინფორმაციული პასუხებისაგანაც კი: „ასეთ ინფორმაციას არ ვფლობ."

ემპირიული კვლევის შეჯამების სახით, შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ზემოთ აღნიშნულმა თითოეულმა კულტურულმა ინსტიტუციამ დაგზავნილ იდენტურ კითხვარზე განსხვავებული ფორმისა და შინაარსის პასუხები გამოაგზავნა. ამის მიზეზი, ერთი მხრივ, არის ის, რომ თითოეული მათგანის მიზნები, მუშაობის სპეციფიკა და პრობლემებიც (ფინანსური, ინფრასტრუქტურული, ადამიანური რესურსი და პოტენციალი, ინსტიტუციის ცნობადობა და საქმიანობის მასშტაბი) განსხვავებულია, პრობლემათა გადაჭრის საშუალებები კი - შეზღუდული; მეორე მხრივ, მათეულმა, განსაკუთრებით, მუნიციპალური დაქვემდებარების კულტურული ინსტიტუციების პასუხებმა, აჩვენა ისიც, რომ ვერც ერთი კულტურული ინსტიტუცია ვერ ახერხებს დაგზავნილი კითხვარის შესაბამისად სრული ინფორმაციის მოწოდებას. ამასაც თავისი ახსნა უნდა მოეძებნოს: შესაბამისი ინფორმატორის, რესპონდენტის ნაკლებ კომპეტენტურობა, ადგილობრივად

თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად ინსტიტუციების საქმიანობის აღურიცხაობა - დაუარქივება, საზოგადოებასთან ურთიერთობის (ე. წ. პიარის) სპეციალური სამსახურისა და სათანადო ტექნიკური ბაზის არარსებობა და სხვა, რაც მათ კითხვებზე ამომწურავი პასუხის გაცემის საშუალებას ვერ აძლევს. რაც ყველაზე თვალსაჩინო და მოულოდნელია, კითხვარის მეოთხე, ანუ, შეიძლება ითქვას, სტრატეგიული ხასიათის კითხვაზე გაცემულმა პასუხმა ცხადყო, რომ კვლევის მონაწილე ამ კულტურული დაწესებულებების თითქმის უმრავლესობისათვის, ფაქტობრივად, უცნობია საქართველოს სახელმწიფოს კულტურის პოლიტიკა ეთნიკურ უმცირესობათა მხარდაჭერის მიმართულებით. არადა, თავიანთი ინსტიტუციების სპეციფიკის შესაბამისად მათ მიერ პრაქტიკულად სწორედ ეს პოლიტიკა რეალიზდება.

ეთნიკურ უმცირესობათა კულტურის მხარდაჭერის პოლიტიკას ახორციელებს არა ამხოლოდ ეთნიკური კულტურული ინსტიტუციები, არამედ ქართულენოვანი კულტურული დაწესებულებებიც - თეატრები, მუზეუმები. ჩვენს მულტიკულტურულ სახელმწიფოში, სადაც უმრავლესობა ქართველი მოსახლეობაა, მათი წილი კულტურის პოლიტიკის გატარებაში სახელწიფოებრივად უფრო მეტი მნიშვნელობისაცაა. ამიტომ სპეციალური კითხვარი შემუშავდა საქართველოს ცენტრსა და რეგიონებში არსებული თეატრებისა და მუზეუმებისათვის:

1. *თქვენი თეატრის/მუზეუმის შემოქმედებითი ცხოვრების განმავლობაში რომელი ღონისძიება ჩატარდა ეთნიკურ უმცირესობათა კულტურის წარმოსაჩენად;*
2. *რომელი პერიოდი მიგაჩნიათ ყველაზე უფრო ნაყოფიერად ეთნიკურ უმცირესობათა კულტურის წარმოსაჩენად და მხარდასაჭერად განხორციელებული ღონისძიებების რაოდენობის, მათდამი საზოგადოების მიერ გამოვლენილი ინტერესის თვალსაზრისით;*
3. *2009-2019 წლებში ეთნიკურ უმცირესობათა კულტურისადმი მიძღვნილ რომელ ღონისძიებას, გამოფენას, საიუბილეო საღამოს დაასახელებთ;*
4. *როგორია თეატრის სარეპერტუარო პოლიტიკა ეთნიკურ უმცირესობათა კულტურის თვითმყოფადობის შენარჩუნების*

*კუთხით. განხორციელდა თუ არა სპექტაკლები ეთნიკურ უმცირესობათა დრამატურგიაზე დაყრდნობით, მათი რეჟისორების, მსახიობებისა და სხვა შემოქმედებითი ძალების მონაწილეობით/თანამონაწილეობით.*

5. *რა ინფორმაციას ფლობთ საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ უმცირესობებსა და მათ კულტურასთან მიმართებით სახელმწიფო მხარდაჭერის თაობაზე.*

ეს ხუთპუნქტიანი კითხვარი დაეგზავნა ქართულენოვან დრამატულ თეატრებასა და მუზეუმებს, მათ შორის, კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის სოხუმის სახელმწიფო დრამატულ თეატრს. პირველ კითხვაზე თეატრიდან მიღებული პასუხი ნაკლებად კონკრეტულია და არაა კითხვის შესაბამისი, თუმცა საინტერესოა, რადგან მასში კომპაქტურადაა გადმოცემული თეატრის ისტორია 1885 წლიდან, თუმცა ზოგადად ისიცაა აღნიშნული, რომ 1982 წლიდან თეატრის აფხაზურ დასთან ინტენსიურად მუშაობდა, გ. ქავთარაძე, დგამდა სპექტაკლებს აფხაზურ თეატრში, დადგა პირველი აფხაზური ოპერა „ალამისიც“. მეორე კითხვაზე პასუხით გვსურდა, გაგვერკვია ყველაზე უფრო ნაყოფიერად მიჩნეული პერიოდი თეატრის ცხოვრებაში ეთნიკურ მცირესობათა კულტურის წარმოჩენისა და მხარდაჭერის მიმართულებით. პასუხის მიხედვით, ასეთად ჩაითვალა 1980-იანი წლები 90-იან წლებამდე, როდესაც გამწვავდა ურთიერთობა აფხაზეთის მთავრობასა და თეატრს შორის. ამიტომ თეატრი მაქსიმალურად ცდილობდა, შეენარჩუნებინა მეგობრული ურთიერთობა აფხაზებთან. მესამე კითხვა ითვალისწინებს 2009-2019 წლებში ეთნიკური უმცირესობის, იგულისხმება, ამ შემთხვევაში აფხაზების კულტურისადმი მიძღვნილი ღონისძიების დასახელებას. პასუხი ამ შემთხვევაშიც ზოგადია, კერძოდ, ნათქვამია, რომ აფხაზეთის თეატრი ყოველთვის ჩართულია აფხაზეთის მთავარ კულტურულ მოვლენებთან დაკავშირებულ ღონისძიებებში, მაგალითად, 27 ოქტომბერი - აფხაზური ენის დღე; 23 მაისი - აფხაზეთის დღე და სხვ. მეოთხე კითხვა შედარებით მრავალპლანიანი და მიკროთემებიანია. შესაბამისად, პასუხიც შედარებით ვრცელია, კერძოდ, აფხაზური დარამატურგიის გამოყენების მაგალითად დასახელებულია აფხაზეთში მუშაობისას რეჟისორ.გ. ქავთარაძის მიერ აფხაზურ თეატრში აფხაზურად შ. აჯინჯალის პიესის, ქართულ თეატრში კი -დ. გულიას პიესა

„აჩრდილების“ დადგმა. აღნიშნულია, რომ თეატრი ამით სულ ცდილობდა, მუდმივად ჰქონოდა აფხაზეთთან კულტურული შეხების წერტილები. სოხუმის თეატრის ცნობილი სპექტაკლი „ზღვა, რომელიც შორია“ (რეჟ. თ. ჩხეიძე, პიესის ავტორი გ. ოდიშარია) ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებს ეძღვნებოდა. მეხუთე კითხვის პასუხად სახელდება საქართველოს კულტურის სამინისტროს პროგრამები: 1. სამოქალაქო ინტეგრაციის; 2. მულტილინგვური სწავლების ხელშეწყობისა და 3. ოკუპირებული რეგიონების პედაგოგებისა და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის დახმარების პროგრამა. როგორც ვხედავთ, მიუხედავად იმისა, რომ ზემოთ მოცემული პასუხებისაგან განსხვავებით, აქ კონკრეტული პროგრამები მაინცაა დასახელებული, მათ გარდა, სხვა დოკუმენტები არაა მითითებული. ეს კი რესპონდენტთა ნაკლებ ინფორმირებულობზე მეტყველებს. ჩვენი აზრით, აქ განსაკუთრებით საინტერესოა ის, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენები, რესპონდენტთა პასუხების მიხედვით, წარსულში ხდებოდა, კონფლიქტამდელ პერიოდში.

სოხუმის თეატრის მსგავსად, ივ. მაჩაბლის სახელობის ცხინვალის თეატრი რეგიონული თეატრია, მაგრამ იმის გამო, რომ ორივე მცირე ეთნოსით დასახლებულ რეგიონში მდებარეობდა, მათ საქმიანობას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. დღეს ორივე თეატრს, ცნობილი პოლიტიკური მოვლენების გამო, თბილისში უწევს მოღვაწეობის გაგრძელება. ცხინვალის თეატრისგან ზემოთ დასახელებულ კითხვებზე მიღებული პასუხები უფრო კონკრეტულია, თუმცა, ცხადია, იგი ვერ ასახავდა თეატრის არსებობის 145 წლიანი შემოქმედებითი ცხოვრების განმავლობაში ეთნიკური უმცირესობათა კულტურის წარმოსაჩენად დადგმულ ყველა სპექტაკლს, საგულისხმოა, რომ მათგან დასახელებულია სხვადასხვა წელს (1934, 1947, 1957 წწ.) ოს დრამატურგთა პიესების მიხედვით დადგმული სპექტაკლები, თუმცა იქვე კრებითადაა აღნიშნული, რომ 1990 წლამდე, ანუ მანამდე, სანამ თეატრს ქ, ცხინვალში მუშაობის საშუალება ჰქონდა, არაერთი ღონისძიება ჩატარდა ეთნიკურ უმცირესობათა კულტურის წარმოსაჩენად. მეორე კითხვაზე კარგად ფორმულირებული პასუხი მივიღეთ, სადაც აღნიშნულია, რომ ეთნიკურ უმცირესობის კულტურის წარმოჩენა-მხარდაჭერის მიზნით განხორციელებული ღონისძიებების რაოდენობის, მათდამი საზოგადოების მიერ გამოვლენილი

ინტერესის თვალსაზრისით, გამორჩეულად მიაჩნიათ პერიოდი 90-იან წლებამდე. ანუ დევნილობამდე, ვიდრე თეატრი მოღვაწეობდა მშობლიურ ქალაქში. თუმცა მომდევნო კითხვაზე პასუხის გაცემისას, რომელიც უკვე კონკრეტულ ინფორმაციას ითხოვდა იმავე მიმართულებით 2009-2019 წლებში დადგმული სპექტაკლების შესახებ, რესპონდენტი მხოლოდ საერთო ფრაზით კმაყოფილდება, ანუ გვწერს, რომ 2009-2019 წლებში ცხინვალის თეატრი სისტემატურად იღებს მონაწილეობას ოსური ლიტერატურის ფუძემდებლის, პოეტის, მხატვრისა და საზოგადო მოღვაწის, კ. ხეთაგუროვისადმი, მიძღვნილ ყოველწლიურ ღონისძიება „კოსტაობაში“. სარეპერტუარო პოლიტიკასთან დაკავშირებით დასმული კითხვის პასუხად, აღნიშნულია მხოლოდ ერთი სპექტაკლი, კერძოდ, 2018 წელს გოჩა კაპანაძის მიერ ყურბან საიდის რომანის მიხედვით დადგმული სპექტაკლი „ალი და ნინო“, რომელიც მიეძღვნა საქართველოსა და აზერბაიჯანის დამოუკიდებლობის 100 წლისთავს. ხაზი გაესვა იმასაც, რომ ის წარმატებით იქნა წარმოდგენილი ეთნიკური აზერბაიჯანელებით კომპაქტურად დასახლებულ საქართველოს რეგიონებში. ამ კითხვის პასუხში, როგორც სოხუმის, ისე ცხინვალის თეატრის მიერ სრულიად უგულებელყოფილია კითხვის დამასრულებელი სეგმენტი, რაც შეიძლება იმასაც ნიშნავდეს, რომ სპექტაკლი მხოლოდ თეატრის შემოქმედებითი კოლექტივის მონაწილეობით დაიდგა და არა სხვა შემოქმედებითი ძალების თანამონაწილეობით. საბოლოო კითხვას რესპოდენტმა უკიდურესად ზოგადი პასუხი გასცა. მას მიჩნია, რომ ეთნიკურ უმცირესობებს საქართველოში სახელმწიფო მხარდაჭერა აქვთ.

ნ. დუმბაძის სახელობის თბილისის მოზარდ მაყურებელთა თეატრმა კითხვარის პირველ კითხვას უპასუხა, რომ ეთნიკური კულტურის მხარდასაჭერად საგანგებოდ შეიქმნა პიესა და დაიდგა სპექტაკლი სახელწოდებით „სარა ბარა ბზია ბზბოიტ, ანუ მე შენ მიყვარხარ“. სპექტაკლი ქართულ-აფხაზურ კონფლიქტს ეხება. მასში წარმოჩენილია აფხაზი ხალხის კულტურული ტრადიციები, ფოლკლორი. სპექტაკლის რამდენიმე პერსონაჟი აფხაზურად მეტყველებს. მსახიობები ცოცხლად ასრულებენ აფხაზური ფოლკლორის ნიმუშებს. მეორე პასუხი კითხვის ადეკვატური არაა, თუმცა საინტერესო ინფორმაციას შეიცავს იმის შესახებ, რომ ეს თეატრი წლებია სახელმწიფო პროექტის ფარგლებში ეთნიკური უმცირესობით დასახლებულ რეგიონში - პანკისის ხეობაში გადის მწერლებთან, მხატვრებსა და მუსიკოსებთან

ერთად და იქ ქართულ კულტურას სხვებთან ერთად აცნობს ქისტებს. მესამე კითხვა შეეხება 2009-2019 წლებში ეთნიკურ უმცირესობათა კულტურის მხარდამჭერ ღონისძიებებს. პასუხად უშუალოდ თეატრის რეჟისორი დ. ხვთისიაშვილი ასახელებს ალ. გრიბოედოვის სახელობის რუსული და პ.ადამიანის სახელობის სომხური პროფესიული დრამატული თეატრების საიუბილეო დღეებს, ასევე მარნეულში ქართველი თეატრმცოდნეების მიერ მოწყობილ ლექცია-სემინარებს, თუმცა მათში მოზარდ მაყურებელთა თეატრის მონაწილეობის შესახებ არაფერს ამბობს, ისე, როგორც არ უთითებს ამ ღონისძიებათა ჩატარების თარიღებს. მიუხედავად ამისა, უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს ღონისძიებანი ჩატარდა სწორედ ამ თეატრის მონაწილეობითა და კითხვაში მონიშნულ ქრონოლოგიურ არეალში. რაც შეეხება მეოთხე კითხვას სარეპერტუარო პოლიტიკასთან დაკავშირებით, მასზე გაცემული პასუხიდან ირკვევა, რომ მოზარდ მაყურებელთა თეატრში განხორციელდა (თარიღი არაა მითითებული) ბელორუსი რეჟისორის, ვლ. სავიცკის, მიერ დადგმული სპექტაკლი „თეთრი კაჭკაჭი“, ბელორუსი კლასიკოსის, ი. ბარშევსკის, ნაწარმოებების მიხედვით. პრემიერას ესწრებოდნენ ბელორუსის საელჩოსა და დიასპორის წარმომადგენლები. ყურადღება გამახვილებულია, რომ ეს თეატრი ორენოვანია - ქართულ-რუსული. საბავშვო სპექტაკლების უმრავლესობა ორ ენაზე იდგმება. იქვე აღნიშნულია, რომ თეატრში შეკედლებულია უშენობოდ დარჩენილი სოხუმის მოზარდ მაყურებელთა თეატრი „თეთრი ტალღა“ და პ. ადამიანის სახელობის სომხური თეატრი, იქ მიმდინარე რემონტის დასრულებამდე, რაც, ჩვენი აზრით, ტოლერანტობის თავისებური გამოვლენაა. ამჯერადაც ამ კითხვის მეორე ნაწილი პასუხგაუცემელია. კითხვარის დამასრულებელი კითხვის პასუხი ძალზე ზოგადია, რადგან აღნიშნულია მხოლოდ სახელმწიფოს მხარდაჭერა ამ მიმართულებით და პანკისის ხეობაში ჩატარებული ზემოთ უკვე დასახელებული აქტივობები, რომლებიც განხორციელდა საქართველოს კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით.

მესხეთის რეგიონი კომპაქტურადაა დასახლებული ეთნიკურად სომეხი უმცირესობებით. ამიტომ აქ მათი უფლებების მხარდაჭერისათვის გატარებულ ნებისმიერ ქმედებას სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს. ამ მხრივ თვალსაჩინო როლს ასრულებს მესხეთის თეატრი, რომელსაც ასევე დაეგზავნა ჩვენი

ხუთპუნქტიანი კითხვარი. მათგან მიღებული პასუხები კითხვების მიხედვით დიფერენცირებული არაა, მიღებული ინფორმაცია, მართალია, სასურველზე ბევრად არასრულყოფილია, მაგრამ მაინც იძლევა საშუალებას, რომ წარმოდგენა ვიქონიოთ მის საქმიანობაზე კულტურის პოლიტიკის გატარების მიმართულებით. მოწოდებული ინფორმაციით, სსიპ მესხეთის ახალციხის პროფესიული დრამატული თეატრის ისტორია 1874 წლიდან იწყება; წლების განმავლობაში მან მრავალჯერ შეიცვალა სტატუსი, ხოლო 1967 წლიდან ეწოდა მესხეთის სახელმწიფო დრამატული თეატრი, ყოველი თეატრალური სეზონის დროს იქ სხვადასხვა რეჟისორი 6-7 საპრემიერო სპექტაკლს ამზადებს; თეატრი მონაწილეობს მრავალ საერთაშორისო ფესტივალში, სადაც იღებს უმაღლეს ჯილდოებს; მართავს გასტროლებს საზღვარგარეთ და საქართველოს სხვადასხვა რეგიონში (ყველგან მიუთითებელია როდის და სად); ყოველ ორ წელიწადში ატარებს ეროვნული დრამატურგიის ფესტივალს, რომელშიც მონაწილეობს 20-25 წამყვანი ქართული თეატრალური კოლექტივი; ითვალისწინებს რა აქ მოსახლე სომეხი ეთნოსის კულტურულ ინტერესებს, უთმობს მათ თავის დარბაზს სომხური ქორეოგრაფიული ფესტივალებისა და სხვადასხვა ღონისძიების ჩასატარებლად; ახალქალაქისა და ნინოწმინდის სკოლებში ხშირად წარმოადგენს სპექტაკლებს, რათა მათ გააცნონ ქართული და უცხოური დრამატურგია. ბოლო კითხვის პასუხად მათ მიერ ჩაითვალა მხოლოდ იმის აღნიშვნა, რომ სომხურ სკოლებში სახელმწიფოს ხელშეწყობით მიმდინარეობს ქართული ენის სწავლება; ხორციელდება სხვადასხვა პროექტიც ამ ეთნიკური უმცირესობის სოციალური ინტეგრაციისათვის.

ასეთივე კრებითი, არადიფერენცირებული და ლაკონურია ჩვენს კითხვარზე სსიპ მ. თუმანიშვილის სახელობის თეატრიდან მიღებული პასუხები. მათი ინფორმაციით, ეთნიკურ უმცირესობათა მხარდაჭერის თვალსაზრისით, 2012 წელს თეატრში გაიმართა აშუღ ქამანდარის 80 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო; 2013 წლის 25 სექტემბერს თეატრმა უმასპინძლა გამოჩენილი სომეხი მხატვრის, არ.ალაბულიანცის, პერსონალურ გამოფენას; 2013 წლის 3 მარტს კი ცნობილი პოლონელი მხატვრების- ელენე და იგორ ვასილკოვსკსის ერთობლივ გამოფენას; 2018 წლის 25 ივნისს საქართველოს კულტურის სამინისტროს კონკურსში გამარჯვებული პროექტის - „ძველი თბილისის თეატრალურ-ლიტერატურული

ბოჰემა“ (სომხური, ებრაული და აზერბაიჯანული კულტურული ტრადიციები) ფარგლებში თეატრის დასის მონაწილეობითა და ი. გრიშაშვილის მონოგრაფიებზე დაყრდნობით ჩატარდა ლიტერატურულ-მუსიკალურ-ქორეოგრაფიული საღამო „ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემა“ ვიდეოინსტალაციებით, ცოცხალი ვოკალური და ქორეოგრაფიული შესრულებით. ამასთან, ფოიეში მოეწყო ერთობლივი გამოფენა ქართველი და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი სტუდენტებისა და მოსწავლეების მონაწილეობით. გამოფენა მიეძღვნა საქართველოსთან ცხოვრებითა და შემოქმედებით მჭიდროდ დაკავშირებულ სამ არაქართველ მოღვაწეს: გერცელ ბააზოვს, ჰოვანეს თუმანიანსა და მირზა ფათალი ახუნდოვს. მართალია, ჩამოთვლილი ღონისძიებანი ფოკუსირებულია ეთნიკურ უმცირესობათა კულტურის პროპაგანდა-მხარდაჭერაზე, რაც ჩვენი კვლევის საგანია, მაგრამ ის, როგორც ზემოთაც აღინიშნა, არასრულყოფილია, თუმცა ეთნიკურ უმცირესობათა პოლიტიკის ხელშეწყობისა და კულტურათაშორისი დიალოგის გაღრმავების მიმართულებით ამ კამერული თეატრის წვლილი მართლაც შთამბეჭდავია. ამას ვერ ვიტყვით სსიპ გ. ერისთავის სახელობის გორის პროფესიული დრამატული და სსპ კ.მარჯანიშვილის სახელობის პროფესიული დრამატული თეატრების შესახებ. მათ მიერ ეთნიკურ უმცირესობათა მხარდაჭერის კუთხით ინფორმაცია არ მიგვიღია, რადგან ასეთი სახის რაიმე ღონიძიება ან სპექტაკლი არ ჩატარებულა, თუ არ მივიღებთ მხედველობაში კ. მარჯანიშვილის თეატრის მიერ მოწოდებულ ინფორმაციას, რომ ის აზერბაიჯანულ და სომხურ თეატრებს დარბაზს უთმობდა (არაა მითითებული როდის და რამდენჯერ) სპექტაკლების გასამართავად, რაც მცირე ეთნოსთა კულტურის მხარდაჭერის პირდაპირ ნიმუშად, ალბათ, ვერ გამოდგება. სსიპ ლ. მესხიშვილის სახელობის ქუთაისის პროფესიულმა დრამატულ თეატრმა ჩვენს კითხვებს არ გასცა პასუხი, მაგრამ გაითვალისწინა რა კითხვარის ძირითადი მიზანი ეთნიკურ კულტურათა მხარდაჭერის სახით, გვაცნობა, რომ მას ამ ეთნოთემატიკის, კონკრეტულად კი, ებრაელთა და ქართველა ურთიერთობის ამსახავი ერთი დადგმა ახსენდება - გ. ქავთარაძის მიერ გ. ბათიაშვილის პიესის მიხედვით 1976 წელს დადგმული სპექტაკილი „ ვალი“. მათგან მიღებული ინფორმაციიდან ირკვევა, რომ ბოლო 20 წლის განმავლობაში ეთნიკურ უმცირესობასთან დაკავშირებული რაიმე დადგმა არ განხორციელებულა.

თბილისისა და რეგიონების განსხვავებული სპეციფიკისა და შინაარსის თეატრების გამოკითხვამ მოგვცა საშუალება დავასკვნათ, რომ თუმცა არც ერთ ამ დაწესებულებას კითხვარზე სრულყოფილი პასუხი არ გაუცია, ვხედავთ მათ მიერ ეთნიკურ უმცირესობათა კულტურის მხარდაჭერის ამსახველ ღონისძიებს, რომელთა საშუალებით ისინი ნაწილობრივ მაინც უწყობენ ხელს კულტურათაშორის დიალოგსა და ეთნიკურ უმცირესობათა ინტეგრაციას. მიუხედავად ამისა, ამ მიმართულებით მათ ჩართულობას სახელმწიფო პოლიტიკაში დამაკმაყოფილებელად ვერ მივიჩნევთ.

ანალოგიური (მცირედი ცვლილებით) კითხვარი დაეგზავნათ ცენტრსა და რეგიონებში არსებულ მუზეუმებსაც:

*1. თქვენი მუზეუმის შემოქმედებითი ცხოვრების განმავლობაში რომელი ღონისძიება ჩატარდა ეთნიკურ უმცირესობათა კულტურის წარმოსაჩენად;*

*2. რომელი პერიოდი მიგაჩნიათ ყველაზე უფრო ნაყოფიერი ამ მიმართულებით განხორციელებული ღონისძიებების რაოდენობის, მათდამი საზოგადოების მიერ გამოვლენილი ინტერესის თვალსაზრისით;*

*3. 2009-2019 წლების რომელ ღონისძიებას, გამოფენას, საიუბილეო საღამოს დაასახელებთ, მიძღვნილს ეთნიკურ უმცირესობათა კულტურისადმი;*

*4. თქვენს მუზეუმში რა ადგილი უკავია ეთნიკურ უმცირესობათა კულტურასა და მათ ექსპონატებს, რომელი გამოფენები განხორციელდა;*

*5. რა ინფორმაციას ფლობთ საქართველოში არსებული სახელმწიფო მხარდაჭერის თაობაზე ეთნიკურ უმცირესობებთან მიმართებით.*

ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი ჩვენ მიერ გაგზავნილ კითხვარს სრულად არ პასუხობს. პასუხები დიფერენცირებული არაა, მაგრამ ეთნიკური კულტურის მხარდაჭერის პოლიტიკასთან დამოკიდებულება და მუზეუმის მიერ თავისი სპეციფიკის შესაბამისად მის შესაბამისად განხორციელებული ღონისძიებები გამოკვეთილია, რაც გვაძლევს მათ მიერ მოწოდებული ინფორმაციის შეჯამებულად წარმოდგენის საშუალებას: 2009-2019 წლებში ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის ეთნოგრაფიულ გამოფენებში წარმოდგენილია სხვადასხვა ეთნიკურ უმცირესობათა - ოსების, სომეხთა,ებრაელთა და სხვა ეთნიკურ ჯგუფთა ყოფისთვის დამახასიათებელი მასალა; 2019 წელს რამდენიმე გამოფენა მიეძღვნა პოლონურსა და

ლიეტუვის კულტურულ ტრადიციებს; განსაკუთრებით გამოსაყოფია 2019 წლის 2 მაისს გახსნილი გამოფენა „არ დავიწყება მოყვრისა აროდეს გვიზამს ზიანსა“, რომელიც მიეძღვნა XIX-XX საუკუნეებში ქუთაისში მოღვაწე პოლონელებს. ქუთაისში მოღვაწე მწერალმა და კრიტიკოსმა თავის დოკუმენტურ ნოველებში არაერთი პოლონელი მოღვაწის მხატვრული სახე შექმნა. მუზეუმმა ორ ენაზე (ქართულად და პოლონურად) გამოსცა ელ. თავზერიძის პოლონელებისადმი მიძღვნილი ნოველების წიგნი და გამოფენაზე მოსულებს საჩუქრად გადასცა. მომზადდა ქართულ-აფხაზური ურთიერთობისადმი მიძღვნილი ელექტრონული გამოფენის პროექტი. მოწოდებული ინფორმაცია საინტერესოა, მაგრამ არასრული და არა მხოლოდ კითხვარზე არასრულყოფილად გაცემული პასუხების გამო. ცნობილია, რომ ქუთაისში სახლობდა ებრაული თემის ბევრი წარმომადგენელი. საინტერესო იქნებოდა ებრაელთა ყოფა-ცხოვრებასთან დაკავშირებული საარქივო მასალისა და ექსპონატების შესახებ ინფორმაციის მოწოდება, რაც არ დაფიქსირებულა. თუმცა აქცენტი გაკეთდა 2019 წელს განხორციელებულ გამოფენებზე აფხაზურ, პოლონურ. ლიეტუვურ კულტურულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებით, რაც, თავისთავად, მნიშვნელოვანია კულტურულ-საგანმანათლებლო და კულტურათაშორისი დიალოგის კუთხით.

გ. ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი ამ პროფილის ერთადერთი მუზეუმია საქართველოში. საყოველთაოდ ცნობილია, ქართველ და ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენელ მწერალთა, ლიტერატორთა თანამშრომლობისა და პირადი მეგობრობის უამრავი მაგალითი. ამის ამსახავი ფოტოები, ფერწერული თუ ტექსტური მასალა, ისევე როგორც საქართველოში ეთნიკურ უმცირესობათა ყოფა-ცხოვრებისა და კულტურული ტრადიციების მაჩვენებელი ექსპონატები უხვადაა დაცული ამ მუზეუმში. ამიტომ ანალოგიური კითხვარის მეშვეობით უაღრესად აქტუალური და საინტერესო იქნებოდა ამ მუზეუმის საქმიანობის გაცნობა. მუზეუმის ადმინისტრაციის მიერ პირველსავე კითხვაზე გაცემული პასუხი ცხადყოფს, რომ ამ ორგანიზაციაში სამუზეუმო მიმართულებით კულტურის პოლიტიკის მნიშვნელობა გათავისებული აქვთ, რის რეალიზების საშუალებას მას აქ დაცული ექსპონატებიც აძლევს. ეთნიკურ უმცირესობათა კულტურის წარმომჩენ ღონისძიებებად დასახელდა 2010 წელს

გამართული გამოფენა „კულტურული მრავალფეროვნება საქართველოში“, რომელზეც ექსპონირებულ იქნა აზერბაიჯანელი და სომეხი მწერლებისა და მხატვრების ნაწარმოებთა ორიგინალები; 2011 წელს მუზეუმმა გამოსცა სომეხი მწერლისა და მხატვრის კ.გრიგორიანცის კრებული „ძველი თბილისის იშვიათი ამბები“. მეორე კითხვის პასუხად, ნაყოფიერად იქნა მიჩნეული 2015-2019 წლები, როდესაც ხორციელდებოდა პროექტი „მრავალფეროვანი საქართველო“. 2009-2019 წლების შუალედში ეთნიკურ უმცირესობათა კულტურისადმი მიძღვნილ ღონისძიებად (მესამე კითხვა) მათ მიერ მიჩნეულია არა 2009-დან, არამედ 2015-2019 წლებში გასვლითი ყოველწლიური ღონისძიებანი ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში - მარნეულში, ბოლნისში, შაუმიანში, ახალქალაქში, ახალციხეში, ნინოწმინდაში ლიტერატურულ-მუსიკალური და მწერალთა საიუბილეო საღამოების, მწერლებსა და მოღვაწეებთან შეხვედრების, კინოჩვენებებისა და ა. შ. სახით. მეოთხე კითხვის პასუხად მათ დაასახელეს ისევ პროექტი “მრავალფეროვანი საქართველო“, ხოლო ბოლო კითხვაზე პასუხისას მუზეუმი რატომღაც შემოიფარგლა ამავე პროექტის, როგორც ეთნიკური უმცირესობების სახელმწიფოს მიერ მხარდაჭერის დემონსტრირების დასახელებით. მუზეუმის მონაწილეობა პროექტში „მრავალფეროვანი საქართველო“, რომელიც კულტურათაშორისი დიალოგისა და რეგიონებში ეთნიკურ უმცირესობათა, განსაკუთრებით, ახალგაზრდობის თანამედროვე კულტურულ პროცესებთან ზიარებისა და ინტეგრაციის კუთხით ხორციელდება, მას კულტურის ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ერთ-ერთ განმახორციელებლად აქცევს, მიუხედავად იმისა, რომ სხვა მხრივ ამ მიმართულებით მისი აქტიურობა არცთუ მრავალფეროვანია.

საქართველოში ყველაზე დიდი სამუზეუმო გაერთიანებაა სსიპ ეროვნული მუზეუმი, ქვეყნის საგანძურის მთავარი საცავი, რომელშიც შედის თბილისსა და ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში მდებარე 12 მუზეუმი. ცხადია, ამის გამო ამ ინსტიტუციას მეტი შესაძლებლობა აქვს, აწარმოოს ფართო სამუზეუმო საქმიანობა, მათ შორის, ეთნიკურ უმცირესობათა კულტურის წარმოჩენისა და მხარდაჭერისთვალსაზრისით. ზემოთ მოცემულ კითხვარზე მათგან მიღებული პასუხები გამოირჩევა ეთნიკურ უმცირესობათა კულტურის დემონსტრირების

სიუხვით. პირველ კითხვაზე გაცემული პასუხი მოიცავს ვრცელ ჩამონათვალს 2008-2018 წლებში ამ გაერთიანების სხვადასხვა ერთეულში გამართულ ებრაელების, გერმანელების, ქურთების, სომხების, ოსების, აფხაზების ყოფა-ცხოვრების, რელიგიისა და კულტურისადმი მიძღვნილი ექსპოზიციებისა და სხვა ღონისძიებათა სახით. ხოლო ეთნიკურ უმცირესობათა კულტურის მხარდაჭერის მიმართულებით მუზეუმმა რაოდენობრივად ყველაზე ნაყოფიერად და საინტერესოდ მიიჩნია 2018-2019 წლები, როცა შედგა გამოფენა „რელიგიები საქართველოში“ (2018 წ.); შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის ხელშეწყობით ჩატარებული კულტურული მრავალფეროვნების დღე (2018 წ.) და სხვ. 2009-2019 წლებში ეთნიკურ უმცირესობათა კულტურისადმი მიძღვნილ ღონისძიებათა მრავალფეროვნების გამო (მესამე კითხვა) მუზეუმს პასუხის გაცემა გაუჭირდა, თუმცა მაინც გამოიყო 2016-2017 წლებში საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციისა და საქართველოს კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით ეთნოგრაფიულ მუზეუმში ოსური სახლის რეაბილიტაცია. მუზეუმში დაცულია ეთნიკურ უმცირესობათა უამრავი ექსპონატი, რომლებმაც მისცა მუზეუმის თანამშრომლებს საშუალება, ჩაეტარებინათ ზემოთ აღნიშნული გამოფენა-ღონისძიებები. ამიტომაც მეოთხე კითხვის პასუხი უფრო შემაჯამებელი და ზოგადი ხასიათისაა. კითხვარის მეხუთე, დამასრულებელ კითხვაზე პასუხი მოკლეა: „ვფლობ ინფორმაციას კულტურის სამინისტროს პროგრამების შესახებ“. კითხვარზე ეროვნული მუზეუმის პასუხებიდან ჩანს, რომ ეს ინსტიტუცია უახლოეს წარსულში პროფესიული და ხარისხობრივი კუთხით ეთნიკურ უმცირესობათა კულტურისა და ტრადიციების მხარდაჭერასა და განვითარებაზე იყო ორიენტირებული.

ჩვენ აქამდე ძირითადად შევეხეთ ისეთ კულტურულ ინსტიტუციებს, რომლებიც სახელმწიფო ბალანსზე იმყოფებოდნენ. საინტერესოა ეთნოსების კულტურათა მხარდაჭერის თვალსაზრისით სახელმწიფო დაფინანსების გარეშე მოქმედი ინსტიტუციების საქმიანობა. თბილისში არსებობს გამოჩენილი სომეხი მწერლის, საქართველოში მოღვაწე ო. თუმანიანის სახელობის მემორიალური მუზეუმი „ჰოვანეს თუმანიანის სახლი“, რომელიც წარმოადგენს სომეხთა სამოციქულო მართლმადიდებელი წმიდა ეკლესიის საქართველოს ეპარქიის თბილისის სამეცნიერო-კულტურულ ცენტრს. ის გაიხსნა 2017 წელს, თავისი

აქტიური შემოქმედებითი მუშაობით გამოირჩევა და მრავალ საინტერესო ღონისძიებას ატარებს. თეატრებისა და მუზეუმებისათვის 5 კითხვიანი კითხვარის პირველ კითხვაზე ეთნიკური უმცირესობის კულტურის წარმომჩენ ღონისძიებად 2017-2019 წლების განმავლობაში დასახელდა მრავალი ღონისძიება (სომხური, ქართული, რუსული, გერმანული წიგნების პრეზენტაცია, სომეხი და ქართველი ახალგაზრდა მხატვრების გამოფენები, ლიტერატურული შეხვედრები, საღამოები, ფილმების ჩვენება). მუზეუმის ცხოვრებაში ნაყოფიერ პერიოდად (მეორე კითხვა) კი მიჩნეულ იქნა 2019 წელი, როცა აღინიშნა ჰ. თუმანიანის დაბადებიდან 150 წელი, თანმხლები არაერთი ღონისძიებით (გამოფენა, მისი ზღაპრების ორენოვანი კრებულის „ჰოვანეს ნათელი" - წერილების, ლექსების კრებულის გამოცემა (ქართულ ენაზე), ამ წიგნების პრეზენტაცია ნინოწმინდაში, შაუმიანში (მარნეულის რაიონი). 2009-2019 წლებში ეთნიკურ უმცირესობათა კულტურისადმი მიძღვნილი სხვა ღონისძიების ნაცვლად მუზეუმი რატომღაც ზოგადი პასუხით დაკმაყოფილდა და აღნიშნა, რომ ცენტრში ამ მიმართულებით ტარდება ლიტერატურულ-საგამომცემლო სამუშაოები. ასევე კონკრეტიკასაა მოკლებული მეოთხე კითხვის პასუხი, აღნიშნულია, რომ ცენტრის მოღვაწეობა მიმართულია საქართველოში სომხური კულტურის, სომხურ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობების შენარჩუნება-განვითარებისკენ და ყველა ღონისძიება ემსახურება ამ მიზანს. მეხუთე კითხვაზე პასუხიც არაა გამორჩეული. აქაც პასუხი უკუდურესად სქემატურია, რადგან მხოლოდ ისაა ნათქვამი, რომ სახელმწიფო ხელს უწყობს ეთნიკური უმცირესობების კულტურის გასავითარებლად ჩატარებულ სამუშაოებს. მიუხედავად კითხვების გარკვეულ ნაწილზე ზოგადი პასუხებისა, ამ მუზეუმის ხანმოკლე არსებობის განმავლობაში მისი საქმიანობა სომეხი ეთნიკური ჯგუფის კულტურის პოპულარიზაციისა და, საერთოდ, ამ ეთნოსის ქართულ გარემოში ინტეგრაციის გაღრმავების მიმართულებით მართლაც შთამბეჭდავია,

თანამედროვე მსოფლიოს კულტურულ თუ პოლიტიკურ ცხოვრებაში დიდ როლს ასრულებს არასამთავრობო ორგანიზაციები. გამონაკლისი არც საქართველოა. ამიტომ მნიშვნელოვნად მივიჩნეთ, გამოკითხვა დაგვესრულებინა ეთნიკურ უმცირესობათა არასამთავრობო ორგანიზაციების სოციოლოგიური გამოკითხვით. მათთვის შემუშავდა შემდეგი სახის კითხვარი:

*1. როდის დაფუძნდა თქვენი ორგანიზაცია და რა სფეროში საქმიანობს ის;*

*2. თქვენი ორგანიზაციის არსებობის განმავლობაში რომელი ღონისძიება ჩატარდა ეთნიკურ უმცირესობათა კულტურის წარმოსაჩენად და მხარდასაჭერად;*

*3. რომელი პერიოდი მიგაჩნიათ თქვენი ორგანიზაციის საქმიანობაში ყველაზე უფრო ნაყოფიერად ამ მიმართულებით განხორციელებული ღონისძიებების რაოდენობისა და მათდამი საზოგადოების ინტერესის თვალსაზრისით;*

*4. 2009-2019 წლებში რომელ კულტურულ ღონისძიებას, გამოფენას, საიუბილეო საღამოს გაიხსენებდით, მიძღვნილს ეთნიკურ უმცირესობათა კულტურის მოღვაწეების ან მათი კულტურისადმი;*

*5. რომელი და რა სახის კულტურული ღონისძიება ჩაგიტარებიათ სახელმწიფოს ხელშეწყობით;*

*6. რა გამოწვევებისა და პრობლემების წინაშე დგას ქვეყანაში სახელმწიფო პოლიტიკა ეთნიკურ უმცირესობათა კულტურის მხარდაჭერის კუთხით;*

*7. რა ინფორმაციას ფლობთ ეთნიკურ უმცირესობათა სახელმწიფო მხარდაჭერის თაობაზე.*

აღნიშნული კითხვარი გადაეგზავნა ა(ა)იპ ქალთა კავშირ „კავკასიელ ქალთა კონგრესს" (ს/კ 206129571). პირველ კითხვაზე გაცემული პასუხით ვიგებთ, რომ იგი დაფუძნდა 2013 წელს და მისი საქმიანობის სფეროა კულტურა და მეცნიერება. ამ ორგანიზაციის თავმჯდომარეა მექა ხანგოშვილი, დამფუძნებლები - სხვადასხვა ეროვნების წარმომდგენლები (ნ. ჯაბაური, ე.თათარაიძე, ნ. ბეპიევი, მ. ცაბოშვილი, თ. უჯუხუ). ყველაზე ნაყოფიერად რაოდენობრივი და საზოგადოებრივი ინტერესის თვალსაზრისით მითითებულია 2015-2019 წლები. საილუსტრაციოდ ჩამოთვლილია ქისტური, ქართული, აფხაზური, ვაინახური ლიტერატურისა და კულტურისადმი მიძღვნილი წიგნების გამოცემა და ძირითადად ფოლკლორის ცენტრში ამ ეთნოსთა კულტურისა და ლიტერატურისადმი ან ღირსახსოვარი დღეებისადმი მიძღვნილი საღამოების მოწყობა, რაც, ჩვენი აზრით, არის გაერთიანებული პასუხი მესამე და მეოთხე კითხვებზე. მეხუთე კითხვის შესაბამისი პასუხი ასეთია: „თითქმის უმეტესობა ღონისძიებებისა, რამოდენიმე გამონაკლისის გარდა (დეპორტაციის საღამო, მუჰაჯირობის საღამო, ავ. არაბულისა და ეთ. თათარაიძის იუბილე) ჩატარებულია სახელმწიფოს მხარდაჭერით". ყველაზე ვრცელი მეექვსე კითხვის

პასუხში აღნიშნულია, რომ ჯერ კიდევ არსებობს უამრავი პრობლემა ეთნიკური უმცირესობისა და მათი კულტურის მხარდაჭერის კუთხით და ეს საგრძნობია ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რაიონებში, სადაც ქართული ენის უცოდინრობა (ქვემო ქართლი) აფერხებს მათ ინტეგრაციასა და ჩართულობას სახელმწიფო პროცესებში. პანკისის ხეობაში კი, მათი აზრით, არსებობს არა სახელმწიფო ენის ცოდნის პრობლემა, არამედ ინერტულობა ახალგაზრდების მოტივაციისა და სხვა პრობლემები. დამამთავრებელ კითხვაზე პასუხით არასამთავრობო ორგანიზაცია მხოლოდ ადასტურებს, რომ ის ფლობს ყველანაირ ინფორმაციას, რაც არსებობს საქართველოში ეთნიკური უმცირესობის პოლიტიკის მხარდაჭერის კუთხით.

ააიპ „ქალთა უფლებების სათემო ინიციატივას", როგორც საქართველოში პირველსა და ერთადერთ ორგანიზაციას, რომელიც ქურთ-იეზიდთა საკითხებზე მუშაობს, დაეგზავნა კითხვარი. პირველ კითხვაზე მისი პასუხით ირკვევა, რომ ეს ორგანიზაცია დაფუძნდა 2002 წელს და ახორციელებს მრავალთემატურ საქმიანობას: აქტიურად მონაწილეობს რეკომენდაციების შემუშავებაში ქურთი-იეზიდი და სხვა მცირერიცხოვანი ეთნიკური ჯგუფების ქალთა სამოქალაქო ცხოვრებაში ინტეგრაციის სფეროში; ატარებს კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებებს; თანამშრომლობს ქურთ-იეზიდთა ორგანიზაციებთან გერმანიაში, საფრანგეთში, ავსტრიაში, ბელგიაში, ერაყსა და რუსეთში; არის სახალხო დამცველთან არსებული ეროვნული უმცირესობების საბჭოსა და ქ. თბილისის საკრებულოსთან არსებული ეროვნულ უმცირესობათა საბჭოს წევრი. მეორე და მესამე კითხვაზე პასუხის თანახმად, ამ ორგანიზაციამ არსებობის განმავლობაში მრავალი ღონისძიება ჩაატარა, რითაც ეხმარებოდა იეზიდებს საკუთარი კულტურის, ტრადიციებისა და თვითმყოფადობის შენარჩუნებაში. საილუსტრაციოდ უამრავი მაგალითია მოხმობილი, მათ შორისაა ქურთული სახალხო თეატრის მოღვაწეობა 20 წლის განმავლობაში; იეზიდი მხატვრების გამოფენები და მათი ალბომების გამოცემა; ალბომ „კულტურისა და მეცნიერების მოღვაწე თბილისელი იეზიდების" გამოცემა და ა. შ. 2009-2019 წლებში ჩატარებულ კულტურულ ღონისძიებებად მიჩნეული იქნა ზემოთ ჩამოთვლილი ღონისძიებების ნაწილი, დამატებით კი - კავკასიურ სახლში ჩატარებული ცალკეული გამოცემების პრეზენტაციები („წარმატებული იეზიდი

ქალები საქართველოდან“; ქაარიმ ანყოსის „მოკლე ქართულ-ქურთული (კურმანჯი) ლექსიკონი“ და სხვ.). კითხვის - რომელი და რა სახის კულტურული ღონისძიება ჩაგიტარებიათ სახელმწიფოს ხელშეწყობით - პასუხად დაასახელა არაერთი სამენოვანი გამოცემა, რომელშიც გაშუქდა ქურთ-იეზიდთა ცხოვრება და კულტურა და ა. შ. გამოწვევებსა და პრობლემებთან დაკავშირებით, მიზეზად დასახელდა, ერთი მხრივ, სამშობლოს დაქუცმაცება და გადანაწილება ოთხ სახელმწიფოს შორის, რის გამოც ისინი ვერ იღებენ ვერანაირ დახმარებას იქიდან, მეორე მხრივ, საქართველოში არსებული მძიმე ეკონომიური ვითარება. ამიტომ თემი მთლიანად დამოკიდებულია პროექტებზე; იკარგება მშობლიური ქურთული (კურმანჯი) ენა; სულ უფრო რთულდება თვითმყოფადობის შენარჩუნება და ა. შ. ბოლო კითხვაზე პასუხის გაცემისას ეს არასამთავრობო ორგანიზაცია ხაზს უსვამს ამ მიმართულებით ინფორმაციის ნაკლებობას. მიუხედავად ამ ორგანიზაციის მიერ მონიშნული არაერთი პრობლემისა, შეჯამების სახით უნდა ითქვას, რომ აღნიშნული ორგანიზაცია თავისი მნიშვნელობით ქურთი ეთნოსის კულტურული ტრადიციების შენარჩუნებისა და განვითარების მიზნით თავისი შესაძლებლობის ფარგლებში და სახელმწიფოს მხარდაჭერით აქტიურად მუშაობს, რაც გამოჩნდა კიდეც მათ საპასუხო ინფორმაციაში.

ააიპ „სამოქალაქო ინტეგრაციის ფონდი „არასამთავრობო ორგანიზაციაა, რომელიც ასევე მონაწილეობდა გამოკითხვაში. პირველ კითხვაზე გაცემული პასუხით ირკვევა, რომ ის იუსტიციის სამინისტროს მიერ დარეგისტრირდა 2004 წლის 20 დეკემბერს. მისი საქმიანიბის სფეროდ კი განისაზღვრა საქართველოს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა საზოგადოებაში ინტეგრაცია და ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში თემისა და საზოგადოების აქტიური ჩართულობის ხელშეწყობა; საზოგადოებაში კულტურულ ფასეულობათა პატივისცემისა და ტოლერანტული გარემოს დამკვიდრებისათვის სამოქალაქო-საგანმანათლებლო საქმიანობა. მეორე და მესამე კითხვის გაერთიანებულმა პასუხმა გასაგები გახადა, რომ ეთნიკურ უმცირესობათა კულტურის წარმოსაჩენად ცალკეული პროექტები არ განხორციელებულა. ამ მიმართულებით გამორჩეული-ნაყოფიერი პერიოდი არ გამოყოფილა, თუმცა იქვე აღინიშნა, რომ საქართველოს გაეროს ასოციაციასთან ერთად განხორციელდა პროექტები: „განათლება და

სამოქალაქო საზოგადოების განვითარება ქვემო ქართლის რეგიონში” და „ნდობის მშენებლობა სამხრეთ კავკასიაში”. ამ პროექტების ფარგლებში ჩატარდა სხვადასხვა კულტურული აქტივობა ტრადიციული ეთნიკური კუთხეების ჩვენებით, ფოტო და ნახატების გამოფენები ეთნიკურ მოტივებზე (თარიღი მითითებული არაა). რაც შეეხება 2009-2019 წლებში იმავე მიმართულებით ჩატარებულ ღონისძიებას, აღინიშნა, რომ ორგანიზაცია აქტიურად მონაწილეობს ყოველწლიურად ნოვრუზ-ბაირამის ორგანიზებაში; ორგანიზებას უწევს საზოგადო მოღვაწეთა საიუბილეო საღამოებს, წიგნების პრეზენტაციას (არ კონკრეტდება). სახელმწიფოს ხელშეწყობით ჩატარებულ კულტურულ ღონისძიებად კი სახელდება ისევ ბოლო სამი წლის განმავლობაში  თბილისის მერიის მხარდაჭერით გამართული აზერბაიჯანელთა ყოველწლიური დღესასწაული „ნოვრუზ-ბაირამი“. გამოწვევებსა და პრობლემებზე გაცემული პასუხიდან ირკვევა, რომ, მიუხედავად ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის ხელშეწყობის სახელმწიფო სამოქმედო გეგმის არსებობისა, ეთნიკური უმცირესობების კულტურის წარმოჩენისა და ქართული კულტურის ნაწილად აღიარების პრობლემა კვლავ აქტუალურია, ასევე ისევ მოუგვარებელია აზერბაიჯანული თეატრის შენობის პრობლემა. ბოლო კითხვას საკმაოდ გაბედული და საქმიანი პასუხი გაეცა, მიჩნეულ იქნა, რომ, სამოქმედო გეგმის არსებობის მიუხედავად, მისი აღსრულება ხშირად ფურცელზე რჩება, მხოლოდ ადგილობრივი თვითმმართველობების დონეზე თუ ჩატარდება რამე კულტურული ღონისძიება. ჩვენი აზრით, ეს შეხედულება არცთუ ბოლომდე სამართლიანია, რადგან სამოქმედო გეგმის თანახმად სახელმწიფო ფინანსურსა და მორალურ დახმარებას უწევს ეთნიკურ უმცირესობათა უამრავ ორგანიზაციასა და პროექტს, მაგრამ მისი ფინანსური შესაძლებლობანი, სამწუხაროდ, შეზღუდულია, დახმარების საჭიროების მქონე ეთნიკური ჯგუფები და მათი პროექტები თუ ღონისძიებები კი უამრავია. თუმცა ეს შენიშვნა გასათვალისწინებელია შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურების მიერ ამ მიმართულებით საქმიანობის გააქტიურებისათვის.

სომხურ-ქართული კულტურული ურთიერთობის გაღრმავებისა და საქართველოში სომხური კულტურის განვითარების ხელშეწყობის მიმართულებით საქმიანობს კულტურულ-საგანმანათლებლო და ახალგაზრდული ცენტრი „ჰაიარტუნ“. ამიტომ ისიც გამოიკითხა. პირველ კითხვაზე პასუხის მიხედვით, ეს

ცენტრი არასამეწარმეო იურიდიული პირია და დაარსდა 2011 წელს. ცენტრში არსებობს საბავშვო ბაღი, საკვირაო სკოლები, დოლისა და დუდუკის წრეები, სომხური ეთნოგრაფიული ცეკვების ანსამბლი, საბავშვო გუნდი და ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი. მეორე და მესამე კითხვაზე გაცემული პასუხებიდან ვიგებთ, რომ თავისი არსებობის მანძილზე ცენტრი უამრავ ღონისძიებებში (თბილისობა; მრავალხმიანობის საერთაშორისო სიმპოზიუმების გალა-კონცერტი, კავკასიური სახლის მიერ ორგანიზებულ მრავალეროვნული კულტურის ღონისძებები) იღებს მონაწილეობას ასეთ ღონისძიებათა რიცხვი, მათი თქმით, ყოველ წელს ასზე მეტია. 2009-2019 წლებში ჩატარებულ კულტურულ ღონისძიებათაგან მათ მიერ გამოყოფილია პროგრამა „მრავალფეროვანი საქართველო"; 2019 წელს ჰ. თუმანიანის 150 წლის იუბილე და ჰ. თუმანიანის სამი ახალი წიგნის პრეზენტაცია. სახელმწიფოს ხელშეწყობით ჩატარებულ ღონისძიებად დასახელებულია ორგანიზაციის ოთხწლიანი თანამშრომლობა კულტურის სამინისტროსთან ისევ პროგრამა „მრავალფეროვანი საქართველოს" ფარგლებში და კულტურული ღონისძიებების ჩატარება თბილისსა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონში. ბოლო ორი კითხვა პასუხგაუცემელია. მიუხედავად პასუხების შედარებითი უსრულობისა, ეს ორგანიზაცია სომეხი ეთნიკური ჯგუფის კულტურის, ტრადიციების შენარჩუნებაზეა ორიენტირებული და ამიტომ მისი საქმიანობა კულტურის პოლიტიკის განხორციელების კონტექსტში უაღრესად მნიშვნელოვანია.

არასამეწარმოო იურიდიული პირი, არასამთავრობო ორგანიზაცია საერთაშორისო საზოგადოება „კავკასიური მოზაიკა" დარეგისტრირდა 2009 წელს. 1990 წლიდან ეს იყო არარეგისტრირებული კავშირი, საინიციატივო ჯგუფი, რომელიც ახორციელებდა სხვადასხვა ჰუმანიტარულ, სოციალურ, კულტურულ-საგანმანათლებლო პროექტს, რომელთა მიზანი იყო კავკასიაში მცხოვრებ უმცირესობათა უფლებების დაცვა, მათი კულტურული ინტეგრაცია და კულტურათა პოპულარიზაციის ხელშეწყობა, რასაც ვიგებთ კითხვარის პირველ კითხვაზე ამ ორგანიზაციის მიერ გაცემული პასუხიდან. „კავკასიური მოზაიკის" გარდა, 2015 წელს შეიქმნა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართულ-ოსურ ურთიერთობათა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი პრეზიდენტის ადმინისტრაციისა და ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში. უკვე ხუთი წელია, ეს ცენტრი წარმატებით ფუნქციონირებს. მეორე და მესამე კითხვის შესაბამისად ორგანიზაცია „კავკასიური მოზაიკა“ ჩამოთვლის იმ ღონისძიებებს, რომლებსაც ისინი ახორციელებენ ყოველწლიურად. ესაა სახალხო დღესასწაული „კოსტაობა“ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ არეშფერანში, ფართომასშტაბიანი კულტურული პროგრამით, რომელშიც მონაწილეობენ ადგილობრივი ოსები და სტუმრები საქართველოს ქალაქებიდან. ამასთან, ყოველწლიურად ტარდება საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, გამოიცემა წიგნები ქართულსა და ოსურ ენებზე (2002 წლიდან); დაიდგა სპექტაკლი „ამბავი ნართებისა“ ოსური ნართების ეპოსის მიხედვით (2018 წ.) და სხვ. რაც შეეხება 2009-2019 წლებს, შესაბამისი პასუხიდან ჩანს, რომ 2015 წელს „კავკასიურ სახლში“ საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს დაფინანსებით მოეწყო ოსური კულტურისა და ტრადიციების საღამო. ამ კითხვაზე პასუხში ასევე დაფიქსირებულია 2019 წელს თსუ-ში ჩატარებული ღონისძიება „ქართულ-ოსური ურთიერთობები“, გამოჩენილ ქართველ და ოს მოღვაწეებთან შეხვედრა, გამოფენა, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და თსუ ხელშეწყობით. კითხვაზე, რომელიც ეხება სახელმწიფოს ხელშეწყობით ჩატარებულ კულტურულ ღონისძიებას, დასახელებულია ასევე სამინისტროს ფინანსური დახმარებით ჩატარებული „კოსტაობა“; ოსი მწერლების ნაწარმოებებისა და ოსური ხალხური ზღაპრების გამოცემა ქართულ და ოსურ ენებზე, მათი პრეზენტაციები თბილისში, გორში, ლაგოდეხში; ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე ოსურ ენაზე გამოცემული წიგნების წარდგენა და ა.შ. გამოწვევა-პროლემად (მეექვსე კითხვა) მიჩნეულ იქნა სახელმწიფოს მეტი მხარდაჭერა ეთნიკური უმცირესობის განათლებისა და კულტურული მემკვიდრეობის არა მარტო დაცვა-შენარჩუნების, არამედ მისი განვითარების მიზნით. ამასთან, საჭიროდ იქნა მიჩნეული კიდევ უფრო მეტი ძალისხმევა და ყურადღება ეთნიკურ უმცირესობათა მიმართ. მიუხედავად ამ აზრისა, დადებითად შეფასდა ეთნიკური უმცირესობების მხარდამჭერი უკვე მოქმედი პროგრამები, მათ შორის, 1+ 4 საგანმანათლებლო პროგრამა.

არასამთავრობო ორგანიზაცია, არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირი „კავკასიური სახლი“ ცნობილია არამარტო საქართველოში, არაამედ კავკასიაშიც

თავისი ფართო მოღვაწეობით კავკასიოლოგიის დარგში. ჩვენი კვლევის მონაწილე ეს ორგანიზაცია დაარსდა 1999 წელს, სამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს კულტურულ ურთიერთობათა ცენტრი - კავკასიური სახლის" ბაზაზე, მისივე თანამშრომლების მიერ. პირველ კითხვაზე პასუხში ისიცაა აღნიშნული, რომ ის ერთადერთი ორგანიზაციაა, სადაც ერთმანეთის გვერდით მუშაობენ სხვადასხვა ეროვნებისა და სხვადასხვა რელიგიური აღმსარებლობის ადამიანები. მეორე და მესამე კითხვაზე, ფაქტობრივად, გაცემულია გაერთიანებული პასუხი, რომლის მიხედვით ისინი „კავკასიური სახლის" შექმნამდე, 1970-80-იან წლებში ეწეოდნენ მთარგმნელობით-ლიტერატურულ საქმიანობას (მსოფლიო ლიტერატურის მრავალტომეული, ლიტერატურული ჟურნალები, ალმანახები და სხვ. გამოცემები; ყოველწლიური ლიტერატრული შეხვედრები და კონფერენციები ბიჭვინთაში). 90-იანი წლების დასასრულს და 2000 წლიდან ევროპული ფონდების მეშვეობით მოხერხდა ორგანიზაციის სამუშაო სივრცის რეკონსტრუქცია და ძირითადი პროგრამების - სამშვიდობოს, ეთნიკურ უმცირესობათა საინტეგრაციოსა და ეკოლოგიურის - დაფინანსება. ამ წლებში „კავკასიურ სახლში" გაიხსნა „კავკასიის ენების შემსწავლელი კურსები", სადაც დაინტერესებულ პირებს, სტუდენტებს, მოსწავლეებს უფასო ასწავლიდნენ ადიღურ, აფხაზურ, ოსურ, ჩეჩნურ ენებს. შეიქმნა პროგრამა „კულტურის კალენდარი", რომელიც წელიწადში 20-30 კულტურულ ღონისძიებას ახორციელებდა, მათ შორის იყო ეთნიკურ უმცირესობათა რელიგიური დღესასწაულებისა და ტრადიციული ხალხური დღეების აღნიშვნა, მათი ფილმების ჩვენება, უმცირესობათა (სომეხი) მხატვრების გამოფენების მოწყობა. ამ ღონისძიებათა სიმრავლიდან და იქიდან გამომდინარე, რომ 90-იან წლებში ის იყო ერთადერთი ორგანიზაცია, რომელიც მუშაობდა ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების კულტურის წარმოჩენაზე, ყველაზე ნაყოფიერად სწორედ ეს ქრონოლოგიური მონაკვეთი დასახელდა. 2009-2019 წლებში (მეოთხე კითხვა) ეთნიკური უმცირესობის კულტურისადმი მიძღვნილ ღონისძიებათაგან რომელიმეს გამოყოფა უჭირთ, მიზეზად კი დასახელდა ასეთი ღონიძიებების სიჭარბე - ყოველლიურად ამ მიმართულებით 20-30 ღონისძიება, კონფერენცია ტარდება, „სამშვიდობო პროგრამების" ფარგლებში ათეულობით დამწყებ სპეციალისტს ეძლევა საშუალება, მონაწილეობა მიიღოს ქართულ-აფხაზურ, ქართულ-ოსურ, ქართულ-

რუსულ ანდა სამხრეთ კავკასიის მასშტაბით ჩატარებული დიალოგის ტიპის ღონისძიებებში. თუმცა მაინც გამოიყო 2012-2015 წლებში მიმდინარე პროექტი „CAUCULT - კავკასიის კულტურის ქსელი“, რომელიც ევროკავშირის მიერ იყო დაფინანსებული და წარმოადგენდა საერთაშორისო პროექტს (აზერბაიჯანი, სომხეთი, საქართველო, ავსტრია, ლიეტუვა). პროექტის ფარგლებში 30-ზე მეტი კულტურული ღონისძიება ჩატარდა თბილისსა და საქართველოს რეგიონებში. მეხუთე და მეექვსე კითხვა პასუხგაუცემელია. რაც შეეხება ბოლო კითხვას, ეთნიკურ უმცირესობათა მხარდამჭერი სახელმწიფო პროგრამებიდან გამოყოფილია კულტურის სამინისტროს პროგრამა, რომელიც ეთნიკურ უმცირესობათა კულტურის წარმოჩენასა და განვითარებაზეა მიმართული, ასევე უმაღლესი განათლების პროგრამა 1+4, რომელიც უშუალოდ ეთნიკურ უმცირესობათა ინტეგრაციას უწყობს ხელს. უცხოური ფონდების მიერ მხარდაჭერილი პროგრამებიდან კი დასახელებულია ევროკავშირის აღმოსავლეთ ევროპის პარტნიორობის ფარგლებში დაფინანსებული იმავე მიმართულების რამდენიმე პროგრამა (Culture Program, ENP Crossborder partnership etc.).

ააიპ „ქართველ სომეხთა კავშირი“ დაფუძნდა 2014 წლის 30 მაისს. მისი საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია: ადამიანის უფლებები, კულტურა და განათლება, ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნება. ასეთია ჩვენი გამოკითხვის მონაწილე ამ ორგანიზაციის პასუხი პირველ კითხვაზე.ეს ორგანიზაცია ახალდაარსებულია, ამიტომ მის მიერ ჩატარებული კულტურული ღონისძიებები შედარებით მოკრძალებულია. მომდევნო კითხვებზე (მეორე და მესამე კითხვა) პასუხიდან ვიგებთ, რომ 2015 წლიდან ტარდება ტრადიციული დღესასწაული „ვარდატონი“, სტუმრები იკრიბებიან საქართველოდან, სომხეთიდან და უცხოეთის სხვადასხვა ქვეყნიდან; 2015 წლიდანვე დაფუძნდა ფარაჯანოვის სახელობის შემოქმედებითი კონკურსი, რომელიც მიზნად ისახავს ახლაგაზრდა თაობაში ცნობიერების ამაღლებას. რაც შეეხება 2009-2019 წლებში ჩატარებულ კულტურულ ღონისძიებებს, ასეთად დასახელდა 2017 წელს კულტურის სამინისტროს დაფინანსებით საქართველოს დედაქალაქში, სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში განხორციელებული პროექტი „სომხური კულტურა მრავალეთნიკურ საქართველოში“, რომლის ფარგლებში ადგილობრივმა შემსრულებლებმა და

ხელოვანებმა წარადგინეს საკუთარი შემოქმედება. პასუხიდან (მეხუთე კითხვა) ირკვევა, რომ ზემოთ დასახელებული ყველა კულტურული ღონისძიება განხორციელდა სახელმწიფოს მხარდაჭერით. გამოწვევებად და პრობლემებად მიჩნეულ იქნა ის, რომ ეთნიკური უმცირესობების საცეკვაო და მუსიკალური ანსამბლები კომერციულ საწყისებზე არსებობს, რაც ფინანსურ პრობლემებს წარმოშობს და აფერხებს მათ სრულყოფილ განვითარებას. გამოთქმულია ამ მხრივ სახელმწიფო მხარდაჭერის სურვილი. ბოლო კითხვაზე პასუხით ჩანს, რომ ისინი იცნობენ სომხური კულტურის სახელმწიფო მხარდაჭერის სხვადასხვა ფორმას. ჩვენი შეფასებით, ამ ორგანიზაციის საქმიანობის მასშტაბი ჯერჯერობით მცირეა, არადა საქართველოში მოსახლე სომეხ თემს უფრო მეტი პოტენციალი და შესაძლებლობა აქვს თავისი კულტურისა და ტრადიციების ფართოდ წარმოსაჩენად.

ბოლო დაწესებულება, რომელმაც ჩვენს გამოკითხვაში მიიღო მონაწილეობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია, კულტურის, სპორტის, განათლებისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურია. მათგან მიღებული პასუხები არაა დიფერენცირებული კითხვების შესაბამისად. აღნიშნულია, რომ თბილისში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების კულტურული ცხოვრების, მათი შემოქმედების განვითარებისა და თვითმყოფადობის წარმოჩენის მიზნით მრავალი ღონისძიება ტარდება, მაგალითად, ნოვრუზ-ბაირამი და „ვარდატონის“ მიერ ჩატარებული ღონისძიებანი, ასევე „საქართველოს ქალთა საბჭოს“ მიერ ყოველწლიურად ორგანიზებული ფესტივალი, რომელშიც ეთნიკური უმცირესოებების წარმომადგენელი ქალბატონები საკუთარ შემოქმედებას წარმოაჩენენ სხვადასხვა გალერეასა თუ სივრცეში; „თბილისობა“, რომელშიც 20-ზე მეტი ეთნოსი მონაწილეობს. მომდევნო ორი კითხვა პასუხგაუცემელია. ეთნიკურ უმცირესობათა კულტურის მხარდაჭერის კუთხით გამოწვევად და პრობლემად კი (მეექვსე კითხვა) დასახელდა ეთნიკურ უმცირესობათა მიერ სახელმწიფო ენის არცოდნა ან სუსტად ფლობა, რაც ხელს უშლის მათ ეფექტიან კომუნიკაციას სახელმწიფო და კერძო სექტორთან. ბოლო კითხვაზე პასუხი სრულიად მოულოდნელია, რადგან ირკვევა, რომ ამ სამსახურის ცოდნა ამ საკითხთან დაკავშირებით არასრულყოფილია და მისთვის ზოგადაა ცნობილი ეთნიკურ უმცირესობათა მხარდამჭერი საგანმანათლებლო პროგრამების, სოციალური და სხვა

ბონუსების არსებობის შესახებ, არადა სწორედ ამ სამსახურს ევალება მულტიეთნიკური თბილისის მაცხოვრებელთა ინტერესების მაქსიმალურად გათვალისწინება და მათი კულტურის მხარდაჭერა.

ამრიგად, ჩვენი კითხვარი დაეგზავნა 30-ზე მეტ ორგანიზაციას, რომელთა პასუხებში ასახული მათი საქმიანობა ჩვენ მიერ მოკლედ იქვე უკვე შეფასდა. თუმცა მიღებული შედეგები მაინც მოითხოვს საერთო დასკვნის გაკეთებას. უპირველესად უნდა ითქვას, რომ ზემოთ ჩამოთვლილი ყველა ორგანიზაციის საქმიანობის პროფილი არაა მხოლოდ ეთნიკურ უმცირესობათა კულტურის წარმოჩენა და მხარდაჭერა. ამასთან, ეს ორგანიზაციები მასშტაბით, ორგანიზების ხარისხით (საინფორმაციო სამსახურისა და სპეციალური ვებგვერდის არარსებობა და სხვ.), ფინანსური და ტექნიკური შესაძლებლობის დონით განსხვავდება ერთმანეთისაგან, რაც ერთ-ერთი მიზეზია იმისა, რომ ისინი, ჯერ ერთი, სათანადოდ ვერ ახორციელებს ასეთ ღონისძიებებს, მეორეც, მათ მიერ ზუსტად ვერაა აღნუსხული ამ მიმართულებით ჩატარებული ყველა ღონისძიება. ეს კი, ცხადია, კარგად გამოჩნდა მათ მიერ ზერელედ, დაუკონკრეტებლად მოწოდებულ ინფორმაციაში. ზოგ შემთხვევაში უშუალო რესპონდენტის კვალიფიკაციაც არაა გამოსარიცხი. ის ხშირად ვერ იგებს კითხვის არსს და არაადეკვატურად პასუხობს, ან საერთოდ არ პასუხობს მას. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ეს კითხვარი, მართალია, მაქსიმალურად მივუახლოვეთ კულტურის მენეჯმენტში შემუშავებულ საერთაშორისო სტანდარტს, მაგრამ ის მაინც შევცვალეთ, რათა მიგვესადაგებინა კონკრეტული ორგანიზაციების სპეციფიკისათვის. ამდენად, ჩვენი კითხვარი თვისებრივი კვლევის სტანდარტებს, ალბათ, სრულად ვერ აკმაყოფილებს. პასუხებთან დაკავშირებით ხაზგასმული ყველა ხარვეზის მიუხედავად, არ შეიძლება არ ითქვას, რომ ყველა ამ ორგანიზაციის მიერ დიდი სამუშაოა ჩატარებული ეთნიკურ უმცირესობათა კულტურული პოლიტიკის მეტ-ნაკლებად გატარების კუთხით. საქართველოში რამდენიმე ათეული ეთნოსი ცხოვრობს საკუთარი ყოფით, ტრადიციებითა და კულტურით, რომელთაგან ყველას სჭირდება მხარდაჭერა. ასე რომ, ამ ორგანიზაციათა მუშაობა ამ მხრივ მისასალმებელია. კითხვარის პასუხებმა გვაფიქრებინა ჩვენი მხრიდან რეკომენდაციების გაცემის საჭიროება, რათა ამ და სხვა ორგანიზაციების საქმიანობა

კულტურის სახელმწიფო პოლიტიკის რეალიზების მხრივ უფრო სრულყოფილი გახდეს:

- სახელმწიფომ (კონკრეტულმა უწყებამ, მაგალითად, საქართველოს კულტურის სამინისტრომ ან სახელმწიფო მინისტრის აპარატმა შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში) ყველა კულტურული ინსტიტუციის ჩართულობით ეთნიკურ უმცირესობათა კულტურის მხარდასაჭერად უნდა შეიმუშავოს შესაბამისი სამუშაო სტრატეგია, სადაც უნდა აისახოს ამ ინსტიტუციების პრობლემების გადაჭრის გზები;
- საჭიროა, შეიქმნას სახელმწიფო მექანიზმები, განსაკუთრებით, ადგილობრივ, რეგიონულ უწყებებში, რომლებიც ორიენტირებული იქნება ეთნიკურ უმცირესობათა სახელმწიფო მხარდაჭერის ხელმისაწვდომობაზე:
- აუცილებელია ადგილობრივ ორგანიზაციებში ეთნიკურ უმცირესობათა კულტურის დაცვა-განვითარების მიმართულებით მომუშავე ადამიანური რესურსის კვალიფიკაციის ამაღლებისა და სახელმწიფო პროცესებში ჩართვის მიზნით სხვადასხვა ღონისძიების გატარება; ტრეინინგების, სემინარების ჩატარება;
- სახელმწიფოს მიერ ეთნიკურ უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ ყველა რეგიონში უნდა მოხდეს კულტურული დაწესებულების, კულტურული მემკვიდრეობის, ტრადიციებისა და სხვა საჭიროებათა პასპორტიზაცია, რათა ამის გათვალისწინებით განისაზღვროს გრძელვადიანი ხედვა;
- კულტურულ ინსტიტუციებში, ცენტრსა და რეგიონებში არსებულ მუზეუმებსა და თეატრებში შემუშავდეს შესაბამისი სარეპერტუარო პოლიტიკა, ასევე ეთნიკურ უმცირესობათა კულტურის თვითმყოფადობის შენარჩუნების მიზნით, ინტეგრაციის პოლიტიკის გათვალისწინებით, მუზეუმებში მოეწყოს სათანადო ექსპოზიციები;
- მნიშვნელოვანია სახელმწიფო სტრუქტურებთან ამ ორგანიზაციების მეტი თანამშრომლობა ეთნიკურ უმცირესობათა კულტურის

თვითმყოფადობის შენარჩუნების, იმავდროულად, ქართულ კულტურულ ტრადიციებსა და თანამედროვე პროცესებსა თუ სამოქალაქო საზოგადოებასთან ინტეგრირების მიზნით;

- თეატრებისა და მუზეუმების სრულყოფილად და მაღალ დონეზე ფუნქციონირებისათვის და კვალიფიკაციის ასამაღლებლად უმაღლეს სახელოვნებო-საგანმანათლებლო დაწესებულებებში უნდა შეიქმნას მიზნობრივი ჯგუფები აღნიშნული ინსტიტუციებისათვის შესაბამისი კადრების მოსამზადებლად;
- სახელმწიფოს მიერ უნდა მოხდეს სახელოვნებო ინსტიტუციების მეტი ინფორმირება და ჩართვა ერთობლივი პროექტების დაგეგმვა-განხორციელებაში სამოქალაქო ინტეგრაციის, ასევე მულტიკულტურული სივრცის განვითარების მიზნით;
- სახელმწიფო პოლიტიკის მართებულად წარმართვის მიზნით, მნიშვნელოვანია ეთნიკურ უმცირესობათა კულტურის მხარდაჭერის პროცესში ყველა პრობლემისა და საჭიროების მოკვლევა;
- ეთნიკურ უმცირესობათა მხარდაჭერის ეფექტიანად წარმართვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის პოლიტიკის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია ინსტიტუციების (როგორც ქართულ, ასევე ეთნიკურ უმცირესობათა) ჩართულობა ამ პროცესში, პროფესიული ძალების მობილობა და ურთიერთანამშრომლობა;
- სახელმწიფო პოლიტიკის ჭრილში და მისი პრიორიტეტების შესაბამისად, უნდა მოხდეს შემოქმედებითი პრუდუქციისა თუ კულტურული ღონისძიების პროფესიულ დონეზე შექმნა და წარმართვა;
- ეთნიკურ უმცირესობათა სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი პრინციპი სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეთნიკურ უმცირესობათა კულტურის თვითმყოფადობის შენარჩუნებისათვის მიზნად უნდა ისახავდეს ყველა შემოქმედებითი კავშირის წინაშე მდგარი თანამედროვე გამოწვევების გათვალისწინებას, ასევე არსებული ტრადიციების განვითარებასა და ხელშეწყობას.

# დასკვნა

საქართველო ისტორიულად და დღესაც მულტიეთნოსური და მულტიკულტურული სახელმწიფოა, რაც თავისთავად აქტუალურს ხდის აქ მცხოვრებ მცირე ეთნოსთა კულტურათა ავტოქთონი მოსახლეობის კულტურასთან თანაარსებობის საკითხს და მის მიმართ თანმიმდევრული სახელმწიფო მიდგომის შემუშავებას. აქედან გამომდინარე, ჩვენი სამეცნიერო ინტერესის არეალში მოექცა ეთნოსთა კულტურებთან დაკავშირებული საკითხები, კერძოდ, კვლევის თემად შევარჩიეთ 2009-2019 წლებში ეთნიკურ უმცირესობათა კულტურის მხარდაჭერის სახელმწიფო პოლიტიკის შესწავლა, რაც, უპირველესად, მოითხოვდა ისტორიული წანამძღვრების, კერძოდ, აქ სხვადასხვა ქრონოლოგიურ მონაკვეთში (ძვ. წ. IV საუკუნიდან XX საუკუნემდე) მცირე ეთნოსთა მიგრაციის ისტორიული სოციოდინამიკის, ავტოქთონ გარემოში მათი სოციოლოგიზაციის, ინტეგრაციისა და კულტურული თანაშეთავსებადობის პროცესის თავისებურებათა, ასევე სახელმწიფოს მესვეურთა მათდამი და მათი კულტურებისადმი მიდგომათა კვლევას. მცირე ეთნოსთა (ებრალები, სომხები, აზერბაიჯანელები, რუსები, უკრაინელები, ოსები, აფხაზები, ევროპელები, ქისტები, ასირიელები, იზეიდები, ბოშები და სხვ.) საქართველოში დამკვიდრება სხვადასხვა ისტორიულ ეტაპზე განსხვავებული რაოდენობითა და მოტივაციით ხდებოდა: დაპყრობითი, ექსპანსიური ომების შედეგად საქართველოში სახლდებოდა მომხვდური მტრის ეთნოსის წარმომადგენლები; აზიისა და ევროპის გზაგასაყარზე საქართველოს მდებარეობის გამო მისი ტერიტორია ხშირად ხდებოდა მეზობელი სახელმწიფოებიდან იძულებით თუ ნებით აყრილ ეთნოსთა დისპერსიულად თუ კომპაქტურად დასახლების ადგილი; ამასთან, ისტორიული ძნელბედობისას გაუკაცრიელებულ რეგიონებში ეკონომიური რეგრესის შესაჩერებლად ქართველი მეფე - მთავრები გამიზნულად, პოლიტიკური მოტივაციით ასახლებდნენ მეზობელ ეთნოსებს (სომხებს, ოსებს, აზერბაიჯანელებსა და სხვ.). ამას ემატებოდა XIX საუკუნესა და XX საუკუნის პირველ ნახევარში სახელმწიფოს განსხვავებული პოლიტიკური ორიენტაციიდან გამომდინარე აქ ეთნიკური სურათის გამიზნულად შესაცვლელად უცხო ეთნოსთა ჩამოსახლება და მათთვის გარკვეული პრივილეგიების მიცემა. ამ გამუდმებული და

რთული მიგრაციული პროცესების დინამიკის მიზეზთა და გარემოებათა შესწავლამ საშუალება მოგვცა, გამოგვეტანა დასკვნა, რომ ამ შეუქცევადი პროცესებმა, განსაკუთრებით ისტორიულ წარსულში, ნეგატიურად თუ არ იმოქმედა სახელმწიფოს მდგრადობაზე, მის სტაბილურობაზე, ამის ერთ-ერთი ამხსნელი დომინანტია ერის ფსიქოგენეტიკური თვისება-ტოლერანტობა, გამომუშავებული და განმტკიცებული ქრისტიანობამდელ პერიოდშივე უცხო ეთნოსებსა და მათ კულტურა-რელიგიასთან შემწყნარებლური თანაცხოვრების ისტორიული გამოცდილებით, ისტორიული მეხსიერებით, რაც კიდევ უფრო განამტკიცა რელიგიურმა ფუნდამენტმა - ქრისტიანობამ. როგორც ჩვენ მიერ ისტორიული წყაროების მიმოხილვამ აჩვენა, წარსულში ეთნოსების მიმართ თავად ერისა და სახელმწიფოს მესვეურთა ამ იდენტური ლიბერალური პოზიციის, უფრო ზუსტად კი, ლიბერალურმა ეთნოპოლიტიკამ უცხო ეთნოსებს მისცა საშუალება, შეენარჩუნებინათ თვითმყოფადობა და, ზოგადად, კულტურა როგორც ნებისმიერი ეთნოსის იდენტობის უპირველესი მარკერი. ამასთან, საქართველოში მოსახლე სხვადასხვა ეთნოსი მეტ-ნაკლები წარმატებით მონაწილეობდა საქართველოს პოლიტიკურსა და კულტურულ ცხოვრებაში. XIX საუკუნის საქართველოში კი პოლიტიკურ-ეკონომიური მდგრადობის მოსაპოვებლად რუსეთის იმპერიალისტური ეთნოპოლიტიკის უმთავრეს მაპროვოცირებელ მიზეზად იქცა ადგილობრივი მოსახლეობის მხრიდან იმპერიული პოლიტიკის საწინააღმდეგო განწყობის ჩახშობისა და მართვის მექანიზმების გაძლიერების აუცილებლობა. ქვეყნის ეროვნული ინტერესები და რუსული კოლონისტური პოლიტიკის მიზნები ერთმანეთს უპირისპირდებოდა, მაგრამ თუ, ერთი მხრივ, რუსეთის იმპერიამ ამ დაპირისპირების შესასუსტებლად გამიზნულად შეცვალა ქვეყნის ეთნოსურათი მეზობელი თუ ევროპის ქვეყნებიდან უცხოელთა მასობრივი ჩამოსახლებით, მეორე მხრივ, რაც ჩვენთვის საგულისხმოა, ამავე პოლიტიკის შედეგად მოსახლეობის კეთილგანწყობის მოსაპოვებლად ფინანსურად და ორგანიზაციულად ხელი შეუწყო მანამდე არარსებული თანამედროვე ტიპის კულტურული ინსტიტუციების (გაზეთი, ჟურნალი, თეატრი, მუზეუმი, ბიბლიოთეკა) დაარსებას, სადაც ავტოქთონ მოსახლეობასთან ერთად ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენლების მოღვაწეობა ნაყოფიერი და შედეგიანი აღმოჩნდა. ზოგიერთი ეთნოსისთვის რუსულმა

მმართველობამ სასათბურე პირობებიც კი შექმნა, რათა მათ განევითარებინათ თავიანთი კულტურული პოტენციალი და ინტეგრირებულიყვნენ სამოქალაქო სივრცეში. ცხადია, ამ კულტურული პროცესების განვითარებაში რუსეთის პოლიტიკის მთავარი მიზანი კულტურული მრავალფეროვნების გაძლიერების გზით კავკასიის ცენტრში- საქართველოში კულტურის მარგინალური პოლიტიკის შექმნა და ეროვნული თვითმყოფადი კულტურის დაჩრდილვა იყო. სწორედ ამ ქრონოლოგიურ მონაკვეთში გაიშალა რუს, სომეხ, აზერბაიჯანელ, ევროპელსა და სხვა ეთნიკურ უმცირესობათა შემოქმედებითი საქმიანობა და შედეგად შეიქმნა მრავალსახოვანი კულტურული პროდუქცია, ხელოვნების მრავალი ნიმუში. ავტოქთონ და უცხო ეთნოსთა ასეთი კულტურული თანაცხოვრება, რაც არ უნდა წინააღმდეგობრივად მოგვეჩვენოს, ,,ხალიჩისებრი“ ტექტონიკით მრავალკულტურული კომპონენტის კვეთის შედეგია, თუმცა სინთეზური და მეტ-ნაკლებად ჰარმონიულიც. ამ კულტურულ კომპონენტთა კონცენტრირება უმთავრესად მოხდა თბილისში, როგორც „კავკასიის დედაქალაქში“, რომელიც ამავე დროს რუსეთის მმართველობის ცენტრი იყო. ამით აიხსნება არა მხოლოდ ამ ინსტიტუციებისა და კულტურის ცალკეული დარგების უცხოელ მოღვაწეთა სიმრავლე დედაქალაქში, არამედ მათი ფუნდამენტური როლი ქვეყნის საერთო კულტურული სივრცის განვითარებაში. ესენია ქართველებთან ერთად სხვადასხვა ეთნოსური წარმომავლობის მხატვრები, მუსიკოსები, მსახიობები, არქიტექტორები .... ვითარდება შემოქმედებითი კავშირები, კულტურათაშორისი დიალოგი, ყალიბდება კულტურის მეშვეობით ქვეყნის მომავლის, პოლიტიკურ-სოციალური განვითარების ხედვაც, რასაც ამ დროს მოღვაწე მრავალი ქართველი და არაქართველი მეცნიერი და მკვლევარი იზიარებს. თბილისი როგორც პოლიტიკურ-კულტურული ცენტრი ერთდროულად ქმნის და თავს უყრის თბილისურ ფენომენს- მულტიკულტურას. ამის საფუძველი კი ისევ ავტოქთონი ეთნოსისა და მისი კულტურის ბუნებრივი, გენეტიკური მიმღებლობის უნარია. სწორედ ამის წყალობით ქართულმა კულტურამ ორგანულად გაითავისა XIX საუკუნეში აქ დამკვიდრებული ეთნიკური ჯგუფების იდენტობის გამომხატველი კულტურები, ისევე როგორც არ იუცხოა საუკუნეების განმავლობაში უკვე ქართული კულტურული სივრცის მეწილე ეთნოსების (სომხების, აზერბაიჯანელების...) კულტურული პოტენციალის გააქტიურება. სახეზე გვაქვს,

ერთი შეხედვით, XIX საუკუნის ლიბერალური ეთნოპოლიტიკა, რომელიც თავისი არსით სინამდვილეში კოლონისტური იყო და დიდად განსხვავდებოდა ისტორიული საქართველოს ეთნოპოლიტიკური ხედვის ტოლერანტული ხასიათისაგან.

ქვეყანაში მიმდინარე კულტურული პროცესები და, ცხადია, ზოგადად, ეთნიკური ერთეულების კულტურებისადმი არსებული მიდგომები და მისი ცვლა უკავშირდება ქვეყნის შიდა პოლიტიკურ პროცესებს. XX საუკუნის საქართველოში არაერთგზის შეცვლილი პოლიტიკური კლიმატის პირობებშიც თანადროული მსოფლიო გამოცდილების გათვალისწინებით უკვე საკანონმდებლო დონეზე, ქვეყნის უმთავრეს კანონებში - კონსტიტუციებში აისახა მულტიეთნოსური და მულტიკუტურული სახელმწიფოს ეთნოპოლიტიკური ხედვა. მისი შესწავლის მიზნით XX საუკუნის კონსტიტუციათა მიმოხილვამ გამოავლინა სრულიად განსხვავებული სურათი: დამოუკიდებლობის ხანმოკლე პერიოდში, 1918-1921 წლებში, შემუშავებულ საქართველოს პირველ კონსტიტუციაში წარსული ისტორიული გამოცდილებისა და თანადროული მულტიეთნოსური რეალობის გათვალისწინებით ეთნოსთა და მათ კულტურათა მიმართ დაფიქსირდა იმ დროისათვის სრულიად პროგრესული და დემოკრატიული მიდგომა. ეს კი თვალსაჩინოდ აისახა კულტურულ ცხოვრებაზე, რაც აღინიშნა ამ პერიოდში მრავალი ეროვნული მნიშვნელობის კულტურული ინსტიტუციის დაფუძნებით. რაც შეეხება საბჭოთა კავშირის პერიოდს, 70 წლის განმავლობაში მიღებულ იქნა სულ 4 კონსტიტუცია - 1922, 1927, 1937 და 1978. მათში ადამიანის უფლებათა თემები უკვე ტრანსფორმაციას განიცდის. კონსტიტუციებში ადამიანის, მათ შორის, მცირე ეთნოსების უფლებათა დაცვის საკითხი მხოლოდ ფორმალურადაა შესული და განიხილება სოციალური თანასწორობის ჭრილში, თუმცა რეალურად საბჭოეთისთვის იდეოლოგიურად შეუწყნარებელი და მიუღებელია ადამიანის საყოველთაო უფლებათა და თავისუფლებათა დაცვა, რადგან ის მიიჩნეოდა სახიფათოდ ამ იდეოლოგიური რეჟიმისთვის. საბჭოეთისათვის, მათ შორის, საბჭოთა საქართველოსთვის, სახასიათოა მკაცრად იდეოლოგიზებული, ფორმალური ეთნოპოლიტიკა და ასეთივე მიდგომა ეთნოსთა კულტურებისადმი. ხაზგასასმელია 1978 წლის კონსტუტუციის ფარგლებში ქართული ენის აქტუალობის საკითხი, როგორც ნათელი მაგალითი იმისა, რომ კონსტიტუცია როგორც უმაღლესი კანონი

ცდილობს თავისი პოლიტიკური იდეოლოგია ეროვნული თვითმყოფადობის საკითხებს დაუპირისპიროს. უკვე მომდევნო, 1991 წელს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ მიღებულ 1995 წლის კონსტიტუციის პრეამბულაში სახელმწიფოს ფუძემდებლურ პრიორიტეტებად ცხადდება ადამიანის უფლებების დაცვა. ის თავისი მიზნებითა და შინაარსით აგრძელებს თავისი წინამორბედის- დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუციის პრინციპებს ეთნიკურ უმცირესობებთან მიმართებით, ქვეყნის მულტიეთნიკური ისტორიული წარსულისა თუ იმდროინდელი ვითარების გათვალისწინებით, ახდენს ფორმულირებას ეთნიკურ უმცირესობათა კულტურულ-საგანმანათლებლო საკითხებისა, რომლებიც ხელს უწყობს ეთნიკურ უმცირესობათა ინტელექტუალურ განვითარებასა და სამოქალაქო ინტეგრაციას, იცავს ნებისმიერი მოქალაქის ნებისმიერ უფლებასა (სოციალურ-ეკონომიურ, რწმენის, მშობლიური ენის გამოყენების, პოლიტიკურ, კულტურულსა და სხვ. ) და თავისუფლებებს. შემდგომ კონსტიტუციებშიც ან მათ შესწორებულ-გადასინჯულ ვერსიებშიც (2004 წ., 2010 და 2017 წწ. ) ცვლილებები ყველაზე ნაკლებად ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების ნაწილს შეეხო, რაც ძირითადად უკვე ასახული იყო 1995 წლის კონსტიტუციაში.

ასე რომ, პოლიტიკა მცირე ეთნოსების კულტურათა მიმართ XX საუკუნის დასაწყისიდან ვიდრე 90-იან წლებამდე და მას შემდეგაც ცვლილებებს განიცდიდა ქვეყნის იდეოლოგიურ-პოლიტიკურ ორიენტაციასთან ერთად, რაც აისახა ამ ქრონოლოგიურ მონაკვეთში შექმნილსა თუ რეფორმირებულ კონსტიტუციებში. დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ მიღებულ ყველა კონსტიტუციას აერთიანებს ეროვნულ უმცირესობათა უფლებათა დაცვის, ანუ სახელმწიფოს მხრიდან გამოხატული ვალდებულებითი პოზიცია, რომ ის იცავს ტოლერანტულ გარემოში ეთნიკური უმცირესობების კულტურებსა და კულტურულ მემკვიდრეობას.

კონსტიტუციათა კვალად ამგვარი ხედვა მეტ- ნაკლებად აისახა დისერტაციაში ჩვენ მიერ მიმოხილულ სხვა საკანონმდებლო აქტებშიც, რომლებსაც უშუალო ან არაუშუალო კავშირი ჰქონდათ კულტურის სფეროსთან. ამ მხრივ ერთ-ერთი პირველხარისხოვანია კანონები საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეობის შესახებ (1991, 1993, 2014 წწ.), სადაც დაფიქსირებულია საქართველოს ყველა მოქალაქის, განურჩევლად ეროვნული წარმომავლობისა და აღმსარებლობითი კუთვნილებისა,

თანასწორი სამოქალაქო უფლებები. ეროვნებათა თანასწორობის პრინციპი ასევე ფუძემდებლურია საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონისათვის (1997 წ.). იგი ადგენს საქართველოში საჯარო სამსახურის ორგანიზაციის სამართლებრივ საფუძვლებს, განურჩევლად ეროვნებისა და სხვა სპეციფიკური ნიშნებისა. საქართველოს უსაფრთხოების ეროვნული კონცეფციაში (2005 წ.) ქვეყნის უსაფრთხოებისა და სტაბილურობის ერთ-ერთ გარანტად მიჩნეულია მცირე ეთნოსთა კულტურისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ხელშეწყობა. ეთნიკურ უმცირესობათა კულტურული უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის მიმართულებით სახელმწიფო მიდგომა ჩამოყალიბებულია კულტურის სფეროს არაერთ ნორმატიულ აქტში: კულტურის (1997 წ.), კულტურული მემკვიდრეობის (2007 წ.), ეროვნული კინემატოგრაფიის (2000 წ.), თეატრების (2006 წ.), მუზეუმების (2001წ.), ბიბლიოთეკების (1996 წ.) და ა. შ. შესახებ კანონებში, სადაც მათი პროფილის შესაბამისად ხაზგასმულია მათი კულტურული უფლებებისა და ინტერესების დაცვა-განვითარებისათვის სახელმწიფო მხარდაჭერის აუცილებლობა. ამდენად, ამ ადგილობრივ სამართლებრივ აქტებშიც აისახა, ერთი მხრივ, კულტურის მრავალსახოვნება და, მეორე მხრივ, მისი მართვისთვის სავალდებულო პოლიტიკური ხედვა.

ზოგადად, ეთნოპოლიტიკის შემუშავების პროცესი რთულია და ის რიგ პრობლემებთან, სახელმწიფო პოლიტიკის საკითხებთან, ქვეყნის საერთაშორისო ვალდებულებებთანაა დაკავშირებული, გასათვალისწინებელია სხვა მრავალი ფაქტორიც. XX - XXI საუკუნეებში სახელმწიფო დონეზე ამ საკითხს მრავალი სახელმწიფო თუ არასამთავრობო უწყება არეგულირებს, მაგ., სახელმწიფო მინისტრის აპარატი შერიგებისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში, საქართველოს ეროვნებათშორისი ურთიერთობისა და ადამიანის უფლებათა დაცვის სახელმწიფო კომიტეტი ( 1992 წ.), სახალხო დამცველის აპარატი( 1997 წ.), ტოლერანტობის ცენტრი (2005 წ.) საქართველოს კულტურის სამინისტრო და ა.შ. 2004-2009 წლებში ეროვნულ უმცირესობათა სახელმწიფო კულტურული ინსტიტუციების მხარდაჭერა საკანონმდებლო და ფინანსურ ჭრილში მათი თვითმყოფადობის ძირითადი ელემენტების-რელიგიის, ენის, ტრადიციებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვისკენაა მიმართული. ეთნიკურ ერთეულთა

მხარდამჭერი სახელმწიფო მიდგომა მის რეალიზებამდე დაფიქსირდა ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ ევროპული ჩარჩო კონვენციის შესაბამისად შემუშავებულ უმნიშვნელოვანეს კონცეფციებსა და გეგმებშიც. ასეთია შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კონცეფცია და ეროვნული სამოქმედო გეგმა (2009-2014 წ.წ.). მისი სამართალმემკვიდრე კი არის სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგია და წლების სამოქმედო გეგმა. (2015-2020 წ.წ) შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების ფარგლებში განსაზღვრა სახელმწიფოს ხუთწლიანი სტრატეგია 6 მიმართულებით. მათგან მე- 6 - *კულტურა და თვითმყოფადობის შენარჩუნება* უშუალოდ ეხება საერთაშორისო და ადგილობრივი რეგულაციებით დადგენილ უმცირესობათა ეთნიკურ-კულტურული თვითმყოფადობის, კერძოდ, რელიგიის, ენის, ტრადიციებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და შენარჩუნების მხარდაჭერას. სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა კი ითვალისწინებს აქტიურ ინტერაქციას არა მარტო ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენლებთან, არამედ ქართულენოვან მოსახლეობასთანაც. მის 4 ძირითად სტრატეგიულ მიზნად განისაზღვრა: 1. *ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენლების თანაბრად და სრულფასოვნად მონაწილეობა სამოქალაქო და პოლიტიკურ ცხოვრებაში; თანაბარი სოციალურ-ეკონომიკური პირობებისა და შესაძლებლობების შექმნა; 3. ხელმისაწვდომობა ხარისხიანი განათლებისა ყველა დონეზე და სახელმწიფო ენის ცოდნის გაუმჯობესება; 4. მათი კულტურის შენარჩუნება, ტოლერანტული გარემოს წახალისება.* ჩვენ მიერ დისერტაციაში მიმოხილულმა XX საუკუნის დასასრულისა და XXI საუკუნის დასაწყისის საკანონმდებლო ბაზის, ეროვნული კონცეფციებისა და სამოქმედო გეგმების მიმოხილვამ ცალსახად მოგვცა დასკვნის გამოტანის საშუალება, რომ ამ ქრონოლოგიურ მონაკვეთში საცნაურია კულტურის ოფიციალური პოლიტიკის არსებითი ვექტორები, ანუ ამ ქრონოლოგიურ მონაკვეთში უკვე იკვეთება ეთნოსების კულტურათა პოლიტიკის საწყისი ეტაპი როგორც უშუალო წინაპირობა 2009-2019 წლების პოლიტიკისა, რაც გამოიხატა ამ მიმართულებით ცალკეული სახელმწიფო ინსტიტუციების გააქტიურებასა და ამ სახელმწიფო ხედვის იმპლემენტაციის ხარისხის ამაღლებაში, თუმცა, აუცილებლად უნდა ითქვას, რომ

2009 წლამდე სახელმწიფო პოლიტიკის კურსი ზოგადად მისასალმებელი და მისაღებია, მაგრამ მას შემდგომი გაღრმავება და განვითარება ესაჭიროებოდა. მთავარი და მნიშვნელოვანი სწორედ ისაა, რამდენად თანმიმდევრულია ამგვარი პოლიტიკის ფორმა, დასახული მიზნების ფარგლებში მუშაობის პრინციპი და რამდენად ეფექტურია ჩატარებული სამუშაო. უპირველესად იმიჯნება ორი საკითხი: ქვეყნის პოლიტიკა და მრავალფეროვანი კულტურის სფეროს პროფესიული განვითარება, ისტორიული პროცესების, პოლიტიკის, საკანონმდებლო ბაზის, კულტურული ინსტიტუციების განვითარების შესაბამისობა და ჰარმონიზირება, რაც კულტურული მრავალფეროვნების პროცესის პროფესიულ განვითარებაზე უნდა იყოს ორიენტირებული. ამასთან, უმნიშვნელოვანესია სამოქალაქო ინტეგრაციის პოლიტიკის როგორობა და ეთნიკურ კულტურათა განვითარება ქართულ კულტურასთან ერთად. სწორედ ეს მიზნები და ამოცანები უნდა ასახულიყო ეთნოსთა კულტურებისადმი 2009-2019 წლების პოლიტიკაში მათი იმპლემენტაციის ხარისხის გაუმჯობესებით. ამგვარი პოლიტიკის იმპლემენტირება კი სახელმწიფოს ხელშეწყობით ეთნიკური კულტურული ინსტიტუციების-თეატრების, მუზეუმების, კულტურული ცენტრების პრეროგატივაა. მათგან ზოგიერთი 2009 წლიდან სსიპ-ებად დაფუძნებული სახელმწიფო ორგანიზაციების სახით მოექცნენ სამინისტროს სუბსიდიაზე მყოფი ორგანიზაციების ნუსხაში. 2009-2019 წლებში საკმაოდ მრავალფეროვანია სსიპ ეთნიკურ უმცირესობათა მუზეუმებისა და თეატრების, ასევე რეგიონებში არსებული კულტურული ინსტიტუციების საქმიანობა. რაც შეეხება მულტიკულტურული მემკვიდრეობის დაცვას, ეს უპირველესად ევალება სსიპ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს. ხაზგასასმელია 2009-2019 წლებში საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ეთნიკურ უმცირესობათა მატერიალური და არაამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის მხარდამჭერი ღონისძიებების ჩვენ მიერ წარმოდგენილი გრძელი ნუსხა, რაც ადასტურებს სხვადასხვა ხასიათის (ტექნიკური, ფინანსური, პროფესიული, ორგანიზაციული) დაბრკოლების მიუხედავად, სწორედ ამ წლებში დეკლარირებული სახელმწიფო ეთნოპოლიტიკის იმპლემენტაციის მასშტაბს. ზოგჯერ ეთნიკური მრავალფეროვნების განვითარების საკითხები და პოლიტიკური აქცენტები ერთმეორეს კვეთს, მაგ., პანკისის ხეობაში განვითარებული პოლიტიკური

მოვლენები და სახელმწიფოს ჩართულობით ქისტი მოსახლეობის კულტურისა და თვითმყოფადობის შენარჩუნების მიზნით აქ ჩატარებული ღონისძიებები, ფესტივალები, კონცერტები, ადგილობრივ შემოქმედთა გამოფენები, მათი შემოქმედების ალბომებად გამოცემა და ა. შ. ყოველივე ეს კულტურულთან ერთად პოლიტიკური დატვირთვის მქონეა და ამცირებს დაპირისპირების შესაძლებლობას ეთნიკურ, რელიგიურსა თუ პოლიტიკურ ნიადაგზე.

ჩვენი სახელმწიფო, დემოკრატიული მსოფლიოს კვალად, ადამიანის უფლებების დაცვას უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტად მიიჩნევს და ის უშუალოდ უკავშირდება ეთნიკურ უმცირესობათა დაცვის საკითხებსაც. ამიტომ საქართველოში ადამიანის უფლებების დაცვის მიმართულებით მომუშავე სხვა ორგანოებთან ერთად ომბუდსმენის ინსტიტუტისა და ტოლერანტობის ცენტრის საქმიანობა ძალზე მნიშვნელოვანია. ეს ინსტიტუციები მონიტორინგს უწევს შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციისა და სამოქმედო გეგმის, ასევე სახელმწიფო სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის მიხედვით 2009-2019 წლებში საქართველოს მთელ ტერიტორიაზე სახელმწიფოს მიერ ეთნიკურ უმცირესობათა კულტურული ფასეულობების დაცვის მიმართულებით გაწეულ საქმიანობას. მონიტორინგის შედეგები აისახა პარლამენტის წინაშე წარდგენილ მათ ყოველწლიურ ანგარიშებში. ეთნოსების კულტურისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის თვალსაზრისით მათში ასახული მდგომარეობა მასშტაბურობის, ყოვლისმომცველობის გამო მოექცა ჩვენი სამეცნიერო კვლევის არეალში. მათმა დაწვრილებითმა შესწავლამ გამოკვეთა ანგარიშების ზოგიერთი სახასიათო თავისებურება, რაც უშუალოდ აიხსნება როგორც ამ ინსტიტუციების საქმიანობის სპეციფიკით, ისე, უმთავრესად, კულტურის პოლიტიკის რაგვარობითა და მისი იმპლემენტაციის ხარისხით, კერძოდ, ანგარიშებისთვის სახასიათოა ეთნიკური უმცირესობის კულტურული უფლებების დაცვასა თუ დარღვევასთან დაკავშირებული ამა თუ იმ საკითხის განმეორებითი წარმოდგენა. ეს კი მოწმობს იმას, რომ არც სახალხო დამცველის აპარატი და არც ტოლერანტობის ცენტრი არ იფარგლება საკითხის მხოლოდ დასმით, წარმოჩენით, არამედ სახელმწიფოებრივი პასუხისმგებლობით უდგება მათ და ამით თავისი წვლილი შეაქვს არსებული პრობლემების მოგვარებაში. მეორე მხრივ, ეს მეტყველებს თავად ეთნოსთა მიმართ

კულტურის პოლიტიკის სხვადასხვა ხასიათის (ტექნიკურ, ორგანიზაციულ, ფინანსურ) ჯერ კიდევ არსებულ პრობლემებზე. 2009-2019 წლების ამ ანგარიშებში ეთნიკურ უმცირესობათა კულტურული უფლებების დაცვის მიმართულებით გამოკვეთილი ვექტორები კონკრეტული ფაქტებითაა გამყარებული. ამიტომ მათი თემატიკაც მრავალფეროვანია: კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა აღდგენა - რესტავრაციის საკითხების გვერდით განხილულია მათი სამოქალაქო ინტეგრაციის, განათლების, ცალკეულ ღონისძიებებში მონაწილეობით თვითმყოფადი ტრადიციების შენარჩუნების მიზნით შემოქმედებითი პოტენციალის გამოვლენის საკითხებიც. ამ ანგარიშების მიხედვით შესაძლებლობა მოგვეცა, ხარვეზებისა და ნაკლოვანებების მიუხედავად, არსებითად პოზიტიურად შეგვეფასებინა 2009-2019 წლებში სახელმწიფო ეთნოპოლიტიკა სახელმწიფო სექტორის მიერ მხარდაჭერილი და ამ ანგარიშებში გამოწვლილვით დაფიქსირებულ- აღნუსხულ ღონისძიება - ქმედებათა სახით.

ეთნიკურ უმცირესობათა მხარდაჭერის საკითხები სახელმწიფოებრივი მნიშვნელობისაა საერთაშორისო პოლიტიკის ჭრილში. ადამიანის უფლებათა დაცვის მიმართულებით საერთაშორისო სამართლებრივ დოკუმენტებში შესულია ეთნიკურ უმცირესობათა უფლებების, მათ შორის, სახელმწიფოთა მიერ კულტურული უფლებების დაცვის ვალდებულება, კერძოდ, განისაზღვრა, რომ ყველა ქვეყანამ კულტურის პოლიტიკის თავიანთ აქტებში ასახოს ისინი როგორც ევროპულ ფასეულობათა დამკვიდრების დემონსტრირება და, ამასთან, მოხდეს მათი შესრულება. ისინი შემუშავებულია სხვადასხვა ორგანიზაციის- ევროკავშირის, გაეროს, ევროპის საბჭოს, ეუთოსა და სხვათა მიერ და მათში ერთნაირად ხაზგასმულია ეთნიკურ უმცირესობათა უფლებების დაცვის აუცილებლობა დემოკრატიული, თანასწორი, ინკლუზიური და პლურალისტური დემოკრატიული საზოგადოების განვითარებისთვის. ამიტომ საჭიროდ ჩავთვალეთ, გამოგვეკვეთა ადამიანის უფლებადამცველი ამ საერთაშორისო აქტების ძირითადი ვექტორები და, ამასთან, გვეჩვენებინა, თუ როგორ ითვალისწინებს ჩვენი სახელმწიფო საერთაშორისო ვალდებულებებს, სტანდარტებსა და რეგულაციებს ადამიანის უფლებათა დაცვის მიმართულებით. ხაზი უნდა გაესვას, რომ ამ დოკუმენტების ტექსტების მიხედვით ეთნიკურ უმცირესობათა კულტურის საკითხები უფრო მეტად

ადამიანთა უფლების დაცვის კონტექტში განიხილება ( გამონაკლისია ევროპის ჩარჩო კონვენცია), მით უფრო, რომ ეს საკითხი უცხოეთში მიგრაციული პოლიტიკის პრინციპს ეყრდნობა და ამ კუთხით განიხილება. საქართველო კი ისტორიულად მულტიეთნიკური და მულტიკულტურული ქვეყანაა და ეს საკითხი კულტურული თვითმყოფადობისა და კულტურათაშორისი ინტეგრაციის კუთხით სახელმწიფოს მხრიდან მუშაობის სხვა პრინციპებს მოითხოვს.

2009-2019 წლებში ეთნოსთა მიმართ კულტურის პოლიტიკის რეალიზების, ეთნიკურ უმცირესობათა კულტურის თვითმყოფადობის შენარჩუნებისა და ქართულ კულტურასთან ინტეგრაციის წარმოჩენის მიზნით ყველაზე მნიშვნელოვანი ცენტრსა და რეგიონებში კულტურული ინსტიტუციების საქმიანობაა. აქ მკაფიოდ იკვეთება ეთნოპოლიტიკის აქცენტები, ხარვეზები, პრობლემები. ამგვარი კულტურული დაწესებულებების მუშაობის უფრო სახიერად წარმოსაჩენად ჩავატარეთ დღეს ერთობ აქტუალური და საერთაშორისოდ მიღებული თვისებრივი ემპირიული კვლევა დედაქალაქისა და რეგიონების კულტურული ინსტიტუციებისა, რათა მათი საქმიანობის მიხედვით სიღრმისეულად შეგვესწავლა ეთნოპოლიტიკის იმპლემენტაციის ხარისხი, ხარვეზები, საჭიროებანი, რათა ამის საფუძველზე სამომავლოდ შემუშავდეს უფრო გამართული, ეფექტურ შედეგზე დამყარებული ეთნოპოლიტიკა. კვლევისთვის შევადგინეთ კითხვარი, რომელიც დაეგზავნა თითქმის მთელი საქართველოს სხვადასხვა პროფილის კულტურულ ინსტიტუციებს (თეატრებს, მუზეუმებს, კულტურის ცენტრებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს, რეგიონულ მუნიციპალიტეტებს..). კითხვარი ითვალისწინებდა იმის გარკვევას, თუ რამდენად არიან ისინი ორიენტირებული კულტურის სახელმწიფო პოლიტიკაში და რამდენად ადეკვატურია მათი საქმიანობა მისი იმპლემენტაციის მიმართულებით. მათგან მიღებული პასუხები და მათი ანალიზი გვიჩვენებს, რომ კულტურული ორგანიზაციების საქმიანობა რიგ ხარვეზებს მოიცავს. მათ მიერ გაწეული მუშაობა ეთნიკულტურის პოლიტიკის სრულ სურათს ვერ წარმოადგენს და მოითხოვს რიგი საკითხების შესწავლასა და გაანალიზებას. ამიტომ ამ გამოკითხვისა და ასევე დისერტაციაში წარმოდგენილი სახელმწიფოს ხელშეწყობით მცირე ეთნოსების კულტურათა მხარდამჭერი ღონისძიებების ფართო სპექტრისა და მისი შედეგების გათვალისწინება-გაანალიზებით შევიმუშავეთ და დისერტაციაში წარმოვადგინეთ

რეკომენდაციები. მათში ძირითადი აქცენტი გაკეთდა შემდეგ საკითხებზე: უნდა გაიზარდოს სახელმწიფოს როლი, ანუ კონკრეტულმა უწყებამ, მაგალითად, საქართველოს განათლების, მეცნიერების კულტურისა და სპორტის სამინისტრომ ან სახელმწიფო მინისტრის აპარატმა შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში უნდა უხელმძღვანელოს ყველა კულტურული ინსტიტუციის ჩართულობას ეთნიკურ უმცირესობათა კულტურის მხარდაჭერის საქმეში; უნდა შემუშავდეს შესაბამისი სამუშაო სტრატეგია, სადაც უნდა აისახოს ამ ინსტიტუციების პრობლემების გადაჭრის გზები; სტრატეგია თანაბრად უნდა განსაზღვრავდეს როგორც სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებს, ისე ქართულ კულტურასა და ეთნიკურ კულტურებს შორის კულტურათაშორისი დიალოგის სიღრმისეულად წარმართვას; კულტურული ღონისძიებებისა და ზოგადად კულტურული ინსტიტუციების საქმიანობის შეფასების მხრივ ცენტრსა და რეგიონებში მკვეთრად განსხვავებული სურათის გამო სახელმწიფოს მიერ უნდა შეიქმნას შესაბამისი მექანიზმები, განსაკუთრებით, ადგილობრივ, რეგიონალურ უწყებებში, რომლებიც ორიენტირებული იქნება ეთნიკურ უმცირესობათა სახელმწიფო მხარდაჭერის ხელმისაწვდომობაზე; პროფესიული კუთხით დიდი მნიშვნელობა უნდა მენიჭოს რეგიონული კულტურული ინსტიტუციების დედაქალაქის ინსტიტუციებთან პროფესიულსა და შემოქმედებით კავშირს, ერთობლივი კულტურული ღონისძიებების დაგეგმვას; ყურადღება უნდა მიექცეს: ადგილობრივ ორგანიზაციებში ეთნიკურ უმცირესობათა კულტურის დაცვა-განვითარების მიმართულებით მომუშავე ადამიანური რესურსის კვალიფიკაციის ამაღლებას; ტრეინინგების, სემინარების ჩატარებას; სახელმწიფოს მიერ ეთნიკურ უმცირესობათა კომპაქტურად დასახლებულ ყველა რეგიონში კულტურულ დაწესებულებებში არსებული რესურსის კვლევას; მუზეუმებში, კულტურული მემკვიდრეობის, ტრადიციებისა და სხვა საჭიროებათა პასპორტიზაციას, რათა ამის გათვალისწინებით განისაზღვროს გრძელვადიანი ხედვა; ცენტრსა და რეგიონებში არსებულ მუზეუმებსა და თეატრებში ეთნიკურ უმცირესობათა კულტურის თვითმყოფადობის შენარჩუნების მიზნით ინტეგრაციის პოლიტიკის გათვალისწინებით უნდა შემუშავდეს შესაბამისი საექსპოზიციო, სარეპერტუარო პოლიტიკა; გააქტიურდეს სახელმწიფო სტრუქტურებთან ამ ორგანიზაციების თანამშრომლობა ეთნიკურ

უმცირესობათა კულტურის თვითმყოფადობის პოლიტიკის გააზრების, იმავდროულად, ქართულ კულტურულ ტრადიციებსა და თანამედროვე პროცესებსა თუ სამოქალაქო საზოგადოებასთან ინტეგრირების მიზნით; თეატრებისა და მუზეუმების სრულყოფილად და მაღალ დონეზე ფუნქციონირებისათვის და კვალიფიკაციის ასამაღლებლად უმაღლეს სახელოვნებო-საგანმანათლებლო დაწესებულებებში უნდა შეიქმნას მიზნობრივი ჯგუფები აღნიშნული ინსტიტუციებისათვის შესაბამისი კადრების მოსამზადებლად; სახელმწიფოს მიერ უნდა განისაზღვროს ძირითადი სტრატეგია კულტურული ინსტიტუციების მიერ ეთნოპოლიტიკის განვითარების კუთხით, უნდა მოხდეს სახელოვნებო ინსტიტუციების მეტი ინფორმირებულობა და ჩართულობა ერთობლივი პროექტების დაგეგმვა-განხორციელებაში სამოქალაქო ინტეგრაციის, ასევე მულტიკულტურული სივრცის განვითარების მიზნით; ეთნოპოლიტიკის ეფექტურად წარმართვისათვის უნდა ჩატარდეს სიღრმისეული კვლევა არსებული პრობლემებისა და საჭიროების გათვალისწინებით; ეთნიკურ უმცირესობათა მხარდაჭერის ეფექტურად წარმართვისა და სამოქალაქო ინტეგრაციისათვის აუცილებელია გაიზარდოს ინსტიტუციების (როგორც ქართული, ასევე ეთნიკურ უმცირესობათა) ჩართულობა, პროფესიული ძალების მობილობა და ურთიერთთანამშრომლობა; სახელმწიფო პოლიტიკის ჭრილში და მისი პრიორიტეტების შესაბამისად უნდა მოხდეს შემოქმედებითი პროდუქციისა თუ კულტურული ღონისძიების პროფესიულ დონეზე შექმნა და ჩატარება; ეთნიკურ უმცირესობათა სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი პრინციპი სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეთნიკურ უმცირესობათა კულტურის თვითმყოფადობის შენარჩუნებისათვის მიზნად უნდა ისახავდეს კულტურის ყველა შემოქმედებითი კავშირის წინაშე მდგარი თანამედროვე გამოწვევების გათვალისწინებას, ასევე არსებული ტრადიციების განვითარებასა და ხელშეწყობას.

სამომავლოდ ეთნიკური კულტურის პოლიტიკის უფრო ეფექტურად წარმართვის მიზნით, დასკვნის სახით დავძენდი, რომ რადგან ქვეყნის კულტურული მრავალფეროვნება ქართული კულტურის ორგანული ნაწილია, მასთან დაკავშირებული კულტურის პოლიტიკის განსაზღვრა მხოლოდ ეთნიკურ უმცირესობათა კულტურის მხარდამჭერი ღონისძიებებითა და ამ ინსტიტუციების

ჩართულობით საკმარისი არაა. უაღრესად მნიშვნელოვანია ამ ინსტუტუციების მიერ ქართული კულტურის, მასთან დაკავშირებული პროცესების, ტრადიციების წარმოჩენა. ძირეულად განსასაზღვრია ქართული კულტურული ინტიტუციებისთვის ეთნიკურ კულტურათა მნიშვნელობის გააზრება და ამ კუთხით სიღრმისეული მუშაობა.  ეს ინსტრუმენტი მეტი ეფექტის მომტანი იქნება როგორც საერთაშორისო, ასევე ადგილობრივ ასპარეზზე, რადგან, სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით, ჩვენი ქვეყნის კულტურის პოლიტიკა არა ეთნოსთა და მათ კულტურათა ასიმილაციასა და მარგინალიზაციაზე, არამედ კულტურათაშორის დიალოგზე, თვითმყოფადობის სიღრმისეულ გააზრებაზე, ღირებულებებსა და ფასეულობებზეა დამყარებული.

# გამოყენებული ლიტერატურა


ა) სამეცნიერო ნაშრომები

1. აბასაძე ირ. XX ს-ის დასაწყისის საქართველოში მოქმედ ქართულ-სომხური სახელოვნებო-საზოგადოებრივი ორგანიზაციების ეროვნული იდენტობის კვლევის ასპექტები. ელჟურ. „ARS.GEORGICA“. თბილისი.2019.
2. აბაშიძე ნ. ასურელები. კრებული: *ეთნოსები საქართველოში.* საქართველოს სახალხო დამცველის ბიბლიოთეკა. გამოსაცემად მომზადებულია საქართველოს სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრის მიერ. თბილისი. 2008.
3. ანჩაბაძე გ. აფხაზები. საქართველოში. კრებული: *ეთნოსები საქართველოში.* საქართველოს სახალხო დამცველის ბიბლიოთეკა. გამოსაცემად მომზადებულიასაქართველოს სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრის მიერ. თბილისი. 2008.
4. აშორტია თ., ელიზბარაშვილი თ. კონსტიტუციის შესახებ. მასწავლებლის სახელმძღვანელო. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლა. თბილისი. 2014.
5. ბაბურიანი მ. ოვანეს თუმანიანი და ვეფხისტყაოსანი. ჟურ. „ მნათობი“ N 4 . თბილისი. 1964.
6. ბეპიევა ნ., ჩიქოვანი გ. ოსები. კრებული: ეთნოსები საქართველოში. საქართველოს სახალხო დამცველის ბიბლიოთეკა. გამოსაცემად მომზადებულიასაქართველოს სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრის მიერ. თბილისი. 2008.
7. ბერიძე ვ. თბილისის ხუროთმოძღვრება 1801-1917. ტ.1 გამომცემლობა “საბჭოთა საქართველო“. თბილისი.1960.
8. ბერძნები საქართველოში ( რედ. რ. გორდეზიანი). თბილისი. 1990.
9. ბლუაშვილი უ. დიდი ოვანეს თუმანიანის მონატრება. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“.21 მარტი. თბილისი.2013.

10. გაბადაძე ს.რუსთაველის პროსპექტის არქიტექტურულ-სივრცული და კომპოზიციური ფორმირების საკითხი. დისერტაცია არქიტექტურის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად. თბილისი. 2014.
11. გაზ. „დროება ". 12 სექტემბერი. თბილისი. 1875 .
12. გაზ. „ჩვენი აზრი" . N121. თბილისი.1909.
13. გარაყანიძე.ი. საქართველოში ბერძენთა გადმოსახლების ისტორია *(XVIII-XX სს.)* თბილისის უნტ-ის გამომცემლობა. თბილისი. 1990.
14. გაული ვ. კონსტიტუციის შემუშავება და მიღება საქართველოში (1993-1995). 2002. თბილისი.
15. გელაშვილი ა. მეფე ერეკლეს დროშია. გამომცემლობა „კავკასია".თბილისი. 2015.
16. გელენავა ი. აფხაზეთის კულტურული ცხოვრების ისტორიიდან.1917- 1921 წლები. თსუ-ის გამომცემლობა.თბილისი. 2003.
17. გერსამია თ. არქიტექტორი ალექსანდრე ოზეროვი. ელჟურ."ARS GEORGICA." თბილისი. 2019.
18. გონაშვილი ვ. საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავი და საარჩევნო სამართალი 2010 წლის 15 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონის მიხედვით. წიგნში : საქართველოს კონსტიტუცია და 2010 წლის კონსტიტუციური რეფორმა. თბილისი. 2010
19. გონაშვილი ვ., ირემაძე ქ., თევდორაშვილი გ., კახიანი გ., კვერენჩხილაძე გ., ჭიღლაძე ნ. საკონსტიტუციო სამართალი. გამომცემლობა „მერედიანი" . თბილისი. 2017.
20. გრიგორიანცი კ. ძველი ტფილისის იშვიათი ამბები. თბილისი. 2011.
21. დავარაშვილი ზ., ცაგარეიშვილი თ. ებრაელები. კრებული: *ეთნოსები საქართველოში.* საქართველოს სახალხო დამცველის ბიბლიოთეკა. გამოსაცემად მომზადებულია საქართველოს სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრის მიერ. თბილისი. 2008.
22. დე ჰაასი ჰ. ეთნიკური უმცირესობები და დასაქმების პოლიტიკა ფინეთში, ნიდერლანდებში, გერმანიაში, დიდ ბრიტანეთსა და საფრანგეთში.მაასტრიხთის უნივერსიტეტის ევროპული ცენტრის დასაქმებისა და საზოგადოების გამოცემა.1997

23. დემეტრაშვილი ავ. საქართველოს კონსტიტუციური ისტორიის მიმოხილვა. კრებ-ში: საქართველოს კონსტიტუცია და 2010 წლის კონსტიტუციური რეფორმა. კონსტიტუციონალიზმის კვლევისა და ხელშეწყობის რეგიონული ცენტრი. თბილისი. 2010.
24. დემეტრაშვილი ავ., კობახიძე ირ. კონსტიტუციური სამართალი. საგამომცემლო სახლი „ინოვაცია". თბილისი. 2011.
25. დემუროვა დ. ბერძენთა დასახლების ისტორიიდან აჭარაში. კრებული: სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყოფა და კულტურა. X. თბილისი. 1983.
26. ენაკოლოფაშვილი ი. მირზა შაფი, მირზა ფატალი ახუნდოვი და საქართველოს საზოგადოებრიობა. ჟურ. ,,მნათობი" . N 5. თბილისი. 1952 .
27. ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ქართლის ცხოვრება. ტ. IV. გამომცემლობა „ საბჭოთა საქართველო". 1973.
28. ზაალიშვილი ნ. სომეხი მხატვრები საქართველოში. ჰაკობ ჰოვანათანიანიდან გაიანე ხაჩატურიანამდე. თბილისი. 2011.
29. თოფჩიშვილი რ. კავკასიის ხალხთა ეთნოგრაფია. გამომცემლობა „უნივერსალი". თბილისი. 2007.
30. თოფჩიშვილი რ. საქართველოს ეთნოგრაფია/ ეთნოლოგია.გამომცემლობა „უნივერსალი." თბილისი. 2010.
31. თოფჩიშვილი რ., ხუციშვილი ქ., გუჯეჯიანი რ. თეორიული ეთნოლოგია. თსუ-ს გამომცემლობა. თბილისი. 2010.
32. კაშმაძე შ. თბილისის ოპერისა და ბელეტის თეატრი. თბილისი. 2015.
33. კაციტაძე პ. ეთნიკური და სამოქალაქო იდენტობის თავისებურებანი საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ ჯგუფებში. დისერტაცია ანთროპოლოგიის დოქტორის (PhD) აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელწიფო უნივერსიტეტი. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი. ანთროპოლოგიის მიმართულება. 2014 .
34. კომახია მ. ავარელები და სხვა დაღესტნელი ხალხები. კრებული: *ეთნოსები საქართველოში.* საქართველოს სახალხო დამცველის ბიბლიოთეკა. გამოსაცემად მომზადებულია საქართველოს სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრის მიერ. თბილისი. 2008.

35. კომახია მ. ბერძნები. კრებული: *ეთნოსები საქართველოში.* საქართველოს სახალხო დამცველის ბიბლიოთეკა. გამოსაცემად მომზადებულიასაქართველოს სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრის მიერ. თბილისი. 2008.
36. კომახია მ. გერმანელები საქართველოში. კრებული: *ეთნოსები საქართველოში.* საქართველოს სახალხო დამცველის ბიბლიოთეკა. გამოსაცემად მომზადებულია საქართველოს სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრის მიერ. თბილისი. 2008.
37. კომახია მ. უკრაინელები. კრებული: *ეთნოსები საქართველოში.* საქართველოს სახალხო დამცველის ბიბლიოთეკა. გამოსაცემად მომზადებულიასაქართველოს სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრის მიერ. თბილისი. 2008.
38. კულტურის პოლიტიკა. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კულტურის პოლიტიკის ფორმები და სფეროები. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საკანონმდებლო ორგანოს გამოცემა.2015
39. კულტურის სტრატეგია -2025. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო. თბილისი. 2016
40. ლეონტი მროველი. ცხოვრება ქართველთა მეფეთა. ქართლის ცხოვრება. ტ. I. გამომცემლობა „ სახელგამი“. თბილისი . 1955.
41. ლომსაძე შ. სამცხე-ჯავახეთი (XVIII საუკუნის შუა წლებიდან XIX საუკუნის შუა წლებამდე). გამომცემლობა „მეცნიერება“. თბილისი. 1975.
42. მაისურაძე გ. საქართელოს სომხური მოსახლეობის ისტორიის საკითხები (IV-VIII სს.). გმომცემლობა „მეცნიერება“. თბილისი. 1999.
43. მანია მ. ევროპელი არქიტექტორები საქართველოში. თბილისი. 2006.
44. მანჯგალაძე გ. გერმანელები საქართველოში. კრებული: *ეთნოსები საქართველოში.* საქართველოს სახალხო დამცველის ბიბლიოთეკა. გამოსაცემად მომზადებულია საქართველოს სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრის მიერ. თბილისი. 2008.
45. მაცაბერიძე მ. საქართველოს პოლიტიკური სისტემა. თსუ-ის გამომცემლობა. თბილისი. 2019.

46. მაცაბერიძე მ. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუცია: შემუშავება და მიღება. თბილისი,პოლიტოლოგიის ინსტიტუტი. თბილისი.2008.
47. მაცაბერიძე მ. საქართველოს პოლიტიკური სისტემა. თსუ-ის გამომცემლობა. თბილისი. 2019.
48. მღებრიშვილი ლ. ეთნოისტორიული და ეთნოსოციალური პროცესები შიდა ქართლში. „კლიო“. # 6. თბილისი. 1999.
49. ნათმელიძე გ. დემოგრაფიული პროცესები საქართველოში XX საუკუნის 40-იან წლებში. თბილისი. 1993.
50. რუსულენოვანი უმცირესობები ბალტიისპირა ქვეყნებში. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საკანონმდებლო ორგანოს გამოცემა. 2018
51. საერთაშორისო ორგანიზაციების ზოგადი მიმოხილვა და მათი თანამშრომლობა საქართველოსთან. ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია. თბილისი. 2005.
52. სარუხანიანი ა. საქართველო და სომხები. ვენა. 1939.
53. საქართველოს ეთნოგრაფია. გამომცემლობა „ უნივერსალი“. თბილისი. 2010.
54. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. I. გამომცემლობა „ საჭოთა საქართველო“. თბილისი. 1970.
55. საქართველოს კონსტიტუცია მიღებული საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ 1921 წლის თებერვლის 21. სტამბა ნ.ი ხვინგიასი. ბათომი.1921 .
56. საქართველოს მოსახლეობის_2002 წლის პირველი ეროვნული საყოველთაო აღწერის შედეგები. ტ.1. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი (ონლაინ წიგნი). თბილისი. 2003.
57. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუცია (ძირითადი კანონი). გაზ. „ჩვენი საყვირის“ გამოცემა“. თბილისი. 1937.
58. საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის კონსტიტუცია. მე-5 სტამბა საქართველოს ს.მ.უ.ს.პოლიგრაფგანყოფილების. ტფილისი. 1922
59. სონღულაშვილი ა. ეროვნულ უმცირესობათა კულტურა საქართველოში. გამომცემლობა „ მეცნიერება“. თბილისი. 2002.
60. სონღულაშვილი ა. ნარკვევები საქართველოს უახლესი ისტორიიდან. გამომცემლობა „ მეცნიერება“. თბილისი. 2001.

61. სონღულაშვილი ა. საბჭოური პოლიტიკა და საქართველოს ეროვნული უმცირესობა. თბილისი. გამ. „ უნივერსალი“. 2018.
62. სონღულაშვილი ავ. ეროვნულ უმცირესობათა კულტურა საქართველოში. გამომცემლობა „მეცნიერება“. თბილისი. 2002.
63. ტერ-გრიგორიანცი ჰ. .„მშაკი“ და სომეხ-ქართველთა ურთიერთობა. ფურცლები ჩემი მოგონებიდან. ჟურ. „*პრომეთე.“* N 1-2 (თარგმ. აკ. შანიძე). თბილისი.1918.
64. შაიო ანდ. ხელისუფლების თვითშეზღუდვა. კონსტიტუციონალიზმის შესავალი. გამომცემლობა „ სეზანი“. თბილისი. 2003
65. ჩხაიძე გ. საქართველოს მუზეუმი ( 1852-1932). თბილისი. 2003.
66. ჩიქოვანი ელ. ლიტველები, ლატვიელები და ესტონელები. კრებული: *ეთნოსები საქართველოში.* საქართველოს სახალხო დამცველის ბიბლიოთეკა. გამოსაცემად მომზადებულია საქართველოს სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრის მიერ. თბილისი. 2008.
67. ჩიქოვანი ნ., ჩხაიძე ი., წერეთელი ივ., მაცაბერიძე დ., კაკიტელაშვილი ქ. იდენტობის ნარატივები საქართველოში. მრავალეთნიკური ქართველი ერის სათავეებთან (1860-1918). თბილისი. 2014.
68. ჩხაიძე ირ. ეთნიკურიდან სამოქალაქო ნაციონალიზმისაკენ: ნაციონალური პროექტის დინამიკა პოსტსაბჭოთა საქართველოში.დისერტაცია კულტურის კვლევათა დოქტორის (PhD) აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი. კულტურის კვლევათა ინსტიტუტი. თბილისი. 2016
69. ჩხეტია შ. რუსული მმართველობის სისტემა საქართველოში. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის „ მოამბე“. თბილისი. 1944.
70. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. წიგნი I. თბილისი.1963.
71. ჭავჭავაძე ი. მგზავრის წერილები. თხზულებანი. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“. თბილისი. 1984.
72. ჭოღოშვილი ნ. გერმანული მხატვრული ტრადიცია და საქართველო XIX საუკუნის დასაწყისიდან XX საუკუნის 40-იან წლებამდე.დისერტაცია

ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად. თბილისი. 2006.

73. ჯავახიშვილი ივ. დემოგრაფიული პროცესები და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხი რუსეთ-საქართველო-სომხეთის ურთიერთობებში (XIX-XX სს.). გამომცემლობა „ ინტელექტი“.თბილისი. 1998.
74. ჯალაბაძე ნ. აკულტურაციის სპეციფიკა საქართველოს უდიებში. კრებული: კავკასიის ეთნოლოგიური კრებული. XIV. თბილისი. 2012.
75. ჯალაბაძე ნ. პოლონელები. კრებული: *ეთნოსები საქართველოში.* საქართველოს სახალხო დამცველის ბიბლიოთეკა. გამოსაცემად მომზადებულია საქართველოს სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრის მიერ. თბილისი. 2008.
76. ჯალაბაძე ნ. რუსები. კრებული: *ეთნოსები საქართველოში.* საქართველოს სახალხო დამცველის ბიბლიოთეკა. გამოსაცემად მომზადებულიასაქართველოს სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრის მიერ. თბილისი. 2008.
77. ჯალაბაძე ნ. ჩეხები. კრებული: *ეთნოსები საქართველოში.* საქართველოს სახალხო დამცველის ბიბლიოთეკა. გამოსაცემად მომზადებულია საქართველოს სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრის მიერ. თბილისი. 2008.
78. ჯანიაშვილი ლ. აზერბაიჯანელები. კრებული: ეთნოსები საქართველოში. საქართველოს სახალხო დამცველის ბიბლიოთეკა. გამოსაცემად მომზადებულიასაქართველოს სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრის მიერ. თბილისი. 2008.
79. ჯანიაშვილი ლ. სომხები. კრებული: ეთნოსები საქართველოში. საქართველოს სახალხო დამცველის ბიბლიოთეკა. გამოსაცემად მომზადებულიასაქართველოს სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრის მიერ. თბილისი. 2008.
80. ჯანიაშვილი ლ. აზერბაიჯანელები. კრებული: *ეთნოსები საქართველოში.* საქართველოს სახალხო დამცველის ბიბლიოთეკა. გამოსაცემად

მომზადებულიასაქართველოს სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრის მიერ. თბილისი. 2008.

81. ჯანიაშვილი ლ. ეთნო-კულტურული პროცესები საქართველოში. კრებული: *ეთნოსები საქართველოში.* საქართველოს სახალხო დამცველის ბიბლიოთეკა. გამოსაცემად მომზადებულიასაქართველოს სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრის მიერ. თბილისი. 2008.

82. ჯაოშვილი ვ. საქართველოს მოსახლეობა XVIII-XX საუკუნეებში. გამომცემლობა „ მეცნიერება". თბილისი. 1984.

83. ჯაოშვილი ვ. საქართველოს მოსახლეობა. გამომცემლობა „ მეცნიერება". თბილისი. 1996.

84.Акты, собранные Кавказской археографической комиссией. т.10. Тифлис. 1885.

85.Анчабадзе Ю.Д.Старый Тбилиси. Город и горожане В XIX веке Москва. изд. "Наука". 1990.

86.Вормсбехер Г. Немцы в СССР. сб.: „Говоря откровенно". Москва.1989.

87.газ.„Закавказье". N 12.Тифлись. 1909 .

88. Дзуцова И.Прошедшее проходит предо мною.Тбилиси. 2016.

89. Дингельштедт. В. Водовладения и ирригация.Тифлис. 1860 .

90. Дюма А. Кавказ.СПБ.1861.

91. Кавказский кадендарь. Тбилиси. 1854 .

92. Семёнов П. История полувекавой деятельности Императорского Русского географического общества 1945-1895 гг. т.1 .СПБ. 1896.

**ელექტრონული რესურსი**

სახელმწიფო და საერთაშორისო დოკუმენტები, სახალხო დამცველისა და შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციისა და სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშები


1. ადამიანთა უფლებების დაცვის ეროვნულ სტრატეგია 2014-2020 წლებისათვის http://myrights.gov.ge/ka/documents/documents/strategy
2. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია/ECHR 4.10 1950 ttp://www.library.court.ge/upload/2978.pdf
3. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია რომი, 1950 წლის 4 ნოემბერი.საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი11.95.1994 https://matsne.gov.ge/ka/document/view/1208370?publication=0.
4. ადამიანის უფლებათა დაცვის სამდივნო -2016 http://myrights.gov.ge/uploads/filemanager/Conventions/conventionagainstracismGEO.pdf
5. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია 1948 10 აგვისტო. გაეროს უფლებათა უმაღლესი კომისიის ოფისი. საქართველი მაისი 2008. http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/aqtebi3.pdf.
6. დამოუკიდებლობის გაკვეთილები მომავლისკენ წარსულის გააზრებით როგორ ვხდებოდით დამოუკიდებელი საქართველოს მოქალაქეები – 1991 ივნისი 1, https://lessonsgeo.wordpress.com/author/ekatsamalashvili/
7. ევროპის სოციალური ქარტია (შესწორებული)სტრასბურგი, 3.V. 1996 საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი 03.05.1996 https://matsne.gov.ge/ka/document/view/1392164.

8. ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი 1966 წლის დეკემბერი. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი 16.12.1966 https://matsne.gov.ge/ka/document/view/1483577?publication=0.

9. კანონი მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის სპეციალური წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ. საქართველოს პარლამენტი 03.06. 2016 https://matsne.gov.ge/ka/document/view/3306633?publicatiohttps%3A%2F%2Fmatsne.gov.ge%2Fka%2Fdocument%2Fview%2F3306633%3Fpublicatin

10. კანონი ეროვნული კინემატოგრაფიის სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ საქართველოს პარლამენტი 05.12.2000
https://matsne.gov.ge/ka/document/view/17794?publication=6,

11. კონვენცია მსოფლიო კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვის შესახებ;
Convention Concerningthe Protection of the World Cultural and Natural Heritage https://whc.unesco.org/en/conventiontext. Unesco 16.10 1972 წ ნანახია 30.08 2021

12. კონვენცია კულტურული თვითგამოხატვის მრავალფეროვნების დაცვის და ხელშეწყობის შესახებ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი 20.10.2005 ttps://matsne.gov.ge/ka/document/view/1205118?publication=0.

13. ,,რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ“ გაეროს 1966 წლის კონვენციით გათვალისწინებული რასობრივი დისკრიმინაციის ლიკვიდაციის კომიტეტის კომპეტენციის აღიარების თაობაზე. საქართველოს პარლამენტი 07.07.2002. https://matsne.gov.ge/ka/document/view/41416

14. საქართველოს პარიზი, 2003 წლის 17 ოქტომბერი. საერთაშორისო კონვენცია არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ.საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი 17.10.2003.
https://matsne.gov.ge/ka/document/view/1205181?publication=0.

15. საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ 16.12.1966 საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი 16.12.1966 https://matsne.gov.ge/ka/document/view/1398335?publication=0.

16. საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ.საქართველოს პარლამენტი 08.04.2005 https://matsne.gov.ge/ka/document/view/29248?publication=85. 2005

17. საქართველოს კანონი კულტურის შესახებ. საქართველოს პარლამენტი 12.06.97 https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/31402?publication=10

18. საქართველოს კანონი კულტურული მემკვიდრეობის შესახებ.საქართველოს პარლამენტი 08.06.2007 https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36

19. საქართველოს კანონი მაუწყებლობის შესახებ საქართველოს პარლამენტი 23 12. 2014 https://matsne.gov.ge/ka/document/view/32866?publication=56. 2004

20. საქართველოს კანონი მუზეუმების შესახებ საქართველოს პარლამენტი 22.06.2021 https://matsne.gov.ge/ka/document/view/15508?publication=4, 2001 წ.

21. საქართველოს კანონი საბიბლიოთეკო საქმის შესახებ პარლამენტის უწყებანი, 18 10.07.96 https://matsne.gov.ge/ka/document/view/33046?publication=4.

22. საქართველოს კანონი სახელმწიფო თეატრების შესახებ.საქართველოს პარლამენტი. 09.06.2006 https://matsne.gov.ge/ka/document/view/23824?publication=3.

23. საქართველოს კანონი საჯარო სამსახურის შესახებ. საქართველოს პარლამენტი 27.102015 https://matsne.gov.ge/ka/document/view/3031098?publication=29

24. საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ.საქართველოს პარლამენტი21.12.2004 https://matsne.gov.ge/ka/document/view/32830?publication=82.

25. საქართველოს კონსტიტუცია საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტი 24.08 1995. ივლისი.https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36

26. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო საქართველოს პარლამენტის დადგენილება „საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის“ კონსტიტუციური შეთანხმების

დამტკიცების შესახებ. საქართველოს პარლამენტი 22.10.2002 https://matsne.gov.ge/ka/document/view/41626?publication=0..

27. საქართველოს მთავრობის განკარგულება N348 2009 წლის 8 მაისი https://matsne.gov.ge/ka/document/view/2091642?publication=0.

28. საქართველოს ორგანული კანონის საქართველოს მოქალაქეობის შესახებ.საქართველოს პარლამენტი 2014 წლის 30 აპრილი. მუხლი 3. https://matsne.gov.ge/ka/document/view/32596?publication=20.

29. საქართველოს ორგანული კანონის საქართველოს მოქალაქეობის შესახებ.აქართველოს 1997 წლის 1 ოქტომბრის კანონი №893-პარლამენტის უწყებანი, №43,30.10.1997 საქართველოს პარლამენტი 25.03.1993. და 30.04.2014.
https://matsne.gov.ge/ka/document/view/32596?publication=20.
https://matsne.gov.ge/ka/document/view/2342552?publication=5.

30. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი (საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1991 წლის 9 აპრილის საგანგებო სხდომა – საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს უწყებები, 1991 წ., №4, მუხ. 291) https://matsne.gov.ge/ka/document/download/32362/0/ge/pdf.

31. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების და დამატებების შეტანის შესახებ. საქართველოს პარლამენტი 08.05.2007.
https://matsne.gov.ge/ka/document/view/21148?publication=0.

32. საქართველოს სსრ კონსტიტუცია, 15 აპრილი, 1978. https://nodussr.ru/konstituciya-gruzinskoj-ssr?fbclid=IwAR2MbjHGL6Jo8gYBcKgM5opPj-KuTGT4KKTomk6LuEeBGKrAUhPZrT_XmgI.

33. საქართველოს შრომის კოდექსი. მე-2 მუხლი საქართველოს პარლამენტი 17.12.2010 https://matsne.gov.ge/ka/document/view/1155567.

34. სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრი-2005 ვებ გვერდი შექმნილია გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით. http://www.tolerantoba.ge/index.php?id=1345202134.

35. სახალხო დამცველის ანგარიში ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების დაცვის მდომარეობის შესახებ. 2014: 459. https://ombudsman.ge/geo/saparlamento-angarishebi.

36. სახალხო დამცველის ანგარიში ადამიანთა უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ: 2009 https://ombudsman.ge/geo/saparlamento-angarishebi.
37. სახალხო დამცველის ანგარიში ადამიანთა უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ. 2016:432-434. https://ombudsman.ge/geo/saparlamento-angarishebi.
38. სახალხო დამცველის ანგარიში ადამიანი უფლებებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ. 2013: 311. https://ombudsman.ge/geo/saparlamento-angarishebi.
39. სახალხო დამცველის ანგარიში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ. 2010: 330-331. https://ombudsman.ge/geo/saparlamento-angarishebi.
40. სახალხო დამცველის ანგარიში ადამიანთა უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ. 2012: 115. https://ombudsman.ge/geo/saparlamento-angarishebi.
41. სახალხო დამცველის ანგარიში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ. 2017: 277-278. https://ombudsman.ge/geo/saparlamento-angarishebi.
42. სახალხო დამცველის ანგარიში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვისა მდგომარეობის შესახებ. 2014: 530-534. https://ombudsman.ge/geo/saparlamento-angarishebi.
43. სახალხო დამცველის ანგარიში ადამიანის უფლებათა დაცვისა და თავისუფლების მდგომარეობის შესახებ. 2012: 769. https://ombudsman.ge/geo/saparlamento-angarishebi.
44. სახალხო დამცველის ანგარიში ადამიანის უფლებებთა დაცვისა და თავისუფლების მდგომარეობის შესახებ. 2012: 812-14 https://ombudsman.ge/geo/saparlamento-angarishebi..
45. სახალხო დამცველის ანგარიში ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების დაცვის მდგომარეობის შესახებ. 2013: 320. https://ombudsman.ge/geo/saparlamento-angarishebi

46. სახალხო დამცველის ანგარიში ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების მდგომარეობის დაცვის შესახებ. 2011: 118. https://ombudsman.ge/geo/saparlamento-angarishebi0.

47. შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციისა და სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობა 08.05.2009 https://matsne.gov.ge/ka/document/view/2091642?fbclid=IwAR1fwUrVbBM28_ReyjeczMb5hoE-U-BUEXrlaI21wkgW5RY1ONFebP-JL_M&publication=0

48. შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციის და სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში. 2011: 12-13.https://smr.gov.ge/uploads/prev/3b8c0b.pdf

49. შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციისა და 2009-2014 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების შეფასების დოკუმენტი. https://smr.gov.ge/uploads/prev/__cd492646.pdf

50. შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციისა და სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში. 2010: 47-72 https://smr.gov.ge/uploads/prev/4da937.

51. შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციისა და სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში. 2015: 69. https://www.ombudsman.ge/geo/saqmianobis-angarishebi/saqartvelos-saxalxo-damcvelis-2015-wlis-saqmianobis-angarishi

52. შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციისა და სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში. 2013: 225 https://smr.gov.ge/uploads/prev/0317d5.pdf

53. შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციისა და სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში. 2012:85,

https://smr.gov.ge/uploads/prev/3577d1.pdf.

54. შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი 2020 https://smr.gov.ge/ge/page/31/samoqalaqo-tanasworobisa-da-integraciis-saxelmwifo-strategia-da-samoqmedo-gegma

55. ჩარჩო კონენცია ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ. სტრასბურგი 1.02.1995 საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი 01.02.1995 https://matsne.gov.ge/ka/document/view/1244853?publication=0

**სხვა ელექტრონული რესურსი**

1. ესტონეთის სამინისტროს სახელმწიფო პროგრამის სტრატეგიის დოკუმენტი ესტონეთის საზოგადოების ინტეგრაცია- 2000-2007.

https://www.kul.ee/sites/kulminn/files/sip_summary_2000-2007.pdf

1. მახარაშვილი ეკა, გაზეთი 24 საათი Weekend, მირზა ვაზეჰი შაფი და მირზა ფათალი ახუნდოვი - საქართველოზე უზომოდ შეყვარებული აზერბაიჯანელი მწერლები 2010 წლის 27 თებერვალი- http://24blog.ge/weekend/story/3791-mirza-vazehi-shafi-da-mirza-fatali-akhundovi-saqartveloze-uzomod-sheyvarebuli-azerbaijaneli-mtserlebi.
2. ოსიპოვი. ალ., ჰ ვასილევიჩი ჰ. ტრანსისტრიის ფენომენი პოსტსაბჭოთა მრავალფეროვნების ჭრილში. 2017. https://www.ecmi.de/fileadmin/redakteure/publications/pdf/Working_Paper__100.pdf
3. კოიხელი ს. ემპირიული კვლევის როლი კულტურის მენეჯმენტში. კვლევის სფერო, განვითარება და ინოვაციური ემპირიული პრაქტიკის მოდელირება კულტურის მენეჯმენტის ყოველწლიური ჟურნალი. 2010 http://www.fachverband-kulturmanagement.org/wp-content/uploads/2012/10/ZurRolleDerEmpirischenForschungImKulturmanagement.pdf
4. კრუპლი არ. თვისებრივი კვლევის მეთოდები.ემპირიაზე ორიენტირებული სახელმძღვანელო ფსიქოლოგიისა და პედაგოგიკის სტუდენტებისთვის. ჰამბურგის უნივერსიტეტის გამოცემა. 2019. https://www.researchgate.net/publication/285471178_Introduction_to_Qualitative_Research Methods.

5. რესპუბლიკა 100 ძველი ამბები 1918: დებატები ეროვნული საბჭოს ეთნიკური უმცირესობებით შევსების შესახებ 12.09. 192018 https://civil.ge/ka/archives/253053
6. სონღულაშვილი ავთანდილ-განათლება და კულტურა ,, სამხრეთ ოსეთი'' საქართველოში ?! განათლება და კულტურა Iberiana გუშინ, დღეს, ხვალ 2010 https://iberiana.wordpress.com/songulashvili/as12/
7. ჯენსენი ჰ. ხარისხობრივი კვლევის მეთოდების ლოგიკა და მისი როლი სოციალური კვლევის მეთოდების განვითარებაში. ხარისხობრივი კვლევისლოგიკა და მისი როლი სოციალური კვლევის მეთოდების განვითარებაში. ხარისხობრივი კვლევის ფორუმი. 2010. https://www.researchgate.net/publication/45194054_The_Logic_of_Qualitative_Survey_Research_and_its_Position_in_the_Field_of_Social_Research_Methods.
8. The Ethnic Policy of Moldova 2015 (C:/Users/sali/Downloads/2015KosienkowskiEthnicPolicyofMoldova.pdf.
9. The Ljubljana Guidelines on დაIntegration of Diverse Societies & Explanatory Note . Published and disseminated by the OSCE High Commissioner on National Minorities (HCNM). Printed in the Netherlands. 2012
10. Women, Etno-cultural communities and the state in Ethiopia 24.10.2017 https://www.ecmi.de/fileadmin/redakteure/publications/pdf/Working_Paper__100.pdf